

# ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

17 თებერვალი 2006

№4



ფრანგი ქალის აღსარება  
შოთა იათაშვილის ლექსები  
მურმან ლებანიძე და მისი ნოველა  
ლიტერატურული აურზაური ამერიკაში  
შერვუდ ანდერსონის გროტესკები  
ინტერვიუ თამარ ერისთავთან  
აგატა კრისტის დეტექტივი  
ღვანკითის შევარდნები



## შინაარსი

<p>არჩევანი 2</p> <p>ჩვენი ყოფა, წუთისოფელი 4</p> <p>კულუარები 5, 23, 48, 54</p> <p>ექსპრეს-ინტერვიუ 6</p> <p>პროზა 8</p> <p>პოეზია 14</p> <p>უცხოეთის ცხოვრებიდან 19</p> <p>პარადოქსები 24</p> <p>დიალოგი 25</p> <p>თქმა მართლისა 28</p> <p>რისკი და ბედისწერა 31</p> <p>ჰიპოთეზა 35</p> <p>დაუვიწყარი სახელები 36</p> <p>რეპორტაჟი 40</p> <p>დეტექტივი 45</p> <p>კრიტიკა 49</p> <p>ლიტერატურული სიახლენი 53</p> <p>უცხოური ნოველა 55</p> <p>ნაკვესები 61</p> <p>მოზაიკა 63</p>	<p>ენაც ყველაზე პოპულარული პოეტი გალაკტიონის ეპოქაში</p> <p>მიგელ დე უნამუნო ინდივიდი და სახელმწიფო</p> <p>ლიტერატურული აურზაური</p> <p>მთარგმნელობა სხვისი ნების დამორჩილება (საუბარი თამარ ერისთავთან)</p> <p>კობა ცხაკაია სამყარო სუფრის გარშემო (ქართული სუფრის მოტივებზე შექმნილი ჯაზური კომპოზიცია)</p> <p>შოთა იათაშვილი ახალი ლექსები</p> <p>ნორმან მეილერი სიტყვა (წარმოთქმული ნეშენალ ბუკის პრემიის მიღების ცერემონიაზე 2005 წლის 16 ნოემბერს)</p> <p>მარგარეტ დიურა მატარიალური ცხოვრება</p> <p>საბა სულხანიშვილი „ნაქნარის დევის“ ილუსტრაციები</p> <p>სული დაღლილი გამოცანებით (ნინო დეკანოიძეს ესაუბრება ლიანა ელიავა)</p> <p>როსტომ ჩხეიძე ღვინავითის შევარდნები</p> <p>ტყვია ვაშინგტონშიც დაგანავა (მომზადა თემურ ლენერიაძე)</p> <p>თამარ ბლიაძე ისევ „ლურჯა ცხენებზე“</p> <p>ციალა თოფურიძე სანიმუშო ბიომგრაფიული რომანი (ვახტანგ ჭელიძის „ცხოვრება ივანე მაჩაბლისა“)</p> <p>ანთოლოგიაში არ გამოიტოვება (მურმან ლებანიძის ნოველა „დიდი პულკა“)</p> <p>აგატა კრისტი უბრალოდ უკიდური შემთხვევა</p> <p>ნუგზარ მუზაშვილი სუბიექტური ისტორია</p> <p>შორენა ქუთთიშვილი მარადიული სინათლის ძიებაში</p> <p>ნანა წერეთელი „UBERAALLNIE“</p> <p>შერვუდ ანდერსონი სამი ნოველა (კრებულიდან „უაინსბურგი, ოპაიო“)</p> <p>მასვილსიტყვაობის ნიმუშები</p> <p>მარინა ცვეტაევა თუ დანარდა</p>
--	--

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,  
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 32) 94-39-63

რეკლამა – (995 77) 48-12-24

გავრცელება – (995 99) 93-18-52

ფაქსი: (995 32) 95-23-24

E-mail: info@mtserloba.ge

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე პოეზიის რედაქტორი – გიორგი ლობჯანიძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

დიზაინერი – მალხაზ იაშვილი მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია

კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – ლევან ჩხეიძე

ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – მაკა ჯაფარიძე

გავრცელების სამსახური – ლევან ბინაძე



# ესაც ყველაზე პოპულარული პოეტი გალაკტიონის ეპოქაში

ის ზოგადი სურათი, რაც გამოკითხვის დაწყების პირველივე დღეებში გამოიკვეთა, არსებითად აღარც შეცვლილა და მკითხველის გამოხმაურებას დაუსრულებლადაც რომ დაუფგდოთ ყური, რაიმე ცვლილება არც მერეა მოსალოდნელი.

შეფარდება ერთი და იგივე იქნება.

იქ, სადაც შევწყვიტეთ ჩვენი სოციოლოგიური გამოკითხვა, ხუთასზე მეტი ხმა იოსებ გრიშაშვილს მოეპოვებინა.

ხუთასზე ოდნავ ნაკლები – გალაკტიონ ტაბიძეს.

სამასამდე – გიორგი ლეონიძეს.

ტერენტი გრანელი ორასს ცოტათი აჭარბებდა.

ასსა და ორასს შორის ივარაუდებოდა ლადო ასათიანი და იოსებ ნონეშვილი.

სხვანი ასამდეც ვეღარ აღწევდნენ.

დასახელებულთაგან ყველაზე ცოტა ხმა ერგოთ სანდრო შანშიაშვილსა და ირაკლი აბაშიძეს – თუმცა ოცდაათამდე კი მიაწვდნენ.

თავის მხრივ ოცი მკითხველი წამოაყენებდა მირზა გელოვანის სახელს.

ათი – კარლო კალაძისას.

და, აი, გამოჩნდებოდა ორი პიროვნება – ოთარ ჩხეიძე და ლევან ბრეგაძე – რომელნიც გალაკტიონის ეპოქის ყველაზე პოპულარულ პოეტად მოიხსენიებდნენ ისეთ კაცს, რომლის გვარ-სახელიც რამდენჯერმე თუ არ გაიგეო, ისე ვერც გააგებინებ ვერავის, რადგანაც აღარავის სმენია, ყური ოდნავადაც არ შეგუება და შეჩვევა ნამდვილად სჭირდება:

გიგო ხეჩუაშვილი.

ერთი პირობა ფიქრობ კიდევ, რომ ხუმრობენ და გწყინს, რომ სერიოზული წამოწყება სამასხარაოდ გადაგიქციეს, მაგრამ რადგანაც ამ პოეტის სახელს დაუსაბუთებლად არა გთავაზობენ, იწყნარებ მის გამორევასაც თანავარსკვლავედში. ბოლოსდაბოლოს, თუნდ ხუმრობითაც გაისმას, საძიებელი მაინც სხვაგანაა...

კაცმა რომ თქვას, საძიებელიც რალა დარჩენილა.

იოსებ გრიშაშვილი.

ასეთია უმრავლესობის გადაწყვეტილება.

გრიშაშვილი და მის ერთადერთ მოცილებლად გალაკტიონი, სხვანი ახლოსაც რომ ვერ გაკარებთან.

უმცირესობა გიგო ხეჩუაშვილს ასახელებს.

ვითომ რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს მის ხსენებასაც?

პოლიტიკური არჩევნებისას, ცხადია, სრული უპირატესობა იოსებ გრიშაშვილის მხარეს იქნებოდა და ხმების ასეთი შეფარდება უთანასწორო შერკინებად გამოჩნდებოდა.

მაგრამ აქ სულ სხვა კანონები მოქმედებს, რადგანაც... ქვეშარიტება არ დაგიდევს უმრავლესობასა და უმცირესობას.

არ დაგიდევს და:

**ოთარ ჩხეიძეს** ახსოვს ისიც, თუ როგორ ინგრეოდა ტაშითა და ოვაციით დარბაზები გიგო ხეჩუაშვილის გამოჩენისას და ის განწყობილებაც, თუ როგორ უფრთხოდნენ აღიარებუ-

ლი პოეტები გიგო ხეჩუაშვილის გვერდით გამოსვლას ლიტერატურულ თავყრილობებზე. სიხარულით, ხალხით მიემურობდნენ ყველგან, სადაც მიიწვევდნენ, ოღონდ... ნინასწარ აუცილებლად უნდა გამოეკითხათ: გიგო ხეჩუაშვილიც ხომ არ იქნებაო, და დარწმუნებულიყვნენ, რომ ის არ მიეწვიათ. თუკი გამოსვლელთა შორის გიგო ხეჩუაშვილიც იგულისხმებოდა, აუცილებლად რალაცას მოიმიზეზებდნენ.

იმის ტრიუმფს მხოლოდ ემალებოდნენ და ეგაა.

შერკინებასა და მოსალოდნელ განბლებას ავანსცენაზე ერიდებოდნენ.

ისე მხოლოდ პოეტიც არა ყოფილა – პროზაიკოსობდა, დრამატურგობდა, არც ყმანვილებს ტოვებდა გულნაკლულს. 1879 წელს დაბადებულიყო ახალქალაქში (გორის მაზრა) და ლიტერატურაში მუშათა წრიდან შემოსულიყო.

მაშინდელი მასკულტურის ტიპური წარმომადგენელი!..

მესტამბე გრიგოლ ჩარკვიანთან მუშაობდა ჩარხის დამტრიალებლად.

სამ მოთხრობას რომ დაწერდა – „დურგლიანთ ქორწილი“, „სიმონა ბუჯიაშვილი“ და „მეკვლე“ – წასაკითხად იმას გადასცემდა. მეტი პატრონი არცა ჰყავდა. ჩარკვიანი თავს გამოიდებდა და ხელნაწერებს გადასცემდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მდივანს პეტრე მირიანაშვილს, იქნებ „ივერიის“ რედაქციაში გადაგზავნიო და, თუ მოინობნენ, ფელეტონებად გამოაქვეყნონო.

ამ ყოველივეს შევიტყობთ გიგო ხეჩუაშვილის იმ მეშუარული ჩანაწერებიდან, რომელიც „ლიტერატურის მატინის“ მე-7-8 გაერთიანებულ ნომერში დაიბეჭდება (1982 წელი).

„ივერიის“ ფურცლებზე კი ჯერ „სიმონა ბუჯიაშვილის“ დასაწყისი გამოჩნდება.

პირველ ფელეტონს არ ეწერა ავტორის გვარი, არც მეორეს, არც მესამესა და მეოთხეს, მოთხრობის ბეჭდვა კი გრძელდებოდა.

ამას უხაროდა, გაზეთს რომ კითხულობდნენ, მაგრამ წყნითაც სწყინდა, ჩემი გვარი რატომ არ აწერიაო, ვეღარ მოითმენდა და კითხვა-კითხვით მიაგნებდა „ივერიის“ რედაქციას. კარი ოდნავ შეღებული დახვდებოდა და ესეც მოკრძალებით შეაბიჯებდა. მაგდას ორი ტანმორჩილი პიროვნება უჯდა, თუმცა ორივე სრული. ერთი, პირველზე უფრო დაბალი, მისგან ზურგშექცეული იყო.

– რას გვეტყვი ახალს? – ჰკითხავდა პირისპირ მჯდომი, გრიგოლ ყიფშიძე რომ აღმოჩნდებოდა.

– გაზეთში ჩემი მოთხრობა იბეჭდება, გვარი კი გამოტოვებულია, – მოახსენებდა გაუბედავად.

– ააა... შენა ხარ ხეჩუაშვილი? – მეორეც შემობრუნდებოდა მისკენ.

ილია ჭავჭავაძე.

მერე თავისთან მიიხმობდა, ეს გაუბედავად გადადგამდა ნაბიჯებს, ის გაამხნევებდა და ჰკითხავდა: სკოლაში არა ყოფილხარო? – და როდესაც დებიუტანტი უარის ნიშნად გაიქნევა თავს, ილია: გეტყობა, რომ არ გისწავლია. რომ გესწავლა, ემჯობინებოდაო, – და გრიგოლ ყიფშიძეს მიუბრუნდე-

ბოდა: ცოდოა ყმანვილი. ნიჭი აქვს და უნდა გაუქმდესო.

გვარის გამოტოვების მიზეზს კი ასე განუმარტავს:

– შენს ფელეტონებს გვარი იმიტომ არ აწერია, რომ შენ ჯერ მწერლად არავინ გიცნობს. ნაწარმოების ბოლოში შენს გვარს დახედავენ თუ არა, მაშინვე გაზეთს გვერდზე გადასდებენ და შენი მოთხრობა წაუკითხავი დარჩება. მკითხველი ჯერ უნდა ნაწარმოებით დავაინტერესოთ და ავტორი შემდეგ გავაცნოთ. მოთხრობა სულ რომ დაიბეჭდება, შენს გვარს ბოლო ნომერს მივანერთ. როცა შენი სხვა ნაწერების დაბეჭდვას დავინწყებთ, მაშინ კი გაზეთის ყველა ნომერს ეწერება შენი გვარი.



გიგო ხეჩუაშვილი

სულ რომ არაფერი ვიცოდეთ ილია ჭავჭავაძეზე, ამ დეტალით ხელშესახებდა ისტება მისი რექტორული უნარი, გაზეთის ყველა ნიუანსის ზედმიწევნით ცოდნა, მკითხველის მიზიდვის ხელოვნება.

მემუარისტს რომ ეს დეტალი არ გამორჩენია!..

სხვათა შორის, მეორე ეპიზოდიც ილიას ცხოვრებიდან საგულისხმო ფსიქოლოგიურ შტრიხს სძენს მის პორტრეტს, აღარაფერს ვიტყვით იმის თაობაზე, რომ ეს ეპიზოდი მეტად ცოცხლად და ხალისიანად იკითხება.

მაშინ კი, რჩევითაც რომ ურჩევდა: ეცადე, რაც დაწერო, ბევრჯერ წაიკითხე, ბევრჯერ შეასწორე, კარგად დაამუშავე და მანამ არ დაკმაყოფილდე, შენი ნაწერი არ გამოაჩინო. ამის უნარი გემჩნევა და თუ არ იზარმაცე, კარგი მწერალი დადგებიო, – კიდევ გააფრთხილებდა: კავშირი არ განყვიტო მწერლობასთანო.

ერთი დეტალიც საგულისხმოა:

ხელი თითქმის ძალით ჩამომართვაო.

ამას ისე მორიდებია, ილიას გამონვდილ ხელს შეხებოდა, ალბათ დამალვას შეეცდებოდა.

და კიდევ ერთიც:

მეორე დღიდან გაზეთი „ივერია“ დამტარებლის ხელით სახლში უფასოდ მისდოდა.

და ბარემ ესეც:

სერვანტესის „დონ კიხოტის“ ნიკო ავალიშვილისეული თარგმანი რომ გამოიცემოდა, ილია ჭავჭავაძე საჩუქრად გაუგზავნიდა გიგო ხეჩუაშვილს.

სიმონ წერეთელს ჩაენერა ეს მოგონება, ისევე, როგორც გიგო ხეჩუაშვილის სიყმანვილისდროინდელი მოგონებანი, აგრეთვე, აკაკი წერეთლის, ანტონ ფურცელაძისა და ზაქარია ჭიჭინაძის მისეული გახსენებანი.

1925 წლის 30 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო ოპერის თეატრში დიდი ამბით აღუნიშნავდნენ გიგო ხეჩუაშვილს სამწერლო მოღვაწეობის 25 წლისთავს. თვითონ უბრალოდ მისვლა მოუნდომებია, მაგრამ ხალხი თვალს მოჰკრავდა თუ არა, იგრილებდა მიქუხარე ტაში და ვაშას ძახილიც აღარ დასრულდებოდა.

რალა აკაკი წერეთლის იუბილე და რალა ამისა!..

ეტლში ცხენების ნაცვლად ხალხი არ შებმულა, თორემ სხვა მხრივ არაფერი დაუკლიათ. მისი სამმოქმედებანი დრამაც წარმოადგინეს „მუშა-მგოსანი“ – კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობითა და თომა ნასიძის რეჟისორობით, მიმლოცველი იმდენი ყოფილა, ველარ აუთავდნენ; და საიუბილეო კომიტეტი ამ ზეიმის აღმნიშვნელ კრებულსაც რომ გა-

მოსცემდა, სახელწოდებით „სახსოვარი“, სინანულით აღნიშნავდა: უფრო სრული და დასურათებული წიგნის გამოცემა გვსურდა, მაგრამ დიდი ზომის წიგნი დიდ ხარჯებსაც თხოულობდა, ამიტომ მრავალი წერილი, ლექსი და მოგონება, მიძღვნილი იუბილარისადმი, გამოვტოვეთო.

საკმაოდ ტანიან კრებულს რომ გაცნობით, უფრო დიდი მწერალი თუ არსებობდა ოდესმე ქვეყნიერების ზურგზე, ვერც იფიქრებთ. ორი წლის შემდეგ კი მისი ორტომეულიც მოჰყვებოდა – ყველა ჟანრი რომ მოიყრიდა თავს.

აღსანიშნავია, რომ ქუჩასაც უწოდეს მისი სახელი – სიცოცხლეშივე, თითქოს პარტიული ბობოლა ყოფილიყოს.

ლევან ბრეგაძემ, თავის მხრივ, ასე

განგვიმარტა ყველაზე პოპულარულ პოეტად გიგო ხეჩუაშვილის დასახელების მიზეზი:

„ნიკა ავალიშვილისგან გამიგია: როცა პოეტებს კოლექტიურ შეხვედრებზე ინვედენენ, ისინი (გალაკტიონი იქნებოდა, გიორგი ლენინი თუ გრიშაშვილი) აუცილებლად იკითხავდნენ, გიგო ხეჩუაშვილი თუ მონანილოვბსო, და დადებითი პასუხის შემთხვევაში შეხვედრის ორგანიზატორებს ცივი უარით ისტუმრებდნენ – იცოდნენ, სადაც ხეჩუაშვილი იქნებოდა, იქ მათ აღარავინ მოუსმენდა.

ბავშვობაში იმდენჯერ მქონდა წაკითხული გიგო ხეჩუაშვილის პოემა „ოცი ძმა“, რომ შემეძლო თავიდან ბოლომდე ზეპირად მეთქვა. ახლა პირველი სტროფი მახსოვს („იყო მეფე ნოშრევანი, ჰქონდა დიდი დარბაზები, ოცი ვაჟი გასწეროდა, ოცივენი ლამაზები“) და კიდევ აი ეს აფორიზმი: „წყლის დაღვესა რომ გინდოდეს, ჯერ შიგ უნდა ჩაიხედო“.

1997 წელს გაზეთ „არილის“ 31 ივლისის ნომერში ემზარ კვიტაიშვილის წერილი დაიბეჭდა კარლო კალაძეზე რუბრიკით „გახსენება“, რომელშიც გიგო ხეჩუაშვილზეც არის საუბარი — ეს გახლავთ კარლო კალაძის მონათხრობი, რომელსაც ცოცხლად აღბეჭდვია მესხიერებაში ხეჩუაშვილის ერთი საჯარო გამოსვლა, იმ ყაიდისა, დღეს რომ პერფორმანსს უწოდებენ:

„მახსოვს, „მერანის“ მეორე სართულზე, თავის კაბინეტში, [კარლო კალაძე] გასაოცარი არტისტიზმით მომიყვა ადრინდელი ლიტერატურული შეხვედრების ამბებს. ერთხელ თურმე მუშა-პოეტ გიგო ხეჩუაშვილთან ერთად ყოფილა რომელიღაც ქარხნის კლუბში მკითხველებთან შეხვედრაზე. ეს ჩასკენილი, ტანდაბალი მოხუცი, პოპულარული, გალექსილი ზღაპრის „ოცი ძმის“ ავტორი ახალგაზრდობაში მეც მინახავს, მასწავლებელთა სახლში გამოდიოდა ხოლმე და მაშინაც ალტაცებული ყიჟინით ხვდებოდნენ. ბატონი კარლო იხსენებდა, რომ ხეჩუაშვილის ერთ ნომერზე იქაურობა ტაშით დაქცეულა — მას თავისი მრავალრიცხოვანი თაყვანისმცემლებისთვის, მუშა მკითხველებისთვის უთქვამს ერთადერთი სიტყვა — „ორთქლმავალი“ და წინ და უკან ფეხების ბრაგუნნი დაუწყია; ხის იატაკზე ბრაგუნნი თანდათან ძლიერდებოდა. როცა ხმაურმა და დაგა-დუგმა კულმინაციას მიაღწია, პატივცემული გიგო შეჩერებულა, ორივე ხელი მაღლა შემართულ პირთან საყვირივით მიუტანია და ნამდვილი ორთქლმავალივით დაუკვივლია: „უ-უ-უ-უჰ...“, მერე ჩაქჩაქით გასულა ფარდის უკან და ერთიც უფრო ხმამაღლა შეუკვივლია. ოვაციებს და ალტაცებულთა ფეხების ბრაგუნს ბოლო არ უჩანდა

თურმე. იმის მერე დანარჩენები როგორ გავებდავდით ჩვენი ლექსების წაკითხვასო, დაამთავრა გახსენება“.

მსგავსი მარცხი გიგო ხეჩუაშვილის ფონზე სხვა ქართველ პოეტებსაც განუცდიათო, – დასძენს კარლო კალაძის ნაამბობს ბატონი ემზარი და, თავის მხრივ, ასეთ შემთხვევას იხსენებს:

„ორმოცდაათიან წლებში, ლესელიძის ქუჩის მახლობლად, პირველი მაისის სახელობის კლუბში, რაღაც ღონისძიების გამო მწერლები უნდა გამოსულიყვნენ. ხეჩუაშვილს

იქაც არნახული ტრიუმფი რგებია. მის შემდეგ თეიმურაზ ჯანგულაშვილს მოსწევია რიგი და თავისი ფრონტული ლექსების კითხვა დაუნყია (...). ეს ლექსები რატომღაც არ მოსწონებია იქაურ პუბლიკას, ჯერ სტვენა ატეხილა, მერე ვიღაც ბოროტ ხულიგანს ნიკოლოზის ვეება, სპილენძის შაურიანი უსვრია საწყალი თეიმურაზისთვის და თავი გაუტეხია; იგი გულშენუხებული გაუყვანიათ სცენიდან. შეხვედრა ჩაშლილა. როცა ბატონ კარლოს ეს გაგონილი ფაქტი ვუთხარი, ეჭვიც არ მეპარება, ასე იქნებოდაო, ჩაილაპარაკა“.

ჩვენი ყოფა, წუთისოვლი

მიგელ დე უნამუნო

ინდივიდი და სახელმწიფო

როგორც კი ყოველდღიურ გაზეთში წავიკითხე ჩემი მეგობრის, არაკისტაინის წერილი „სინდიკალისტების კავშირის“ თაობაზე, მაშინვე ავიღე კალამი, მაგრამ არა იმისათვის, რომ მასთან კამათი გამემართა, არამედ, უბრალოდ, მინდოდა ავტორის ზოგიერთ გამონათქვამთან დაკავშირებით ჩემი შეხედულებებიც გამეზიარებინა, და აი, კერძოდ, რა: „ესპანური ინდივიდუალიზმის საკითხი, ანდა ესპანური ანტისახელმწიფოებრიობა ზოგადად, ყოველთვის სისულელედ მეჩვენებოდა. ისეთი მტკიცე სახელმწიფოებრივი წყობა, როგორც დამკვიდრებული იყო ესპანეთში მრავალი საუკუნის მანძილზე, სხვანაირად ვერ აიხსნება, თუ არა უმრავლესობის სულიერი თანადგომით“.

ჯერჯერობით განზე გადავდეთ ციტატის მეორე ნაწილი, სადაც ნათქვამია, ესპანეთის წყობა მტკიცე სახელმწიფოებრივი იყო, რაც მე, პირიქით, ისტორიულ შეცდომად მიმაჩნია, რადგან ის, რასაც ჩვენ სახელმწიფოს ვუწოდებთ, ანდა ცენტრალურ ხელისუფლებას, – რაც სულაც არ არის ცენტრალური, – ესპანეთში სუსტად იყო გამოხატული. ესეც განზე გადავდეთ და განვიხილოთ „ესპანური ინდივიდუალიზმი, ანდა ესპანური ანტისახელმწიფოებრიობა“. განა ეს ურთიერთმონაცვლე ცნებებია? განა ინდივიდუალისტი უთუოდ ანტისახელმწიფოებრივიც უნდა იყოს? განა ის, ვინც სამოქალაქო წყობაში უპირატესობას ანიჭებს ინდივიდის ეგრეთწოდებულ უფლებებს, – ვთქვათ თუნდაც საფრანგეთის რევოლუციის, რომელიც იყო ლიბერალური, წმინდა წყლის ლიბერალური, – ამიტომ სახელმწიფოს უპირისპირდება?! მაშინ მივუბრუნდეთ სპენსერიანულ თეზისს – ინდივიდი სახელმწიფოს წინააღმდეგ?! მე უფრო პირიქით მგონია, მითუმეტეს მაშინ, თუ სახელმწიფო გულისხმობს ფართო, ვრცელ, უნივერსალურ ძალაუფლებას. განვიხილოთ ესპანური ინდივიდუალიზმი, ესპანეთის სახელმწიფო, ესპანეთის სახალხო ხელისუფლება. მე ვიტყვოდი, რომ ინდივიდი თავისი ინდივიდუალური უფლებების გარანტიას ეძებს რაც შეიძლება დიდ სახელმწიფოში, ზოგჯერ კი საერთაშორისო მთავრობებშიც. ეს კარგად უწყყო

და პი ი მარგალმა, რომელიც გახლდათ პრუდონიანელი.

ესპანური ინდივიდუალიზმის, ესპანური ლიბერალიზმის გამოა, გარდამავალი ხელისუფლების წინააღმდეგ რომ გამოვდივარ, მუნიციპალიტეტების, რეგიონალურობის, თუ რაიონულობისა და სხვა ამგვარი ადმინისტრაციული დაყოფებისა და დანაწილების წინააღმდეგ რომ ვქადაგებ, რამაც შეიძლება შეზღუდოს ესპანელი ინდივიდის უნივერსალობა, მისი უნივერსალური ესპანელობა. ვიცი, რომ ჩემი მშობლიური ბასკეთის მიწაზე, მაგალითად, ისევე, როგორც კატალონიაში, გალისიაში, ანდალუსიასა, ანდა ესპანეთის სხვა, ნებისმიერ რეგიონში, უნდა იყოს ესპანური ერის სახალხო ხელისუფლება, – თუ გნებავთ, ვუნოდოთ ამას ესპანეთის სახელმწიფო, – რომელმაც უნდა დაიცვას ესპანეთის მოქალაქის თავისუფლება, სულერთია, არის თუ არა იგი იმ რეგიონის მკვიდრი, სადაც სახლობს, ან აქვს თუ არა იქ ფესვები გადგმული, – პარტიკულარისტული სულის მქონე მოძალადეებისა ან „აფეთქებების გან“, იმათგან, ვინც განაგებს იმ რეგიონს. როგორც გამოცდილებამ მასწავლა, კასიკებად წოდებული მსხვილი მინათმფლობელები, სახელმწიფოს ეს დიდი კასიკები, თუ ზოგჯერ მაინც იყენებენ დასაყრდენად ადგილობრივ კასიკელებს, ანუ რეგიონის ადგილობრივ მოხელეებს, ხშირად უპოვარსა და უქონელ მოქალაქეებსაც იცავენ ხოლმე ამ კასიკთა შევიწროებისაგან.



არის ერთი ასეთი ცნობილი ლოგიკური თეორია, რომლის თანახმად, რაიმე აზრის გაცნობიერება გონებაში მისი განვრცობის საპირისპიროა და, რაც მეტ პუნქტებს განსაზღვრავენ, მით უფრო ნაკლებ ინდივიდებს მიესადაგება; და რომ ხოჭო-მწერი-ცხოველი და რიგი სხვა არსებებისა, სივრცეში იზრდებიან და აღქმაში მცირდებიან. ჩემი საკუთარი ინდივიდუალიზმი უფრო აღქმითი მგონია, ვიდრე სივრცითი, არსებობის, ანდა ყოფიერების იდეა კი უფრო განვრცობითი, ვიდრე აღქმითი. თუმცა არის ღმერთი, ანუ ის, ვისაც ჰეგელმა უნივერსალური კონკრეტულობა უწოდა, და არის სამყარო, რომელიც მისი სიზმრისეული აღქმას; და არის ინდივიდუალულებული და პერსონიზებული ერთიანობა, მაგრამ არის კიდევ პოლიტიკურ სფეროში ღმერთის ქალაქი.

ასე და ამგვარად, ინდივიდუალიზმის, ლიბერალიზმის გამოა, რომ როცა ამბობენ „თავისუფალი ბასკეთი“ („Vasconia libre, Euskadi askatuta“ – ეუსკერას ენაზე), ანდა „თავისუფალი კატალუნია“ („Catalunya Libre“), ანდა „თავისუფალი ანდალუსია“ („Andalucia Libre“), – საკუთარ თავს

ვეკითხები, „თავისუფალი ვისგან? თავისუფალი რისთვის?“ თავისუფალი იმისთვის, რომ ქედი მოიხაროს ესპანელი ინდივიდის წინაშე, რაკი მის გვერდით ცხოვრობს და უნდა იცხოვროს, იქნება ის ბასკი, კატალონელი, თუ ანდალუსიელი, ან სხვა, მის ყაიდაზე მოექცეს, რაკი იქ ცხოვრობს და უარი თქვას საკუთარი ცნობიერების მთლიანობაზე? არა, ასე არა! ვიცი, რომ ესპანელი ინდივიდი, იმ რეგიონის მკვიდრი, სადაც ცხოვრობს, სადაც დასახლდა, თავის გარანტიას უნდა ეძებდეს იქ, რასაც ვუნდობთ ესპანეთის სახელმწიფოს; ვიცი, რომ გულუბრყვილო ესპანელებს, რომლებიც ხმას მისცემენ პლებისციტში რეგიონულ სტატუსს, მერე სანანებელი გაუხდებათ, – თუკი ინდივიდუალობის თვითშემცნე-

ბა გააჩნიათ, – როცა ხმას აძლევენ იმ რეგიონს, რომელიც მას თრგუნავს, არადა, უნდა მიმართავდეს ესპანეთს, გაერთიანებულ ესპანეთს, განუყოფელს, რომელმაც უნდა დაიცვას მისი ინდივიდუალობა. ისიც ვიცი, რომ ბასკეთში, მაგალითად, არ გააჩნიათ იმის პირობები, რომ იგრძნონ თავიანთი ბასკური უნივერსალობა, განიცადონ ბასკური უნივერსალურობის წმინდა თავისუფლება და არ უნდათ თავიანთი სიყმანვილე ჩაკლან საბუთების ქექვაში, არ უნდათ ოიდიპოსის ბედი ენით.

ესპანურიდან თარგმნა მარი ტიტინიჩაი

მიგელ დე უნამუნო – დიდი ესპანელი მწერალი, პოეტი, ფილოსოფოსი, საზოგადო, ეროვნული და პოლიტიკური მოღვაწე – წერდა:

მთარგმნელისაგან

თვითონვე მიგვანიშნებს და გულისხმაში ავლებს მკითხველს: „მე რომ არ გეუბნებოდეთ იმას,

„მე არ შემიძლია არ გამოვხატო ჩემი საკუთარი პიროვნება ჩემს ნაწერებში და რამდენადაც ყოველი ჩვენგანი წარმოადგენს საზოგადოების ნაყოფს, რომელშიც და რომლისთვისაც იგი ცხოვრობს, რამდენადაც ჩვენ ყველა ეპოქის სულის განსახიერებანი გახლავართ, ამდენად ნებისმიერი ადამიანი, ვისაც ბედმა გაუღიმა და საკუთარი თავი გამოხატა თავის ნაწარმოებში, მათში გამოხატავს თავის სამშობლოსაც, დიდი იქნება თუ პატარა.“

რაც უკვე თქვენი სულის სიღრმეშია ჩაბუჭდილი, თუმცა კი შეიძლება ეს თქვენ თვითონაც არ იცოდეთ, განა წამიკითხავდით? ერთი სიტყვით, ვცდილობ თქვენი სულის ბნელი თუ ბუნდოვანი ნააზრევი რალაც ფორმაში მოვაცლიო და თუ ჩემი ნათქვამი ზოგჯერ კიდევ გაგაბრაზებთ და აღგაშფოთებთ, ეს იმას ნიშნავს, რომ მართლაც შევხებივარ თქვენი ცნობიერების ნაოჭებსა და ხვეულებში ღრმად მიმაღული ტანჯვის მიზეზს...“

ამ პატარა ესეიში „ინდივიდი და სახელმწიფო“ უნამუნომ გამოხატა თავისი „პატარა სამშობლო“, მასში გამოჩნდა მისი, როგორც პოლიტიკოსის, პოზიციის სიღრმე, პოლემიკური გზნება, თანამედროვეობის ღრმა გაგება და კრიტიკული შემათება;

უნამუნო, მიუკერძოებელი კრიტიკოსი და გულწრფელი პუბლიცისტი, ამ ესეიში გვიზიარებს პირადი გამოცდილების, ცოდნისა და რწმენისა თუ მერყეობის განცდას. ზოგჯერ ეკამათება გამოგონილ ოპონენტს, მეგობარს, მაგრამ უწინ საკუთარ თავს, რათა განუმტკიცდეს საკუთარი შეხედულება, პოზიცია და საბოლოოდ შეამოწმოს თავისი მრწამსი.

კულუარები

ლიტერატურული აურზაური ნანილოპრივ შეთსუული მემუარების გამო

პირველად იყო მხატვრული პროზა და მერე იყო დოკუმენტური პროზა. მერე და მერე კი, მერი კარის მემუარების, „ცრუპენტელათა კლუბის“, და ფრენკ მაკორტის „ენჯელას ფერფლის“ გამოქვეყნების შემდეგ დოკუმენტურმა პროზამ არტახების გლეჯა დაიწყო. ასე დაიწყო დოკუმენტური პროზის დაყოფა მემუარებად, მხატვრულ-დოკუმენტურ პროზად და პიროვნულ ესეიდ.

კითხულობს და რას იღებს მისგანო.

ინტერნეტსაიტის რედაქტორი ბილ ბასტონი ფიქრობს, რომ, რაკი „მილიონი ნანილაკი“ გაიყიდა, როგორც დოკუმენტური და არა მხატვრული პროზა, ფრეი „უზნეო და უპატიოსნოა“, და ძალიან

დაპირისპირება გამოიწვია ჯეიმზ ფრეის წიგნმა, ნარკოტიკზე შეჩვევისა და გადაჩვევის შესახებ, – „მილიონი ნანილაკი“; გაჩნდა კითხვები ახალი მიმართულების, გამოჯანსაღების მემუარების, შესახებ. 2003 წლიდან მოყოლებული „მილიონი ნანილაკის“ სამნახევარ მილიონზე მეტი ეგზემპლარი გაიყიდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ოფრა უინფრიმ წიგნების კლუბისათვის აირჩია თავის სატელევიზიო შოუში. და მაინც, 6 იანვრიდან ინტერნეტ საიტებზე (themsмоking.com) გაჩნდა ინფორმაცია „კაცი რომელმაც გააცურა ოფრა“, სადაც მითითებული იყო, თუ რა შეცდომები მოუვიდა ფრეის კრიმინალური ჩანაწერების გადმოცემისას და მის როლზე ორი გოგონას სიკვდილში – მემუარები ეჭვმიტანილად გადაიქცა. ჩემი ნება რომ იყოს, „მილიონ ნანილაკს“ სულაც ლიტერატურას დავარქმევდიო, ანუ დოკუმენტური კი არა, მხატვრული პროზააო, – თავს იცავს ფრეი, – მთავარი ის არის თუ ხალხი როგორ

აკვირვებს ავტორის და გამომცემლის უსირცხვილო თავის მართლებას.

იბადება კითხვა, გამომცემელმა ხომ არ უნდა აგოს პასუხი? ბოლოს და ბოლოს, ხომ გამომცემლები აკრავენ წიგნებს იარლიყებს და ეს წიგნიც დღემდე მემუარებად იყიდება. ასე გაჩნდა ახალი ჯიშის წიგნი: ნანილოპრივ მემუარი, ნანილოპრივ დოკუმენტური პროზა და, როგორც კრიტიკოსები ამბობენ, ვითარდება კიდევც.

არის განსხვავებული აზრიც. სემუელ ფრიდმანი, კოლუმბიის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის პროფესორი, ფიქრობს, რომ „მემუარები დოკუმენტური პროზა უნდა იყოს... ახლა კი ისე ხდება საგამომცემლო წრეებში, რომ მემუარები სინონიმიამ გამოთქმისა: რაც გინდა, ის დაწერე, არ გვადარდებს, ოღონდ გაიყიდოსო“.

ეს დღეისათვის ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული სკანდალია ლიტერატურისა და მასმედიის სფეროში. საქმე იქამდე მივიდა, რომ ამერიკელთა საყვარელმა ტელენამყვანმა ოფრა უინფრიმ ბოდიში მოიხადა ტელემეყურებელთა შეცდომაში შეყვანის გამო.

# მთარგმნელობა სხვისი ნების დამორჩილებაა

\*

საუბარი  
თამარ პრისტავთან



ლო“, თავისი გზა, არავის მსგავსი, განსხვავებული და ორიგინალური. თქვენთვის თარგმნისას რა არის ამოსავალი, მთავარი?

– ამის ახსნა რთულია. ახლა მომაგონდა ერთი რუსული ფრთიანი ფრაზა: „Переводчик прозы раб, а переводчик поэзии – соперник.“

სრულყოფილყოფილად გამოცემა დედნისა, რასაკვირველია, ძნელია. საუბარი გვაქვს მაღალი რანგის პოეზიაზე; ისეთზე, როგორც ბაირონია. ამ პოეტის თარგმნისას სრულყოფილების დაჩემება თავხედობაა. რაც შეიძლება უნდა მიუახლოვდე, მაგრამ სულ ვერ დაემონები. ცოტა თავისუფლება თუ არ მიეცი შენს თავს, არაფერი გამოვა.

რა თქმა უნდა, წამიკითხავს სხვადასხვა თარგმანები და, ვთქვათ, ბრიუსოვისა სჯობს შენგელისას. მათ ერთი და იგივე ნაწარმოებები აქვთ თარგმნილი. შენგელი არის ძალიან ერთგული ორიგინალისა, ყოველი ნიუანსი უნდა გადმოიღოს, ყოველი შტრიხი. ბრიუსოვი კი თავის ქურაში ატარებს და თავის ალქმას იძლევა.

ობიექტური მთარგმნელი არ არსებობს, სუბიექტურობა თუ არ შეერია, ანუ იმის ჩვენებაა მთავარი, რა ახდენს შენზე დიდ შთაბეჭდილებას და რისთვის გიყვარს ესა თუ ის პოეტი; რატომ გინდა, რომ შენი მკითხველიც აზიარო მის პოეზიას. რამდენად გამოგივა, ეს სხვა საქმეა, მაგრამ მიზანდასახულება კი ის არის, რომ მკითხველსაც იქ გააფრულოს, სადაც შენ გააფრულებს. მე ამ გზით მივდივარ.

ხანდახან, დრო რომ გაივლის, საკუთარი თავის კრიტიკას ვინყებ. ერთხელ ბერნსის ერთი ლექსის ჩემი თარგმანი რომ ნაკითხე, იქ მაქვს გამოყენებული სიტყვა „მრავალუმიერი“. გამოიკვირდა, ეს სიტყვა რატომ დავწერე –მეთქი. იქ ლაპარაკია მარადისობაზე, იმაზე, რომ რაღაც სულ იქნება და იქნება. არადა, სწორედ ეს სიტყვა იტევს ჩვენს ენაში მარადისობას. არ ვიცი, მკითხველმა შეიძლება არ მოიხონოს და თქვას, რომ ბერნსის პოეზიაში ძალიან ქართული ელემენტი შევიტანე, მაგრამ მაშინ რაღაცამ მიკარნახა და ეს სიტყვა ავირჩიე.

აკუტაგავა მომაგონდა უცებ – „უსიერ ტყეში“ ერთი და იგივე მოვლენა სხვადასხვა ადამიანმა რომ დაინახა, თითოეულმა როგორ სხვადასხვანაირად შეიძლება განიცადოს... რომელიმე კი არ ტყუის, როდესაც ამ მოვლენას აღწერს და ამიტომ კი არ განსხვავდება სამი ადამიანის მონათხრობი... არა! მათ ასე დაინახეს. საერთოდ ასე ხდება, თავისთავადი, სუბიექტური ხედვა აქვს ყველა შემოქმედს.

ერთი და იგივე ნაწარმოები შეიძლება სხვადასხვა მთარგმნელმა თარგმნოს და თითოეული საინტერესო და კარგი იყოს, რადგან ყველა თავის თვალსაზრისსა და ალქმის ორიგინალობას გამოხატავს.

– რუსთაველის ქვეყანაში, ალბათ, ყველასთვის და მით უფრო პოეტისთვის, სიყვარული პოეზია და პოეზია სიყვარული. მეთანხმებით?

– რასაკვირველია! პოეტი არ არის მხოლოდ ის, ვინც ლექსებს წერს. პოეტი ის, ვინც პოეტურად განიცდის ცხოვრებას. სიმერსეტ მოემს აქვს მშვენივრად ნათქვამი: ყველაზე სრულყოფილი ნაწარმოები ადამიანის მიერ კარგად გავლილი ცხოვრებაა და ყოველგვარ ლიტერატურულ ნაწარმოებს სჯობსო.

– ქალბატონო თამარ, თქვენ მიერ თარგმნილმა ბაირონის ლექსმა „დღეს შემისრულდა ოცდათექვსმეტი წელი“ და პოემამ „მილიონის პატიმარი“ მკითხველს თავი გამოქვეყნებისთანავე დაამახსოვრა. ამ პოეტურმა ქმნილებამ ბაირონთან შეხვედრის სურვილი კიდევ უფრო გაამძაფრა. როდის ელოდოს მკითხველი ქართულად თარგმნილ „ჩაილდ ჰაროლდს“?

– ამ თარგმანს ჯერ ვერ შეგპირდებით. იცით რატომ? როცა თარგმნი, რაღაც არ მოგეწონება, გადადებ, მერე დრო გჭირდება, ისევე რომ მიუბრუნდე. ამ ბოლო დროს შენელებული რიტმით მივდევი ცხოვრებას და ინტენსიურად ვეღარ ვთარგმნი. შემოქმედებითი ენერჯის დაგროვებას ველოდები, რადგან თარგმანს უფრო მეტად ესაჭიროება ეს ძალა, ვიდრე საკუთარ ლექსს. არ ვინყებ სიტყვის წვალებას. ველოდები იმ დროს, როცა ვიგრძნობ საამისო იმპულსს... მგონია, რომ ეს დრო დამიდგება... ამას შევძლებ.

მეორე პოემა მაქვს ბაირონის, რომლის დამთავრება არ მომწონს, იმას გავამზადებ და თქვენს ჟურნალში მოვიტან დასაბეჭდად. ეს არის „ბეპო“. ადრე ვთარგმნე, მერე რაღაც არ მომეწონა და წყობა მთლიანად შევცვალე, ჩემს თავს ამის უფლება მივეცი. იცით რატომ? მარტო ფორმა არ განსაზღვრავს ნაწარმოებს. რა თქმა უნდა, სასურველია, ის დაცული იყოს და ამას ვცდილობ ხოლმე, მაგრამ რაც მე მხიბლავს ბაირონში – ლალი, შეუბოჭავი მდინარეა – სხვანაირად არ გამოვიდა. ის ფორმა, რომელიც ავირჩიე, ვფიქრობ, მაძლევს ამის საშუალებას. ფაქტობრივად ხელახლა მომინია თარგმნა.

ახლა უფრო ლექსის წერის სურვილი მომეძალა...

– მაშინ ჩვენც თქვენს ლექსებზე ვისაუბროთ...

– თავხედობად არ ჩამითვალთ და, გიორგი ლეონიძემ მიაცხია ჩემს ლექსებს ყურადღება და მეუბნებოდა ხოლმე, მსაყვედურობდა: სიყვარულზე წერე, რა სხვა თემებისკენ გაგირბის ხელი. თარგმანებს მოხუცებულობაშიც შეგიძლია ჩაუჯდე, ახლა ლექსები წერე. რომ მოგაკრავენ მთარგმნელის იარაღს, ვერ მოიშორებ ვერასოდესო. ეს ჩემთვის ძვირფასი მოსაგონარია. გიორგი ლეონიძის პიროვნებას და შემოქმედებას ყოველთვის აღტაცებით შევყურებდი და მისი ყოველი სიტყვა ჩემთვის განსაკუთრებულია.

თუმცა სინამდვილეში პირიქით გამომივიდა. ახლა მომეძალა ლექსების წერის სურვილი და ვერ ვამბობ უარს.

მთარგმნელობას სჭირდება დიდხანს ჯდომა და თან სხვისი ნებისადმი დამორჩილება. საკუთარი ლექსი კი თვითონ მოდის და გიმორჩილებს და „გაიძულებს“ რომ წერო. მომავალში როგორ იქნება, არ ვიცი...

– თარგმანთან დაკავშირებით უამრავი თეორია არსებობს, მაგრამ ყველა მთარგმნელს აქვს თავისი „საიდუმლო“.

პოეტი არ იგონებს არაფერს. ის არსებულზე წერს. მართალია, მწერლობა გამონაგონია და ეს უფრო პროზაზე ითქმის, მაგრამ ეს გამონაგონი არ სცილდება არსებულს.

პროზაული ნაწარმოების მოდელი რამდენიმე არსებობს, რადგან ცხოვრების მოდელიც არ არის უთვალავი. ადამიანის არსი უცვლელია, მიუხედავად იმისა, რომ საუკუნეები იცვლება.

მწერლები, მწერლობა აღწერს იმას, რაც არის, ანუ არსებობს. ის ფანტაზიას იყენებს, მაგრამ მაინც ჩვენს მინიერ სინამდვილეში რჩება და ტრიალებს. თან იმდენად ამოურწყველია ადამიანის შესაძლებლობანი, რომ სადღა უნდა ნახვიდე! არც შეუძლია მწერალს არსად წასვლა, რადგან ადამიანზე უნდა წეროს. მასში კი ბევრი რამ ჯერ კიდევ მიუგნებელი და მიუცვლელია.

შეიძლება მწერალმა გაგაკვიროვოს, ისეთი რამ დაწეროს, მაგრამ თითქოს ეს შენ განგიცდია... ანუ ჩვენი გრძობადი სამყარო უსასრულოა!

როცა მწერალი ადამიანის სულიერ სამყაროში ჩაღრმავებულია, მისი გაცნობისას შენს თავსაც ხედავ და იმასაც შეიგრძნობ, რაც არ განგიცდია, მაგრამ გეუფლება განცდა, რომ შენც შეიძლება ასე და ასეთი ყოფილიყავი.

რაც შეეხება სიყვარულს, რუსთაველზე ჩემი დაკვირვებიდან დაიწყო. თუმცა როსტომი არ მეთანხმება, მაგრამ ბატონმა ოთარ ჩხეიძემ ძალიან ნამახალისა და შემაგულიანა. „ვეფხისტყაოსნის“ სიყვარულზე, უფრო ზუსტად რუსთაველის თამარისადმის სიყვარულზე რომ დავწერე, ბატონმა ოთარმა მითხრა: ერთხელ რომ წავიკითხე, ვიფიქრე, ნუთუ ეს შესაძლებელია?! მეორედ რომ წავიკითხე, ვთქვი, შესაძლებელია, ეს ასე მომხდარიყო-მეთქი და მესამედაც რომ წავიკითხავ, ალბათ, შენ მხარეს დავდგებიო.

მხატვრული განზომილების გარდა, ჩემი აზრით, „ვეფხისტყაოსანს“ აქვს მეორე განზომილება, სადაც მოთხრობილია ისტორიული ამბავი, ვინ იყო რუსთაველი და როგორ წარიმართა მისი ცხოვრება. მე ამას ჰიპოთეზას ვეძახი და სადავოა, რასაკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ ეს პოემაში დაგინახე. ეს ის სიყვარულია, რომელიც სამყაროს მამოძრავებელია.

დანტე ამბობს, სიყვარულია, რაც ამოძრავებს მზესა და ყველა ვარსკვლავსო.

როგორც ჩანს, თუ ზეციურობა არ ურევია სიყვარულში, ის არ არის ნამდვილი სიყვარული. და ამას რუსთაველი შესანიშნავად ამბობს. ჩვენ რაღა უნდა დავუმატოთ?!

– ვიდრე ამ საუბარზე დამთანხმდებოდით, ბრძანეთ, მწერლობას დავშორდიო. ეს დაშორება რომ პირობითია, ვფიქრობ, თქვენი საუბარი ადასტურებს. რა თქმა უნდა, თქვენ ლიტერატურულ პროცესს გულისხმობდით. და მაინც, დღეს რას კითხულობთ? რა გაინტერესებთ?

– დავშორდი-მეთქი იმიტომ გითხარით, რომ თანამედროვე მწერლობას კარგად არ ვიცნობ. შემთხვევით თუ ჩამივარდება რომელიმე ახალი წიგნი ხელში. წინათ სამკითხველოში დავდიოდი, თვალს ვადევნებდი ლიტერატურულ პროცესს, ახლა არც ამის საშუალებაა და არც ახალი წიგნებია ხელმისაწვდომი. თორემ ლიტერატურის გარეშე ცხოვრება ძალიან ძნელია. ხშირად ძველს გადავიკითხავ და იქ ბევრ ახალს აღმოვაჩენ ხოლმე. ხანდახან თანამედროვე ნაწარმოები ზედმეტად თანამედროვეა!.. ფილმებისა არ იყოს – ყველაფერი გამიშვლებულია და თან ყალბი.

როგორ შეიძლება ყველაფერი დაიყვანო სექსზე და ამაზე შეიშალო. ყველაფრის გამიშვლება აზრს უკარგავს ადამიანის არსებობას.

ახალგაზრდობამ შეიძლება ჩამორჩენილად ჩამთვალოს, მაგრამ მე მგონი, ეს სასიკეთოს არაფერს მოიტანს.

„სიყვარული აღგვამაღლებსო!“ სიყვარულმა უნდა აგვამაღლოს და არ უნდა გაგვალაზღანდაროს. ადამიანური გრძნობები სათქვეფად არ უნდა ვაქციოთ.

სიყვარული პოეზია უნდა იყოს. ამაღლებული გრძნობით ცხოვრობდნენ უწინ და ასევე უნდა ვიცხოვროთ. არავის მიზაძვის მომხრე არა ვარ, რადგან ჩვენ თვითონ სიყვარულის შესანიშნავი ტრადიცია გვაქვს.

– მაშ, ახლა ისევ პოეზიას უტრიალებთ?

– თვითონ მატრიალებს პოეზია, თავისკენ მაბრუნებს. ასეთი აღმავლობა ახალგაზრდობაში არ მქონია. ახლა ცოტა ხანია არ მოსულა, მალოდინებს და მეშინია, არ დამტოვოს. ისეთი ალტკინებით ველოდები ამ ამბავს... ოღონდ მოვიდეს!..

– ძალიან მონატრებული სტუმარივით წარმოსახეთ; ხორცშესხმულ არსებასავით მოისაკლისეთ... ამის ახსნა გიცდიათ?

– მართლაც ასეა! ნამდვილად არსებაა, რომელიც „მაიძულებს“ წერას. ჩემს შიგნით რაღაც გროვდება და მერე იწყება... მზის წნულს რომ ეძახიან, იქ ვგრძნობ ფეთქვას. ვიდრე ფეთქავს, ესე იგი, ჯერ არ დასრულებულა, კიდევ მაქვს რაღაც სათქმელი.

საიდან მოდის, რა ძალაა, არ ვიცი. ჩვეულებრივ დროს რითმას რითმაზე არ მივბამ. არც ვიკადრებ, განვიზრახო ლექსის დაწერა, იმიტომ, რომ, თუ არ მოდის თავისით, მე ვერ დავაძალებ... დიდი შემოქმედები ამბობენ, ყოველთვის ჩართული უნდა იყო. ისინი, ალბათ, სულ მზადყოფნაში არიან, სხვა ცომისგან არიან მოხელილები.

და მაინც, იმ აუხსნელ ნამებში ძალიან ბედნიერი ვარ. ღმერთმა მისცეს ყველას ეს დიდი ბედნიერება, რომ შეეძლოთ მუდმივად ამ შემოქმედებით პროცესში ყოფნა.

– თქვენ როდის გესტუმრათ პირველად შემოქმედების ეს „ძნელი სიხარული“?

– მამას დაპატიმრების შემდეგ, ის 37-ში აიყვანეს, სოფელში ვიზრდებოდით. ბაბუაჩემს – ალექსანდრე (საშა) ერისთავს პეტერბურგში ჰქონდა განათლება მიღებული და, მიუხედავად იმისა, რომ პედაგოგი არა ყოფილა, რუსულს ის მასწავლიდა. არ მელაპარაკებოდა რუსულად. თავის ქალიშვილებს ელაპარაკებოდა და მე – არა. მხოლოდ მაკითხებდა და მასწავლიდა წიგნებით. ბიბლიოთეკა კარგი გვქონდა შემორჩენილი და პუშკინის ზღაპრების კითხვა დამაწყებინა. მაშინ 11-12 წლის ვიყავი. ძალიან მომეწონა ეს ზღაპრები. ზოგი ზეპირადაც ვისწავლე. შემდეგ ამხანაგებსაც ვუყვებოდი. ერთხელაც ვიფიქრე, მე რომ ვკითხულობ ამას, ლექსად სულ სხვაა და მოყოლილი სულ სხვა, მოდი, ქართულად ვთარგმნი და ამ ჩემს მეგობრებს ლექსებად წაფუკითხავ-მეთქი. ბაბუასაც ძალიან გაეხარა ეს ჩემი გადაწყვეტილება და მეხმარებოდა. ეს ხდებოდა ჩემს სოფელში, რომელსაც უღამაზესი სახელი ჰქვია – სალომინაო და ასეთივე მშვენიერი ადგილია. ვანის რაიონში მდებარეობს.

პატარა სერებიანი სოფელია. ზღვის დონიდან არც თუ მაღალია, მაგრამ მთელი კოლხეთის დაბლობი ხელისგულივით ჩანს და აქვე ჰორიზონტზე კავკასიონის ქედს ხედავ...

ახლა დამიბრუნდა ისევ ის ჩემი ბავშვობა და ჩემი სოფელი. იქიდან ძველი ჩანდა. ავიდოდი ხოლმე ლეღვის ხეზე და გადავხედავდი. იქ მეგულებოდა გალაკტიონის სოფელი. საერთოდაც, ის გარემო არაჩვეულებრივად პოეტური გარემოა. თუ ერთხელ ნახე და ერთხელ მაინც განიცადე, რაღაც უნდა მოგეცხოს პოეზიისა...

ესაუბრა  
თამარ ღონდაკი



კობა ცხაკაია

# სამყარო სუფრის ბარშემო

ქართული სუფრის მოტივებზე  
შემდგენილი ჯაზური კომპოზიცია



– რატომ, უნდა ვიყოთ „ბრძენნი, ვითარცა გველნი, უმანკონი, ვითარცა ჩვილნი და მამაცნი, ვითარცა ლომნი?“ ... ხანდახან მგონია – ღმერთი მხოლოდ იმაშია დამნაშავე, რომ ჩვენ გამოსწორების შანსი მოგვცა! – ხმადაბლა ამბობს ის და სიგარეტს უკიდებს, – ალბათ, ჩვენ ჩვენით რომ აღმოგვეჩინა გადარჩენის – გამოსწორების და დაბრძენების გზა, სამყაროს წინაშე თავს ასე უსუსურად არ ვიგრძნობდით! არ ვიქნებოდით ასეთი უჯიგროები?!

ექიმი ასეთი სიტყვების შემდეგ ოდნავ იბნევა. ოთახში უხერხული პაუზა ჩამოვარდება. ექიმი პაციენტს საფერვლეს მიუჩოჩებს და ეკითხება:

– საზოგადოდ ბევრი სასმელის დალევა გინევთ, არა?

– ა-რ-რ-ა! – მცირედი დაფიქრების შემდეგ „თამადა“-პაციენტი მხრებს აიჩეჩს და აგრძელებს თხრობას, – დაახლოებით იმდენის, რამდენიც საჭიროა!.. აი, წარმოიდგინეთ...

ექიმი ძალაუბნებურად პაციენტის სიტყვების ბურუსში ეხვევა. ავინყდება გუშინდელი ბახუსის სიმძიმე და სახეზე ნეტარი ღიმილით, პაციენტი-თამადის მიერ შემოთავაზებულ სამყაროში იძირება...

... ფანჯრიდან მოჩანს კავკასიონის მთები, ალაზნის ხეობა, ალავერდის თეთრი ნათება, ვენახები, ვენახები და რაც მთავარია ისმის „ურმული“, ალაზანივით თბილი და მოლივლივე.

– აბა, ის ქართველი ქართველია, რომელსაც არაჩვეულებრივი აზრები სუფრასთან ყოფნისას არ ებადება! – ალგზნებით ლაპარაკობს თამადა, – ... თუ იცი რატომ იყო სტალინი გამორჩენილი პიროვნება? იმიტომ, რომ მან ქართული სუფრის კანონები დიდ პოლიტიკაში გადაიტანა!.. ქართველი კაცისთვის სუფრა ისეთივე რეალობაა, მხოლოდ მაგიდის ზომებით შემოსაზღვრული... მაგრამ სუფრასთან ცხოვრება უფრო მაღლა დგას, ვიდრე უბრალო ცხოვრება, რადგან ის დროებითია!.. და რაც დროებითია, მას ჩვილივით, მოწყვეტილი ყვავილივით გაფრთხილება, სიყვარული და ყურადღება სჭირდება... დროზე ადრე რამე რომ არ დაიღუპოს... საოცარი და სასიხარულო ისაა, რომ რაც უფრო უფრთხილდები მას, მით უფრო განიჭებს სიამოვნებასა და სიხარულს?!

თამადა, მაგრამ ჯერჯერობით მაინც პაციენტი დუმდება. მისი გამოხედვა ისეთივე სევდიანი ხდება, როგორც ჰქონდა ნოეს, კიდობნიდან გამოსვლის შემდეგ...

– როგორც ნოეს აქვს კიდობნიდან გამოსვლის შემდეგ, როცა ის წარღვნის საზარელ შედეგებს დანახავს და მის სულს სიბრალული მოიცავს... ალბათ იმიტომ იპოვის ის ველურ ყურძენს და მისგან ღვინოს დაწურავს... და მთელი სამყაროს ისტორიაში პირველი დათვრება... – მთხრობელის ფუნქციებში შეჭრილი ექიმის „ნაბახუსევი“ სული პოეტური რომანტიზმით ივსება. მას, გადამეტებული გრძნობები ბრინჯივით აბნევენ თამადა-პაციენტის

გუშინდელი „ნაბახუსევი“ ექიმი დამძიმებული თავითა და ფიქრებით, ფრთხილად ჯდება სამუშაო მაგიდასთან. ის სევდიანი მზერით კარისკენ იხედება, საიდანაც ვილაც პაციენტი უნდა შემოვიდეს, მაგრამ არა ცივი ლუდით ან ბორჯომით, როგორც ეს ექიმს სურს, არამედ დაწყევლილი ბიულეტენით ხელში.

– შემობრძანდით! – მრავლისმთქმელი ინტონაციით გასძახის ის შემოსასვლელ კარს იქით მოსაცდელში მოფუსფუსე ხალხს. კორიდორში, რამოდენიმე წამით სიჩუმე ჩამოვარდება...

... კარი იღება და კაბინეტში შემოდის უღიმღამო სახის თვალბამღვრული პიროვნება. კანის ფერსა, ცხვირის ზომასა და ღრმა მელანქოლიურ გამომეტყველებაზე ემჩნევა, რომ ამ კაცისთვის უცხო არაა სპირტიანი სასმელები, ქრონიკული სურდო, კუჭის გაუვალობა და ფილოსოფია.

ის, რის ვაივაგლახით ჯდება სავარძელში. უჩივის სულის ხუთვას, ნნევას, კუჭისნვას, მელანქოლიასა და ცუდ პირისგემოს.

– რა პროფესიისა ბრძანდებით? – ეკითხება თვალბამღვრული ექიმი.

– ოოო, ამ თემაზე კამათი ხშირად მომსვლია! – რამდენიმე წამით პაციენტში ენერჯია და ხალისი მატულობს, – ... ალბათ, ხელოვანი გახლავართ. მოწოდებით ასე ვთქვათ: თამადა ვარ! ჩემი პროფესია ეს უფროა, ვიდრე... თუმცა გააჩნია რას ვეძახით პროფესიას, არა ექიმო? – არც თუ ისე თავმდაბლად აცხადებს პიროვნება.

ექიმსაც ემატება ხალისი. ის პატივისცემით ეპყრობა პაციენტს და თავაზიანად უღიმის.

– ოო, ეს იშვიათი სპეციალობაა! – ავადმყოფის ხმა უფრო გამირულ-დრამატულ-რომანტიულად ჟღერს. ამ დროს, მას რალაც ნაცნობი – მსგავსი ახსენდება. მისი მზე-რა უფრო გამჭოლი და მრავლისმეტყველი ხდება, – ეგ, ისეთი ძარღვებამშლელი გონებრივი სამუშაოა?!

– წარმომიდგენია... – ეთანხმება ექიმი და თითქოს მასაც რალაც ნაცნობი – მსგავსი ახსენდება. ის თავისდაუნებურად წარმოთქვამს, – თქვენი პროფესიის ხალხი, ანუ ისინი, ვინც თამადობას პროფესიად თვლიან, იშვიათად შემხვედრია. მათი სიცოცხლე როდი ჰგავს ჩვეულებრივი ადამიანისას... მომიყევით რაიმე თქვენსა და თქვენი პროფესიის შესახებ?!

პაციენტი – ყოფილი „თამადა“ სიამოვნებით თანხმდება.

ლიტერატურული კონკურსი „ლუარსაბ თათქარიძე“, რომლის გამართვის ერთ-ერთი თაოსანიც „ჩვენი მწერლობა“ გახლდათ ამ ორიოდ წლის წინათ, ბუნებრივად და მოხდენილად შეერწყა ქართული ლიტერატურის მდინარეებს და მისი ცხოველ-მყოფელობის კიდევ ერთ მეტყველ საბუთად გამოჩნდა. მასალები, რომლის თავ-მოყრის ბიძგიც ეს ორიგინალური კონკურსი გახდა, მრავალმხრივ საგულისხმო აღმოჩნდა – როგორც პირნმინდად ლიტერატურული, ისე სოციალ-პოლიტიკური თუ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით და ამიტომ-



მაც მოითხოვა საგანგებო კვლევა და ანალიზება, რისი დასტურიცაა თუნდ ირაკლი ლომოურის სტატია. და ამიტომაც არ ჩარჩა მხოლოდ ლიტერატურის ისტორიაში. „ჩვენი მწერლობის“ დღევანდელი პუბლიკაცია აგრძელებს დაწყებულ ციკლს – „ლუარსაბ თათქარიძის“ კონკურსისათვის საგანგებოდ შექმნილი ნოველების გამოქვეყნებას. დრო აკი არა წყდება და, ცხადია, არც ეს ლიტერატურული კონკურსი დარჩებოდა ჰაერში გამოკიდული.

წარმოსახვით გაშლილ სუფრაზე... მაგრამ ექიმი, ამ საოცარი მდგომარეობიდან გუდის ყველსა და ჯონჯოლს შორის მოხვედრილ ბიულეტენს გამოჰყავს. ის, დატუქსულივით ნითლდება და დუმდება...

... აქ, პროფესიისადმი შეუფერებელი საქციელის გამო დადუმებული ექიმის აზრს, თამადა-პაციენტის მიერ შემოთავაზებულ გარემოთი არანაკლებ აღფრთოვანებული და აფორიაქებული მთხრობელი აგრძელებს. მას მოსწონს თავის ნაწარმოებში ასეთი უცნაური ჩართვა-მეტამორფოზა:

– მე ვფიქრობ, ღვინო, ეს ნაწილია იმ უდიდესი და საშინელი ძალისა, ვისაც ადამიანის დაცინვა და დამცირება სწადია, მაგრამ „სიბრალოლ-მონანიების გრძნობის“ გამო მარადის განადიდებს მას... თუმცა თანამედროვე ადამიანი ტლანქია და რეალობას აცდენილი, მას „სიბრალოლ-მონანიების“ კი არ აინტერესებს, არამედ მხოლოდ მსჯელობა და ანალიზი სინდისის ქენჯნასა და სხვისი გაჭირვების შესახებ!

– რას ნიშნავს „სიბრალოლ-მონანიების გრძნობა“? – სვამს კითხვას თამადა და მთხრობელისგან მალულად ექიმს თვალს უკრავს.

– „სიბრალოლის-მონანიების გრძნობა“? ნიშნავს... ნიშნავს... როცა სხვა გებრალეზა, იმას! – დაბნეული ამბობს მთხრობელი, – რა შეკითხვაა ეს, რას ნიშნავს „სიბრალოლ-მონანიების გრძნობა“?

– „სიბრალოლ-მონანიების გრძნობა“ ნიშნავს კეთებას და არა ლაქლქას იმაზე, რომ სხვა გებრალეზა! – თამადაც ექიმის დარად, თავის ნათქვამს პოეტური რომანტიზმით უღინთავს.

– „სიბრალოლ-მონანიების გრძნობა“ ნიშნავს კეთებას და მსჯელობას სხვების სიბრალოლზე... და არა სმას ამის მაგივრად... – მთხრობელი ორივეს თვალს უკრავს, – თუმცა თქვენ შეგიძლიათ თქვათ, რომ ერთი მეორეს ხელს არ უშლისო, მაგრამ...

– საქმის მოგვარებაც შეიძლება და ღვინის სმაც... ორივეს გააკეთებს კაცი თუ მოინდომებს?!... კეისარს კეისარისას გადაუხდის და ღმერთს ღმერთისას... – ექიმში პოეტურობა პიკს აღწევს.

– ვინც ორჯერ იხდის, ის აუცილებლად გაილახება... ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, ვერაფერს ვერ გააკეთებს... – მთხრობელის ტონი დამრიგებლურ-მქადაგებლურში გადადის.

ამ სიტყვების შემდეგ თამადა-პაციენტს და ექიმს, გულგატეხილობა, სევდა და ერთმანეთის სიბრალოლის

გრძნობა იპყრობთ... რაღაც მომენტში ისინი გრძნობენ სინდისის ქენჯნასა და წყურვილს, სასარგებლო საქმის კეთებისა... აი ისეთს, როგორსაც სხვისი უბედურების და-ნახვისას ყოველი ადამიანი უნდა გრძნობდეს... და რაც ძველად კულტურასა და მაღალ ზნეობრივ აღზრდაზე მეტყველებდა...

– თანამედროვე ადამიანი, თქვენსავით ტლანქია და რეალობას აცდენილი. მას სიბრალოლი კი არ აინტერესებს, არამედ მსჯელობა და ანალიზი სინდისის ქენჯნისა და სხვისი გაჭირვების შესახებ!.. ხშირ შემთხვევაში ყველაფერთან ერთად ის ღვინოს კი არ „სვამს“, არამედ – „ლევს“... დაუკვირდით ზმნას – არა „ღვინის სმა“, არამედ „ღვინის და-ლე-ვა?!“ – ამბობს თამადა...

აქ, მის მაგიერ მოთმინება დაკარგული ექიმი ერთვება და ცდილობს თამადის აზრი გააღრმავოს:

– ნოე სვამდა და საქმესაც აკეთებდა...

– თანამედროვე ადამიანი ნელ-ნელა კარგავს თავის სახეს და შორდება იმ ხატს, რომლის მსგავსადაც შეიქმნა! – მთხრობელს ძალიან უნდა, მაგრამ ისე აქვს „აკრეფილი“, რომ ვეღარ ჩერდება, – ის, სუფრასთან დროს ვეღარ ატარებს. ის, სუფრასთან ცდილობს დრო და-ი-ვიწ-ყოს...

– თანამედროვე ადამიანი ნელ-ნელა კარგავს თავის სახეს და შორდება იმ ხატს, რომლის მსგავსადაც შეიქმნა... ეს რომ არ მოხდეს და ქვეყანაზე ისევ არ გავრდეს ნოე და მოხდეს წარღვნა... უფალმა მოგვივლინა ღვინო!.. – ეხმარება მას თამადა და მთხრობელის ჭიქას ავსებს.

... (როგორც ამჩნევთ ნაწარმოებში მთხრობელის გარდა თამადა-პაციენტია, რომელიც ცდილობს თავისი სათქმელი თქვას, თუმცა მას პირველი არ ეთანხმება, და ეწინააღმდეგება კიდევ... მაგრამ საბოლოოდ იძულებულია მოუსმინოს მას და მეტიც, ჩაინეროს ყველაფერი. მნიშვნელობა არა აქვს მოსწონს მას გაგონილი თუ არა... რადგან სხვა შემთხვევაში პერსონაჟები აღარც ილაპარაკებენ, აღარც იმსჯელებენ. ისინი. უბრალოდ ნაწარმოებიდან გა-ი-პა-რე-ბი-ან... ამიტომ, მთხრობელი: – წყნარდება, მომინდება, ყურდება!..)

– უფალმა მოგვივლინა ღვინო! მოგვივლინა ღვინო! ღვინო, რომელიც ნაწილია იმ დიდი და საშინელი ძალისა, ვისაც ადამიანის დაცინვა და განადგურება სწადია, მაგრამ მასში გაჯერებული „სიბრალოლ-მონანიების გრძნობის“ გამო მარადის განადიდებს მას... – ამყავს ამბობს თამადა, – „სიბრალოლ-მონანიება“ სწორედ ის სიმაგრეა, რომლითაც იზომება ამ სასმელი ავ-კარგვიანობა!.. მას უვიცები და მკრეხელები „გრადუსს“ უძახიან! ვერ ვიტან ამ საშინლად მატერიალურ სიტყვას!..

თამადის აზრით აღფრთოვანებული მთხრობელი ვე-  
ლარ ითმენს და ისევ აქტიურად ერთვება საუბარში:

– ვიმეორებ, თანამედროვე ადამიანი უფრო ტლანქია  
და რეალობას აცდენილი... წარმოიდგინეთ ის ილია ჭავჭა-  
ვასის „ლუარსაბ თათქარიძე“-შიც კი, მხოლოდ ლუარსაბს  
და მის საცოდავ მეუღლეს დარეჯანს აღიქვამს ყველაზე  
უარყოფით პიროვნებად. იმას კი ვერ ამჩნევს, რომ სა-  
ბოლოოდ ამ ნაწარმოებში მხოლოდ ეს ორი გმირი კვდება,  
რადგან ლუარსაბი და დარეჯანი მიაბიტიები-უმანკოები  
იყვნენ „ვითარცა ჩვილი“... ვინც ცოცხალი დარჩა, ანუ  
ვინაც დამარხა ისინი... მათ ხელში იყო და ახლაც არის ეს  
ქვეყანა და ეს სამყარო, აბა?!.. სწორედ მათ და მათმა შთა-  
მომავლებმა მოკლეს ამ, ჯერ კიდევ ბოლომდე შეუსწავ-  
ლელი ნაწარმოების ავტორი, ილია მარ-თა-ლი...

მთხრობელი ძალიან ხმამაღლა ამთავრებს თავის სიტყ-  
ვას. ამას სუფრაზე თავისებური დისპარმონია შემოაქვს...  
რაც მრავალმნიშვნელოვანი დუმლით მთავრდება...

– ამბობენ, რომ ილიამ „ლუარსაბ თათქარიძე“ იმის მე-  
რე დაწერა, რაც გონჩაროვის „ხრამი“ და „ობლომოვი“ წა-  
იკითხაო... მაგრამ იქ თუ ობლომოვსა და რაისკის უმოქმე-  
დობა-სიზარმაცეს, შტოლცისა და ბერეჟკოვას დადებითი  
აქტიურობა უპირისპირდება... – თამადა ცდილობს  
მთხრობელი დააწყნაროს და მისი იდეები მნიშვნელოვანი  
გახადოს სუფრის და ნაწარმოების ყველა წევრისათვის.  
ამით ის დაძაბულობას მოხსნის და „ბუნტის თავი“ მთხრო-  
ბელის პატივმოყვარეობასაც თავისებურ პატივს სცემს.  
„ბოლოს და ბოლოს აზრები და იდეები მიდი-მოდიან, ადა-  
მიანები კი ისევ სუფრასთან რჩებიან?!“ – მე ვფიქრობ,  
ილია თავის ნაწარმოებში ლუარსაბის მიაბიტიობასა და  
უმოქმედობას, სხვა პერსონაჟების გაბოროტებულ, ცბიერ-  
ობად და ორპირობად გადაქცეულ აქტიურობას უპირის-  
პირებს... არ გიფიქრიათ იმაზე, თუ გონჩაროვისაგან გან-  
სხვავებით, ილიას თავის ნაწარმოებში რატომ არ გამო-  
ყავს დადებითი პერსონაჟი? ისეთი, რომელსაც უნდა მიბა-  
ძოს ქართველმა?... რატომ გვიხატავს, მხოლოდ იმათ, ვი-  
საც უნდა დავცინოდეთ, ან ვინც უნდა გვძულდეს?... როცა  
მისაბაძს არავის ტოვებ, ესე იგი საერთოდ აღარავის ტო-  
ვებ?! არც კარგს და არც ცუდს... რადგან შავი რომ გაიგო  
რა არის, უნდა იცოდეთ თეთრი რა არის. თუნდაც ეს თეთრი,  
ერთი წერტილის ოდენა იყოს... ოღონდ ნამდვილად უნდა  
იყოს, აბა ისე რაღა აზრი აქვს შავის ჩვენებას? მაგრამ ეს  
თეთრი წერტილი არსებობს ილიასთან! ჩვენ ვერა ვხე-  
დავთ მას...

– დიხაბც, ეს თეთრი წერტილი ჩანს, აბა არ ჩანს?...  
ილია ამბობს – როცა ქვეყანაზე ლუარსაბები „ჩვილივით  
უმანკონი, მიმნდობნი“ და ზარმაცი – ღორმეცელები არი-  
ან... ყველა დანარჩენი, ვისაც ამ დროს და ამ ქვეყანაში რა-  
ღაცის კეთება უნდა, მზაკვარი და მომხვეჭელი ხდება?... –  
მთხრობელი ხალისდება. მას ჰგონია, რომ თანამოაზრე  
იპოვნა.

– არ დაგვაგინედეს, რომ ამ ქვეყანაში და ამ დროში  
ჩვენც ვცხოვრობთ?! – ექიმი საკმაოდ ირონიული ინტონა-  
ციით წყვეტს მთხრობელის მსჯელობას.

– მე, მხოლოდ იმის თქმა მიმნდოდა, რომ არ არსებობს  
ცუდი დრო, არამედ არსებობენ მხოლოდ ცუდი ადამიანე-  
ბი!.. მევე, მეტის თქმა... არ მინდა...

თამადა ღიმილით შესცქერის ორივეს და მამა-შვილუ-  
რი სითბოთი გამსჭვალული ამბობს:

– ამ ქვეყანაზე დროის და ადამიანების გარდა ღმერ-  
თიც არსებობს და ცხოვრობს?!.. – თავზე ხელს გადაის-  
ვამს და ამატებს, – ქართველი კაცისთვის სუფრა ეიფორი-  
ული სინამდვილეა... ეს არის რეალობა და სინამდვილე  
მთვრალ – ტვინში ღვინით გაფილტრულ-გასუფთავებულ-  
გახალისებული...

თამადა დუმდება. მისი თვალები ცოტა ხნით, ისევ ისე-  
თივე სევდით ივსება, როგორც ალბათ ნოეს ჰქონდა კი-  
დობნიდან გადმოსვლის შემდეგ... მთხრობელი და ექიმი  
ერთმანეთს უბოროტო ირონიით გადახედავენ და სამყა-  
როს კანონით დადგენილ თავ-თავიანთ ადგილებს უბრუნ-  
დებიან...

– მთელ ამ პროცესებს კი ხელმძღვანელობს თამადა! –  
პაციენტი-თამადა ცდილობს ჩვეული რიტმით გააგრძე-  
ლოს სიტყვა, – ... თამადა არის კაცი, რომელიც მთელი ნა-  
დიმის მანძილზე, სანამ სუფრას სათავეში უდგას, უნდა  
შექმნას თავისი სამყარო – სახელმწიფო. თავისი რეალო-  
ბა, ზღაპრული რეალობა! სამყარო, სადაც მოქმედებს  
მხოლოდ ის კანონები, რომლებიც მან მოიგონა და თამა-  
დობის მანძილზე დაამკვიდრა... თამადას თუ მოუნდება  
რომ გაქრეს დედამიწის მიზიდულობის კანონი, ის გაქრე-  
ბა... მასთან ფიზიკა-ქიმი-გეომეტრია აზრს კარგავს...  
სუფრაზე თამადას ჰყავს თავის პრემიერ-მინისტრები –  
მოადგილეები, მრჩეველები, მაგალობლები, მერიქიფეები –  
მომმარაგებლები და ამომრჩეველები – ყველა დანარჩენი  
სუფრის წევრები, რომლებიც მას ამ ურთულესი მისიის  
შესრულებაში ეხმარებიან...

– მერე, მერე? – ექიმს ისევ ემატება ხალისი.

– რა თქმა უნდა არის შემთხვევები, როცა თამადას ჩა-  
მოაგდებენ. გადააყენებენ... მეფეებს და პრეზიდენტებს  
ჩამოაგდებენ, გადააყენებენ, მოხსნიან ხოლმე... თამადას  
რომ იგივე ბედი ენიოს, რა გასაკვირია?! თუმცა, მეფეების  
და პრეზიდენტების ჩამოგდებისას თუ ბევრი სისხლი და  
ცრემლი იღვრება, თამადის ჩამოგდებისას კი არ იღვრება,  
არამედ ილევა, უკაცრავად, შემეშალა – „ილევა“ კი არა,  
„ისმევა“ ბევრი ღვინო!..

– ცხოვრებაზე დაკვირვება გიყვართ არა?! – იღიშება  
მთხრობელი.

სამივე სულმოუთქმელად ცლის სასმისს...

მათ წინ ტაბლაზე გაშლილი სუფრაა. სახელდახლოდ  
გაშლილი, მაგრამ გემრიელი და ცხონებული. ფიროსმანის  
ნახატებივით ალალი.

– ყველა თამადასთან ერთად მთვრალ სახელმწიფოს  
თამაშობს... ეს ყველას მოსწონს! იმიტომ, რომ ეს თამაშია,  
რომელიც ადრე თუ გვიან სიმთვრალით დამთავრდება...  
დამთავრდება ყველანაირი ფიზიკისა თუ ქიმიის, ბიოლო-  
გიისა თუ ასტრონომიის, გეომეტრიის თუ ტრიგონომეტ-  
რიის კანონების იგნორირებით... ღვინო ყველანაირ საზ-  
ღვრებს წაშლის, მაგრამ დროებით... სტალინმაც ასე გაა-  
კეთა, მან ყველასთვის გაშალა ერთი დიდი მაგიდა – სუფ-  
რა! საერთო სახელმწიფო სუფრა და ამ მაგიდის თავში თა-  
მადად დაჯდა. მან შექმნა თავისი მთვრალი სახელმწი-  
ფო... ასეთი „სახელმწიფო-სიტუაცია“!.. როცა ის ჩვეუ-  
ლებრივი სუფრაა, გახალისებს, მაგრამ როცა სახელმწი-  
ფოა... – პაციენტი-თამადა ღვინით სავსე ჭიქას მაღლა  
სწევს. მას ექიმიც უერთდება, – ამ ჭიქით ყველა დიდ ქარ-  
თველს გაუმარჯოს და მათ შორის მსოფლიოში ყველაზე  
უცნაურ ქართველ თამადას – სტალინს?!

– მერე კიდევ მისი საყვარელი სიმღერა ვიმღეროთ? – იკითხა ექიმმა.

– იცოდე, რომ ყველა და ყველაფერი არ იმსახურებს სიმღერასა და ლექსს?! – ცოტა მკვახედ უჭრის თამადა-პაციენტი, – ჯობს დავლიოთ!

– დიდი სიამოვნებით! – ამბობს წყნარად მომღიმარი და ოდნავ დაბნეული ექიმი.

თამადა სუფრის წვერებს უყურებს და ღვინით სავსე ღოქს პატარა ბავშვივით ეფერება.

– მეკითხებიან რა ან ვინ არის თამადა? მე ვარ თამადა! თამადა, ეს არის ბედნიერების ილუზიის შემქმნელი. თამა-

და ეხმარება სხვებს, დაიჯერონ სუფრის დროებითი სა-

მოთხე... ის ყველაფერია – მომღერალიცაა, ფილოსოფო-

სიცაა, მწერალიცაა, პოეტიცაა, დემოკრატიცაა, დიქტა-

ტორიცაა, ღმერთიცაა და ეშ-

მაკიც... ის, დროებითი სამყა-

როს შემომქმედია... ის, დროე-

ბითის ღმერთია. ის, დროები-

თის კერპია. იმ დროებითისა,

რაც მარადისობის პანანინა

მონაკვეთში, სუფრის საზ-

ღვრებში არსებობს... ამიტომ

ის ხელშეუხებელია, ავტორი-

ტეტია!.. თამადა უქმნის ყვე-

ლას იმის არსებობის შეგრძნე-

ბას, რაც ასე გვაკლია?! –

„კმაყოფილების, სისავსის, სა-

კუთარი უძლეველობის და სა-

ჭიროების შეგრძნება!“ იყო

„თამადა“ ისეთივე რამ არის,

როგორც მოუწყო საკუთარ

თავს და სხვებს ბენეფისი!.. ამ

ცხოვრების შემყურეთათვის

ასეთი ბენეფისები კი აუცილებელია!

– წარმომიდგენია რა ბენეფისებია?!.. მე კი ბევრს

ვსვამ, უფრო სწორად ბევრს „ველე“! მაგრამ დროს ვერ ვა-

ტარებ! – ამბობს გულდანწყვეტილი ექიმი. ის ხვდება, რომ

მაყურებელია და ყველა იმას ელოდება, როდის მომე...ნე-

ბა კარგის ტ...აკი?! – მარტოობა მხოლოდ მაშინ არის კარგი, როცა გვერ-

დით ვინმე გყავს! – ექიმი ქვითინებს, თამადა მას უხმოდ

უღიმის.

შემოდის ხაშლამა. მას ფონად კახური „მრავალჟამიე-

რი“ ერთვის.

– ქართული სუფრა ისეთივე სერიოზული პროცესია

ადამიანის სრულყოფისათვის გამიზნული, როგორც ალ-

ბათ, ჩაის ცერემონია იაპონიაში... ქართული სუფრა ადა-

მიანს ეხმარება საკუთარი სულის გახსნაში. სუფრა ეს თა-

ვისებური „აღსარების ზეი-

მია“, სადაც ყველაფერი

სიმბოლოებითა და იგავ-

არაკებით გამოითქმება და

აღიქმება... ანეკდოტებსაც

კი აქ მინიმუმ სამი მნიშვნე-

ლობა და სარჩული მაინც

აქვთ... აზრს და სულს, უბ-

რალო ყოველდღიური სიტ-

ყვებითა და ფრაზებით ვერ

გაანთავისუფლებ, წიგნი-

ვით ვერ გადაფურცლავ... ამისთვის პირველ რიგში –

თამადა, ქართული სუფრა

და ღვინოა საჭირო?!.. ღვი-

ნო, ყურძნის სისხლია. სის-

ხლის ოფლი! მაღლი, რო-

მელშიც ღმერთმა ადამის

სამოთხიდან გაძევების

შემდეგ, სამოთხისავე კო-

ორდინატები თუ ატმოსფე-

რო ჩამალა... ექიმი თავს უკან ხრის



მხატვარი გივი ვაშაკიძე

და ისე მზიარულად, გულიანად ხარხარებს, თითქოს ეს

არის, ახლა ვილაცამ ძალიან ეშმაკურად, მაგრამ კეთილად

მოატყუაო:

– წარმომიდგენია! წარ-მო-მიდ-გე-ნი-ა!

– სადღეგრძელო უბრალოდ და ლამაზად ნათქვამი

სიტყვები კი არ არის, ეს ის სიტყვებია, რომელსაც იქ, ზე-

ვით ცაში და ქვევით მიწაში ისმინება... და როცა სუფრაზე

ამის დრო მოვა, მერე კი ჩვენ გვასმენინებენ. ამით იმას

გვახვედრებენ, ნამდვილად ვიყავით თუ არა ღირსები, რომ

საქართველოში ქართველებად დავბადებულყავით... –

თამადა ფეხზე დგება, დიდ ფიალას სასმელით ავსებს და

სათუთად, ოდნავი ხელის კანკალით მიაქვს ტურქობთან,

ეამბორება და ეშმაკურად გადახედავს გახალისებულ

ექიმსა და მთხრობელს, – სამოთხეში, მხოლოდ ისინი მოხ-

შეძლოს ყველა ირგვლივ მყოფი, გაქვავებულ-ჩაკირული ნაჭუჭიდან ამოაძვინოს და ნაღდი სიცოცხლე რა არის, ის დაანახოს... სადღეგრძელო, ეს ასე ვთქვათ, ქართულ სიმღერებში მაღლიანად აზელილი... მთვრალი სულის გასხივოსნება...

– ჩვენ ყოველთვის ის გვჭირდება, ვინც ნაჭუჭიდან გამოგვაძვინებს და გაგვაფრენინებს?! – ამბობს მთხრობელი და ექიმის დარად სასმისს ენაფება.

თამადამ ზევით აიხედა. ცოტა ხანის ფიქრის შემდეგ ჩაიციხა და თქვა:

– სადღეგრძელოს თქმა ყველას არ შეუძლია. სადღეგრძელოს განსაკუთრებული სულიერება და ფრთები სჭირდება. ის შთაგონებით შექმნილი ნაწარმოებია. მასში ადამიანი და „სუფრა“, როგორც მოვლენა, სამყაროსთან ერთიანდება... ის ანმყოსთან გადადის წარსულში, მომავალში და უკავშირდება იმ დროს, რომელიც შეიძლება აღარასოდეს აღარ დადგეს... სადღეგრძელომ ყველაფერი უნდა შეავსოს. ყოველი ცარიელი ადგილი სუფრის გარშემო... ისე, როგორც ღვინო ავსებს სასმისს... სადღეგრძელო სიტყვებითა და აზრებით შექმნილი სულია იმ ერთი დიდი ადამიანისა, რომელსაც სუფრის წევრები ერთად ყოფნით, ურთიერთ შერწყმით ქმნიან... და რომელიც, ყველას და ყველაფერს ავსებს, აკმაყოფილებს, აბედნიერებს... ამიტომაც არის, რომ ნამდვილ სუფრაზე არ შეიძლება ვინმე არ გიყვარდეს და მის სიხარულსა თუ ტკივილს არ შეიგრძნობდე, როგორც საკუთარი სხეულის, სიხარულისა და ტკივილის ნაწილს... რადგან კმაყოფილი ხარ!.. რადგან საკუთარი თავისთვის აღარაფერი გინდა! ყველაფერი გაქვს... ყველაფერი შეგიძლია... ყველა გიყვარს... და ყველას უყვარხარ?!.. ამიტომაც სხვის კარგად ყოფნაზე ფიქრობ, დარდობ, ლოცულობ და სხვისთვის ცოცხლობ! სადღეგრძელო ცოცხალია, იმიტომ, რომ შენს დროებით სამოთხესთან ერთად იქმნება!..

თამადა-პაციენტის შემყურე ექიმს და მთხრობელს ტკბილ-სევდიანი ფიქრები იტაცებენ:

– „არსებობს საერთო სარწმუნოება, მაგრამ ყოველ ადამიანს აქვს კიდევ ერთი თავისი განსაკუთრებული – პირადი სარწმუნოება, რომელიც მხოლოდ მისთვის არსებობს!“

ექიმიცა და მთხრობელიც წელში ისე იზნიქებიან, თითქოს ბექებზე რალაც მძიმე დაანვათო. ისინი სასწრაფოდ იყუდებენ სასმისებს და ბოლომდე ცლიან.

თამადა ბედნიერია. ის, როგორც გემის საჭეს, ისე ეჭიდება მაგიდის კიდეებს და აგრძელებს „ნამდვილი ქართული სუფრის სადიდებელ ხოტბას“:

– სუფრის თავიდან დაწყება ჩემებურად არ შემიძლია... დასაწყისში ის მოსაწყენ წიგნს ჰგავს, რომელსაც რაც უფრო კითხულობ, მით უფრო საინტერესო ხდება... ასე რომ, მეც სუფრას მანამდე ვფურცლავ, სანამ არ შევამჩნევ, რომ ჩემთან ყველა უხილავი ძაფებითაა დაკავშირებული... ეს არ ნიშნავს იმას, რომ საჭიროა დასაწყისში სუფრა თავისთვის მიუშვა... არა! მას „თამადა“ ანუ მე, ნელ-ნელა თითქმის შეუმჩნევლად, თითქმის ძალდაუტანებლად იმ გზაზე ვაყენებ, რა გზაზეც სჭირდება...

ნაზი, მეგრული სიმღერა სუფრას ნისლივით მოეფინა და ირგვლივ ყველა და ყველაფერი თავისებურად დაატკბო. შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდა. „სიყვარულობაში ჩაძირულმა“ ექიმმა ხმამაღლა დაიწყო ფიქრი:

– იყო კაცი, რომელსაც სახლში უამრავი თავი ჰყავდა. იგი შენუხებული წავიდა და იშოვა ერთი ქუჩის კატა. დაჰპირდა მას საჭმელს, სახლს, მოვლასა და პატივს, თუკი ის კაცის სახლს თავგებისაგან იხსნიდა. კატაც დასთანხმდა. ერთ ღამეში მან მთელი თავგები მოსპო... როცა კაცი მიხვდა, რომ თავგები სახლში აღარ იყო, მან კატა გარეთ გამოაგდო. ასე დარჩა სულელი, მაგრამ გულმოდგინე კატა ყველაფრის გარეშე... ვინც დღეში ორჯერ იხდის, ის აუცილებლად გაილახება? – კითხულობს ექიმი და გრძნობს, რეალური ცხოვრება როგორ უკანრავს „სიბრაულის გრძნობით“ სავსე გონებას. ის მალულად გადახედავს სუფრის წევრებს. მას ჰგონია, რომ ხმამაღლა მხოლოდ შემდეგ სიტყვებს წარმოთქვამს:

– სამოთხეში, მხოლოდ ისინი მოხვდებიან, ვინაც ნაღდი ქართველებივით იცხოვრეს... ვინც არ იცხოვრა, ის არსად არ მოხვდება. მანამდე იტანტალებს ამ ბედკრულ წუთისოფელზე, სანამ არ დაბრძენდება და ქართველობას არ ეზიარება...

ავადმყოფი და მთხრობელი თავებს უკან ხრიან და ისე მზიარულად, გულიანად ხარხარებენ, თითქოს ისინი ეს არის, ვილაცამ ძალიან ეშმაკურად, მაგრამ კეთილად მოატყუაო.

– სხვა ჩემს სადღეგრძელოებს სიტყვა-სიტყვით რომ იმეორებს... არ მომწონს-მეთქი, ვერ ვიტყვი. ამ დროს ისეთი გრძნობა მეუფლება, როგორც მეღვინეს, როცა ხედავს, თუ როგორ ივსება მისი დაწურული ღვინით ახლობლების სასმისები... – აგრძელებს ავადმყოფობისაგან განთავისუფლებული თამადა, – მასავით მაღლსა და სიხარულსა ვგრძნობ!.. მაგრამ ჩემს სადღეგრძელოს თუ გააგრძელებს და შეავსებს რალაც ახლით, ისეთი ბედნიერი ვხდები, როგორც ალბათ ფიროსმანი იყო, როცა ხატულათვალება ირემს ხატავდა...

სასმისები ისევ ივსება. მთხრობელის, ექიმისა და ყოფილი ავადმყოფის სხეულებს „სამოთხის“ სითბო და სურნელი ერთნაირად უჯდებათ.

– ჩემო კარგებო, მინდა გულების სადღეგრძელო შემოგთავაზოთ! გული, არც ისეთი პატარა რამ არის, ზოგ-ზოგიერთებს როგორც ჰგონიათ... იმიტომ, რომ ყველა ადამიანის გული რომ გავაერთიანოთ, ამ ჩვენ სამყაროს მივიღებთ... ადამიანი შეიძლება მოკვდეს, მაგრამ მისი გული მუდამ ცოცხალი უნდა იყოს?! ჰოდა, რადგან ის, იმ სამყაროს ნაწილია, რომელშიც ჩვენ დავდივართ და ვცოცხლობთ... გაუფრთხილდეთ ერთმანეთის გულებს! იმიტომ, რომ ყოველი მოკლული გული ამ ჩვენი დედამიწის, ჩვენი სამყაროს ზომას კიდევ ერთი გულით ამცირებს... ყურადღებას თუ მიაქცევთ, სწორედ იმიტომაა ჩვენი სამშობლო ასე დაპატარავებული... ქართველის გულს ცოტა ვინმე თუ უფრთხილდება... თუ გული არ იქნა, არც არაფერი იქნება... გაუმარჯოს. ჩვენს გულებს?! გაუმარჯოს ჩვენს სამშობლოს?!..

... იმღერეს და რა იმღერეს. ლოცვაში მტრებზე რომ წერია – „ნუ დასჯი ცოდვითა და უსჯულოებითა შინა მათთა ჩემთვის, არამედ მოაქციე იგინი ბოროტისაგან, რომელი აქვენ ჩემდა მომართ, და შეინყაულე დიდითა წყალობითა შენითა“–ო. აი, ესე უქნეს მტრის გულებს... აბა, მოყვარეს რალას უზამდენ.

– ბიბლია ამბობს – „აღმოხდება მზე და ჩადის იგი, უბრუნდება თავის ადგილს და კვლავ იქიდან ამობრწყინდე-

ბა! ყველაფერი უბრუნდება თავის წრეს! რაც ყოფილა, იგივე იქნება და რაც მომხდარა, იგივე მოხდება, არაფერია მზის ქვეშ ახალი“ – ჰოდა, სწორედ ეს აღმოხდა პერსონაჟებთან ქეიფით გამძლარ მთხრობელს:

– ამიტომ უნდა ვიხაროთ, გვიყვარდეს და ვიცოცხლოთ... და არა ვიარსებოთ, რომ არ შევიძულოთ და დავმომედეთ ამ „უსამოთხო“ ცხოვრებით – „რადგან, ყველაფერი მაინც თავის წრეს დაუბრუნდება და „არაფერია მზის ქვეშ ახალი!“ ... რადგან სამოთხეში მხოლოდ ისინი მოხვდებიან, ვინაც ნაღდი ქართველებივით იცხოვრეს... ვინც არ იცხოვრა, ის არსად არ მოხვდება. მანამდე იტანტალეებს ამ ბედკრულ წუთისოფელზე, სანამ არ დაბრძენდება და ქართველობას არ ეზიარება?! – კიდევ ერთხელ იმეორებს სასმელისაგან და სუფრის მადლისაგან გულაჩუყებული მთხრობელი და როგორც „უკანასკნელი ლაჩარი“ მოთხრობიდან გასასვლელი კარისკენ გარბის. აღებს მას და პერსონაჟების პროტესტის მიუხედავად, ნაწარმოებიდან უგზო-უკვლოდ იკარგება, რათა ჩანეროს ყველაფერი ის, რაც გაიგო, მოისმინა, დაინახა და შეიგრძნო...

„პურსა სჭამენ და ღვინოს სმენ სიმღერას არ იტყვიანო,

კაცოოო...

ჰაიიი, არ ვიცი ვისა ჰგლოვობენ, არ ვიცი არ იციანო, ბიჭებოოო...

ჰაიი-ჰარალე-ჰარალოო, შენ კი გენაცვალე შენააა...

შენმა გრელამ დაგამშვენა...

ჰარი-ჰარო-ჰარულალოოო!“ ...

ისინი კი ისევ ერთად სვამენ ქარვისფერ ღვინოს და ცდილობენ იმღერონ. სიმღერა ადგილ-ადგილ კარგად გამოსდით. ეს ძალიან უხარიათ, სუფრას ამით მეტი „ჯიგაარი“ ემატებაო...

– ბავშვობაში მინდოდა მფრინავი გამოვსულიყავი! ვოცნებობდი ავფრენილიყავი ცაში, მაღლა-ზევით?!... და იქ საოცარი საშაერო ილეთები მეკეთებინა... მინდოდა, ეს ყველას დაენახა და გაოცებულიყო. მსურდა ყველას ისე გახარებოდა ჩემი ფრენა, რომ თვითონაც მონდომებოდათ... მერე გადავწყვიტე მომღერალი გამოვსულიყავი... ვინც მღერის, მისი სიტყვები ხომ, სიმღერად განელილები, თვითმფრინავებივით დაფრინავენ მსმენელების თავებსზე... და მათაც უშლიან სიმღერის საღერღელს... ბოლოს, არც მფრინავი გამოვედი და არც მომღერალი, ვარ საგადასახადო ინსპექციის ინსპექტორი, მაგრამ არა ვარ უკმაყოფილო!.. იმიტომ, რომ თამადა ვარ...

... უეცრად, კვლავ პაციენტად ქცეული თამადა წელში იხრება და ოხრავს, – მაგრამ „ლუარსაბებს“ გაკეთებული ღვინოთი და თანამდებობებით გვკლავენ... „ბრძენნი, ვითარცა გველნი, უმანკონი, ვითარცა ჩვილნი და მამაცნი, ვითარცა ლომნი!“ ვი-ლუ-პე-ბით!

... გონს მოსული ექიმი, პირველი, რასაც ცხადად გრძნობს, ეს ნამღლების სუნია. სამიოდე წუთი ხელეშში თავჩარგული გაუნძრევლად ზის და იმაზე ფიქრობს:

– „ვიზიტში ფულს გადაახდევინებს თუ არა ავადმყოფს, თუ მან უკვე გადაიხადა თავისი მონაყოლით?.. გაქართველდეს თუ კიდევ დიდხანს იტანტალოს ამ ქვეყანაზე?“

თითქოს რაღაც გამოსავალს მიაგნო, წამოდგება და თავის თავს დიდი ინტერესით, თითქმის უხმოდ ჰკითხავს:

– ნეტა მართლა გაილახება ის, ვინც დღეში ორჯერ იხდის?

პერსონაჟის თავნებობით გაოგნებული მთხრობელი რამდენიმე უეცრად მოსული აზრით შეეცდება ამ კითხვაზე პასუხის გაცემას:

– „1) „ა“ პუნქტიდან „ბ“ პუნქტამდე მისასვლელი ძალიან ბევრი გზა არსებობს“, მაგრამ ერთია ნამდვილი... 2) არ ვიცი რა ვქნათ, ვითმინოთ თუ ვიამაყოთ, მაშინ, როცა არაფერი ვიცი, არც არაფერს გვთხოვენ და ვერც ვერავინ გვამჩნევს?.. და 3) ნუთუ მართლა აღარ იქნებიან – „ბრძენნი, ვითარცა გველნი, უმანკონი, ვითარცა ჩვილნი და მამაცნი, ვითარცა ლომნი?“ ...

ექიმი თავს უკან ხრის და ისე მზიარულად, გულიანად იცინის, თითქოს ეს არის, ახლა ვილაც ძალიან ეშმაკურად, მაგრამ კეთილად მოატყუა.

უღიმღამო სახის თვალეზამოკარკლული პიროვნება ხვნეშის... ექიმი ცდილობს ავადმყოფის გასინჯვას.

– რა პროფესიისა ბრძანდებით? – ეკითხება თვალეზანთილებული ექიმი.

– თამადა-პაციენტი ცდილობს სიტყვები რაც შეიძლება ყოჩაღად წარმოთქვას.

– ოო, ეს იშვიათი სპეციალობაა – ექიმი ამ ფრაზას რატომღაც მთხრობელის ინტონაციით წარმოთქვამს და თითქოს რაღაც ნაცნობი – მსგავსი ახსენდება.

ასევე მთხრობელის ხმით წამოიძახებს პაციენტიც და დიდი ხნის წინათ წაკითხული მოთხრობა ახსენდება:

– ჩეხოვის „დრამატურგი“ თუ წაგიკითხავთ, ექიმო! ჩეხოვის „დრამატურგი“!..

– ჩეხოვი! ჩე-ხო-ვი!

– ჰო, დალოცვილი ჩეხოვი! აქაურობა რაღაცით ჰგავს ჩეხოვის „დრამატურგი“-ს სიტუაციას!..

– არაფერია მზის ქვეშ ახალი!

– ჰო, არაფერია მზის ქვეშ ახალი!..

... პაციენტი დაჟინებით ისრეს შუბლს და კეთილშობილი ჩეხოვის მოთხრობის „დრამატურგი“-ს ტექსტს იხსენებს:

– „თვალეზამღვრეული, უღიმღამო სახის პიროვნება, რომელსაც ცხვირის ზომასა, ღრმა მელანქოლიურ გამომეტყველებაზე და კანის ფერზე ემჩნევა, რომ ამ კაცისათვის უცხო არაა ქრონიკული სურდო, კუჭში გაუვალბოა, ფილოსოფია და სპირტიანი სასმელები. უჩივის ცუდ პირობებში, ხშირ მელანქოლიას, ბოყინს, გულისწვას და სულის ხუთვას“...

ექიმი იღიმება და ამით ის ცდილობს პაციენტისადმი და ჩეხოვისადმი სიმპათია გამოხატოს. მას ახსენდება, რომ „დრამატურგი“-ს ავტორიც ექიმი იყო...

ექიმი ჩვეული პროფესიონალიზმით კითხულობს:

– ესე იგი, გინევთ სმა... საზოგადოდ ბევრის?

– ჰოო, ისეთი ცხოვრება დაგვიდგა ექიმო, რომ აღარ ვიცი რა ვქნათ, კიდევ ვითმინოთ თუ ვიამაყოთ?! ამიტომაც საზოგადოდ ბევრი სმა მინევს... – ჩურჩულებს ყოფილი თამადა და გულზე ხელს იკიდებს, – გული ამტიკვდა! ჩემს გამო კი ახლობლებსაც ასტიკვდათ გულები... იმიტომაც მოვედი, თორემ სულ არ მოვიდოდი... ჩვენ ერთმანეთის გულებს თუ არ გავუფრთხილდით, საბოლოოდ აღარც არაფერი გვექნება გა-სა-ფრთხი-ლე-ბე-ლი!

– ერთმანეთის გულების თუ არ გასაფრთხილებლად „ა“ პუნქტიდან „ბ“ პუნქტამდე მისასვლელი ძალიან ბევ-

## პროზა

რი გზა არსებობს! – ამბობს გუშინდელი „ნაბახუსევი“ ექიმი.

– გზა ბევრია, მაგრამ მათგან მხოლოდ ერთია ნამდვილი?! – თითქოს ეთანხმება პაციენტი.

... ექიმი იწყებს ავადმყოფის გასინჯვას და ისევ უბრუნდება იმაზე ფიქრს, ვიზიტში ფულს გადაახდევინებს თუ არა ავადმყოფს, თუ მან უკვე გადაიხადა თავისი მოთხოვნით... ეს სერიოზული საკითხია...

ხვენების თვალბეჭდვით, სევდიანი სახის პიროვნება და ამბობს:

– იცი, ექიმო, რაც არ უნდა მითხრა, მაინც დავლევ!..

– რატომ გეჩქარებათ „აქედან“ წასვლა?

– რა მნიშვნელობა აქვს, რითი მოვკვდები... სმით თუ იმაზე ნერვიულობით, რომ ვეღარ ვსვამ?! – იღიმება პაციენტი.

– მაშინ წესიერი ღვინო მაინც დალიეთ!.. თუ იმათ, ვისაც შველა და „გაქართველება“ სჭირდებათ, წესიერი ღვინო აღარ აქვთ?

– ხუმრობთ, ექიმო? „მამაძაღლობის“ გარეშე ღვინოს ახლა აღარსად ჰყიდებიან!

– მაშინ ცოტა დალიეთ! – „ნაბახუსევი“ ექიმს არ უნდა, მაგრამ პროფესიული ვალდებულებებიდან გამომდინარე და მოთხოვნაში თავისი როლის გამო, იძულებულია ასე უპასუხოს.

– ეგ ხომ სიყვარულში „სიბრაღულ-მონანიების გრძნობაში“ ჩაჭრას ნიშნავს?!.. ეგ ხომ არასპორტული იქნება?! – შფოთავს ავადმყოფი.

– „ლუარსაბები“ თავისი სურვილით გადაშენდნენ?! – ექიმი ძალაუნებურად თავს უკან ხრის, ზევით იხედება და მთხრობელს თვალბეჭდში გამომწვევად უყურებს.

– ალბათ, მაგრამ ისინი უფრო ახსოვს ხალხს, ვიდრე ცოცხლად დარჩენილები... – კუთხური ვითომდა ლუარსაბ თათქარდის კილოთი ნათქვამ სიტყვებს „ბანზე უგდებს“ ავადმყოფი.

შემდეგ ისიც თავს უკან ხრის, ზევით იხედება და ისე მხიარულად, გულიანად ხარხარებს, თითქოს ეს არის ახლა ვილაც ძალიან ეშმაკურად, მაგრამ კეთილად მოატყუა.

სადღაც, რეალურად თუ წარმოსახვაში კვლავ იშლება სუფრა და იწყება „ლომების ალღუმი“...

### P.S.

*ედღვება ჟორჯი თოდუას, ლეო ცხაკაიას, იურა ჯიშკარიანს, მირიან ჯიშკარიანს, ვილენი ცხაკაიას, გლახო და ცუნცულა მურაჩაშვილებს, ვალიკო მუშკიაშვილს, რომლებიც ამბობენ: „ღვინის სმაში სამწუხაროდ არსებობს არასპორტული დამოკიდებულებები“...*

*და ვალიკო ჯიშკარიანის, ვასილ ცხაკაიას, ანდრო შაშიაშვილის, ალიოშა ხათაშვილის ხსოვნას, რომლებმაც თავის დროზე დაამტკიცეს, რომ სიყვარულში, ისევე როგორც ღვინის სმაში, სამწუხაროდ არასპორტული დამოკიდებულებებიც არსებობს“.*

## პოეზია



„ფანქარი ცაში“ – ასეა დასათაურებული შოთა იათაშვილის ჯერჯერობით ყველაზე დიდტანიანი პოეტური კრებული, რომელმაც მკითხველს პირველად მისცა საშუალება თვალი მიეხედვინა მისი აქამდე გავლილი შემოქმედებითი გზისათვის. სხვადასხვა წიგნებიდან ამოკრებილი და ახლებურად გამოლიანებული ლირიკული ნიმუშები საგულისხმო სურათს წარმოსახავდა, კრებული კი წარმოვიდგებოდა ჩვენი სამწერლო ცხოვრების თვალსაჩინო ქმნილებად, იმ სამწერლო ცხოვრებისა, რომლის კოლორიტული და თავგამოდებული მონანილება შოთა იათაშვილი – როგორც პოეტი, პროზაიკოსი, ლიტერატურის კრიტიკოსი, მხატვარი და... როგორც რედაქტორი. ჯერ გაზეთ, შემდგომ კი ჟურნალ „ალტერნატივას“ ნომრები ისევეა აღბეჭდილი სიახლისაკენ სწრაფვითა და ძიებებით, როგორც მისივე შემოქმედება.

მისი ამ დიდტანიანი კრებულისათვის ნამძღვარებულ შესავალ სტატიაში აღნიშნულია, რომ სახელწოდება შეიძლება ყოფილიყო ისიც, რაც არის – „ფანქარი ცაში“ – და ისიც, რაც შესაძლებელი იყო – „ცა ფანქარში“. შესალები არც ერთი არ არის. ამიტომაც მკითხველს, ვისაც ეს მეორე სახელწოდება უფრო მოეწონება, შეუძლია გუნებაში სწორედ ასე დაასათაუროს ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე გამოქვეყნებული ეს ახალი პოეტური რკალი: „ცა ფანქარში“.

### შოთა იათაშვილი

#### ჯადოქარი

*ერლომ ახვლედიანს*

უცებ დავინახე:

კაცი მიდიოდა...

კაცი მიდიოდა ცოტადან ცოტასაკენ...

ცოტადან ცოტაცოტაცოტასაკენ...

ვუყურებდი...

არ მჯეროდა...

მერე უფრო დაუჯერებელი ვიხილე:

კაცი მიდიოდა...

კაცი მიდიოდა ბევრიდან ცოტასაკენ...

ბევრიბევრიდან ცოტაცოტასაკენ...

დაუფყვირე.

გამოიხედა.

როდის მერე მიდიხარ ასე? – ვკითხე.

დიდი ხანია... – მიპასუხა კაცმა.

მერე დაფიქრდა.

იფიქრა.

იფიქრაიფიქრაიფიქრა...

ცოტა ხანია... – მითხრა.  
განაგრძო გზა.

გავყურებდი.  
ჯადოქარია... – ვფიქრობდი...  
ვაგრძელებდი სვლას:  
ცოტადან ბევრისაკენ,  
ბევრიდან ბევრისაკენ,  
ბევრიდან ბევრიბევრიბევრისაკენ...

ვოცნებობდი...

**ხმის კაცი**

*ზვიად რატიანს*

ხმანი ძრაობენ,  
შენ მოძრაობ,  
მოძრაობ მათთვის...

მოძრაობ, რათა  
ცოცხალთხმები თავისუფლად ძრაობდნენ ცისქვეშ.

ხმის იოგებს ერთმანეთთან აერთებ და  
ძრაობენ ფიქრნი...  
ძრაობს ჭმუნვა,  
სიხარული,  
ვნება,  
ტლიკინი...

სახე, ხელ-ფეხი, გულ-მუცელი  
შენ ნაკლებად გაინტერესებს...  
შენ ხმის კაცი ხარ:  
ხმას აღმერთებ,  
ხმას ეტრფი და  
ემსახურები,  
და არსობის პურსაც ხმა გაჭმევს...

შავი ყუთი გაქვს.  
არ იშორებ მას გვერდიდან.  
მოძრაობ და თან დაატარებ...  
ცოცხალთხმებისთვის რომ იზრუნებ,  
რომ მოისვენებ,  
ნეტარებით ხსნი ამ ჩანთას და აყურადებ:

ვირ თრინქენ დიჰ მითაგს უნდ მორგენს  
ვირ თრინქენ დიჰ აბენდს  
ვირ თრინქენ უნდ თრინქენ...

ო, ეს ხმები...  
შეშლილების, თვითმკვლელების,  
ბრძენთაბრძენების...  
ზეცისაგან მოვლენილი ხმის კაცებისთვის  
არ არსებობს ნეტარება დედამინაზე  
ამაზე დიდი...

და ძრაობენ...  
სულისშემძვრელი ხმები ძრაობენ:

თრინქენ უნდ თრინქენ...

თრობა ღვინით,  
და მერე თრობა ჭეშმარიტი:  
ხმებით თრობა ყოველდღიური...  
შენ ხმის ლოთი ხარ:

თრინქენ უნდ თრინქენ...

ხორცი გაიხრწნა,  
ძვლები იშლება,  
თმა დაიფერფლა...

ვაი შენი თმის ოქროს მარგარეტ  
ვაი შენი თმის ნაცარს სულამით...

ხმა კი დარჩა...  
ის შენთანაა.  
შავ ყუთს გახსნი და...

თრინქენ უნდ თრინქენ...

აჰა, ესერა:  
ხმანი ძრაობენ,  
შენ მოძრაობ,  
მოძრაობ ხმათთვის...

**ჰაი გიდი!**

*ზაზა თვარაძეს*

სახლში ზი და ზიდავ  
შენს სიზიფეს ლოდს,  
ხან ისტუმრებ ვალებს,  
ხან მასპინძლობ ლოთს.  
ერთი ოთახიდან  
მეორისკენ – წინ!  
მერე ისევ უკან,  
და უბღვერი წიგნს.  
გაცვეთიათ ხიბლი  
ლექსებსა და ძმებს,  
შენს ზურგზე კი კვლავაც  
ძველი ტვირთი ძევს.  
დაატარებ, ქაჩავ  
თან პაპიროზს იაფს  
(ტუალეტში შედი,  
ამ ცხოვრებას მიაფს!).  
აკაკუნებს ვილაც –  
ზანტად ალებ კარს,  
სახლმმართველი კუშტად  
გეკითხება გვარს.  
პასუხობ და „მდა, თქვენ  
აქ რასა იქმთ?“ – უკვირს.  
„მე ვმასპინძლობ ყველა  
ბოგანოს და უბირს,



ყველა ღვთისმოსავს და  
 ლექსის ყველა მწერალს,  
 ხოლო თავად ვზი და  
 მიუყვები მწვერვალს.  
 დავიპყრობ და ტვირთი  
 ისევ დაბლა მიდის,  
 ასეთია, ძმაო,  
 ყოფა. ჰაი გიდი!“  
 ამ სიტყვებზე დაფრთხა  
 სტუმარი და ზღურბლს  
 კისრისტეხით მოსწყდა...  
 ოფლიც მოსწყდა შუბლს.  
 ბოლოს მძიმე ლოდიც  
 მოსწყდა შენს ზურგს უცებ.  
 გაიფიქრე: ვაი,  
 დღემდე რამდენს ვუძლე!  
 და შებრუნდი, ძველი  
 გზისკენ გზა გაიგნე,  
 გაუცინე არაყს,  
 დაუბღვირე წიგნებს.  
 და განაგრძე ის, რაც  
 აქამომდე იყო:  
 „ე, ნახვედი, ლოთო?  
 ვა, მოხვედი, ბრიყვო?“  
 ასე სახლში ზი და  
 შენს ცხოვრებას ზიდავ,  
 ტელევიზორს ჩართავ,  
 თვალს ჩაუკრავ ზიდანს.  
 გალალდები წამით,  
 ყვირი: ჰაი გიდი!  
 და გოლი რომ გააქვთ,  
 ტვირთიც დაბლა მიდის...

**მე არ ვარ ჩემში**

ვარდში – ვარდია, ნაყოფში – ნაყოფი  
 და ადამიანში ჯერ არაა ადამიანი...

**ბესიკ ხარანაული**

მხოლოდ და მხოლოდ კვირტია ჩემში...  
 გაზაფხულდება... კვირტი გასკდება...  
 და აღმოჩნდება, რომ მე ვარ ვარდი...  
 ადამიანი ჯერ არა ვარ,  
 ჯერჯერობით მე ვარ მხოლოდ ვარდის კოკორი...  
 ვარდი – ვარდია,  
 სისხლი – სისხლი,  
 სიზმარი – ცხადი...  
 ეს იმიტომ, რომ  
 ცხადი როცა გაკოკრდება – სიზმარია,  
 ხოლო სიზმრის აყვავება – ცხადია თითქმის...

მანქანას დაშლი ნაწილებად და მანქანას  
 იქ ვერ იპოვი...  
 ჭანჭიკებად დაშლი რადიოს... და ის არც კაცის,  
 არც რადიოს ხმას არ გამოცემს...  
 წინადადებას დაშლი სიტყვებად,

ხოლო სიტყვებს ასოებად... ფუი, ეშმაკო!..  
 ეს არ ჰქმნა კაცო, ხელგარჯილო და ღვთისნიერო...  
 აშენე სახლი და მის შიგნით სახლი აცხოვრე,  
 ხოლო მკვდარში აცხოვრე მკვდარი...

ყველაფერი საკუთარი თავის გულია –  
 ცა ცისგულია,  
 მიწა არის მიწისგული,  
 გული კიდე გულისგული,  
 ჩემი ლექსი კი  
 ჩემი ლექსის ლექსისგულია...  
 მე თავად კი  
 თითქოს გული ამომაცალეს...  
 მე შენში ვარ,  
 მასში,  
 ყველაში,  
 მაგრამ...  
 მაგრამ...  
 ჯერჯერობით...  
 სანამ კვირტი გასკდება და გაზაფხულდება...  
 ძალღი – ძალღშია,  
 თოვლი – თოვლში,  
 ხე – ხეში და  
 მე არ ვარ ჩემში...

**პოეტი-იოზი**

*თემურ ფირცხალაიშვილის ხსოვნას*

ამ ცხოვრებამ სიჭაბუკის ჟამს  
 ერთად დაგვსხა, გვათამაშა ჭადრაკი.  
 მერე ნახველ სადღაც აქვე... შორს...  
 უკან გაგყვა ჯვარმცმელების ბადრაგი.

ღმერთო, როგორ ვიტანჯები დღეს  
 ცოდო-მადლის შენი წმიდა წიგნით:  
 ყველა დარდი გულისპირზე ძევს,  
 არაფერი ჩარჩენილა შიგნით.

ძმობა როცა უნდა დანყებულიყო,  
 ყველაფერი სწორედ მაშინ განწყდა,  
 სტუდენტობის სიზმრებს ვერ დააბრუნებ  
 და ესაა საშინელი განცდა.

ვინ მოგკიდოს ხელზე ხელი, ვინ გითხრას  
 წუთით მაინც გადამრჩენი სიტყვა.  
 გვიანია, სული ხორცით იტანჯა,  
 ხორცმა სულზე მათრახები გირტყა.

მე კი მახსოვს ერთად როგორ ვისხედით,  
 ერთად როგორ ვხალისობდით ჭადრაკს,  
 ვაკეთებდით როქს და ქიშს ვაცხადებდით,  
 მაგრამ თურმე ლექსის ჭია გვჭამდა.

ლექსის ჭია ცოტ-ცოტათი ბევრსა ჭამს,  
 შენ კი მაგან გამოგჭამა სულმთლად,  
 რომ პოეტი-იოზი ხარ თაობის,  
 ყველა ხვდება, ვინც შენს ჯვარ-წიგნს ფურცლავს.

**მაგნიტი**

საბას

თითებიდან გაუსხლტა ბოლო ღერი სიგარეტი, მხრჩოლავი,  
დაუცვივდა პეშვიდან ბოლო ხურდები და  
ულმობლად განკარუნდნენ ისინი ასფალტზე.  
ხელიდან გაუვარდა რძის ბოთლი და დაემსხვრა,  
გაუვარდა შვილი, მჯღავანა და პირმცინარე,  
დაეყარა ძირს კოცნის ნამები, ფიქრის წუთები, შრომის  
ნლები...

ტელევიზორი გაუვარდა ხელიდან, მანქანა, სახლი,  
მზე და მთვარე გაუვარდა და დაეფშენა...  
მეგობრებმა და ახლობლებმა თავად ისკუპეს...  
გული ისე უფართხალბდა, ეგონა,  
გულიც ცდილობდა მის მიტოვებას...  
ხელები მომუჭა, ძალიან არ უნდოდა, ჰაერიც დავარდნოდა...  
ულონობისაგან ფეხზე ძლივს იდგა,  
მალე თავადაც დაეცემოდა,  
როგორც ბოლო ღერი სიგარეტი ან ბოლო ხურდა...  
ყვირილიც დაუვარდა და ველარ იყვირა,  
ვერავის ვერაფერი გააგებინა...  
იდგა ასე, იმწვარებოდა...  
ვედრების უკანასკნელ ჩუმ სიტყვებს ყრიდა ძირს...  
და გუმანმა უკარნახა უცებ, რომ  
ერთი რამ მაინც შეეძლო შეენარჩუნებინა...  
არ იცოდა, რა, მაგრამ  
მომუჭული ხელები მაინც კიდევ უფრო მომუშტა –  
„არ გამივარდეს, არ გამივარდეს, არ გამივარდეს...“ –  
უმეორებდა საკუთარ თავს და თრთოდა...  
მუშტავდა და მუშტავდა ულონო ხელებს...

კისერზე კი ჯვარი ეკიდა...

ჯვარი, ძირს დაცვენილ ნივთებსა და არსებებს  
თავისკენ რომ იზიდავდა...  
დაეძაგრა, დაუმძიმდა კისერი...  
დაიხედა...  
სიგარეტის ნამწვი ასწებებოდა ჯვარს,  
ხურდები, ბოთლის ნამსხვრევები...  
ნამსხვრევები მთლიანდებოდა...  
თოთო ბავშვის სხეული იგრძნო გულ-მკერდზე,  
მიხვდა, უბრუნდებოდა არაქათი,  
მზე და მთვარე, ყველაფერი...

მუშტებში ჩამწყვდეული ჰაერი ჰაერზე გამოუშვა,  
ამოისუნთქა,  
„მადლობა მაგნიტო...“ – თქვა.

**შავი**

შავი ფერი მიყვარდება ხანდახან და  
სიმღერას ვინყებ:  
შვავდება შავი... შავი შვავდება,  
შავდება შვავი...

სიმღერას ვინყებ,  
გული ცეკვავს,  
დასალიერზე  
აფრა შავფრად  
მოჩანს, შარფად კი  
მეგრაგნება კისერზე  
ჰანგი...

თეთრი, ნითელი, მწვანე, ლურჯი  
ფერდება ფერი.  
ფერდება ზღვის და უფსკრულის შიგან  
და მხოლოდ შავი  
რჩება ჩემსა და თქვენს შორის და  
სიმღერას ვინყებ:  
ნულა შიშობთ,  
მომეახლეთ,  
გამიპეთ გული...

გაშავდა შავი... შავი გაშავდა,  
საიმედოდ გაშავდა შავი...

**სელოცვა**

სეგან უდა გავდენო  
სენი ყელა სენი.  
ხოლოდ უდა დავთოვო  
სიყარულის ენა.

სააგაოს სედისგან  
უდა დაგასენო.  
ნიდა ნალი გაფქურო,  
უდა დაგასელო.

თქფილი სითვა ვანეთო  
სენ ყუს მოსასენად.  
იქ ვილერო, საცაა  
სენი გულის სენა.

ასე უდა გავდენო  
სენი ყელა სენი.  
ხოლოდ უდა დავთოვო  
სიყარულის ენა.

**როცა გადაიკარებს**

ნაწვიმარზე ჩიტები  
რწყულდებიან გუბეთი,  
მალე გადაიკარებს,  
და ცის ლურჯი გუმბათი  
დაედგმება თავიდან  
წუთისოფლის მოედანს,  
ფესვი ბნელი იქნება,  
ვარჯი – ოქროცურვილი.

დაიყვებო გლახაკთა  
 გულის ნუხილს ბულბული,  
 ეკლესიის გუმბათებს  
 აირეკლავს გუბურა  
 და კორპუსებს, ერთურთზე  
 უმონყალოდ მიჯრილებს.  
 ნანვიმარზე პაემნით  
 თავს ითრობენ მიჯნურნი,  
 და არავინ თითქოსდა  
 არვის გადაიყვარებს...

ასე არი, როცა კი  
 ცაზე გადაიკარებს...

\* \* \*

ესაა უტყუარი:  
 ზეცა დაინისლა,  
 მანქანამ გაიქროლა,  
 ღმერთი მაღალია.  
 ესაა უტყუარი:  
 მე და შენ ერთადა ვართ,  
 ბავშვმა ჩათვლიმა და  
 ლოცვამ გაიღვიძა.  
 ესაა უტყუარი:  
 სიკვდილი ახალია,  
 სიცოცხლე დაძველდა და  
 ფიქრმა მოითმინა.  
 ესაა უტყუარი:  
 შტეფსელში სინათლეა,  
 ნიგნში საოცრება,  
 გულში სიყვარული.

\* \* \*

დღეს შემოდგომა დავაარსეთ ამ ქალაქში...  
 დავაარსეთ ყვითელი ბაღი ფეხქვეშ ხრამუნით,  
 ანუელი სახელოები, პირიდან ორთქლი,  
 გაურკვეველი სევდა გულში და  
 ცაცხვთა რიგის გამჭვირვალეობა...

დღეს შემოდგომა დავაარსეთ ქალაქში და  
 თითქმის ყველა ტელეარხი ექსკლუზიურ  
 რეპორტაჟებს თხზავდა ამაზე...

ჩვენ კი ვისხედით კვლავაც ზაფხულში,  
 აჟიოტაჟს გარიდებულნი,  
 და ერთმანეთს ვუმონმებდით  
 შიშველ მკლავებს,  
 ცვარს შუბლზე და  
 სიმწვანის ვნებას...

### ზეცის დაკოლტა

მე თუ ვარ ზეცის,  
 შენ თუ ხარ მიწის,  
 ეგ მწკლარტე გული  
 ტკბილ სულთან მიწი,

და სცადე:  
 მკერდს – ავს,  
 ჯადოქარ  
 მკერავს

ანდობდე,  
 რათა,  
 სამოთხის  
 კართა

დახურვის  
 შემდეგ  
 საზარელ  
 ზემდეგს

უთხრა: შენ სანამ  
 ეშმის ძვალს ტკვერდი,  
 დეკოლტედ ზეცის  
 ჩამეხა მკვერდი.

### სიყვარული მათემატიკა

სიყვარულის სამკუთხედი,  
 სიყვარულის წრეო,  
 რახანია მასზე ვფიქრობ,  
 მასზე ვდარდობ, ვწერო.

სიყვარულის მართკუთხედი,  
 სიყვარულის კუბიო,  
 და შენს გულში გარჭობილი  
 სიყვარულის შუბიო.

სიყვარულის ოთხკუთხედი,  
 სიყვარულის რომბიო,  
 ვარ რაინდი სიყვარულის,  
 შენ კი მისი გომბიო.

სიყვარულის პირამიდა,  
 პარალელებიპედიც,  
 ოღონდაც კი – რა თქმა უნდა,  
 სიყვარულის იმედი!

სიყვარულის ტრაპეცია,  
 სიყვარულის ქორდა,  
 ვისაც სიყვარული ჰქონდა –  
 ყველაფერიც ჰქონდა!

ნორმან მეილერი დაიბადა 1923 წელს, ლონგ ბრენში, ნიუ ჯერსის შტატი. ბავშვობა ბრუკლინში გაატარა, სწავლობდა ჰარვარდის უნივერსიტეტში 1939-40 წლებში და აერონავტიკის ინჟინერი გახდა. უნივერსიტეტში სწავლისას დაიწყო წერა.

1944 წელს ჯარში გაინვიეს, მსახურობდა ფილიპინებზე 1946 წლამდე, ტეხასის ჯავშნოსანი კავალერიის ჯარისკაცად.

1948 წელს დაწერა „შიშველი და მკვდარი“, სადაც აღწერა მეორე მსოფლიო ომში მიღებული შთაბეჭდილებანი, იმავე წელს ჩაირიცხა სორბონის უნივერსიტეტში. წიგნმა ფინანსური წარმატება მოუტანა და ომის შესახებ დაწერილი თხზულებებიდან ერთ-ერთ საუკეთესოდ აღიარეს შეერთებულ შტატებში.

სხვა წიგნებიდან აღსანიშნავია: „თეთრი ზანგი“, „სოციოლოგიური და ნახევრად ავტობიოგრაფიული ესეი – თვით ავტორის აზრით, საუკეთესო მის წიგნებს შორის

„საკუთარი თავის რეკლამა“ – ექვების, ნოველების, ინტერვიუებისა და ჟურნალისტური სტატიების კრებული 40-50-იან წლებში.

„ვიეტნამში რა გვინდოდა“ – ვიეტნამის ომის წლების ამსახველი რომანი.

მისი ჟურნალისტური ტალანტი გამოჟღავნდა „ლამის არმიებში“; ეს გახლავთ მოგონებები 1968 წლის ვაშინგტონის მშვიდობიანი დემონსტრაციებისა, რაშიც ავტორიც მონაწილეობდა და ციხეშიც იჯდა ამის გამო. ამ წიგნმა პულიცერისა და ნეშენალ ბუკის პრემიები მოიპოვა

ერთხელ პოლიტიკაშიც სცადა ბედი და ნიუ-იორკის მერის არჩევნებში იყარა კენჭი, ხმების 6% მოაგროვა და ხუთ მონინალმდეგეს გაუსწრო.

„მაიამისა და ჩიკაგოს ალყაში“ რესპუბლიკელთა და დემოკრატიების 1968 წლის კონვენციებია დოკუმენტურად აღწერილი.

სისატიკის თემას შეეხება რომანი „ჯალათის სიმღერა“, დაფუძნებული ნამდვილ ამბავზე – მკვლელ გარი გილმორის სიკვდილით დასჯისა.

„მეძავის აჩრდილი“ ეპიკური *tour de force*-ია ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (CIA) ორი თაობის შესახებ.

„ოსვალდის ამბავი“ ჯონ კენედის მკვლელობის სტერეოტიპურ გადმოცემათა მიღმა გვახედებს და გვიყვება ოსვალდის თავგადასავალს, მინსკიდან დალასამდე.

მეილერის ბოლო რომანს ჰქვია „სახარება ვაჟიშვილისა“ და პირველ პირშია გადმოცემული ძალზე ადამიანური ცხოვრება იესო ქრისტეში.

ამბობენ, „მეძავის აჩრდილის“ გაგრძელებაზე მუშაობსო.

მიღებული აქვს ნეშენალ ბუკის პრემია მწერლობაში 1969 წელს და ორჯერ პულიცერის პრიზი 1969 და 1980 წლებში.

იყო დამფუძნებელი და გამომცემელი ჟურნალებისა.

მისი „ირმების პარკი“ პიესად გადააკეთეს და წარმატებით იდგმებოდა ბროდვეიზე.

ერთ-ერთი ნამყვანი ამერიკელი მწერალია, დიდობაზე რა მოგახსენოთ; მისი რომანების მიხედვით ფილმებია გადაღებული.

ექვსჯერ დაქორწინდა და ცხრა შვილი ჰყავს.

ნორმან მეილერი

# სიტყვა

ნარმოთმშული  
ნაშინალ გუპის პრემიის  
მიღების ცერემონიაზე  
2005 წლის 16 ნოემბერს



უსწაური ღამეა. ჯერ ლარი ფერლინგეტის ვწყველიდი, იმიტომ, რომ ყველაფერი თქვა, რის თქმასაც ვაპირებდი, და მერე იმიტომ რომ ტონი მორისონისაგან მივიღე ჯილდო. ვფიქრობ, ეს იმის მაჩვენებელია, რაკი იგი ჩემზე ლაპარაკობდა, რომ ქალებს აღარაფერში ვარგივარ. ამან ჩემი ცოლი გამახსენა, მას 50 პეანი ჩაესმის, როცა მაქებენ და როცა ოდნავ მაკრიტიკებენ, და მხოლოდ ის ოდნავი კრიტიკა ამახსოვრდება.

ასე რომ, ქალებს აღარაფერში ვარგივარ, მაგრამ ვდარდობ მათ გამო. რაც უნდა იყოს, მაღლობას ვუხედი ტონი მორისონს, განსაცვიფრებელი სულგრძელობის გამო. ჩემს უკეთეს წლებში ასეთი დიდი წარმოდგენა მქონდა ჩემს თავზე, მაგრამ არა ჩემს ცუდ მხარეებზე.

ახლა სიტყვა უნდა ვთქვა, სიტყვა, რომლის გამოც ვწყველიდი ფერლინგეტის. საინტერესო ის არის, რომ სიტყვა, რომელიც ამ ღონისძიებაზე უნდა წარმოეთქვა, წამოსვლისას შინ დამრჩა. ათი წუთის გამოსულები ვიყავით შინიდან, რომ ავუყვირდი ჩემს ცოლსა და ერთ-ერთ ვაჟიშვილს, „უნდა დავბრუნდე, უნდა დავბრუნდე, სიტყვა სხვა კოსტუმის ჯიბეში დამრჩა,“ ასეთი რამ არასოდეს მომსვლია, ნულარც მომივა ნულარასოდეს.

რაც არის, არის. ამ წლებში ბებერი ეტლების ოსტატის გრძობა გამიჩნდა, ვინც თავისი ხელობის გაქრობის მოწმეა ავტომობილთა შემოჭრის შემყურე. სერიოზული რომანი მალე ისეთსავე საფრთხეში აღმოჩნდება და ისეთივე მდულარე, ცრემლიანი მწუხარებით განვადიდებთ, როგორც გასაქრობად განწირულ ცხოველებს ვაცილებთ. დღევანდელ ლიტერატურულ მსოფლიოში ყველაფერს შეხვედები, გარდა გამოუთქმელი სირცხვილისა. ვნება, რაც მკითხველებს სერიოზული რომანის მიმართ ჰქონდათ, დაჭკნა, და მართლაც, თვით ამ აუდიტორიაში მსხდომთაგან, მრავალთ, მეტ სიამოვნებას მოგანიჭებთ კარგი რომანის გამაცამტვერებელი კრიტიკა, ვიდრე კარგი და სერიოზული წიგნისაგან მომდინარე ხელოვნება.

ამასობაში გვეუბნებიან, რომ ლიტერატურა წინ მიდის და უფრო მეტ რომანებს კითხულობენ ახლა, ვიდრე აქამდე. ეგებ მართალიც არის. საქმე ისაა, რომ ასეთი – წარმატებული – პროზის დიდი უმრავლესობა მალე ავიწყდებათ. დიდი რომანის მიზანია არა შეენიოს ვინმეს გაჭირვებას, არამედ შევიდეს მავანის ცხოვრებაში, შეცვალოს კიდეც ის. დიდი რომანი თვითმფრინავით მგზავრობისას დროს ვერ მოგაკვლევინებს, ფურცლებს იოლად ვერ გადაშლი. არის საშიშროება, რომ სერიოზული რომანი ჩვენი ტექნოლოგიური, კიბერნეტიკული და სარეკლამო მსოფლიოს სქოლიოდ გადაიქცეს. ბუნების უხეშ-

მა ცხოველმა მისაკუთარ ბაზრის ადგილი. კარგი, სერიოზული რომანი და, რა თქმა უნდა, იშვიათი, დიადი რომანი სახიფათოა ბაზრისათვის. ამიტომ წარმატებას მომავლის ყველაზე მეტად მაქებარი რომანები მიაღწევენ, რადგან იგივე ნაკლი აქვთ თანამედროვე ხარბსა და ამბიციურ მსოფლიოსთან მიმართებისას, რაც მშვენიერ პოეზიაში შეიმჩნევა. ასე რომ, ძალიან მალე სერიოზული რომანი ველარაფერს დაამავებს, რადგან საოჯახო ხარა-ხურის შესანახ თაროზე შემოიდება

თუ ეს პირქუში წინასწარმეტყველება მართალია, ის მაინც ვნახოთ, თუ რა შეიძლება დავკარგოთ. ცივილიზაცია სახიფათო ტრანსპორტად გადაიქცა, საშინელი ბედისწერისკენ რომ მიშვილებს. განა დაბრმავებულ გოლიათს არა ჰგავს? მეტისმეტადაა დაბრმავებული ამბიციებითა და ომებით, მისი უზარმაზარი კიდურები შეწყობილად ველარ მოძრაობს, ვერ პასუხობს ხოცვა-ჟლეტის უპასუხო კითხვებს, თვით ფორმალური რელიგიაც კი ყოვლად კეთილსა და ყოვლად ძლიერ ღმერთს მოითხოვს. მაშინ, როცა ფუნდამენტალისტები მანიაკური შემართებით ღვთის სამართალზე გაჰყვირიან, ლიბერალები თავის უძლეობას დასტირიან. განმანათლებლობის დიადი ნათელი, რომელმაც გაამყარა მათი უფლებანი, ბოლო სამი საუკუნის მანძილზე, მბუჭებდა ნათურად გადაიქცა. სამხედროები კარგს იზამენ, თუ მაქს ერნესტისა და სალვადორ დალის შემოქმედებას გაეცნობიან, რადგან ომი სიურეალისტური გახდა

რას შესთავაზებს დიადი რომანი ასეთ მსოფლიოს? შესაძლოა რომანისტმა, თუ მისი ტალანტი ღრმად, გამოიცნოს კიდევ გამოცანა, რასაც ნამყვანი დარგები ვერაფერს უხერხებენ. ჩვენი სფერო, ჩვენი ადგილი, ჩვენი ნათელი არ მოედინება ისეთი მოძღვრებიდან, რასაც საუკუნეთა მანძილზე თავის დარგში წარმატებისათვის სხვის ხარჯზე მიუღწევია. ჩვენ მოძღვრებაზე კი არა ვართ მიბმული, არამედ საკუთარ გამოცდილების განვითარებაზე. ასე რომ, მხოლოდ მცირედი რჩეული რომანი მზად ჩასწვდენ გამოცდილებას ზნეობრივი სრულყოფის დონემდე, რაც სხვა პროფესიებს არ შეუძლიათ.

მეორე მხრივ, რომანისტები იშვიათად არიან გმირები, მორცხვნი არიან, გაუბედავნი, ჯიუტნი, ბავშვობაში გათამამებულნი და უქნარანი, ასე რომ, მათი ხედავც შესაძლოა ასტიგმატური იყოს. და მაინც, ცდილობენ ღირსეულად ატარონ თავისი პროფესიის ტვირთი და წარმოაჩინონ ჭკრეტა, რაც კარგ მკითხველებს გაამდიდრებს და ცხოვრების აზრს აპოვინებს. ვისი ალქმა საზოგადოების არ გამხდარა უფრო გამჭრიახი პრუსტის ნაკითხვის შემდეგ? ვინ არ შეიცნობს უფრო მეტს ენის შესახებ ჯოისთან შეხვედრის შემდეგ? ვინ იტყვის, რომ თანაღმობა არ გაუძლიერდა ტოლსტოის რომანებში ცხოვრების ნაკითხვის შემდეგ?

მაშ სად არიან მომავალი ტოლსტოები, მომავალი ჯოისები, დოსტოევსკები, პრუსტები? ნება მომეცით აქ შევჩერდე და მივესალმო გამარჯვებულებს, ვისთვისაც ჯერ ჯილდო არ გადაუციათ. დაე მათ განგვაკვიფრონ თავისი ჭკრეტის ძალით. დაე მათ შორის იყოს თეოდორ დრაიზერი და ჰერმან მელვილი. მაღლობს გიძღვნი ამ საღამოს მიღებული ჯილდოსათვის და ერთ ბოლო შეკითხვას დავამატებ: განა ინგლისელი ერი ასეთი დიადი იქნებოდა უშექსპიროდ? განა ირლანდია ასე აყვავდებოდა, როგორც დღეს არის, უჯოისოდ? გმადლობთ.

**რედაქციის მინაწერი:**

ნორმან მეილერს „ნეშენალ ბუკ-ის“ 2005 წლის პრემია მიენიჭა ამერიკულ მწერლობაში გამორჩეული წვლილისათვის.

სხვა გამარჯვებულები არიან:

ახალგაზრდულ ლიტერატურაში – **ჯინ ბირდსოლი**, ნიგნისათვის „პენდერვიკები“, რომანი ოთხი დისა და მათი ქვრივი მამის ცხოვრებას შეეხება.

პროზაში – **უილიამ ტ. ვოლმანი**, ნიგნისათვის „ევროპა ცენტრალი“. ნიგნი შედგება ჩანახატების, ნოველებისა და რომანისაგან, მეორე მსოფლიო ომის თემაზე.

დოკუმენტურ პროზაში – **ჯოან დიდიონმა**, ნიგნისათვის „ჯადოსნური ფიქრის ნელინაი“, ნიგნი შეეხება ავტორის ფიქრებს ქმრის მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ.

პოეზიაში – **პ. შ. ერვინს** კრებულისათვის „მიგრაცია: ახალი და რჩეული ლექსები.“

**მარგარეტ დიურა**

**მატერიალური ცხოვრება**

მარგარეტ დონადიე, რომელიც მოღვაწეობს მარგარეტ დიურას ფსევდონიმით, დაიბადა 1914 წლის 4 აპრილს ჟია დინში, საიგონის გარეუბანში. მარგარეტ დონადიე ბავშვობას ვიეტნამში ატარებს. 1932 წელს იგი საიგონს სტოვებს და საფრანგეთში სახლდება, სადაც 1963 წელს იურისტის დიპლომს იღებს. 1943 წელს მარგარეტ დონადიე, რომელიც ამ დროისათვის რობერ ანტელმის მეუღლეა, ქმართან ერთად წინააღმდეგობის მოძრაობაში ეწევა. ამავე წელს გამოსცემს თავის პირველ ნაწარმოებს „ურცხვები“ მარგარეტ დიურას ფსევდონიმით. მისი შემოქმედება

მრავალფეროვნებით გამოირჩევა, მრავალი ავტობიოგრაფიული რომანის და თეატრალური დრამის ავტორია.

1987 წელს გამოდის კრებული „მატერიალური ცხოვრება“, რომელიც აერთიანებს მარგარეტ დიურას საუბრებს ჟერომ ბოჟურთან. ამ ნიგნის ნააზრევს ალბათ ყველაზე მეტად ასახავს თვით ავტორის შესავალი სიტყვა, რომელიც წინ უძღვის მას.

მარგარეტ დიურა გარდაიცვალა 1996 წელს.

**წინასიტყვა**

ამ ნიგნის წერა დროის გაყვანაში დაგვეხმარა. შემოდგომის დაწყებიდან ზამთრის ბოლომდე. ზოგიერთი გამოცანის გარდა, ყველა ტექსტი ჟერომ ბოჟურისთვის იყო მოთხრობილი. როდესაც რეცენზიაზე მუშაობა დასრულდა, მე ტექსტების შესწორებაზე გადავედი, ჟერომ ბოჟური კი, თავის მხრივ, მათ კითხულობდა. თავიდან გაგვიძნელდა. ძალიან მალე მივხვდით, რომ შეკითხვებს აზრი არ ჰქონდა და შევეშვიტეთ მათ დასმას. შემდეგ შევხვით ფაბულას, თუმ-

ცა მასაც მალე გავანებთ თავი. სამუშაოს ბოლო ეტაპი ტექსტების შემოკლებას დავუთმე, მათ შემსუბუქებას, შერბილებას. ყოველივე ეს – ჩვენი საერთო გადაწყვეტილებით. ასე რომ, არც ერთი ტექსტი არ არის ამომწურავი. არც ერთი არ ასახავს მთლიანობაში იმას, რასაც აქ წარმოდგენილ საკითხზე ვფიქრობ, ვინაიდან განსაკუთრებულს არც არაფერს ვფიქრობ არაფერზე, გარდა იმისა, რაც სოციალურ უსამართლობას ეხება. წინამდებარე წიგნი ყველაზე მეტად ასახავს იმას, რასაც ზოგიერთ დღეს, ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით ზოგჯერ ვფიქრობ ხოლმე. მაშასადამე, ის ჩემს ნაფიქრს წარმოადგენს. მე არ ვატარებ ჩემში ტოტალიტარული, ვგულისხმობ – კატეგორიული ფიქრის განაცხადს – საბედნიეროდ, თავიდან ავიცილე ეს სენი.

რამდენადაც არ არსებობს წიგნი დანიშნულების გარეშე, ამ წიგნს არც დასაწყისი აქვს, არც ბოლო, და არც შუა ნაწილი. ეს წიგნი მათ რიცხვს არ მიეკუთვნება. ის არც დღეურია, არც ჟურნალისტური ძიებანი, ის ყოველდღიურობამ შვა. ჩავთვალოთ, რომ საკითხები წიგნია. შორს არის რომანისგან, თუმცა წერის მანერით უფრო მისი მსგავსია (საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ზეპირსიტყვიერებიდან დაიბადა), და არა ჰგავს ყოველდღიური გაზეთის მონიწივე სტატიას. თავიდან ვყოყმანობდი წიგნის გამოქვეყნებას, მაგრამ ვერც ერთი დაგეგმილი, ან არსებული ნაშრომის ნყოფა ვერ მოიცავდა „მატერიალური ცხოვრების“ ამ გარდამავალ მანერას წერისას, არ მოიცავდა ამ უკუქცევით პროცესს საკუთარ თავსა და კვლავ საკუთარ თავს შორის, ჩემსა და თქვენს შორის დროის იმ სივრცეში, რომელიც ჩვენთვის საერთოა.

**ალკოჰოლი**

რამდენიმე ზაფხული სრულ მარტოობაში გავატარე ალკოჰოლთან ერთად, ნოფლში. ხალხი მხოლოდ შაბათ-კვირას თუ ჩამოდიოდა, დანარჩენი დრო მარტო ვრჩებოდი დიდ სახლში და სწორედ მაშინ გახდა ალკოჰოლი დიად მნიშვნელოვანი ჩემთვის. ალკოჰოლი ის არის, რაშიც მარტოობა ირეკლება და საქმე მთავრდება იმით, რომ მას ყველაფერს ანაცვალევენ ხოლმე. დაღვეის წყურვილი როდი ნიშნავს სიკვდილის გამოხმობას, სრულიადაც არა. მაგრამ დაღვეისას ყოველთვის ფიქრობ, რომ თავს იკლავ. ცხოვრება ალკოჰოლთან ერთად ნიშნავს სიკვდილთან იყოფდე სარეცელს. სიმთვრალეში, ალკოჰოლით სიგიჟემდე გონება დაბინდულს, თავის მოკვლას მხოლოდ იმის გააზრება გიძლის, რომ ერთხელ თუ მოკვდები, მეტს ველარასოდეს დაღვე. თავდაპირველად ერთი-ორი ჭიქა ღვინის სმა და ვინცე დღესასწაულებსა თუ პოლიტიკურ თავყრილობებზე მოხვედრისას, შემდეგ ვისკიც მივაცოლე. ორმოცდაერთი წლისა ალკოჰოლის მოყვარულ კაცს შევხვდი, რომელიც თუმცა ყოველდღიურად სვამდა, მაგრამ ზომიერად. მას ძალიან მალე გადავაჭარბე. ყოველივემ ათ წელს გასტანა. მივედი ციროზამდე, სისხლიან ღებინებამდე. ათი წლით შევწყვიტე სმა. ეს თავდაპირველად. მერე ისევ ხელახლა და-



მარგარეტ დიურა

ვინცე ლოთობა და ისევ შევწყვიტე. არც ვუნცი – რატომ. შემდეგ სიგარეტის მონევას დავანებე თავი და ეს მხოლოდ დაღვეისას შემეძლო. ახლა მესამედ მაქვს დანებებული – აქ ვარ შეჩერებული. არასოდეს მომიწევია ოპიუმი და არც ჰაშიში გამობოლებია. მაგრამ „ასპირინის ნარკომანი“ კი გავხდი ბოლო თხუთმეტი წლის მანძილზე მისი ყოველდღიური მოხმარებისას. არასოდეს შევმჯდარვარ ნარკოტიკებზე. თავიდანვე ვისკით ვინცებდი, ან კალვადოსით, რომელთაც მე უფერულ, ფერმკრთალ ალკოჰოლს ვუნოდებდი, შემდეგ ლუდით, ან ველის ვერბენიანი ნაყენით გავაგრძელე – ამათზე უარესი რა შეიძლება იყოს ღვიძლისათვის... საბოლოოდ კი ღვინის სმას მივყავი ხელი და ველარ გაეჩერებულვარ.

სმა დავინცი თუ არა, მაშინვე გავლოთდი. თავიდანვე ლოთივით მივეძალე სასმელს. ყველა ჩამოვიშორე, მთელი ქვეყნიერება უკან მოვიტოვე. თავდაპირველად მხოლოდ საღამოობით ვსვამდი, მერე დღისითაც ვამატებდი, შემდეგ დილაობით დავინცი სმა. საბოლოოდ კი უკვე ღამიდან ვლოთობდი. დასაწყისში თითოჯერ ვსვამდი ღამეში, მერე – ყოველ ორ საათში ერთხელ. სხვანაირ კაიფში არასოდეს გავთიშულვარ. ყოველთვის ვიცოდი, რომ თუ ჰეროინზე შევჯდებოდი, ესკალაცია ძლიერ აჩქარებული იქნებოდა. ვსვამდი ყოველთვის კაცებთან ერთად. ალკოჰოლი მიბმულია სექსუალური ძალადობის მოგონებასთან, თითქოს მას ასხივებს, მასზეა მიჯაჭვული. მაგრამ მხოლოდ წარმოსახვაში. ალკოჰოლი დაკმაყოფილების გრძნობას ჩაენაცვლებს, თუმცა მის ადგილს ვერ იკავებს. საზოგადოდ, სერიოზული სექსუალური პრობლემების მქონენი არ არიან ლოთები. ყველა ლოთი, თუნდაც მინასთან გასწორებული, ინტელექტუალია. შორიდან თუ შევხედავთ, პროლეტარიატი, რომელიც ამჟამად უფრო ინტელიგენტური ფენაა, ვიდრე ბურჟუაზიის კლასი, და შესაბამისად მეტად მიდრეკილია ალკოჰოლისადმი, ასეა მთელს მსოფლიოში. საბოლოოდ სხვადასხვა საქმიანობათა შორის ყველაზე მეტად ხელით შრომა განაწყობს ადამიანს რეფლექსიისადმი, ანუ სხვანაირად – სმისადმი. ჩვენგან იდეის ისტორიას სიღრმისეულად. ალკოჰოლი ადამიანის ალაპარაკებას უწყობს ხელს. ეს სპირიტუალური შლეგი აზრი ყოველგვარ ლოგიკასა მოკლებული, თითქოს გონი გიჟურად ეძიებს იმის მიზეზს, თუ რატომ ამთავრებს ჩვენი საზოგადოება – უსამართლობის ეს სამფლობელო – ყოველთვის მსგავსი უიმედობით. ლოთი ზოგჯერ უხეშია, მაგრამ იშვიათად – ბილნი. ზოგჯერ იგი მძვინვარებაშია და კლავს. როდესაც ბევრს სვამ, უბრუნდები სანუთროს ჯოჯოხეთური ბრუნვის ციკლს, მის ამოსავალ ნერტილს. ბევრს საუბრობენ ბედნიერებაზე, ამბობენ – შეუძლებელიაო, თუმცა უდავოდ ესმით, თუ რას უნდა ნიშნავდეს ეს სიტყვა.

ღმერთი გვაკლია. ეს ის სიცარიელეა, რომელსაც ერთ მშვენიერ დღეს აწყდები სიყმანვილეში და რომელიც გარდაუვალია. ალკოჰოლი იმისთვის არის მოგონილი, რომ ადამიანმა სამყაროს სიცარიელის ზიდვა შეძლოს, რთა გადაიტანოს პლანეტების უსასრულო სრბოლა, მათი უსულგულო როტაცია სივრცეში, მათი სიჩუმე და გულგრილობა თქვენი ტკივილისადმი. ადამიანი, რომელიც სვამს – ინტერ-

პლანეტარული არსებაა. მისი მოძრაობა – ესაა გადაადგილება პლანეტათშორის სივრცეში. სწორედ აქაა მუქარა და ფარული. ალკოჰოლი როდი ამჟღავნებს, ის ვერაფრით ავსებს ინდივიდის ფსიქოლოგიურ სივრცეებს, არამედ მხოლოდ უღმერთობის ჩანაცვლებას ღამობს. ის ადამიანს ვერ აოკებს, უფრო პირიქით. ალკოჰოლი, განამტკიცებს რა შინაგანად ადამიანს თავისივე სიშლეგეში, გადაანაცვლებს მას ისეთ სუვერენულ სფეროებში, სადაც თვითონაა საკუთარი ბედის გამრიგე. არცერთი სულიერი, ვერც ერთი არსება, თუნდაც ქალი, არანაირი პოეტური თუ ლიტერატურული ქმნილება, ვერანაირი მუსიკა, ვერც ერთი მხატვრული ტილო ვერ ცვლის ალკოჰოლის იმ ფუნქციას, რომელიც მას ადამიანთან მიმართებით აქვს – უმნიშვნელოვანესი ქმნილების კრეაციის ილუზია. ის მუდამ იქ არის, მის ჩასანაცვლებლად. და ამას აღწევს იმ ადამიანებში, რომლებსაც უნდა ეწამათ ღვთისა, მაგრამ აღარა სწამთ. ალკოჰოლი სტერილურია. სიტყვები, თქმული წყვილია, სიმთვრალი-სას, მერქალდება, ქრება სინათლის შუქზე. სასმელი ვერ ქმნის, ვერ გამოხატავს თავის რაობას სიტყვებში, ის ბინდავს გონებას, თუმცა ერთგვარად იცავს მას და ასვენებს. მილაპარაკია სიმთვრალეში. ტოტალური ილუზიაა: გგონიათ – რასაც ამბობთ, დღემდე თქვენამდე არავის უთქვამს. მაგრამ ალკოჰოლი არაფერს ქმნის ღირებულს. ის ქარია თითქოს. სიტყვების მსგავსი. დამინერია სიმთვრალეში, უნარი შემწვედა, ღირსეულად, პატივის მიგებით მოვკიდებოდი ამ მდგომარეობას, გასაგებია – ლოთობა ხომ შიშის ზარსა მცემდა. არასოდეს დამიღვია თრობისთვის. და არც სულმოუთქმელად შემისვამს ოდესმე. მუდმივად ვსვამდი, მაგრამ არა გაღებამდე. სრულიად ვცილდებოდი საწუთროებს, მიუღწეველი ვიყავი, მაგრამ არასოდეს – ლეში.

არის გალოთებულ ქალში რაღაც ცხოველური, ან თითქოსდა ბავშვურიც, იმავდროულად. ალკოჰოლიზმი სკანდალს მოასწავებს მსმელი ქალისათვის: ლოთი ქალი იშვიათობაა, ესე იგი სახიფათოა. ღვთიური ბუნება საფრთხეშია. ჩემს ირგვლივაც მსგავსი სკანდალი ამტყდარა. მაგალითად, ადრე, ჩემს დროს, ღამით ბარში შესასვლელად და საზოგადოებასთან პირისპირ შესახვედრად შინაგანი ძალების მოკრება იყო საჭირო, ამის მისაღწევად, წინასწარ უნდა დაგეგმია.

იმ მწარე სიმაართეს, უზომოდ მოგდის სმაო, დაგვიანებით უმხელენ ადამიანს. „შენ ერთობ ბევრს სვამ“. ყოველთვის აღმამფოთებელია ამის გაგონება. საკუთარ თავს არასოდეს უტყვებდნენ ლოთობაში. ყველა შემთხვევაში ამის გაგონება შეურაცხყოფად აღიქმება. „თქვენ ამას იმიტომ მეუბნებით, რომ ჩემი გშურთ“. უბედურებას უკვე ღრმად ჰქონდა ჩემში ფესვები გამდგარი, როდესაც სიმართლე მითხრეს. ჩვენი საარსებო სივრცე პრინციპებით არის შემოზღუდული. ადამიანებს მიუშვებენ ხოლმე გარკვეულ ზღვრამდე, დე, მისიკვილდნენ. ვფიქრობ, ნარკომანთა შემთხვევაში სკანდალურობის ეს ელფერი არ შეიმჩნევა. ნარკოტიკი ნამალზე დამოკიდებულ ინდივიდს სრულად ჩამოაშორებს ხოლმე დანარჩენ კაცობრიობას. ის ქარდაქარ კი არ მიატოვებს ინდივიდს, ან უპატრონოდ კი არ გარიყავს ქუჩაში, მიუსაფრად. ალკოჰოლი და ქუჩა, საყუდარი, სხვა ლოთები – განუყოფელი ერთმანეთისაგან. ნარკოტიკი ხანმოკლეა, სიკვდილი მსწრაფლ მოდის, ეს სიმუნჯეა, წყვილია, ამოქოლილი წარსული, უძრაობა. არაფერი მანუგემებს, როდესაც არა ვსვამ. მას მერე, რაც სმას მივანებე თავი, სიმპათიით ვიმსჭვალე იმ ლოთისადმი, ადრე რომ ვიყავი. მართლაც ზედმეტი მომ-

დიოდა. ჩემს დასახმარებლად დაირაზმნენ, მე კი ვყვები ამაზავს ჩემზე და არა ალკოჰოლზე. ეს ისე მარტივია, დაუჯერებელია პირდაპირ, ნამდვილი ლოთები ძალიან სადა და უბრალონი არიან. აქ სატანჯველს ეკრძალება გათანგოს ტანჯული. სისულელეა იმის თქმა, რომ მანანალები უბედურნი არიან. დილიდან ღამემდე ლოთობენ, ოცდაოთხი საათი. რაც თავს გადახდება, მხოლოდ ქუჩაში შეიძლება შეემთხვათ, არსად სხვაგან. 1986-1987 წლების მიჯნაზე, ზამთარში, შავი ლვინის ერთი ლიტრის დათმობას თავშესაფარში ღამის გათევის სანაცვლოდ მათ სიცივე და სიკვდილის რისკი ამჯობინეს. ვერავინ მოუძებნა ახსნა, თუ რატომ არ აფარებდნენ თავს შეთავაზებულ ნავსაყუდელს და ყოველივე კი ასე იყო დანამდვილებით.

ყველაზე უმძიმესი ღამის საათები როდია. მაგრამ თუ უძილობა გჭირთ, მაშინ ღამე მართლაც სახიფათოა. ალკოჰოლის არც ერთი წვეთი არ უნდა გააჭაჭანოთ შინ. იმათ რიცხვს ვეკუთვნი, ვინც თითო ჭიქის დაღვევით იწყება სმას. არ უნცი, რას გვინოდებს მე დღეცინა.

სადგურის მუშაობას ნაავსავს ლოთის სხეული, ეს სხვადასხვა ნაწილებია, პიროვნების მიერ ბმული ერთ მთლიანობაში. პირველად ზიანდება ტვინი. აზრი, გონი. წართმეულია ბედნიერება, მიტაცებული აზროვნებიდან გამომდინარე, და შემდეგ უკვე სხეული. ნაგებულია, დამძიმებული სასმელით, და წარტაცებული – ზუსტი სიტყვაა: წარტაცებული. მხოლოდ გარკვეულ დრომდე არსებობს არჩევანი: თრობა უგონოდ, პიროვნების წაშლამდე, პირადობის დაკარგვამდე თუ პიროვნებად დარჩენა, გაჩერება ბედნიერების ზღურბლზე. ყოველდღიურად კვდობა თუ მაინც სიცოცხლე.

## მწერლის სხეული

მწერლის სხეული მისი ნაწერების თანამონაწილეა. მწერლები სექსუალურობის პროვოცირებას ახდენენ, პრინციპის ან ძალაუფლების მქონეთა მსგავსად. ადამიანებს თითქოს ინტიმური კავშირი ჰქონდეთ ჩვენს ტვინთან, ისე შეაღწევენ ხოლმე მასში, როგორც სხეულში. არც მე ვარ გამონაკლისი. ეს დამაბრმავებელი ვნება იმ საყვარლებსაც აჰიპნოზებდა, რომლებიც ინტელექტუალები როდი იყვნენ. მაგალითად, მუშისთვის მწერალი ქალი ისეთი უცხო ხილია, რომლის გასინჯვა არასოდეს ელირსება. ასეა ყველგან, მთელს დედამიწაზე, ყველა მწერლისთვის, კაცი იქნება თუ ქალი. ისინი უმაღლესი სექსუალურობის საუკეთესო ობიექტები არიან. მეც ასე მემართებოდა ახალგაზრდობაში, როდესაც ასაკოვანი მამაკაცები მიზიდავდნენ, მხოლოდ იმის გამო, რომ მწერლები იყვნენ. ვერასოდეს წარმომედგინა სექსუალობა უინტელექტოდ და მხოლოდ ინტელექტუალობა მეხატებოდა, როგორც ერთგვარი თვითნაკლულობა. ბევრი ინტელექტუალი ხომ მოუხერხებელი საყვარელია, მორიდებული და უღონო, განმსოლოებული, თითქოს სექსი აშინებდეთ. ამის მიმართ მუდამ გულგრილი ვიყავი, მით უფრო, რომ ჩემს მიღმაც მწერლები ერთგვარად განმსოლოებულნი იყვნენ და განრიდება ახასიათებდათ საკუთარი სხეულისაგან. ჩემი დაკვირვების თანახმად, დიდი მწერლების სექსი ნაკლებად საჩინოა, შიშნარევი, ხოლო უზადო საყვარლები ნაკლებ ღირებული მწერლები არიან. ტალანტი, გენია უზმობს ძალადობას, ეძიებს მას, როგორც სიკვდილს. ყალბ მწერლებს არ აწუხებთ ეს პრობლემები. ისინი

სალად აზროვნებენ და მათთან თავს სრულიად უსაფრთხოდ გრძნობ. მწერლების წყვილის შემთხვევაში ქალი ასე ყვება მწერლის საქმიანობაზე: ჩემი ქმარი მწერალია. ქმარი კი თავის მხრივ ამბობს: ჩემი ცოლიც წერსო. ბავშვები ასე ყვებიან: მამაჩემი წიგნებს ქმნის, ზოგჯერ – დედაჩემიცო.

ლამის უკანასკნელი კლინტი

გზა ოვერზე გადიოდა, კანტალს ჰკვეთდა. მოსალამოვებულზე სენ-ტროპედან გამოვედით და ლამის ერთი ნაწილი მანქანით ვიმგზავრეთ. ზუსტად არც კი ვიცი, რომდის მოხდა ყოველივე, თუმცა მახსოვს – შუა ზაფხული იყო. ეს კაცი წლის დასაწყისში გავიცანი. ერთ წვეულებაზე შევხვდი, სადაც მარტო ვიყავი მისული. ეს სულ სხვა ამბავია. გათენებამდე ორილაკში მოინდომა გაჩერება. პარიზში გაგზავნილმა ტელეგრამამ დაიგვიანა, შემდეგ ის პარიზიდან სენ-ტროპეში გადაიგზავნა. დასაფლავება მეორე დღეს უნდა შემდგარიყო, ნაშუადღევს, უფრო სალამოსპირზე. ჩვენ ვისიყვარულეთ ერთმანეთთან ორილაკის ამ ოტელში, მერე ისევ და ისევ. მეორე დღითაც იგივე გავაკეთეთ, გათენებისთანავე. ვფიქრობ, სრულიად გამოკვეთილად ვნება ამ მოგზაურობისას დამებადა, მისით შთანერგილი. ასე მგონია, თუმცა დარწმუნებული არა ვარ. მაგრამ ერთი ვიცი დანამდვილებით – მისგან მოდიოდა ეს სურვილი, როდესაც შემეყოლია ამ ვნებაში. მაგრამ იგი უცხო იყო, ლამის უკანასკნელი კლინტივით. თითქმის არ გვძინებია, ირიფრაჟა თუ არა, მაშინვე გავემგზავრეთ. გზა საშინელი იყო, თუმცა ძლიერ ლამაზი და უსასრულო, ყოველ ას მეტრში მიხვეულ-მოხვეული. ხო, სწორედ ამ მოგზაურობისას მოხდა ყოველივე. და არასოდეს განმეორებულა ჩემს ცხოვრებაში. ადგილის ხილული არსი უკვე საჩინო იყო. ჩემს სხეულზე აღბეჭდილიყო. ოტელის ოთახებშიც. მდინარის ქვიშიან ნაპირებზეც. ლამისეული იყო თითქოს. მისი არსებობა სასახლეშიც იგრძნობოდა, კედლებზე ირეკლებოდა. მისი უღმობელოება ხილული ხდებოდა ნადირობისას. ადამიანებშიც დაისადგურა. და შიშშიც. ტყეებშიც. ხეივანების უდაბურობაში. წყლის

ნაკადებში. ციური იყო. ოთახი ვიქირავეთ მდინარის პირას. ისევე ვისიყვარულეთ ვნებით. ლაპარაკი აღარ შეგვეძლო. ვსვამდით. ზოგჯერ მირტყამდა ცივად, უფულოდ. სახეში. და სხეულის სხვა ნაწილებზეც. შიშის ზარს გვცემდა ერთმანეთის სიახლოვე, გვაცახცახებდა. მაღლობზე ამაცილა პარკის ბოლოს, სასახლის შესასვლელთან. დამკრძალავი პერსონალი უკვე შეკრებილიყო, სასახლის მცველები და დედაჩემის გუვერნანტი ქალიც, ჩემი უფროსი ძმაც. დედაჩემი კუბოში ჯერ არ ჩაესვენებინათ. ყველა მე მელოდა. დედაჩემიც. გაყინულ შუბლზე ვაკოცე. ჩემი ძმა ტიროდა. ონზენის ეკლესიაში მხოლოდ სამნი ვიყავით, დარაჯები სასახლეში დარჩნენ. მე კი იმ კაცზე ვფიქრობდი, ოტელში რომ მელოდა მდინარის პირას. არ მეტრალებოდა გარდაცვლილი დედა და არც ეს მტირალი მამაკაცი, მისი შვილი. და არც არასოდეს მიდარდია მას მერე. შემდეგ შეხვედრას ნოტარიუსთან. დედაჩემის სამემკვიდრეო განკარგულებას დავეთანხმე, თვითონ ავიყარე მემკვიდრის უფლებანი. იგი პარკში მელოდა. ლუარის ნაპირზე, ოტელში დავიძინეთ. მრავალი დღე დავყავით მდინარის პირას ხეტიალში. დღისით გვიანობამდე ვრჩებოდით ოთახში. ვსვამდით. დასალევად გარეთ გავდიოდით. ოთახში ვბრუნდებოდით. მერე ისევ გავდიოდით, უკვე ღამეში. ჯერ კიდევ ღია კაფეს ვეძებდით. სიგიჟე იყო. შეუძლებელი გახდა ლუარის ნაპირს მოცილება, განრიდება ამ ადგილიდან. კრინტი არ დაგვიძრავს – თუ რას ვეძებდით. ზოგჯერ გვეძინოდა. ღრმა სევდაში ჩავიძირეთ. ცრემლები გვდიოდა. სიტყვას ვერ ვძრავდით. გვეწინაებოდა, რომ ერთმანეთი არ გვიყვარდა. არაფერი ვუნწყოდით. ამას ვამბობდით მხოლოდ. ვიცოდით, რომ მსგავსი აღარასოდეს განმეორდებოდა, მაგრამ კრინტი არ დაგვცდენია ამის შესახებ, არც იმაზე, რომ უძღურნი ვიყავით ჩვენი ლტოლვის უცნაური ძალმომრეობის პირისპირ. მთელი ზამთარი გრძელდებოდა ეს სიგიჟე. შემდეგ სიმძაფრე დაკარგა, უბრალოდ, სასიყვარულო ისტორიად გარდაიქმნა. ამის მერე დავწერე „Moderato Cantabile“ (მღერადი მოდერატო).

ფრანგულიდან თარგმნა თინათინ მამაცაჟვილია

კულუარები

როცა გარბიან მამაცნი

იოსებ გრიშაშვილი თავის ლიტერატურულ ნარკვევში „ლერმონტოვი ქართულ ლიტერატურაში“ მოკლედ მიმოიხილავს გამოჩენილი რუსი პოეტის „დემონის“ ქართველ მთარგმნელთა დამოკიდებულებას ამ პოემაში არსებული ერთი, ჩვენთვის შეურაცხმყოფელი სტრიქონის მიმართ.

ალბათ მიხვდით, იგულისხმება ლერმონტოვის ცილისწამება მთელ მსოფლიოში სიმამაცით და გულადობით სახელგანთქმულ ქართველთა შესახებ: „Бежали робкие грузины“. ვაჟა-ფშაველას თავი აურიდებია ეთნიკური საკითხისათვის და ეს სტრიქონი ასე უთარგმნია: „შემოეფანტნენ თავადს მხლებლები“. დედნის ერთგულებას არ იჩენს, მაგრამ მაინც დაბაინც ვერც უსაყვედურებ. გასული საუკუნის დამდეგს ელისაბედ ორბელიანს ფრანგულად უთარგმნია „დემონი“ და ი. გრიშაშვილის სიტყვით:

ის, „ქართველებისთვის გამანბილებელი“ ადგილი სულაც გამოუტოვებია თავის თარგმანში.

გაცილებით ბრძნულად მოქცეულა მამია გურიელი. მან ასე თარგმნა ეს ამაზრზენი სტრიქონი: „ფრთხალი ოსები გაიქცნენ მთაში“. ამგვარად გამოასწორა ლერმონტოვის მიერ დაშვებული უმძიმესი შეცდომა.

პროფ. ვუკოლ ბერიძის ცნობით, უფრო შორს ნასულა ერთი უცნობი ქართველი სტუდენტი. მას ლენინგრადის (ამჟამად სანკტ-პეტერბურგი) უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ხელთ მოხვედრია რუსი პოეტის ზემოხსენებული პოემა, თავისი აღზფოთება ვერ დაუმაღავს და ის უადგილო, უცერემონიო სტრიქონი თავისი ღამაში ხელით ასე გადაუკეთებია ნიგნში: „Бежали храбрые грузины“.

ი. გრიშაშვილი ამ ამბავს „კურიოზულს“ უწოდებს. ეგებ „ვირტუოზული“ რომ დავარქვათ, უმჯობესი იყოს?!



# „ნაძვნარის დევის“ ილუსტრაციები

„ნაძვნარის დევი“ არ არის რაღაც განსაკუთრებული ქმნილება ვასილ ბარნოვის ნოველისტიკაში და მის რჩეულ კრებულებში უფრო შემთხვევით თუ მოხვედბა.

თავისებურად საგულისხმო ნამდვილადაა და დაინტერესებით კიდევ დაინტერესდება დემონოლოგიით გატაცებული მკითხველი, და კიდევ უფრო მეტად მკვლევარი, მაგრამ ესაა და ეს. ზღაპრულ, იდეალურ განწყობილებათა ათინათი კოლორიტულს ხდის მის ზოგად ფონს, მაგრამ კოლორიტულობას კი ველარ სცილდება და ბარნოვისებურ სიღრმეს ხელშესახებად ვერ განგვატყვევებს.

მაშ რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს მის ილუსტრაციებს ან ვის მოაფიქრდა მისი შერჩევა საამისოდ, ალბათ მხატვარიც დემონოლოგიით თუ იყო გატაცებული?

მაგრამ ილუსტრაცია ამ შემთხვევაში არ ნიშნავს უშუალოდ ნახატს.

მაშ ორიგინალურად დაუსურათებიათ – ფოტოები ჩაულაგებიათ ტექსტში?

დიახ, ფოტოებია.

ოღონდ მოლოდინის საპირისპიროდ – არც ფოტომონტაჟი თუ ფოტოკოლაჟია და არც ისეთი ფოტოსერიალი – ნოველის განწყობილებას მისადაგებული.

არც ვასილ ბარნოვის ამ ფოტოსერიალის გმირი, ვინმეს რომ მოეფიქრებინა ამგვარი ციკლის შექმნა და უნებლიეთ დამთხვევად იმ დღეებს, როდესაც „ნაძვნარის დევის“ ჩანაფიქრი რეალურ კონტურებს იძენდა.

ნუ გაგაბებრეთ ცნობისმოყვარეობით?

კეთილი, მაშ ერთად გადავავლოთ თვალი ჟურნალ „დროშას“ 1924 წლის მე-8 ნომერს, პირველად სადაც გამოქვეყნდა ვასილ ბარნოვის ეს ნოველი.

და ესეც მისი ილუსტრაციები:

ლენინის კვირა ქუთაისში: სამგლოვიარო პროცესია პარტიული კომიტეტიდან პარიზის კომუნის მოედნისაკენ.

არა, არაფერი არ ამრევია.

ვითომ უცნაური გაუგებრობით აღმოჩნდა აქ ეს ფოტო? მივყვით ფურცლებს.

ლენინი მიტინგზე – 1921 წ.

ტროცკი, ლენინი და კამენევი 1920 წ., მიტინგზე.

ლენინი სიტყვით აცილებს წითელ ჯარს პოლონეთის ფრონტზე.

ლენინი და მისი და მ. ულიანოვისა

ლენინი 1920 წ. (კაბინეტი)

ლენინის დაჭრა ს.-რევოლიუც. კაპლანის ქალის მიერ 30 აგვისტოს 1918 წ.

ლენინი კუბოში.

ჟურნალის ეს ნომერი მთლიანად ლენინის ფოტოებითაა გადავსებული, მაგრამ რედაქციის ეს მონადინება – თავანისცემა გამოეხატა მსოფლიო პროლეტარიატის ბელადისადმი და მისი გლოვა აუცილებლობად დაეხასა ქართველობისათვის – ისე კომიკურად არსად გამოიყურება, როგორც ამ ფურცლებზე, ლენინის დატირება „ნაძვნარის დევისა“ რომ შეერია.

ბარნოვისებურ სიღრმეს ხელშესახებად ვერ განგვატყვევებსო...

დამაფიქრებელია ხელოვანის ტრაგიზმის გამოსახვის ცდა, მინიერისა და ღვთიურის ტიდილი თუ მწირის ცთუნების მოტივი, რაც საბოლოოდ უკავშირდება „მიმქრალი შარავანდედის“ შემოქმედის მხატვრულ-იდეურ კონცეფციას სიყვარულის

უზენაესი ძალისა და ყოვლისმპყრობლობის შესახებ, მაგრამ სიუჟეტური ქარგა ვერც გაიშალა და ვერც იმ სიმძაფრით დაინურა, ერთიან შთაბეჭდილებას რომ აღეტაცა მკითხველი. ფინალიც გარეგანი ეფექტისათვის უფროა შესაფერისი, ვიდრე იდეალური ძაფებით გადაბმული თხრობის მდინარებას, როდესაც მოულოდნელობა სრულიად ახალი თვალთ წარმოგისახავს ნოველის შინაარსს. შესაძლოა რაღაც აკლია თხრობას, რაც ჩანაფიქრს ბარნოვის ხელოვნებამდე აზიდავდა, ყოველ შემთხვევაში, შემძვრელია თვითონ სახე უწყინარი დევისა, ნაძვნარს რომ შეფარებია, თუმც გარეგნულად საშინლად გამოიყურება, წვერ-ულვაში და ჯალჯი თმა წელამდე რომ სცემს და ყავარჯნად გალოპრილ ნაძვის ხეს იშველიებს, მაგრამ არავის ერჩის და არც ჯავრობს, თუკი გზად შემთხვევით შეხვედრილი არ გაექცევა და დაანებებს, ცეცხლის თვალეებით ჩააშტერდეს.

და გაისმის ჟამითი-ჟამად უღრან ტყეში, მღვიმეებსა და მდინარის პირას დევის საზარელი ქვითინი, ხანაც ხარხარი. ასეთია – ხან ტირის და ხან იცინის ნაძვნარის დევი.

მაღული სიყვარულიც არ დაანებებს დიდ ხელოვანს, საყვარელი არსების გამოქანდაკება კერპის გამოსახვად და ღვთის საგმო საქმედ ჩამოართვეს და საუკეთესო ქმნილება ნამსხვრევებად დაუფანტეს. უწყინარ დევად ამ ძალდატანებას გადაუქცევია, და მონასტერში დაბრუნების ნაცვლად თავი ნაძვნარის სავანისათვის შეუფარებია. სხვა რაღა დარჩენია, ხან საზარლად იქვითინოს და ხანაც იხარხაროს.

ნოველა 1921 წელს დაინერებოდა, მაგრამ რადგანაც ვასილ ბარნოვის თავისი თხზულებების გამოქვეყნება ყოველთვის უძნელდებოდა და უგვიანდებოდა, რა გასაკვირია, „ნაძვნარის დევიც“ სამ წელიწადს დაყოვნებულიყო. იქნებ კიდევ დიდხანს ვერც ეხილა მზის სინათლე, გიორგი ლეონიძეს ეს ორიგინალური ხერხი რომ არ გამოეძებნა და ნოველა ლენინის ფოტოსურათებით არ შემოქმედა.

ასე გაიხსნებოდა გზა მკითხველისაკენ.

ბევრი თუ ათვალწუნებით უყურებდა ამ ვეროპული რანგის შემოქმედს, მოურიდებლად ძარცვავდნენ მის სტილურსა თუ სხვა მხატვრულ მიგნებებს და თვითონ მისი მიყრუება ერჩივნათ, თავანისმცემელიც გამოუჩნდებოდნენ და გიორგი ლეონიძეც ერთი მათგანი გახლდათ, ვისაც შეუძმცდარად მოეხსენებოდა ვასილ ბარნოვის მიერ აგებული მონუმენტური შენობის – ქართლის ცხოვრების მხატვრული მატინის – გამორჩეული მნიშვნელობა, და კიდევ შეპირდებოდა ავტორს, ისე როგორ წავალ ამქვეყნიდან, თქვენი ტომების სრული კრებულიც არ დაფუტოვო მკითხველსო.

მისი პირობა უცილო აღსრულებას გულისხმობდა და ვასილ ბარნოვიც ოცტომეულის გეგმას რომ გამოუტანდა და გააცნობდა არაერთხელ, სჯეროდა, ამ ჩანაფიქრს ადრე თუ გვიან ხორცი რომ შეესხმოდა. ნაცვლად ოცი ტომისა ათი ტომი გამოიცემოდა? მაინცდამაინც არაფერი შეკვეცილა თუ ამოვარდნილა. უბრალოდ, „ტროფობა წამებულის“ შემოქმედი უფრო მომცრო ტომებს ვარაუდობდა.

იქ, ცხადია, „ნაძვნარის დევიც“ თავის ადგილს დაიკავებდა, ოღონდ მანამდე ჟურნალის ფურცლებზე უნდა გამოჩენილიყო და გიორგი ლეონიძე ჯერ აქ მოსინჯავდა თავს, თუ ერთ ნოველას ვერ უპატრონებდა, ვასილ ბარნოვის მთელს შემოქმედებას რანაირად განვდებოდა.

... კიდევ კარგი ათტომეულის გამოცემას აღარ დაჭირდა ლენინის ფოტოსურათების დართვა გზის გასახსნელად.

იქ მხოლოდ ვასილ ბარნოვის სურათებია და ცალკეულ ქმნილებათა შესაფერისი ილუსტრაციები, „ნაძვნარის დევი“ კი ნახატით არავის შეუმკია და არც ისეთი მკითხველი გამოჩენილა, ვისაც მისი გაცნობისას ლენინი გაახსენდებოდა. რატომ უნდა მოჰგონებოდა, თორემ კი...

ისე ამ ჩანანერის შემდეგ რა მოგახსენოთ!..

საბა სულხანიშვილი

# სული დაღლილი გამოცანებით

\*

ენიმო დეკანოიძეს  
ესაუბრა  
ლიანა ელიავა

შემოდგომის მზის სხივები ქუჩას უხვად ჩაჰფენია. ნაშუადღევია. მისწრებაა, ახლა ყური უგდო და უყურო ცვალებადობის დასაწყისს. სადაცაა ფოთოლცვენაც დაიწყება.

სექტემბერი ძალაშია. ტრანსპორტისათვის დროებით გადაკეტილ ქუჩას კანტიკუნტად სერავენ ფეხით მოსიარულენი. ახალდაგებულ ასფალტს უნდოდ მიაკარებენ ფეხსაცმლისცხვირს, ვინცობა არ ჩაეფლან. მომთმენადაც გადახედავენ ათუხთუხებული ტექნიკის სიახლოვეს მომუშავე გზის მოხელეებს, ნარინჯისფერუნიფორმიანებს, ღონივრად რომ ფანტავენ გავარჯერებულ შავ მასას.

ნანატრი დღეც დადგება სადაცაა... თვალი მოვკარი კომპიუტერის ციმციმა ეკრანზე განახლებული ყურნალის ლამაზ ყდას, ოღონდ თარიღდაუსმელს.

... ახლიდან დაწყებული საქმე. სარედაქციო სამუშაოს არც თუ აუფორიაქებული დღე.

პირველი სტუმარი – ქალბატონი ლია ელიავა, კინორეჟისორი, მშვენიერი ქართული ფილმების „მზიანეთის“, „ფერმა მთაში“, „სინემასა“ და სხვათა დამდგმელი. აგრეთვე ავტორი პროზაული და პოეტური კრებულებისა. კარგა ხანია ფინეთში, კერძოდ ჰელსინკიში ცხოვრობს მეუღლესთან **რობერტ ვინონენთან** ერთად. აქაურობას რომ ვერ შელევია, თითქმის ყოველწლიურად, ორიოდე თვით, თავის სახლს სტუმრობს – ნათესაებისა და მეგობრების სიახლოვეთ ნოსტალგიას იკვლავს.

ინტერვიუსთვის დავურეკე და ჩვენს ოფისში დავატყუე. ფოიეში უნდა დავლოდებოდი. მითუმეტეს, ორი სანდო მეგობრის გარემოცვაში დროის გაყვანას რა სჯობს. სკამსაც შემომთავაზებენ.

დიდი დრო არ გავა და რედაქტორი შემინულ კარს მიღმა შეამჩნევს ქალს, მიგებებს არ დაახანებს, ჩვენკენ შემოუძღვება თბილი ღიმილით სახეგანათებულ სტუმარს. ახალმოსული კეთილი მზერით, დაკვირვებულად შეჩერდება **გიორგი ლობჯანიძესთან** და რახან იქვე ჩემს გარდა ველარავის დაინახავს, სასიამოვნოდ მიმახვედრებს, დაპირებისამებრ რომ მობრძანდა.

ჩვენი სტუმარი უფრო ქართული ფილოლოგიის პროფესორსა ჰგავს, ვიდრე კინორეჟისორს, მითუმეტეს გაეუროპელებულს. შემოდგომის შესაფერისად სადად ჩაცმული, მშვიდად და მკაფიოდ მოსაუბრე. ლაპარაკისას არც ერთ ბოლო მარცვალს არ ტვირთავს მახვილით და არ ატერორებს სიტყვას. სათქმელის უკეთ გამოსახატავად არ ცდილობს მომხიბვლელობისთვის მოიშველიოს ხელები. ერთი სიტყვით ლაპარაკობს ბუნებრივი ქართულით.

ჩვენს მხატვარს, **კარლო ფაჩულიას**, ისედაც ხათრიანს, გულისწყევით უსაყვედურებს მეგრულის უცოდინარობის გამო: – ნოსტალგია მეძალება, თბილისში ახლობელთაგან

მეგრულად აღარავინ მელაპარაკება, თქვენ რომ გცოდნოდათ, ნავიმუსაიფებდით კიდეცო.

შენუხდება კარლო. ქუთაისში თეთრი ხიდის სიახლოვესაა გაზრდილი. ჩემს სახლში ზაქარია ფალიაშვილი დაბადებულიაო, ბევრჯერ თავი მოუწონებია. სხვათაშორის, სულ ახსოვთ ეს მეგობრებს და განსაკუთრებული შემთხვევებისას, დაანებებენ ხოლმე კიდეცა ნალიინებს.



რედაქტორი თავის მყუდრო კაბინეტს დაგვიტოვებს.

შორეულ პელსინკში, ერთი მყუდრო, მეგობრული ოჯახის დიასახლისი მიაშობს: რობერტი მოსკოვში გავიცანი. ნღების წინათ, იქ, ჩემი ლექსები ითარგმნებოდა და ჩვენს წარმომადგენლობაში მთარგმნელად შემომთავაზეს. გამომცემლობა „სოვეტსკი პისატელის“ რედაქტორია და ქართულ პოეზიაზეა შეყვარებული... ასე აღმოჩნდა ეს შეხვედრა დაგვიანებული, მაგრამ ბედნიერი.

ჩემი ქმარი ფინელია. კერძოდ, იმ ტერიტორიიდანაა, რუსეთმა რომ მიისაკუთრა. ცნობილია, ადგილობრივი ფინელები რანაირად ამოუღიტეს, ცოცხლად გადარჩენილები ციმბირსა და ურალში გადაკარგეს. თერთმეტსულიანი ოჯახიდან მხოლოდ ის და დედამისი გადარჩნენ. რეპატრიაციის შედეგად ჰელსინკიში დავსახლდით. ამანაც ვადამარჩინა.

– **ბარემ თქვენი თვალით დაგვანახეთ ქალაქი, სადაც ახლა ცხოვრობთ. როგორ უყვართ ფინელებს სამშობლო?**

– ეს არის სახელმწიფო, რომლის მთავრობა ზედმინევიზით ზრუნავს თავის მოსახლეობაზე. იმთავაც ამაყი განცდა პატრიოტიზმისა არ ეხედმეტებათ, არ უცვთებათ. და ეს გამოიხატება ყოველდღიურ ყოფაში, იოტისოდენა წვრილმანშიც კი. ყველგან და ყველაფერში. ფაქიზად უფრთხილდებიან და უვლიან გარემოს. უმიზეზოდ ტოტსაც ვერავინ მოატყვს მცენარეს. ვიდრე ხმობაშეპარულ ხეს მოჭრიან, იქვე სამაგიერო ნერგს გაახარებენ. კულტია ბავშვების, მოხუცებისა და ჩიტებისა.

არ იგრძნობა დამთრგუნველი უფსკრული სოციალურ ფენებს შორის. მეტად ღვთისმოსავი ხალხია ფინელები...

დიდ სავაჭრო ცენტრებთან ადვილად შეამჩნევთ მობრდილების კვალად, თავიანთ შესაფერის ეტლებს როგორ მოაგორებენ ცეროდენები. შიგ ულაგიათ „ნავაჭრი“, რაც მათ სულსა და გულს მოუსურვებია.

– **ცხადია, უფულობის მიზეზით არ დაუბრკოლებიათ მშობლებს.**

– დიას, და აი, ამ საბავშვო ეტლებზე ფრიალებს სახელმწიფო დროშები. ყველა ვალდებულია პატივისცემის გამოხატვით გზა დაუთმოს ნორჩ მოქალაქეებს, სამშობლოს განცდა ფეხისადგმისთანავე რომ უფითარდებათ.

– **ძირითადად როგორი ტრანსპორტით გადაადგილდებიან დედაქალაქში?**

– ყველაზე მოსახერხებელი მაინც ველოსიპედი. დიდ-პატარა ამ ორთვალს დააქროლებს.

ყველაზე სასიამოვნო ფეხით სიარულია. გეგონებათ ტყეში დადიხართ. საამოდ ჭიკჭიკებენ ჩიტები. უცბად შეიძლება კურდღელმაც გადაგიჭრათ გზა, თანაც არაერთხელ. ხეებზე თამამად დაცოცავენ ციყვები. და ხომ არ გგონიათ, ვინმეს

მათი დაჩაგრვა მოუნდეს, პირიქით, ზამთრისპირას ტყის ბინადართათვის ყოველ ფეხის ნაბიჯზე იყიდება საკენკი და საკეები, დათბუნული ღია გალიები ხეებზე ჩამოსაკიდად. მოქალაქეებს საკუთარ ვალდებულებად მიაჩნიათ ბუნებაზე ზრუნვა. საკუთარის შეგნება და პასუხისმგებლობის განცდა განსაკუთრებულ რანგშია აყვანილი.

ერთადერთი ნაკლი, რაც ფინეთს მოუცილებელი სახადივით სდევს, ლოთობაა. მაგრამ ამასაც სიფაქიზითა და დიდი თანაგრძნობით ადევნებენ თვალს.

სახელმწიფო უვლის თავის ავადმყოფ შვილებს.

– **გასაკვირია, რომ ასეთი ფაქიზი და გულისხმიერი ხალხი წარმოდგენილი ზიზლით და ცინიზმით დაუხვდა ქართველებს. იცით, ალბათ, წლეულს, ზაფხულში რა დამამცირებლად დააბრუნეს ფინეთის საზღვრიდან ავტობუსი, სადაც ქართველი ქალები ისხდნენ.**

– მერედა, ვისი ბრალია ეს? რა იცინა კარგი ფინეთში სა-ქართველოზე? როგორ ვზრუნავთ ჩვენი ქვეყნის წარმოსაჩენად?

იქ, ტელევიზიით აჩვენეს ფილმი „პრილა ფესხაცმელი“, „იმედის“ არხზეც წარმოადგინეს ეს ვიანამუშევარი. სამ ქართველ ქურდზეა. მანამდე ავსტრიული ფილმი იყო. გვანახეს „ქართველი ქალი“ – ყველაფერს რომ კადრულობს თავის გასატანად... რაზე იხარჯება ფული? რა მხატვრული ღირებულება აქვს ასეთ ნაცოდვილარებს? ასე უნდა წარადგინო შენი ქვეყანა უცხოეთში? ისეთ ქვეყანაში, მანამდე საქართველოს შესახებ თითქმის რომ არაფერი სმენიათ?

კი ბატონო, თუ მაინცდამაინც ქურდებით გინდა დაენახო უცხო ქვეყანას, აჩვენე ფილმი ღვინის ქურდებზე, ცხენის ქურდებზე...

ყოვლად გაუგებარია, ვისი შემწეობით ან რანაირი მოხერხებით ფინანსდება ასეთი ფილმები?

– **ქალბატონო ლია, თქვენ აღიარებული ბრძანდებით, როგორც პროფესიონალი რეჟისორი, მაგრამ უნდა დავანინაურო კითხვა როგორც მწერალთან. ერთ-ერთი პოეტური კრებულის „საუკუნის სამანის“ წინასიტყვაობაში აღნიშნავთ, „ლექსებს ბავშვობიდანვე ვწერდი, მაგრამ სიყმანვილეში კინოს მაცდურმა ელვარებამ გადამიბიარა“. იქნებ გაამხილოთ „გადამბრება“.**

– უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის პირველ კურსზე ვსწავლობდი, როცა კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ მიმინვა სასინჯო გადაღებებზე რეჟისორმა შოთა მანგაძემ. კინომსახიობობაზე არასოდეს მოოცნებია.

რეჟისირებული ოჯახიდან ვარ და ცხოვრება არ მანებიერებდა... ამიტომ გალაღებული და ჩემს თავზე, მით უმეტეს ჩემს გარეგნობაზე დიდი წარმოდგენისა (მაშინ მეგონა მსახიობისათვის სილაშაზე იყო მთავარი) არასოდეს ვყოფილვარ. ერთადერთი, რითაც ცნობისმოყვარეობასთან ერთად თავმოყვარეობასაც ვიკმაყოფილებდი, იყო ის, რომ კარგად ვსწავლობდი, ბევრს ვკითხულობდი.

შემოქმედებითა იმპულსმა გაიღვიძა ბავშვობაში. მალულად, ჩემთვის ლექსებს ვწერდი. პირველი ლექსები მოსწავლეთა სასახლის შემოქმედთა წრეზე წარვადგინე ან განსვენებულ ქალბატონ ლიდა პაიჭაძესთან, რომელსაც დეიდა ფაციას სახელით იცნობდნენ.

რადგან ჩემი მსახიობური მონაცემების რწმენა არ გამაჩნდა, მოსკოვის კინემატოგრაფიის საკავშირო ინსტიტუტში სწავლისას, გადავწყვიტე რეჟისორი გაემხდარიყავი.

მაგრამ როგორ მოვხვდი თვითონ ამ სასწავლებელში, ეს იმხელა ტრაგიკომიკური მოთხრობის თემაა, მოყოლა შორს ნაკვიყვანს. კინოსამყარო ისეთი დახშული წრეა, გარედან მისული ადამიანი იშვიათად მოახერხებს შეღწევას. და თუ

მაინც მოახერხა, დიდხანს ვერ გაიხარებს თავისი შემოქმედებითი მიღწევებით, რადგან კინოდღესასწაულები უმეტესად კინოფუნქციონერთა და მათთან დაახლოებულ პირთა ხვედრია.

დიახ, წრის მიღმა დარჩენილის თვალსაჩინო მაგალითი მე გახლავართ...

– **და მიუხედავად დიდი გულისწყევტისა, წარსულიდან რომ მოგვევბათ, შეხვდებით მრავალ გამორჩეულ პიროვნებასაც. ვის გაიხსენებდით ახლა მადლიერებით?**

– ჯერ მემუარების წერა არ დამიწყია, მაგრამ ხშირად გამიელვებს ცნობიერების ეკრანზე იმათი სახეები, ვინც სასიკეთო კვალი დააჩნია ჩემს სულიერ ცხოვრებას.

ბავშვობისას ეს იყო დეიდა ფაცია, რომელიც ზემოთ უკვე ვახსენე.

უნივერსიტეტში სწავლისას ცნობილი კრიტიკოსი **ნოდარ ჩხეიძე**, ვინაც წამაკითხა ჩემს ახალგაზრდობაში ხელისხელ საგომანები მრავალი საინტერესო, მაშინ აკრძალული ნაწარმოები და დიდი როლი ითამაშა ჩემი ლიტერატურული გემოვნების დახვეწაში.

შემდგომ, როცა ფილოლოგიის კავკასიურ განყოფილებაზე გადავედი, იქ დამხვდა დიდი პიროვნება – აკადემიკოსი **არნოლდ ჩიქობავა**, რომელსაც ვუმადლი იბერიულ-კავკასიური ცნობიერების ჩამოყალიბებას, ქართველური ენების სიღრმისეულ წვდომას.

როგორც კინორეჟისორს, ორი დიდი მასწავლებელი მარგუნა ბედმა: პირველი ჩემი უშუალო პედაგოგი **მიხეილ რომი**, რომლის სახელოსნოც დავამთავრე და რომელსაც უყვარდა ხშირად ამ ფრაზის გამეორება: **ნიჭიერს უნდა დაეხმარო, უნიჭო ისედაც გაიგნებს გზასო**.

აქვე არ შემიძლია არ გითხრათ გულისხმიერ ადამიანზე, ცნობილ ქართველ რეჟისორზე **თენგიზ აბულაძეზე**, რომელიც თავისი გუნდის „ფალანგა“ მთვლიდა. ეს იყო ყოვლად კეთილმოსურნე, გულშემმატიკვარი ადამიანი. ხელს ისე ნაგაშველებდა, მხარში ამოგიდგებოდა, დაბრკოლებას გადაგალახვინებდა, თითქოს შენთვის არც ზრუნავდა. უხმაურო, ღვთიური სიკეთით იყო გამორჩეული.

მოგვიანებით სამშობლოს სიყვარული გამიცხოველა ეროვნული მოძრაობის ორმა წინამძღოლმა **მერაბ კოსტავამ** და **ზვიად გამსახურდიამ**.

– **პროფესიული ოსტატობა გულმოდგინებით, დიდი განათლებით მიიღწევა. მაგრამ არსებობს კიდევ რაღაც თანდაყოლილი, გრძნობისმიერი უნარი.**

**რა მიგაჩნიათ რეჟისორის უმთავრეს თვისებად და რას ურჩევდით იმ ახალგაზრდებს, ეს პროფესია რომ ხიბლავთ?**

– მიუხედავად იმისა, რომ დღეს კინორეჟისორის პროფესია ძალიან გაუფასურებულია და ყველა ფულიანს, გადაღების სურვილით ალტკინებულს, რეჟისორად მოაქვს თავი. მაინც ეს უაღრესად შემოქმედებითი პროფესიაა და ხელობის ცოდნა-ჩვევებთან ერთად, აუცილებლად გულისხმობს შემოქმედებითი მუხტის არსებობას. გარსია ლორკა ამას „დუენდეს“ ეძახდა, გალაკტიონი იტყოდა: „თუ დაიშინო გიზის სულშიო“, ეს საერთოდ.

ქართველი კინორეჟისორისათვის, როგორც პატარა ერის შვილისთვის, აუცილებლად მიმჩნია კიდევ ერთი თვისების – ეროვნული ცნობიერების არსებობა, რომელიც გავალდებულებს შენს ერს, შენს ქვეყანას ემსახურო.

ახალგაზრდებს ვურჩევდი და ვუსურვებდი ჯერ ქართველებად ჩამოყალიბებულიყვენ, მერე მიელოთ ნამდვილ ოსტატებთან მაღალი პროფესიული განათლება და მხოლოდ ამის შემდეგ მოეკიდათ ხელი გადაღებისათვის.

– ქალბატონო ლია, როგორც კინორეჟისორს მეტად წარმატებული დასაწყისი გქონდათ. თქვენი ფილმი „სინემა“ თავის დროზე ვენეციის საერთაშორისო კინოფესტივალის ორგანიზატორებმა კინემატოგრაფისტმა კარლო ლიძინიმ და მწერალმა ალბერტო მორავიამ აირჩიეს. არანაკლებ წარმატებული იყო მოკლემეტრაჟიანი ფილმები „მზიანეთი“, „ფერმა მთაში“... ამაზე წერდა მაშინდელი პრესა, მაგრამ უმეტესად უცხოური.

**რატომ ხდება ასე, ბევრ მოღვაწეს მხოლოდ უცხოეთში აღიარების მერე რომ აღმოაჩენენ სამშობლოში?**

– ბიბლიური სენტენცია – შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს – მთელი ძალით გავრცელდა ჩემზეც.

ვენეციის კინოფესტივალზე წარმატება, ცხადია, არ ყოფილა ისეთი ფაქტი, ანგარიში რომ არ გასწეოდა. „სინემა“ ასეთი მეტაფორით შეამკო ერთ-ერთმა ცნობილმა იტალიელმა კინოკრიტიკოსმა: „კეთილშობილი ყვავილი სარეველა ბალახით წაღეკილ მინდორზე“.

თუმცა ქართული კინოს მესვეურები დღემდე განაგრძობენ ამ ფილმის და საერთოდ ჩემი კინოშემოქმედების უგულვებლყოფას. საერთოდ გზა გადაკეტილი მაქვს ყოველგვარი საერთაშორისო კინოდათვალიერება-რეტროსპექტივებისაკენ...

მაყურებელს ჩემი ფილმები დღემდე ახსოვს და ხშირად უკითხავთ კიდევ, თუ რატომ არ ჩანს ისინი ტელეეკრანებზე, ანდა რად არ იყიდება მათი ვასეტები თუ დისკები.

ეს ათეული წლობით გრძელდება და გამკითხველი კი არა ჩანს...

**– ჩვენი საუბრის მიღმა სასურველია არ დარჩეს თქვენი ფილმი „ეპისკოპოსი ნადირობაზე“, რომელიც ცენზურის გამო დაჩაგრულა.**

რამდენიმე წლის წინათ „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე ქვეყნდებოდა როსტომ ჩხეიძის მონოგრაფია „ხანი უნდობარი“. ჰელსინკიდან გამოგზავნილი თქვენი გამოხმაურებაც დაიბეჭდა ამ გაზეთში. ხოლო როცა ნიგნადაც გამოიცა ეს მონოგრაფია, თქვენი წერილის დარღვევაც მიზანშეწონილად მიიჩნია ავტორმა.

**იქნებ ორიოდ სიტყვით თქვენი აკრძალული ფილმი გაიხსენოთ?**

– ჩემი პატარა წერილი „ამბავი უფინალო ფილმისა“ ორმოციოდე წლის წინანდელ ფაქტზეა.

გრჩევა ადამიანს გულში მიყურებელი ტკივილი, რომელიც ყრუდ გღრღნის, სიმშვიდესაც გაკარგვინებს. ასეთად დამრჩა ჩემი ფილმი „ეპისკოპოსი ნადირობაზე“, რომელიც ნიკო ლორთქიფანიძის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით გადავიღე. ახლა ვერც წარმოიდგენთ, რა წვითა და დაგვიტ ვავართვი თავი ყველა იმ პრობლემას, ფილმის გადაღებას რომ ახლავს... მაგრამ მოსკოვს ფინალი არ მოეწონა. მაშინ ყველაფერი იქ წყდებოდა. საკავშირო კინოს ხელმძღვანელობის მკაცრ მარწუხებს ვერანაირად დავეხსენი და ფინალი, რისთვისაც ღირდა ამ ნამუშევრის ჩვენება, საერთოდ მოკვეციეს...

ჩემზე ამ ფაქტმა ისე იმოქმედა, მას შემდეგ ეს ფილმი აღარც მინახავს, აღარც ვახსენებდი...

ბატონი როსტომის ამ მონოგრაფიამ – მართლაც სიმართლითა და ეროვნული გულმტკივილით დაწერილმა – თავისთავად გამახსენა ეს ფაქტი.

აქვე ვისარგებლებ შემთხვევით და გავიმეორებ სხვადასხვა დროს გამოთქმულ ჩემს პატივისცემას ჩვენს ამ მოღვაწეზე. უმორჩილესად ვთხოვ, ეს ფრაზები არ გადამიშალოს. მე არ მეგულება ისეთი გაბედული და ღრმა ეროვნული შემოქმედი, როგორც ბატონი როსტომია. ამ სიტყვებისათვის არა

მჭირდება სითამამის მოკრება. ამას ადასტურებს იგი თავისი ოჯახიშვილობით, პროფესიონალიზმითა და მომხიბვლელი პიროვნული თვისებებით.

**– ქალბატონო ლია, თქვენ გამოაქვეყნეთ წიგნი „სიზმრად ნანახი ფილმები“, სადაც საკუთარ კინომოთხრობებს მოუყარეთ თავი. რჩება შთაბეჭდილება, რომ ეს მართლაც ტკივილის წიგნია – რეჟისორის აუხდენელი ფიქრებისა და ოცნებისა...**

– მართალი ბრძანდებით. სხვათა შორის, ამგვარი კრებულების გამოცემა ევროპაში ბუნებრივად აღიქმება. აქ, ჩვენთანაც შეიმჩნევა და გასაკვირი არაფერია, ავტორს გაუჩნდეს სურვილი ფილმებად თუ სპექტაკლებად წარმოდგენილი ნიმუშები წასაკითხადაც შესთავაზოს საზოგადოებას, რათა შედარება-შეპირისპირების საშუალება მიანიჭოს.

ჩემი წიგნი „სიზმრად ნანახი ფილმები“ მართლაც ტკივილისაა. ეს არის ნაკლული, ცალმხრივი ანგარიში, ანუ ყველაფერი, რაც ფილმებად ვერ შედგა.

უფრო და უფრო გაჭირდა კინოს დაფინანსება. ახლა მოდამია კომერციული კინო, რაც რეჟისორის გაკომერციულობას მოითხოვს. ვერ ავყევი ამ მოდას. წლები კი გაუჩინარდა. იქნებ დადგეს ისეთი დრო, ვინმე დაინტერესდეს ჩემი სცენარებით.

**– აქამდე რომ მათი ეკრანიზაცია ვერ შეძელით, მიზეზებიც ახსენით, მაგრამ ვთქვათ, ცა გაგეხსნათ, მოგეცათ გადაღების საშუალება, თქვენი კინოსცენარებიდან რომელს დაინაწილებდით?**

– ჩემს ყოველ ფილმს ტრაგიკული ბიოგრაფია დაჰყვა. იოლად არაფერი მომსვლია და ცხადია არც შემიქმნია. სულ მიხედვოდა ბრძოლა საკუთარი სიმართლის გადასარჩენად. და ეს არ ყოფილა ადვილი... ახლა კიდევაც მებრალევა ცუდუბრალოდ დახარჯული დრო და ენერჯია. რატომ მებრძოდნენ? რას ვებრძოდი?..

როცა დიდხანს ვმუშაობ სცენარზე, ისეთი გრძნობა მიჩნდება, თითქოს ფილმი უკვე გადავიღე.

ჩემი სცენარების გადაღება, როგორც წესი, იმდენად ჭიანურდებოდა, ამასობაში ან ქვეყანა იქცეოდა, ან ახალი ჩანაფიქრი მომისწრებდა. „უფლის ანგელოსები“ თავის დროზე ისე გამიჭიანურეს ტექნიკური მიზეზების გამო (კინო ხომ მხოლოდ შემოქმედება არ არის, წარმოებაცაა), რომ მომისწრო სამხედრო გადატრიალებამ და ფილმი დაიხურა. ამ ფილმიდან შემომრჩა უამრავი დოკუმენტური მასალა, 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპულთა გლოვის დღეებზე. ისინი ხომ საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლას შეენიერნენ და ხალხმაც გულთი იგლოვა. ეს დოკუმენტური მასალა თითქოს გაცოცხლებული სახეა ვაჟას სიტყვებისა – „სიკვდილსა გლოვა უხდება“; გმირების სიკვდილს ხომ უხდება და სჭირდება მომავალი თაობებისათვის მაგალითად. გლოვის დღეებში საქართველოს თანაგრძნობას უცხადებდნენ არამარტო აქ მცხოვრები სხვა ერების წარმომადგენლები, არამედ შორეული ქვეყნებიდან ჩამოსული ადამიანები და ეს ყველაფერი აღბეჭდილია ფირზე.

გლოვის დღეებს მოსდევს თავისუფლებისათვის ბრძოლის შემდგომი ეტაპი – მიტინგები, მანიფესტაციები – მთავრობის სახლთან, უნივერსიტეტში, სტადიონზე, ვაკის პარკში... ფირზე ღირსეულადაა წარმოჩენილი ქართველი ხალხი, მოხუცი თუ ახალგაზრდა, ერი თუ ბერი თავისი წინამძღოლებით.

ამჟამად ყველაზე მთავარ საქმედ მიმაჩნია ამ ფირებისაგან დოკუმენტური ფილმის შექმნა, თორემ ადვილი შესაძლებელია – ქართული კინოს დღევანდელი ვითარების გათვა-

## დილოგი

ლისწინებით – ისინი ან გადაიყაროს, ან დაინვას, უკეთეს შემთხვევაში, ვერცხლად გადაადნონ. ჯერჯერობით ამ ოცნების განსახორციელებლად არავითარი სახსარი არ ჩანს. მე, ჩვეულებისამებრ, მაინც დავინყე ფიქრი მის მხატვრულ გადწყვეტაზე. ბატონ როსტომ ჩხეიძეს, როგორც ეროვნული მოძრაობის „მიჩქმალული გმირობის“ ქომავს სულსკვეთებითა და კალმით, ვთხოვე ავტორის ტექსტის დაწერა. მინდა ფილმში სიტყვის დამატებით შემოვიდეს ინფორმაცია შემდგომ განვითარებულ მოვლენებზე.

ამ ფილმის შექმნა ალბათ, კინოსთან დაკავშირებული ჩემი ბოლო ოცნებაა. ფირები მენანება დასალუბად, თორემ დიდი ხანია ჩემს ცხოვრებაში კინოს ლიტერატურული შემოქმედება ჩაენაცვლა.

**P.S.** სექტემბერში ჩანერილი ეს ინტერვიუ, როცა საბოლოოდ მომზადდა, რესპონდენტს აღარც უნახავს, ისე გაემგზავრა ჰელსინკს.

და ალბათ, როგორც ხდება ხოლმე, უმეტესად, ფიქრისას, მიზანშეწონილად მიიჩნია საკუთარი სიტყვების რევიზია. შუამავლის, დის, ქალბატონ ლამზირას მეშვეობით მოკრძალებით მითვლიდა წამეშალა ეპიზოდები, კონკრეტულ, მწვავე ფაქტებს რომ წარმოაჩენდა.

მალევე მივხვდი, ეს არ ყოფილა ქალბატონ ლია ელიავას მხრივ, შიშის გამო, უკან დახევა.

ეს იყო მხოლოდ ნუთისოფლის გამოცანებით გაღლილი ადამიანის გაყურება – როცა ყველაფერი სულერთი ხდება, როცა თავს ზემოთ ძალა აღარ გაქვს.

## თქმა მართლისა

### როსტომ ჩხეიძე

## ღვანკითის შევარდნები

ის ეპიგრამა ჩანერით არსად ჩანერილიყო, ზეპირად გადმოდიოდა, როგორც ერთი ლიტერატურული ხუმრობის ბირთვი და ვახტანგ ჭელიძე შემოიტანდა სამწერლო მიმოქცევაში, როდესაც ამ ეპიზოდსა და ეპიგრამას ქარგად დაუდებდა მძაფრ პუბლიცისტურ სტატიას „... კეისრისა კეისარსა...“

აკაკი წერეთლის იუბილეა და გამომსვლელთა შორის, აღტაცებულნი რომ მიმართავენ იუბილარს და ქართული პოეზიის თვითმპყრობელად, უგვირგვინო მეფედ, ზენაარისაგან ჩანგკურთხეულად და სხვა აღმატებული ეპითეტებით მოიხსენიებენ, ერთი ყველასათვის უცნობი კაციც გამოერევა, რომელიც მაინცდამაინც ეპიგრამით მიესალმება იუბილარს, მაინცდამაინც შექილიკებებს მოინდომებს, თანაც ექსპრომტიცაა და ექსპრომტიც:

**შენ სხვიტორის არნივი ხარ,  
მე ღვანკითის შევარდენი;  
შენც პოეტი, მეც პოეტი,  
შენ აკაკი – მე ვარდენი.**

შეეტოლა და ეგაა!.. თანაც როგორი თავდაჯერებით, როგორი სიიოლითა და უბრალოებით!..

პოეზიის თვითმპყრობელობაც დაიჩემა, უგვირგვინო მეფობაც, ზენაარისაგან ჩანგის კურთხევაც, სხვა აღტაცებული ეპითეტები და ფრაზებიც თავის კარმიდამოში შეხიდა და მალულად კი არ მოქცეულა ასე, მიიჩნია, რომ მისი დროც დადგა და აკაკი წერეთელსაც და საზოგადოებასაც გაბედულად წარუდგა: აქამდე თუ არ მაღიარებდით, ახლა მაინც მაღიარეთო.

მართლა და მართლა, რითი განსხვავდებოდნენ, კაცმა რომ თქვას – ის თუ სხვიტორელი გახლდათ, ეს ღვანკითელობით მოინწონებდა თავს, იმისთვის თუ აკაკი დაენათლებინათ, ვითომ სახელი ვარდენი რითი ჩამოუყვარდებოდა, სხვა მხრივ

კი ორივე პოეტობას იქაღიდა, ოღონდ ეგაა, აკაკი წერეთელს რატომღაც მოენდომებინა ყველაფრის მისაკუთრება, და ახლა ვარდენი – გვარად ყოფიანი – თავის წილს ითხოვდა მტკიცედ და შეუპოვრად, რაც აქამდე უჩინრად ყოფნა აეტანა, ახლა დაე სხვიტორის არნივსაც გამოეცადა ცოტა შევიწროება და ასპარეზი ტოლ-სწორი მეტოქისთვისაც დაეთმო – მთლად თუ არა, ნაწილობრივ მაინც.

ღვანკითის შევარდენი ფრთებს ისწორებდა.

და საუკეთესო ადგილი ასაფრენად სხვა რა იქნებოდა, თუ არა აკაკი წერეთლის იუბილე, საითაც მიპყრობილიყო მთელი საქართველოს (და არამარტო საქართველოს!) მზერა – დაე ყველას ეხილა გარდამტეხი ნუთი – პოეტთა მეფის ცვლილება ან ტახტის გაყოფა.

ვინ ვარდენია ნეტაო, – მაშინაც ამას იკითხავდნენ.

ნეტა ვინ ვარდენი იყოო, – ამჟამად მითუმეტეს.

იმას პასუხი წინასწარვე გაემზადებინა: ღვანკითის შევარდენიო.

ვახტანგ ჭელიძე ამ გადმოცემის ორ განსხვავებულ ვერსიას გაიხსენებდა.

ერთი ვერსიით, ამ ლიტერატურული ხუმრობის პერსონაჟს კომიკურ ყოფაში ჩაუგდია თავი, მაინცდამაინც ბუმბერაზ ადამიანს შეტოქებია, ისეთი ტვირთის შეგდება განუზრახავს საკუთარ მხრებზე – ერის მეთაურობისა – რისი მომრევიც არა ყოფილა, მაგრამ ეს ახირებული სურვილი იქ დამსწრეთ სასაცილოდ რომ არ ეყოს და ხუმრობად ჩამოართვეს, ვარდენსაც აღმოჩენია საკმაო ჭკუა, ვითარებისათვის ხელად აუღია ალლო და თვითონაც ხუმრობაში გაუტარებია.

მეორე ვერსიით, აკაკი წერეთელთან ეს თავდაჯერებული მოპაექვე თვითონაც მახვილი იუმორით ყოფილა დაჯილდოებული და ამ ექსპრომტით მართლა კი არ გაჯიბრებია ქართული პოეზიის მეფეს, ვისი ფასიც სხვაზე ნაკლებ არ მოეხსენებოდა, არამედ ამბიციებით გათანაგული ადამიანებისათვის დაუცინია, პატივმოყვარე და განდიდების მანიით შეპყრობილთათვის, სწორედ მათთვის, ეზოპეს ხელში – და იქნებ მანამდეც – ბაყაყისა და ხარის არაკად რომ გასიმბოლოვებულიყვნენ.

გაიბერებოდა ბაყაყი, გაიბერებოდა და გაიბერებოდა, მაინცდამაინც ხარი ამოერჩია სამეტოქოდ, მის უზომოდ გაზვიადებულ წარმოდგენებს ხარი უშლიდა ხელს თავისდაუნებურად და, აბა, ისე როგორ იქნებოდა, მასზე დიადი არ გამოჩენილიყო. საამისო გზად გაბერვა დაისახა და ძაღლინეს არ დაიშურებდა. გააფრთხილებდნენ. არ შეისმენდა. გონების პანანკინტელა ნაწილიც გაბერვის შეწყვეტას შეაგონებდა.

არ დაიშლიდა და არა. და არც გაბერვა შეწყდებოდა, ვიდრე არ გასკდებოდა ეს განდიდების მადიებელი ბაყაყი-ბაყაყუნა.

იქნებ იმ ლიტერატურული ხუმრობის პერსონაჟსაც ეს ბედი მოელოდა?... მაგრამ ხალხი არ დააცდიდა – იცინებდა, იხალისებდა და უზომოდ გაბერილი სურვილიც იქვე დაითრგუნებოდა.

ეგ კი არის – გაფრთხილებად შემორჩებოდა საზოგადოებრივ ცნობიერებას ვარდენის ეს წამოყვლეულავება, კომიზმის სახიერ სურათად.

რალა ის არაკი და რალა ეს იუმორისტული ეპიზოდი.

ვინ ვარდენიაო, – გვერდით მჯდომს გადაულაპარაკებდა აკაკი წერეთელი.

ის ვერაფერს ანამებდა და: გაგირკვევთო.

ძალიანაც ნუ შენუხდებითო, – აკაკიმ, ისედაც ბევრი საფიქრალი და სადარდებელი ჰქონდა.

ვარდენ ყიფიანი თუ თვითონ აკაკი წერეთელს აუხირდებოდა, პაოლო იაშვილი მის აჩრდილთან მოინდომებდა გაპაექრებას, თანაც ტახტს კი აღარ გაუყოფდა, სულაც დაჩემებას მოინდომებდა, ოღონდ საკუთარი სახელით არა – ცისფერყანწელთა გუნდისა. ჟურნალის პირველივე ნომერში შეეცდებოდა აკაკის პოეტური ღვანლის გაბიაბრუებას, თითქოს ესეც ეპიგრამით გაპაექრებოდა: შენ სხვიტორის არწივი ხარ, მე არგვეთის შევარდენიო...

ვარდენივით ახლა ის მოინდომებდა ერის მეთაურობის ტვირთის შეგდებას თავისი და თავის მეგობართა მხრებზე, თერგდალეულთა შემცვლელებად რომ ესახებოდა, და ანგარიშს აღარ გაუნევდა, რომ საქვეყნო იდეალები და სახელმწიფოებრიობისაკენ სწრაფვა ამით ხელში საძმოს ინტერესებად დახურდავებულიყო, ლიტერატურული პროცესის საკუთარ ნებაზე წარმართვის წყურვილად, ფასეულობათა ისეთ გადაფასებად, ცისფერყანწელთა ღვანლი რაც შეიძლება გაბუქულიყო და გაზვიადებულიყო და სამწერლო მოვლენათა საზომი თვითონ შექმნილიყვნენ. სერგო ორჯონიკიძის ფრთებქვეშ შეყუჟვა ყველაზე საიმედო საფარად და საომარ პლაცდარმად ეგულეობდათ და ისე ურევდნენ ხელს ქართულ სამწერლო-კულტურულ სივრცეში, ეტყობა, ეგონათ მარადიულად ვიქნებით და ყოველთვის ყველაფერი ჩვენს ნებაზე შეფასდებოდა.

თერგდალეულთა იდეური მოთავე – ლიტერატურულიც და პოლიტიკურიც – ილია ჭავჭავაძე იქნებოდა.

ცისფერყანწელთა ლიტერატურული მეთაურობა თუ გრიგოლ რობაქიძის მიეკუთვნებოდა, პოლიტიკური სადავე სერგო ორჯონიკიძეს ეპყრა ხელთ, და ეს ის პარადოქსულობაა ცისფერი ყანწების ორდენის ბიოგრაფიაში, რაც ამ ლიტერატურულ გაერთიანებას თერგდალეულთა თავისებურ პაროდიად წარმოგვიდგენს. ესაა და ეს მათი მიღწევა.

მაგრამ თურმე პაროდიის პაროდიის მოწმენიც უნდა გავმხდარიყავით.

ეს მაშინ, როდესაც კომუნისტური პარტია დაისაჭიროებდა არა შიშველ პროპაგანდას, რომელსაც უკვე ყველას თვალში გასვლოდა ყავლი და ვაკოტრებულიყო, არამედ ნახევარსიმართლის აუცილებლობას, რაც გაცდლებით მზაკვრული გახლდათ, ვიდრე ნაწარმოების ზედაპირზევე ამოტივტივებული პარტიული იდეურობაა. ორმაგი თამაშისათვის ნახევარსიმართლე ხელსაყრელ ასპარეზს შლიდა და დემაგოგიაც უფრო შეფარული ხდებოდა – და მკითხველის დასაბნევეად მწერლის ეს ტიპი უფრო გამოდგებოდა, ვიდრე პრიმიტივისტ-პროპაგანდისტები.

ასე გამოირჩეოდა ჩვენს სალიტერატურო ცხოვრებაში მწერალთა ის გუნდი, რომელნიც შეეცდებოდნენ ხიდის გადაებას უშუალოდ თერგდალეულებთან და სახელადაც 60-იან

წლებს შიერქმევდნენ, რათა ისტორიული პარალელი უფრო გაემკვეთრებინათ, ვითომდა ჩვენს საუკუნეში იგივე როლი დაგვიკისრებია, რაც ილია ჭავჭავაძის თაობას XIX-შიო.

პაროდიის პაროდიის მოწმენიო...

ცენტრალური კომიტეტის ფრთებქვეშ შეიყუჟებოდნენ, უშუალოდ დევი სტურუა მოევიწიებოდათ მფარველად და იდეოლოგად და ისე გაახმაურებდნენ მათ სახელებს, თითქოს მართლა რალაც განსაკუთრებული სიახლოე მოეთანოთ სალიტერატურო ცხოვრებაში და ვითომ იმხანად სხვა აღარც აღარავინ იყო მეტ-ნაკლებად თვალსაჩინო მწერალი, ამ გუნდის გარდა.

არადა, ვერც რეალური სიახლოე დაესახელებინათ, ზოგადი და ტრაფარეტული განცხადებების გარდა.

ამ ტრაფარეტულ, ზოგად განცხადებებს შორის გამოირჩეოდა „პატარა ადამიანის“ თემა, როგორც აღმოჩენა ქართული მწერლობისათვის. ვითომ არც ვასილ ბარნოვი არსებულა, არც შიო არაგვისპირელი, არც მიხეილ ჯავახიშვილი, არც ნიკო ლორთქიფანიძე, არც კონსტანტინე გამსახურდია, უფრო შორს რომ აღარც გავყვეთ... და, სხვათა შორის, ილია ჭავჭავაძის „მუშაც“ მართლა მუშაზე კი არა, „ნამესტნიკზე“ ყოფილიყოს დანერვილი.

აღმომჩენები მაინც ესენი ბრძანდებოდნენ – ნომენკლატურული კრიტიკა როგორც ირწმუნებოდა და არც ჩვენი გმირები აკლებდნენ ხელს თვითგანდიდებას – ინტერვიუდან ინტერვიუში, წერილიდან წერილში გადადიოდა ერთი და იგივე სახელები.

სინამდვილეში კარგად ნაცნობი თემატიკა გრძელდებოდა, ოღონდ არსებითი სხვაობაც შესამჩნევია წინამორბედთა და 60-იანელებად თვითგამოცხადებულთა შორის.

ეს გარდა მხატვრული შთამბეჭდაობისა.

ისინი, წინამორბედნი, „პატარა ადამიანს“ გულწრფელად, მხოლოდ ლიტერატურული ინტერესით წარმოსახავდნენ, თვითონვე აღეწვებოდათ მათი ფსიქიკისა თუ ცხოვრების წესის ანალიტიკური კვლევა და მხატვრული განზოგადება; ესენი კი, „აღმომჩენნი“, პარტიულ მოთხოვნას ითვალისწინებდნენ და ეყრდნობოდნენ.

რა მოთხოვნას?

პიროვნების კულტის დაგმობის შემდგომ სოციალისტური რეალიზმის მიმდევართ დაევალებათ სწორედ პატარა ადამიანის წამოწევა „სამამულო ომისა“ თუ „აღმშენებლობითი“ თემატიკის გვერდიგვერდ, რეკოლუცია თუ კონტრრევოლუცია, კოლექტივიზაცია თუ უკლაკობა უკვე ისეთი აქტუალური აღარ გახლდათ, თუმც მვიწიყებით, ცხადია, არც იმათ ივიწყებდნენ.

„პატარა ადამიანს“ საბოლოოდ უნდა მოეთავებინა ხელი პიროვნების კულტისათვის, განემტკიცებინა სტალინის სახელის მოქცევა იატაკქვეშეთში.

ამიტომაც მონდომებულებიყოს ასერიგად ხელისუფლება და ნომენკლატურული კრიტიკა.

ამიტომაც არ დაინანებდნენ აღმატებით ეპითეტებს „პატარა ადამიანის“ თემის „აღმომჩენთა“ მიმართ.

ესენიც სულ უფრო თავმოწმონებოდნენ.

და თვითონ სახელწოდებაც – სამოციანელები – ისე ხელოვნურად მოერგოთ, საზოგადოებისათვის თვალში ნაცრის შეყრას უფრო ჰგავდა, ვიდრე შესაფერისი სახელწოდების ძიებას.

სამწერლო ასპარეზზე 50-იან წლებში გამოსულიყვნენ, მაშინ გამოექვეყნებინათ ცალკეული პოეტური თუ ბელეტრისტული თხზულებანიც და სულაც წიგნები, მაგრამ რაკილა 60-იანი წლების თაობა უფრო შთამაგონებლად ყდერდა, ამ სახელს მიისაკუთრებდნენ, ნამდვილ სამოციანელებს კი –

ვინც ამ ათწლეულში გამოჩნდებოდნენ – ერთი ათწლეულით ჩააჩოჩებდნენ და 70-იანელებად მონათლავდნენ. ისინიც რატომღაც მორჩილად შეხვდებოდნენ ქრონოლოგიის ასეთ არე-დარევას. თუმცა რა ელონათ – ხელისუფლების ნებას ვერ გადადიოდნენ.

60-იანელობას მათთვის როგორ გაიმეტებდნენ და აკაკი წერეთელს კი ოფიციალურად თუ მოერიდებოდნენ, თავიანთ წრეში „ეო-მეოს“ პოეტად მოიხსენიებდნენ წამდაუნუმ.

შენ სხვიტორის არწივი ხარ, მე ღვანკითის შევარდენიო... გურამ ასათიანს დავალებოდა „ზემოდაწ“ და თვითონაც მონდომებით ედო თავს ამ ლიტერატურული მითის დამკვიდრება. ხელისუფლება ყოველნაირად უწყობდა ხელს მათი სახელების გახმაურებას, მაგრამ მაინც უჯობდათ გარეგნულად კრიტიკოსის სახელს ამოფარებოდნენ, ვითომ ერთსა და ორ კაცს მართლა შეეძლო ცალკეულ ავტორთა განსაკუთრებული შარავანდით შემოსვა (მოგვიანებით ოთარ ჭილაძე რომანში „აველუმი“ სწორედ ასე განსაზღვრავდა მწერლის სახელგანთქმულობის ანალიტიკურ საყრდენს: ხელისუფლებისგან დაფასებული).

სტატია სტატიაზე დაწერდა, თავის კრიტიკულ თვალსაზრისს საკმაოდ შემოზღუდავდა და დააკნინებდა, ცალმხრივსა და მიკერძოებულს გახდიდა, მაგრამ, ეტყობა, გულში ძალიან აწუხებდა არაკახაბერთა კახაბერებად გამოცხადება და ორიგინალურ ჩანაწერში, კრიტიკული წერილისა და ბელეტრისტიკის თავისებურ ნაზავში („დილოგი, რომელიც ფაქტიურად ჩაიშალა“) მოიარებით გაამჟღავნებდა თავის ნამდვილ შეხედულებას „60-იანელთა მითის“ გმირებზე.

მოიარებით იმიტომ, რომ სუფრაზე შემთხვევით შემოსწრებულ სტუმარს მიაწერს, ვინც კიდევ ერთ სტუმარს – ჩანაწერში მხოლოდ ინიციალებით მინიშნებულ პროზაიკოსს – დაურიდებლად მოახსენებს თავის აზრს:

„თქვენი მოთხრობა საზიზღარია... უფრო საზიზღარი, ვიდრე ლიტერატურა, რომელსაც თქვენ უპირისპირდებით. იცით რატომ? ხელოვნებაში არ არსებობს ნახევარი ზომები. ნახევარი სიმართლე ბევრად უარესია, ვიდრე უხეში ტყუილი...“

თქვენ გულწრფელობის პრეტენზია გაქვთ. რაღაც შინაგან ტკივილებზე ანიშნებთ მკითხველს. კეთილსინდისიერების პოზიციაზე დგახართ. მაგრამ ნამდვილი, დიდი სიმართლის გეშინიათ. გარდა ამისა, ვნება გაკლიათ. ვნება მთავარია ხელოვნებაში. პეგელი ამბობდა, რომ არაფერი ჭეშმარიტი დაიდა არ შექმნილა ჭეშმარიტად დიდი ვნების გარეშე. თქვენი გმირები კი კასტრირებულ რეზონიორებს გვანან“.

და კიდევ –

„თქვენ ყველანი გარდამავალი თაობა ხართ. არსებითად უწყალო. დამოუკიდებლად ვერაფერს პოზიტიურს ვერ შექმნით. ლიტერატურაში გაუბედავი ბუზღუნით კმაყოფილდებით. და, რაც მთავარია, საკუთარ სულში ჩახედვის გეშინიათ... მთელი აქცენტი რაღაც ობიექტურ, გადაუღახავ პირობებზე გადაგაქვთ, რომ საკუთარი უსუსურობა დაფაროთ“.

ეს ზუსტი, ლაკონური და განზოგადებული დახასიათება თვითვე გადახაზავდა კრიტიკოსის სტატიების იმ ერთ ციკლს, და თუმცა ამ მსჯელობის გაგრძელებას აღარასოდეს შეეცდებოდა, ამ პასაჟით მაინც დავკვიტოვებდა 60-იანელებად თვითგამოცხადებულ მწერალთა მოღვაწეობის შეუფერადებელ სურათს.

ცრუსამოციანელების.

„სოცრეალისტური ავანგარდის“ (ოთარ ჩხეიძის ტერმინი). პაროდის პაროდის მონშეობა გვიკვირდა.

და, აი, პაროდის პაროდის პაროდის მხილველნიც შევიქნებოდით, რომელიც არამცთუ თანატოლებს არ გააერ-

თიანებდა, არამედ ამ ლიტერატურული გუნდის ასაკობრივი ზღვარი გაიფინებოდა 25-დან... ლამის 80 წლამდე, და გაიმეორებდნენ პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის სულისკვეთებას ნაკლებმნიშვნელოვანი გარეგნული სხვაობით – კომუნისტურ იდეალს გლობალისტური იდეალი შეენაცვლებოდა, სხვა ყოველივე უცვლელი დარჩებოდა – მათ კოლექტიურ ფსიქიკაშიც და შემოქმედებით ინტერესებშიც.

როგორც კომუნისტური იდეალისათვის, ისე გლობალისტური მისწრაფებისათვის უცხო და მიუღებელია ეროვნული ადათ-წესები, ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება არც განერჩევათ ფაშიზმისაგან, და ეროვნული ისტორიაც მათთვის მხოლოდ უსარგებლო ბარგია, რომელიც ხელს უშლის ადამიანს, სუფთა დაფად იგრძნოს თავი და ისე დაიწყოს ცხოვრება, ერთხელაც არ დაინტერესდეს, სად შეჩერებულიყვნენ მისი მამა-პაპანი და თვითონ საიდან უნდა გაეგრძელებინა გზასავალი.

ამიტომაც უარყოფდნენ და შეურაცხყოფდნენ ეროვნულ ტრადიციებს კომუნისტური მმართველობის ჟამსაც და ახალი საუკუნის მიჯნაზეც.

30-იან წლებში თამარ მეფის სახელსაც არ მოერიდებოდნენ, მერე და მერე ფარისევლურად თითქოს კიდევ რომ აღიარებდნენ.

მამინ მაინც ჩვეულებრივ მოვლენად იქცეოდა „შეურაცხყოფა ღირსეულის უღირსისაგან“, ჰამლეტის დაჩვილებისა არ იყო.

და, აი, მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეთა მიჯნაზე მეორედებოდა 30-იანი წლები შეცვლილი საბურველით.

მწერლობაში განვევის სტილიც 30-იანი წლებისა გადმოელოთ – გინდა თუ არა, მწერალიც უნდა ყოფილიყო, ვინც პარტიულ ერთგულებაზე დასდებდა თავს. მამინ – კომუნისტების, ამჟამად – მოქალაქეთა კავშირის იმ ფრთისა, ზურაბ ჟვანია რომ მეთაურობდა და მთავარ იდეოლოგადაც იგი მოვლენოდა ამ ლიტერატურულ გუნდს, რომლის წევრებსაც ტელეკომპანია „რუსთავი-2“ გულუხვად ჩამოურიგებდა მწერლის ტიტულს იმის მიუხედავად, რაიმე დაეწერათ თუ არა, თორემ სრული უნიჭობაც შედეგად რომ შეერაცხათ, ეს სულ რაღა გასაკვირი გახლდათ – ბოლოსდაბოლოს, რაღაც ნაწერს შეეცხო ფურცლები.

და ასე თვალდათვალ შეიქმნებოდა ახალი ტიპი ჩვენს სინამდვილეში – ტელემწერალი.

სტურულებს ჟვანიელები შეენაცვლებოდნენ, პროპაგანდას პიარი გადაფარავდა და ახლა ესენი გამოცხადდებოდნენ ყველაზე პოპულარულ და აღიარებულ მწერლებად, და ისეთი სახეებით ჩნდებოდნენ ლიტერატურულ – სინამდვილეში კი პოლიტიკურ – შეკრებებზე, ისე გადადიოდა ერთი და იგივე სახელები ინტერვიუდან ინტერვიუში და სტატიიდან სტატიაში, თითქოს რეკლამას მართლა შეეძლოს ჩაენაცვლოს ლიტერატურას. პარტიას სჭირდებოდა ეს უჯრედიც, მოსალოდნელი დაპირისპირებებისას ამოუშვებდა სარდაფებიდან და ჩამოარიგებდა წინააღმდეგობის კერებზე.

შენ სხვიტორის არწივი ხარ, მე ღვანკითის შევარდენიო... ერის წინამძღოლობა ახლა ამათ დაეჩემებინათ – პაროდის პაროდის პაროდის წარმომადგენელი, მასკულტურის ადეპტებს, და ამიტომაც გაცილებით უფრო კომიკური, ვიდრე 60-იანელებად თვითგამოცხადებული მწერლები ბრძანდებოდნენ, ამათ ფონზე უკვე კომიკურობის ოდნავი იერი თუ შეეტყობოდათ, თორემ მეტი არაფერი.

მიტაცება-მისაკუთრება ამათი უნდა გენახათ – „რევოლუციის შვილები“ ყოველთვის უფრო განუკუთხავ რეალობაში

მოქმედებენ, როდესაც საზოგადოებრივი აზრი მხოლოდ საცოდავად ბუჭუჭავს და წინ ასე ერთბაშად ვერაფერი გადადგომია კომიკოსთა დრამატულ, სინამდვილეში ფარისევლურ ნილაბთა თარეშს. შეიარაღებულ ნილაბსანთა მხარდაჭერა კიდევ ცალკე ღვანკითის შევარდნების ახალი საძმო ისეთი იმედოვნებით ეუფლებოდა სალიტერატურო სიერცეს, უკვე ბედისწერასაც აღარაფრად ჩააგდებდნენ და... ის კი, ბედისწერა, მთავარ იდეოლოგს რომ გამოაცლიდათ თებერვლის ერთ ავბედით დღეს, „რევოლუციის“ ტალღები თანდათან გვერდით მირიყავდა ამათაც.

რა ამოად ნამოყელყელავებოდნენ აკაკი წერეთელსაც.

რა ტყუილად მომცდარიყვნენ არალიტერატურული უხამსობის შესათხზველად მის წინააღმდეგ.

უდიერება უხამსობით შენაცვლებულიყო – ესეც ჩვენი ეპოქის ერთ-ერთი ნიშანი.

ამ ფონზე ვარდენ ყიფიანის ეპიგრამა უწყინარი გახუმრების ფარგლებს არა სცილდებოდა – შენც პოეტი, მეც პოეტი...

ეზოპე სიყმანვილისას შესწრებოდა, თუ როგორ იბერებოდა ბაყაყი, და უნებლიეთ ჩაიმუხლებდა და დააკვირდებოდა. ის კვლავ იბერებოდა და იბერებოდა. გასკდომით არ გამსკდარა, მაგრამ ეზოპე ამ შემთხვევას რომ მოჰყვებოდა ტოლ-სწორებშიც და უფროსებშიც, ვილაც ეტყოდა: ალბათ ხარს ეჯიბრებოდაო.

ყმანვილი იუმორის აზრს ვერ ჩახვდებოდა, ვიდრე წლების შემდგომ არ აღმოაჩენდა, რომ თურმე მზამზარეული

იგავი ეყრა ხელთ, შეგონება, რომელსაც... არავინ დაუგდებდა ყურს არც მაშინ და არც არასოდეს.

შეგონების ხვედრი ესაა, ბრძნული დარიგება, თუნდ ხატონად წარმოსახული, მოსმენისას კი ახალისებს ადამიანებს, მაგრამ საკუთარ თავს ძნელად ჰკადრებენ ამგვარ ამბავთა პერსონაჟობას.

არც იმ ბაყაყს ეგონა, რომ ხარობას ჩემობდა. მართლა ხარად წარმოედგინა თავი და ლამობდა, ჰოი რა სიმწრით ლამობდა, თავისი ნამდვილი სახე და აღნაგობა დაებრუნებინა.

პატარა ბიჭი ბაყაყისას, აბა, რას გაიგებდა, ჯერ თავისი თავისაც ვერაფერი გაეგო.

... ნახევარსიმართლე, ნახევარზომები გადაულახავ ბარიერად აღმართულიყო, ბუზღუნის მეტი ვერაფერი გაებედათ, ისიც ნებადართული ბუზღუნისა და მაინცდამაინც თერგდალეულებს შეეტოლებოდნენ, მაინცდამაინც აკაკი წერეთელს გაუმართავდნენ მუშაირას, და იძირებოდა ყველაფერი ღვანკითსა და ღვანკითობაში, მერე კი სარდაფის შპორის სუნიც გადაეკვროდა.

გადაიკარებდა ღვანკითობა.

სარდაფის სუნიც გაიფანტებოდა.

მაგრამ ახლა სხვა შევარდნები შეისწორებდნენ ფრთებს, სხვანი ჩაებლაუჭებოდნენ მოსახვეჭელს, სხვანი შეუყელყელავდებოდნენ „განთიადის“ შემოქმედსაც.

... ვინ ვარდენიაო, – კითხულობდა აკაკი წერეთელი.

# ტყვიან

## ვაშინგტონის დაბენავა

### ორი გაქცევა

ლოზანის შემოგარენში მომხდარი მკვლელობის მიზეზი, ცხადია, იქნებოდა ის წერილი, რომელიც იგნატი რაისმა პარიზიდან მოსკოვში გაგზავნა და რომელმაც დანიშნულების ადგილს ვერ მიაღწია, მაგრამ ძალზე ძვირად დაუჯდა ავტორს.

რაისი სწერდა კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს:

„ჩვენი გზები გაიყო! ვინც ახლა დუმს, ხდება სტალინის თანამზრახველი, ხდება მუშათა კლასისა და სოციალიზმის საქმის მოლაღატე.

ხმაურმა, პოლარულ მფრინავთა გარშემო რომ ატყდა, უნდა ჩაახშოს იმათი გმინვა, ვისაც ანამებენ ლუბიანკის, მინსკის, კიევის, ლენინგრადისა და თბილისის სარდაფებში. მაგრამ ეს არ მოხდებოდა. მართალი სიტყვა ჯერჯერობით სძლევეს ნებისმიერი ცხენის ძალის მქონე უმძლავრეს მოტორს.

თუმცა რეკორდსმენ მფრინავებს უფრო იოლად ძალუძთ მოიხვეჭონ ამერიკელი ქალბატონებისა და სპორტი მოწამლული ახალგაზრდობის კეთილგანწყობა, ვიდრე ჩვენ – დავიპყროთ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი და შევანჯღრიოთ კაცობრიობის სინდისი, მაგრამ იმედს ნუ გადავიწურავთ. სიმართლე თავის გზას გაიკვლევს. დღე განკითხვისა ახლოვდება, ვაცილებით ახლოა, ვიდრე ჰგონიათ ვაჟბატონებს კრემლიდან. საერთაშორისო სოციალიზმის სამსჯავროს დღე მოახლოებულია, რათა განსაჯოს უკანასკნელი ათწლეულის ყველა ბოროტმოქმედება. არაფერი იქნება დავინყებუნი და არავის არაფერს აპატიებენ. ისტორია მკაცრი მსაჯულია და „გენიალურმა ბელადმა, ხალხთა მამამ, სოციალიზმის მზემ“ პასუხი უნდა აგოს თავის ყველა დანაშაულზე.

გაოგნებული და შეძრწუნებული დაჰყურებდა გაზეთს. გულის სიღრმეში ელოდა ამ ამბავს. ავი წინათგრძნობა კარგა ხანია ჩრდილივით თან დასდევდა, აფორიაქებდა, მოსვენებას არ აძლევდა. მაგრამ ქედს არ უხრიდა შიშს, თავს იმშვიდებდა – ჯერჯერობით ხომ არაფერი მომხდარაო და ეგებ არაფერიც მოხდესო. და აი, მოსახდენი უკვე მომხდარიყო. მოსალოდნელი განვითარება მოვლენებისა მაინც მოულოდნელი და, ამდენად, თავზარდამცემი აღმოჩნდა. დაჟინებით დაჰყურებდა გაზეთს, სიტყვები ერთმანეთში ერეოდა, მერე წუთით თვალებს დახუჭავდა, იქნებ მეღანდებო და ხელახლა დაამტერდებოდა ტექსტს. არა, არაფერიც არ ელანდებოდა.

ფრანგული გაზეთი „პარი მატენ“ აუწყებდა მკითხველს, რომ შვეიცარიის ქალაქ ლოზანის შემოგარენში მოხდა ჩეხოსლოვაკიის მოქალაქის ჰანს ებერჰარტის მკვლელობა, მოცული იდუმალებით.

„ენკავედეს“ საგარეო დაზვერვის ოფიცერი ვალტერ კრივიცი გაოგნებით დაჰყურებდა გაზეთს. მას მშვენივრად მოეხსენებოდა, რომ ყალბი პასპორტი ჰანს ებერჰარტის სახელზე ეკუთვნოდა იგნატი რაისს – მის კოლეგასა და მეგობარს.

კრივიციმ ისიც მშვენივრად იცოდა, თუ რამ გამოიწვია რაისის მკვლელობა.



ეს პროცესი ჩატარდება საჯაროდ, მონმეთა მონანილეობით. გამოცხადდება მრავალი მონმე – ცოცხლებიც და მკვდრებიც. გამოცხადდება ყველა, ვინც კი უდანაშაულოდ მოუკლავთ; ყველანი – კამენეები და მრჩოვსკები, სმირნოვები და მურალოვები, მდივები და ოკუჯავეები; ყველანი გამოცხადდებიან – „ჯაშუშები და დივერსანტები, გესტაპოს აგენტები და მესაბოტაჟენი“.

მე განზრახული მაქვს, შევნირო მთელი ჩემი სუსტი ძალ-ღონე ლენინის საქმეს, რადგანაც მხოლოდ ჩვენი გამარჯვება – პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება გაათავისუფლებს კაცობრიობას კაპიტალიზმისგან, ხოლო საბჭოთა კავშირს – სტალინიზმისგან. წინ, ახალი ბრძოლებისაკენ! გაუმარჯოს მეოთხე ინტერნაციონალს!

*ო. რაისი, 1937 წლის 17 ივლისი.*

**P.S.** 1928 წელს მე დამაჯილდოვეს ნითელი დროშის ორდენით ჩემი დამსახურებისათვის პროლეტარული რევოლუციის წინაშე. ამ ორდენს უკან გიბრუნებთ. არ შემძლია ვატარო იგი რუსეთის მუშათა კლასის საუკეთესო წარმომადგენელთა ჯალათებთან ერთად“ (ორიოდე განმარტება: „ხმაური პოლარულ მფრინავთა გარშემო“ – 1937 წლის ივნისში საბჭოთა მფრინავთა ეკიპაჟი ძირსდაუშვებლად გადაფრინდა მოსკოვიდან ვანკუვერამდე ჩრდილოეთ პოლუსის გავლით; „მეოთხე ინტერნაციონალი“ – საერთაშორისო ტროცკისტული გაერთიანება, რომელიც 1937 წელს პარიზში ჩამოაყალიბეს ტროცკისტებმა).

რაისმა წერილი ჩააბარა პარიზის საბჭოთა საელჩოში. მაგრამ მას მოსკოვში გაგზავნა არ ეღირსა. თუ შეიძლება ასე ითქვას, დააპატიმრეს საელჩოს შენობაშივე. პარიზში საგანგებო მისიით ჩასულმა მიხეილ შპიგელგლასმა („ენკავედეს“ საგარეო დაზვერვის სამმართველოს უფროსის მოადგილე) გახსნა დალუქული კონვერტი, წაიკითხა წერილი და თავის დაგეშილ ჩეკისტებს დაავალა დაეწყოთ ნადირობა რაისზე.

იგნატი რაისი (ნამდვილი გვარი – პორეცი) საბჭოთა დაზვერვის თანამშრომელი გახლდათ, გამწესებული დასავლეთ ევროპაში. ხოლო შპიგელგლასს ნაბრძანები ჰქონდა ლიკვიდაცია თავისი ყოფილი კოლეგებისა, რომლებმაც ზურგი შეაქციეს სამშობლოს და აპირებდნენ ახალი ცხოვრების დაწყებას კაპიტალისტურ სამყაროში.

და შპიგელგლასი კეთილსინდისიერად ასრულებდა ბრძანებას.

რაისის მისაკვლევად დაიხარჯა თითქმის ორი თვე.

და აი, 4 სექტემბერს ლოზანის მახლობლად გზატკეცილზე იპოვეს დაახლოებით 40 წლის მამაკაცის გვამი, ტყვიებით რომ იყო დაცხრილული. მოკლულის თავიდან ამოიღეს ხუთი ტყვია, სხეულიდან – შვიდი.

თავისი პოსტიდან გაქცეულ რაისს ტყვია შვეიცარიაში დაენია. თანაც ერთი კი არა, ერთბაშად თორმეტი!

ეს არ იყო უბრალო მკვლელობა. პროფესიონალს, ალბათ, ერთი ტყვიაც ეყოფოდა დავალების შესასრულებლად. არა, ეს იყო გაბოროტებული შურისძიება და, იმავდროულად, გაფრთხილება სხვებისთვის. თორმეტი ტყვია მოლატეს – ევროპის ნებისმიერ კუთხეში. სად გაექცევი ყოვლისშემძლე კრემლის განაჩენს?!

მოსკოვში იმედოვნებდნენ, რომ რაისის ხვედრი შეაჩერებდა „გადამდები სენის“ გავრცელებას, საზღვარგარეთ დამკვიდრებულ მზვერავთა შორის რომ გაჩნდა. ამ სენს ერქვა „გაქცევა ჯოჯოხეთიდან“.

... შეძრწუნებული კრივიცი უკვე მერამდენედ კითხულობდა საგაზეთო ცნობას რაისის მკვლელობის შესახებ და ერთი და იგივე ფიქრი უღრღნიდა ტვინს: „ეს ხომ ჩემი ხვალისდელი დღეა“. თვენახევარი დასდევდა ჩეკისტთა ტყვია მოლატეს და ლოზანის მახლობლად დაენია – თორმეტი ერთად, ზედიზედ თორმეტი ტყვია...

„ეს ჩემი ხვალისდელი დღეა“, – უბურღავდა ტვინს წინათგრძნობა. დაჰყურებდა გაზეთს და ეჩვენებოდა, რომ ჰანს ებერჰარტის ნაცვლად იუნყებოდნენ მარტინ ლესენერის მკვლელობას (ამ გვართ ცხოვრობდა იგი ევროპაში).

მისთვის განკუთვნილი დრო თითქმის ამონურულიყო. საგაზეთო ცნობა სიგნალს ნიშნავდა. კრივიციის თავზე აღმართული მახვილი საცაა დაუშვებოდა. და მისი ბედის ესოდენ მკვეთრი შემოტრიალება, გარკვეულწილად, რაისის დამსახურება იყო.

ვალტერ კრივიცი – ამ ფსევდონიმით იყო ცნობილი შინთუ გარეთ, და დღესაც ამგვარად მოიხსენიებენ სპეციალურ ლიტერატურაში. სინამდვილეში მას ერქვა სამუილ გინზბერგი. დაბადა 1899 წელს დასავლეთ უკრაინის ქალაქ პოდგოლორისკში. თავის მოგონებებში კრივიცი წერს:

„1917 წელს გავხდი თორმეტი წლისა და ბოლშევიკური რევოლუცია მეჩვენებოდა ერთადერთ გზად იმისათვის, რომ ბოლო მოღებოდა სილატაკეს, უთანასწორობასა და უსამართლობას“.

სამოქალაქო ომის წლებში მუშაობდა თერთგვარდიელთა ზურგში, უკრაინაში, სადაც 1919 წელს შევიდა ბოლშევიკთა პარტიის რიგებში. სწორედ აქ მიაკუთვნეს პარტიული ფსევდონიმი – ვალტერ კრივიცი.

მას ევალეობდა დივერსიებისა და საბოტაჟის მოწყობა, რათა შეეფერხებინა ტრანსპორტის მოძრაობა. აგრეთვე უნდა მიეწოდებინა სამხედრო-პოლიტიკური ხასიათის ინფორმაცია ნითელი არმიის სარდლობისათვის.

სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ გაგზავნეს სპეციალურ კურსებზე ნითელი არმიის სამხედრო აკადემიაში.

1923 წლის დამდეგს წარავლინეს გერმანიაში არალეგალური მუშაობისათვის. სწორედ იმხანად ჩამოაყალიბა აგენტთა ქსელი, რომელიც იმდენად ეფექტურად მოქმედებდა მეორე მსოფლიო ომის წლებში, რომ ბრძანებები შიტილერის მთავარბანაკიდან თითქმის ერთდროულად აღწევდა გერმანელთა და საბჭოთა სარდლობასთან.

გერმანიიდან დაბრუნების შემდეგ კრივიციის მოღვაწეობა მიმდინარეობდა შვეიცარიაში, იტალიასა და ავსტრიაში.

1931 წლის 27 იანვარს გამოქვეყნდა ბრძანებულება ნითელი არმიის მეთაურთა მორიგი დაჯილდოების შესახებ. კრივიცი დააჯილდოვეს ნითელი დროშის ორდენით.

1935 წლის სექტემბერში იგი დანიშნეს რეზიდენტად პოლანდიაში. ამავე დროს კოორდინაციას უწევდა დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში გაბმულ სადაზვერვო ქსელს.

ცოლ-შვილთან ერთად ცხოვრობდა ჰააგაში. ოფისი ჰქონდა პარიზში. მისი ოფიციალური საფარი იყო ანტიკვარის პროფესია.

რაისი და კრივიცი ებრაელები იყვნენ, წარმოშობით – სამხრეთ პოლონეთიდან. სწორედ კრივიციმ, რომელიც ასაკით უფროსი იყო რაისზე და მფარველობდა მას, ხელი შეუწყო რაისის მიღებას ჯერ კომპარტიაში, მერე კი – „ენკავედეს“ რიგებში. ისინი მონაწილეობდნენ ერთსა და იმავე საიდუმლო ოპერაციებში დასავლეთ ევროპის ტერიტორიაზე.

1937 წლის 29 მაისს, ხანგრძლივი ინტერვალის შემდეგ, ბედმა ისინი შეჰყარა ჰააგაში. უკვე იმხანად კრივიციკის უკიდურესად ჰქონდა დაძაბული ნერვები. არც არის გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ, რომ ის-ის იყო დაბრუნდა მოსკოვიდან, ხოლო მოსკოვი იმ დღეებში წარმოადგენდა ადგილს, საიდანაც უნებლად თავის დაღწევას ვეტერან ჩეკისტთაგან ცოტანი თუ ახერხებდნენ.

კრივიციკის ბედმა გაუღიმა, მისთვის ხელი არ უხლიათ. ჰოლანდიაში ახლად იყო ჩასული, როდესაც ესტუმრა ძველი მეგობარი რაისი, რომელსაც სურდა პირველწყაროდან მიეღო ინფორმაცია მოსკოვში ატეხილ ორომტრიალზე. კრივიციკის სიტყვით, რაისი – „იდეალისტი სულით ხორცამდე“ – ისე შეაძრუნა მასობრივმა წმენდამ და მოსკოვის პროცესებმა, რომ უკვე მაშინ ამცნო მეგობარს, კავშირს ვწყვეტ იმ სისტემასთან, რომელიც ფაშიზმისაკენ მიექანებაო.

მაგრამ კრივიციკი ჯერ კიდევ იმედოვნებდა, რომ სამსახური გაენიხა საბჭოთა ხელისუფლებისათვის მიუხედავად იმ არგუმენტებისა, რომლებიც მოჰყავდა რაისს და მიუხედავად ყოველივე იმისა, რაც თვითონვე ნახა და გადაიტანა საბჭოთა კავშირში.

რაისისა და კრივიციკის უკანასკნელი, ხანმოკლე შეხვედრა შედგა პარიზში, 1937 წლის 17 ივლისს. კაფეში ნაჩქარევი საუბრის შემდეგ რაისმა უთხრა კრივიციკის, ძალიან მინდა ხვალაც შეგხვდე და უფრო საფუძვლიანად ვილაპარაკოთ. დაგირეკავ და შეხვედრის ადგილი დაეთქვათო. მაგრამ აღარ დაურეკავს.

რაისთან პაემანის ნაცვლად კრივიციკის მეორე დღეს ელოდა სრულიად სხვაგვარი შეხვედრა, სახელდობრ – შპიგელგლასთან. მან დაიბარა კრივიციკი მსოფლიო გამოფენის ტერიტორიაზე.

შპიგელგლასის საშინლად აგზნებული ჩანდა. სიტყვაც არ უთქვამს, ისე ამოიღო ჯიბიდან რაისის წერილი.

შპიგელგლასი, „ენკავედეს“ უფროსის ეჟოვის დავალებით, ინსპექციას ატარებდა რეზიდენტურებში ევროპის ტერიტორიაზე და ეძებდა მორიგ კანდიდატებს სისხლიანი ანგარიშსწორებისათვის. და სწორედ მაშინ ჩავიდა პარიზში, როდესაც შერჩეულ კანდიდატთაგან ერთმა თვითონვე გამოამყვანა თავი, მაგრამ ამავე დროს გაუჩინარდა.

კრივიციკისგან მოითხოვდნენ „დემტეციცებინა თავისი ერთგულება“ (ე.ი. დახმარება გაენიხა რენეგატის მიკვლევასა და მკვლელობაში). იგი ანაზღად მიხვდა, რომ „მისი სამსახური საბჭოთა მთავრობისათვის სამუდამოდ თავდაბოდა“.

კრივიციკი მზად იყო, რომ მალულად მოემოქმედა ყველაფერი, რაც კი შეეძლო, რაისის გასაფრთხილებლად. შუალამისას ორჯერ თუ სამჯერ ურეკავს რაისს მის საიდუმლო თავშესაფარში. რწმუნდება, რომ რაისმა გაიგონა ზარი და მყისვე ჰკიდებს ყურმილს. უთქმელად აუწყებს, რომ მისი

გაქცევის ამბავი უკვე იციან ჩეკისტებმა და მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება.

ძნელი სათქმელია, მიხვდა თუ არა რაისი ამ სიგნალებს. ასეა თუ ისე, მან დილაადრიან დატოვა პარიზი და შვეიცარიისაკენ აიღო გეზი.

მისი უკანასკნელი საქციელი გამგზავრებისას საოცრად უაზრო იყო პროფესიონალი მზვერავისათვის. რაისმა ოტელ „ნაპოლეონის“ მისამართით გაგზავნა წერილი კრივიციკის სახელზე. მაგრამ „ენკავედეს“ ამ ოტელის მოსამსახურეთა შორის თავისი აგენტები ჰყავდა.

რაისი კიდევ ერთხელ ამცნობდა მეგობარს, თუ რატომ წყვეტდა ყოველგვარ კავშირს სტალინურ რეჟიმთან.

კრივიციკი რატომღაც არ მოსპო რაისის წერილი და არაფერი მოახსენა უფროსობას. მის ნაცვლად გაისარჯა ოტელის პორტიე. ლამის სამ საათზე კრივიციკი ნამოახტუნეს ლოგინიდან და საჩქაროდ მიჰგვარეს შპიგელგლასს, რომელიც ბრაზმორეული დააცხრა მას.

კრივიციკი სასონარკვეთილებამ შეიპყრო. აგერ, სულ ახლახან მას, „ენკავედეს“ თვალსაჩინო თანამშრომელს, იმდენად ენდობოდნენ, რომ ნება დართეს დაბრუნებულიყო თავის პოსტზე საზღვარგარეთ და ორიოდე დღეში იგი გადაიქცა მოლაღატის ძველისძველ მფარველად და ლამის თანამზრახველად!

იმ დღეს, 19 ივლისს, კრივიციკი დაასკვნა, მეც სასიკვდილო განაჩენი მემუქრებაო.

ახლა ისღა დარჩენოდა, რომ შეძლებისდაგვარად გაეჭიანურებინა გარდუვალი დაბრუნება მოსკოვში და მოედუნებინაშპიგელგლასის სიფხიზლე.

არსებობდა მხოლოდ ერთი ხერხი, რათა ერთბაშად მიეღწია ორივე მიზნისათვის. ის ვალდებული იქნებოდა, რომ შპიგელგლასის ხელექეთებთან ერთად განეხილა

რაისის მოსპობის გეგმები და ამით დაემტკიცებინა თავისი უსაზღვრო ერთგულება პარტიის წინაშე.

იმავედროულად კრივიციკი საიდუმლოდ განაგრძობდა გაქცევის სამზადისს. მან გამოიხმო პარიზში ცოლი და შვილი, სოფლად რომ ისვენებდნენ. დააბინავა ერთ პანსიონატში.

ახლოვდებოდა აგვისტოს მიწურული, როდესაც უნდა გამგზავრებულიყო მოსკოვს, მაგრამ უკანასკნელ წუთებში გამოძახება გაუქმდა.

და სწორედ მაშინ შეიტყო გაზეთიდან ჰანს ებერჰარტის ანუ იგნატი რაისის მკვლელობის ამბავი.

უკან დასახვევი გზა მოჭრილი იყო.

მხოლოდ და მხოლოდ გაქცევა გადაარჩინდა.

უნდა გაიქცეს, ვიდრე დროა. უნდა გაიქცეს ეჟოვის ნაგაზებს. უნდა გაიქცეს ევროპიდან, სადაც ნებისმიერ კუთხეში მიუწვდებათ ხელი მოსკოვიდან გადმოსროლილ მკვლელებს. საჩქაროდ, საჩქაროდ უნდა გადაცუროს ატლანტიკა და თავი შეაფაროს შეერთებულ შტატებს, სადაც



ასე იოლად ვერ მოახერხებენ სასიკვდილო განაჩენის აღსრულებას.

კრივიციკიმ ამჯერად თვითონ ითხოვა მოსკოვში გამგზავრების ნებართვა, ვითომდა ესაჭიროებოდა კონსულტაციები უფროსობასთან. განაცხადა, საბჭოთა კავშირში გამგზავრებას საზღვაო გზით ვაპირებო, რაც უფრო ხანგრძლივ სამზადისს მოითხოვდა. თბომავალი „ჟდანოვი“ უნდა გასულიყო ჰავრიდან 6 ოქტომბერს.

საბჭოთა საელჩოში კრივიციკიმ ბეჯითად შეასრულა გამგზავრებასთან დაკავშირებული ყველა ფორმალობა და ბაგაჟი გაგზავნა რკინიგზის სადგურზე, საიდანაც უნდა ჩატანათ ჰავრში. თვითონ კი, ცოლ-შვილთან ერთად, მანქანით გაქანდა სამხრეთისაკენ, ტულონის მიმართულებით.

პარიზს რომ ტოვებდნენ, კრივიციკი შეჩერდა ერთ კაფესთან, მიადგა ტელეფონს, აკრიფა თავისი ბიუროს ნომერი და მდივან ქალს აცნობა, რომ „ენკავედე“ კარგავდა კიდევ ერთ თანამშრომელს. პასუხს აღარ დაელოდა. მოგვიანებით შეიტყო, რომ მისი ნათქვამით ელდანაცემ ქალს იქვე, ტელეფონთან შეუნახდა გული.

### თავი სამოთხევი ეპოსი

ნანატრი თავისუფლების ჰაერით სუნთქავდა. აღარავინ ემუქრებოდა, აღარავინ აფრთხობდა. უკან დარჩა სულის-შემსუთველი ატმოსფერო. რასაც უნდოდა, იმას იტყოდა; რასაც უნდოდა, იმას გააკეთებდა. აღარავინ აკონტროლებდა მის ყოველ ნაბიჯს. აღარავინ წონიდა და ზომავდა მის ნათქვამს. თავისუფალი ადამიანი შვებით სუნთქავდა თავისუფალ სამყაროში.

აღარავინ უთვალთვალებდა და თვითონაც აღარავის უთვალთვალებდა. მომავლის გეგმებს აწყობდა. აქ, თავისუფალ სამყაროში ვერავინ აუკრძალავდა სიმართლის თქმას. ყველაფერს იტყვის, ყველაფერს გააგებინებს მთელ მსოფლიოს. დახატავს საბჭოეთის შემზარავ სურათს. დაე, მისწვდეს სიმართლის ხმა იმათ სმენას, ვინც მოუთავლავთ და მოუხიბლავთ მოსკოვში; ვინც დაულაღვად და მომაბეზრებლად აქებს და ადიდებს მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს გაუგონარ გამარჯვებებს; ვინც აცდუნებს იმათ, ვისაც თავისი თვალით არ უნახავს საბჭოთა კავშირი და თავბრუს ახვევს ფერადი ილუზიებით, რომლებიც არ შეესაბამება შავბნელ სინამდვილეს.

კრივიციკი უქმად არ კარგავდა დროს. ჯერ იყო და გამოაქვეყნა წერილი ტროცკისტულ გაზეთში, რომელსაც ერქვა „ბიულეტენი ოპოზიციისა (გამოდოდა პარიზში ლევ ტროცკის ვაჟის – ლევ სედოვის რედაქტორობით).

ამ წერილში კრივიციკი ლაპარაკობდა მოსკოვის სასამართლო პროცესებზე, რომლებმაც შეარყიეს მისი რწმენა. თურმე დიდხანს ცდილობდა, ჩაეხშო აღშფოთებისა და ზიზღის გრძნობა, არ მიეტოვებინა თავისი პასუხსაგები პოსტი. მაგრამ ბოლოს და ბოლოს, დიდი ძალისხმევის შედეგად, გადაწყვიტა, რომ გაეწყვიტა კავშირი მოსკოვთან და დარჩენილიყო საზღვარგარეთ.

კრივიციკი წერდა: „ვრჩები რა საზღვარგარეთ, ვიმედოვნებ, რომ მიქნება შესაძლებლობა შევეწიო იმ ათი ათასობით ვითომდა „ჯაშუშებისა“ და „გესტაპოს აგენტების“ რეაბილიტაციას, სინამდვილეში ერთგულნი რომ იყვნენ მუშათა კლასის ინტერესებისა; რომელთაც ასახლებენ და

ხვრეტენ ახლანდელი რეჟიმის ბატონ-პატრონები – იმ რეჟიმისა, რომელიც ამ მეტროპოლებმა შექმნეს ლენინის ხელმძღვანელობით და განამტკიცებდნენ მისი სიკვდილის შემდეგ“.

იმავე გაზეთში დაიბეჭდა ლევ სედოვის ინტერვიუ ვალტერ კრივიციკისთან, სადაც შეკითხვაზე, თქვენი პოლიტიკური პოზიცია ამჟამად როგორი არისო, კრივიციკი პასუხობდა:

– მე არ მივაკუთვნებ თავს რომელიმე პოლიტიკურ დაჯგუფებას და უახლოეს ხანებში ვაპირებ ვიცხოვრო, როგორც კერძო პირმა. რა თქმა უნდა, მე მთლიანად ვდგავარ ოქტომბრის რევოლუციის ნიადაგზე, რომელიც იყო და რჩება ჩემი პოლიტიკური განვითარების ამოსავალ პუნქტად. თუკი მე მსურდა თქვენთან შეხვედრა და უფრო ახლოს თქვენი გაცნობა, განა იმიტომ, რომ თავს ვთვლი ტროცკისტად, არამედ იმიტომ, რომ ჩემს ცნობიერებასა და რწმენაში ტროცკი განუყოფლად არის დაკავშირებული ოქტომბრის რევოლუციასთან.

– რას ფიქრობთ მოსკოვის ანტიტროცკისტულ პროცესებზე?

– მე ვიცი და მაქვს საფუძველი ვამტკიცო, რომ მოსკოვის პროცესები თავიდან ბოლომდე სიცრუეა. ეს არის მანევრი, რომელმაც უნდა გააიოლოს საბოლოო ლიკვიდაცია რევოლუციური ინტერნაციონალიზმისა, ბოლშევიზმისა, ლენინის მოძღვრებისა და ოქტომბრის რევოლუციის მთელი არსისა.

კრივიციკი აღნიშნავს, რომ სტალინი სხვა აღარაფერზე აღარ ფიქრობს – ტროცკიზმთან ბრძოლის გარდა; მისთვის სხვა საკითხები აღარ არსებობსო. კარგად მუშაობს ადამიანი თუ ცუდად, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, ებრძვის თუ არა იგი ტროცკისტებს. როდესაც აკეთებ მოხსენებას რაიმე სერიოზული პრობლემის თაობაზე, ხედავ, რომ თითქმის არავინ გისმენს, ბოლოს კი გეკითხებიან: ტროცკისტა შესახებ რას იტყვი, როგორ ებრძვიო? ლევ სედოვი ეკითხება, რაისის მკვლელობაზე რას იტყვიო?

კრივიციკის პასუხი კატეგორიულია: მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს ეჭვიც არ ეპარება, რომ რაისი მოკლეს ჩეკისტებმა. მე ვადასტურებ ამას.

1939 წლის გაზაფხულზე კრივიციკი ამერიკულ პრესაში აქვეყნებს სენსაციურ სტატიებს, სადაც ამხელს სტალინის ავკაცურ ზრახვებსა და ბინძურ მეთოდებს.

იმავე წლის დამლევს ეს სტატიები შეტანილ იქნა წიგნში, რომელსაც ასეთი სათაური ჰქონდა: „მე ვიყავი აგენტი სტალინისა“.

წიგნის წინათქმამი კრივიციკი წერდა: „ცივილიზებულ ევროპას, რა თქმა უნდა, ვერ უკარნახებ, როგორ დაიცვას ღრსება ადამიანისა, მაგრამ მე მაინც ვიმედოვნებ, რომ ისინი, ვისაც არ სურს სტალინისა და ჰიტლერის მხარდაჭერა, დამეთანხმებიან, რომ მათი მთავარი იარაღი უნდა იყოს სიმართლე, ხოლო ისეთ მოვლენებს, როგორც არის მკვლელობა, თავისი სახელი უნდა ეწოდოს“.

კრივიციკის წიგნის სულისკვეთების გასაცნობად სანიმუშოდ დავიმონწილეთ რამდენიმე ციტატა:

„30-იანი წლების დამდეგს მთელ მსოფლიოში დაახლოებით 100 მილიონი ყალბი დოლარი მიმოქცევაში გაუშვა, თქვენ წარმოიდგინეთ, სტალინმა. ეს ფაქტი არა მარტო თავისთავად არის საინტერესო, არამედ იმითაც, რომ გვიჩვენებს ჩვენი ქართველის გონებრივ ჩვევათა მთელ პრიმიტივიზმს.

„1933 წელს, როდესაც მილიონობით რუსი კვდებოდა შიმშილით, მე მივხვდი, რომ ეს იყო შედეგი უღმობელი სტალინური პოლიტიკისა და სტალინი შეგნებულად არ უნევდა მათ სახელმწიფო დახმარებას.

„მე ვლავარაკობ მილიონობით მიცვალებულთა სახელით, რომელთა დალუპვა ბრალად ედება სტალინს ძალადობრივი კოლექტივიზაციისა და ხელოვნურად შექმნილი შიმშილის შედეგად; მე ვლავარაკობ ცოცხალთა სახელით, ვინც სულს ღაფავს კატორღებსა და ლაგერებში; მე ვლავარაკობ ასე ათასობით ჩემი პარტიული ამხანაგის სახელით, ვინც იტანჯება საპრობილემებში; მე ვლავარაკობ მრავალი ათასი დახვრეტილი ადამიანის სახელით.

„1937 წლისათვის სტალინი თავის ჯაშუშთა არმიასაც კი აღარ ენდობოდა. მან შექმნა ჯაშუშთა ორგანიზაცია ჯაშუშებზე ჯაშუშობისათვის. სწორედ მაშინ დაიბადა აფორიზმი: „საუკეთესო ჩეკისტი – ეს თვითონ სტალინია“.

„რეპრესიების საშინელებამ ისეთ ზომას მიაღწია, რომ სტალინი თავის გადასარჩენად იძულებული გახდა სიკვდილით დაესაჯა თავისი მთავარი ჯალათი ეჟოვი.

„სტალინი იმასაც კი არ მოერიდა, რომ თავი მოეკვეტა ნითელი არმიისათვის. მან სიკვდილით დასაჯა მისი საუკე-

თესო მხედართმთავრები, მისი ყველაზე ნიჭიერი ბელადები: ტუხაჩევსკი, იაკირი, უბორევიჩი...“

ერთი სიტყვით, შეერთებულ შტატებში გადახვეწილ ვალტერ კრივიცკის ოქტომბრის რევოლუციაც მოსწონდა, ლენინიც მოსწონდა, ტროცკიც მოსწონდა, სამოქალაქო ომის ნითელი გმირებიც მოსწონდა, მხოლოდ და მხოლოდ სტალინი არ მოსწონდა, თუმცა სტალინი სწორედ იმას აკეთებდა, რაც ლენინმა და ტროცკიმ ვერ მოასწრეს.

კრივიცკის სტატიებსა და ნიგნს ამერიკული სპეცსამსახურების ინტერესი არ გამოუწვევია. ყოფილი საბჭოთა მზვერავი ამას კი ნამდვილად არ ელოდა. ეგონა, დაიბარებდნენ, ყველაფერს გამოჰკითხავდნენ, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, არავინ იბარებდა უძვირფასესი ინფორმაციის მფლობელს.

მოამზადა  
თეიმურ ღვინია

დასასრული შემდეგ ნომერში

ჰიპოთეზა

თამარ ბლიაძე

ისევ  
„ლურჯა ცხენებზე“

გალაკტიონოლოგია ფრთებსა შლის. იგი უფრო და უფრო ღრმად იჭრება მეოცე საუკუნის პოეზიის მეტრის სულის ლაბირინთებში და „მერის“ ავტორი პოეზიის ახალ შრეებს ამზეურებს. დღეს ჩვენში გალაკტიონოლოგიის სამი ცენტრი არსებობს: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გალაკტიონის სემინარი, ლიტერატურის ინსტიტუტის გალაკტიონოლოგიის მეცნიერული უჯრედი და ქუთაისის უნივერსიტეტის გალაკტიონის შემოქმედების შემსწავლელი ჯგუფი. მათი საქმიანობა გალაკტიონის შემოქმედებისადმი ღრმა სიყვარულითა და მაღალი პროფესიონალიზმით გამოირჩევა. ეს პოეზია ლამის ამოუწურავი საღაროა მეცნიერულად ამოსაცნობ სახეთა და პრობლემათა. ასე რომ, კიდევ დიდხანს იქნება ფილოლოგ მეცნიერთა კვლევისა და დაკვირვების საგანი.

90 წლის წინათ ოცდახუთი წლის გალაკტიონმა ჟურნალ „ცისფერ ყანებში“ გამოაქვეყნა ლექსი „ლურჯა ცხენები“. მიუხედავად საიუბილეო ასაკისა, შეიძლება ითქვას, ეს ლექსი დღესაც მეცნიერთა ცხოველი ინტერესის, დავა-კამათის საგანია და, მიუხედავად იმისა, რომ არაერთმა ლიტერატურულმა ავტორიტეტმა გამოთქვა ამ ლექსზე კომპეტენტური აზრი, „ლურჯა ცხენების“ სიმბოლურ-ალეგორიული იდუმალეობა, ვფიქრობ, ბოლომდე არ არის ამოცნობილი.

ერთნი ფიქრობენ, რომ „ლურჯა ცხენები“ ჟამთა მარადიული ცვალებადობის ლირიკულ-რომანტიკული სახეა, მეორენი ლექსს ბედთან მუდმივი კვეთების სიმბოლოდ თვლიან

და ბარათაშვილის „მერანის“ ლიტერატურულ შთამომავლად მიიჩნევენ, მესამენი „ლურჯა ცხენებში“ სიკვილ-სიცოცხლის მარადიული ჭიდილის პოეტურ განსხეულებას ხედავენ, მეოთხენი კი ქრისტესთან მისვლისა და უფალთან მღელვარე სულის დავანება-დაცხრომის ლირიკულ რეჟიემად აღიქვამენ უსასრულობაში ლურჯა ცხენების გრგვინვა-გრილით შესვლას.

ოცდაათიან წლებში ზოგი კრიტიკოსი „ლურჯა ცხენებს“ პოეტის ავადმყოფური გონების ნაყოფად, დეკადენტიზმის შიშველ ეპიგონობად და უიმედობის ლიტერატურულ აპოლოგიად თვლიდა, მაგრამ ასეთ „ანალიზს“ სინამდვილესთან საერთო არაფერი აქვს და კარგახანია ისტორიას ჩაბარდა.

იქნებ „ჩამავალ მზით ნაფერი“ სამუდამო მხარე სრულიადაც არ არის რაღაც მისტიკური, მიღმა სამყარო და არც მკვდართა საუფლოა, არამედ ის რეალობა, ანუ ლირიკოსის თვალთ დანახული ეპოქისმიერი სინამდვილეა, პოეტის ოცნებათა ხორცმესხმის გზაზე გადაულახავ ბარიერად რომ ქცეულა?

გაიხსენეთ გალაკტიონის დამოკიდებულება თავის დროსთან. ჯერ კიდევ ლექსთა პირველივე რვეულში მოისმის არსებული უკმაყოფილება. ყრმა პოეტს თითქოსდა თან დაჰყვა ამაოების განცდა, მკვდარდობილის განწყობილება („ვიტყვი, რომ ყველა მომბეზრდა ქვეყნად, რომ დავიღალე მე ამ კუბოში...“), ხოლო შემდგომ წლებში „კუბოში მწოლის“ მსოფლგანცდა რეალობასთან მუდმივ პაექრობაში გადაიზარდა და ეს პერმანენტული უკმაყოფილება სულისშემგუბებელი, დამთრგუნავი სინამდვილისადმი პოეტს უკანასკნელ დღეებამდე არ განელებია („ცხოვრება გაცვდა, ვით ძველი ვროში, უდაბურებად იქცა სოფელი...“).

აღბათ, ამ მარადიული მწუხრის, ტლანქი სინამდვილის სიმბოლური პასაჟები გვხვდება ყოველ ნაბიჯზე და იმ სამუდამო მხარეში (ანუ საიქიოში), სადაც არა ჩანს „შენაპირი“ და პოეტი ვერაფერს ხედავს „ცივი და მოუსაფარ მდუმარების გარეშე“. სიტლანქესა და სიცივის თარეშზე, სუნთქვის გამძნელებელ სინამდვილეზე გალაკტიონი შემდგომ წლებშიც არა-

ერთგზის დაიჩვილებს („ბოროტო, სუნთქვა ნუ გამიძნე-  
ლე...“), ხოლო თვალეში ცეცხლის კრთომის გაქრობა და ცივ  
სამარეში წოლის პოეტური განცდა სწორედ რომ სიცოცხლე-  
ში გაუხარელი სულის ანარეკლია („და არც სულს უხარია“).

საიქოს, მკვდართა საუფლოს სტატიკური, უმოძრაო,  
მკვდრული იდილიური სურათის დახატვა რომ სურდეს პო-  
ეტს, იგი ამ სამუდამო სიმნუხარეში არ შემოიტანდა ამგვარ  
მაჟორულ პოეტურ დინამიკას: „შემლილი სახეების ჩონჩხი-  
ანი ტყეებით უსულდგმულო დღეები რბიან, მიიჩქარიან...“  
დიახ, ეს სწორედ რომ საამქვეყნო ფუსფუსია, ცხოვრების  
ორომტრიალია, სადაც ადამიანები სიზმარიან ჩვენებით ირე-  
ვიან, და სადაც „ცრემლით არ ინამება სამუდამო ბალიში“,  
ესე იგი, მდგრადი, სამუდამო განსასვენებელი ჯერ კიდევ  
შორსაა, ხოლო ალტკინებულები, ეგზალტიური ბრბო დროის  
ლახტით ნაცემი დაუოკებლად აქით (და არა იქეთ) მიიჩქარის  
(„ჩემთან მოესვენებით, ყველანი აქ არიან...“).

ბედის ტრიალი, ცეცხლის ხეტიალი, უკმარისობის ნიაღ-  
ვარი დასადგურებულა ადამიანის სულში და ამ ოღროზოდ-  
რო უსამართლო ნუთისოფელში არ ფაჩუნობს პიროვნების  
შეცნობის, ლოგიკის ნაპერწკალიც კი. ნუგეშიც სანატრელი  
გამხდარა დროის სრბოლით განწირულ სააქაოს მკვიდრთათ-  
ვის: „რომელი სცნობს შენს სახეს, ან ვინ იტყვის შენს სა-

ხელს, ვინ გაიგებს შენს ძახილს, ძახილს ვინ დაიჯერებს? ვე-  
რავინ განუგებებს საოცრების უბეში“.

სწორედ რომ „საოცრების უბეა“ პოეტის თვალთ დაწა-  
ხული ამქვეყნიური სინამდვილე, სადაც „ბნელ ხვეულებში  
გამოუცნობ ქიმერებს“ სძინავთ, ხოლო „უსულდგმულო დღე-  
ები“ კი გაუთავებლად, მომაბეზრებლად „ჩნდება და ქვეს-  
კნელდება“.

განა მარადიულ განსასვენებელში დროის მძაფრი გან-  
ცდა დღეთა გაჩენა-ქვესკნელება დასჭირდებოდა პოეტს სა-  
უკუნო სიჩუმის (შექსპირი) საჩვენებლად? განა უნუგეშობა,  
მშრალი რიცხვები, პიროვნების ვერგაგება და მისი ძახილის  
ვერშეცნობა, შემლილ სახეთა მოძრაობა და დღეთა ქრობა-  
ნათება მღელვარე სააქაოს სიმპტომი არ არის?

მერე?

„მხოლოდ შუქთა კამარა ვერაფერმა დაფარა!“ – ამოანა-  
თებს ლექსის წყვილადური სხეულიდან პოეტის იმედიანი,  
გრძნეული ფრაზა; ოდენ ამ ლექსის კი არა, საერთოდ ამ ქვეყ-  
ნად ადამიანის გაჩენას რომ გაამართლებს.

**P.S.** „ლურჯა ცხენების“ ახლებური ნაკითხვის ცდით ამ  
ურთულესი ლექსის სიმბოლურ ლაბირინთში შეღწევა ვცადე,  
თუ მკითხველი მიიჩნევს, რომ ამ ჰიპოთეზასაც აქვს მეცნიე-  
რული არსებობის უფლება, ჩემს მიზანს მიღწეულად ჩავთვლი.

დაუპინყარი სახელეპი

ციალა თოფურიძე

სანიეუპო  
პიოგრაფიული  
რომანი

\*

პანტანე ჭილიძის  
„ცხოვრება ივანე მაჩაბლისა“

ვახტანგ ჭელიძე ცნობილი მწერალი, მთარგმნელი და სა-  
ზოგადო მოღვაწე სიცოცხლის ბოლომდე დაუშრეტელი ენ-  
თუზიანით ხელიდან კალამს არ უშვებდა. გარდაიცვალა  
2005 წელს. ამ ფაქტზე, უპრეტენზიო, თავმდაბალმა კეთილ-  
მოსურნე პიროვნებამ დიდად მნიშვნელოვანი ღვაწლი დას-  
დო ქართულ კულტურას. მისი მოღვაწეობის სფერო არასო-  
დეს იყო შემოფარგლული ერთი საქმიანობით. მთელი სი-  
ცოცხლე ბევრ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობ-  
და: „საბლიტგამის“ მთავარი რედაქტორი იყო 1948-1952  
წლებში, ჟურნალ „ნიანგის“ რედაქტორი 1955-1957 წლებში,  
ჟურნალი „ცისკარი“ ფაქტობრივად მან დააარსა და კარგა  
ხანს რედაქტორობდა, 1957-1962 წლებში, საქართველოს  
კულტურის სამინისტროს ხელოვნების სამმართველოს უფ-  
როსის თანამდებობაზე მუშაობდა 1963-1967 წლებში, გა-  
მომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორი იყო  
1967-1973 წლებში, გაზეთ „ლიტერატურული საქართვე-

ლოს“ რედაქტორი 1973-86 წლებში და ა.შ. ამავე დროს გასა-  
ოცარი ენერგიით ასწრებდა შემოქმედებით მუშაობას, მისი  
ინტერესი მთარგმნელობით თუ ლიტერატურულ საქმიანო-  
ბისადმი არასოდეს განელებულა.

პირველად 1945 წელს ვახტანგ ჭელიძემ წარმატებით  
თარგმნა და გამოაქვეყნა უილიამ შექსპირის „რომეო და ჯუ-  
ლიეტა“, რომელსაც მალე მოჰყვა შექსპირის „ვენეციელი  
ვაჭრის“ თარგმანი. ამიერიდან შემდგომშიც ვახტანგ ჭელი-  
ძე სისტემატურად აგრძელებს მუშაობას დიდი ინგლისელი  
დრამატურგის შემოქმედების თარგმნაზე, თანაც მეტად მი-  
ზანშეწონილად. თარგმნიდა შექსპირის იმ დრამებს, რომლე-  
ბიც ქართულად არ იყო თარგმნილი, ამით ის ცდილობდა შე-  
ევსო შექსპირის ქართული გამოცემა, ქართველ მკითხველს  
ჰქონოდა მთელი შექსპირი, მის თხზულებათა სრული კრე-  
ბული შექმნილიყო ქართულ ენაზე. შექსპირის თარგმანებს  
როდი დასჯერდა უკვე გამოცდილი მხატვრული თარგმანის  
ოსტატი. მალე ქართველმა მკითხველმა მიიღო მეჩვიდმეტე  
საუკუნის დიდი ინგლისელი პოეტის ჯონ მილტონის პოემე-  
ბის ვახტანგ ჭელიძისეული თარგმანი. მილტონის ეპოსის  
თარგმნას განა შექსპირის დრამატურგის თარგმანზე ნაკ-  
ლები გამოცდილება და ოსტატობა სჭირდებოდა, მაგრამ ეს  
სიძნელეც წლების მანძილზე დიდი რუდუნებით გადალახა  
ვახტანგ ჭელიძემ და მილტონის ეპოური ქმნილებები „და-  
კარგული სამოთხე“ და „დაბრუნებული სამოთხე“ უცხოური  
ლიტერატურის ქართულ თარგმანთა საგანძურს შეჰმატა.  
შექსპირისა და მილტონის თარგმანებიც საკმარისი იქნეო-  
და ვახტანგ ჭელიძის, როგორც ინგლისური ლიტერატურის  
შედევრების შესანიშნავი ქართველი მთარგმნელის უკვდავ-  
საყოფად. მაგრამ შემოქმედი მთარგმნელი როდი დასჯერდა  
ამ მიღწევებს, მის მიერ თარგმნილი ინგლისურენოვან საუ-  
კეთესო ლიტერატურულ ქმნილებათა სია წლიდან წლამდე  
იზრდებოდა, ქართველი მკითხველი ეცნობოდა ისეთ სახე-  
ლოვან, თანაც რთულ ინგლისელ და ამერიკელ მწერალთა  
შემოქმედებას, როგორც არიან ჯ. ფლექტერი, დ. დეფო, უ.

სკოტი, რ. დიკენსი, ჯ. გოლზუორთი, ჯ. ლონდონი, მარკ ტვენი, ე. ჰემინგუეი, ჯ. სტაინბეკი, ჯ. სელინჯერი, რ. ჩაპლინი, ჯ. პრისტლი, ა. მილერი, ტ. უილიამზი და სხვანი.

მხატვრული თარგმანი რთული შემოქმედებითი პროცესია. მთარგმნელს არა მარტო ფართო განათლება, ენების ცოდნა, დიდი ერუდიცია მოეთხოვება, არამედ მთარგმნელი მონოდებით თავად მწერალი უნდა იყოს. ეს აშკარად ჩანს არა მარტო ჭელიძისეულ მხატვრულ თარგმანებში, არამედ მის ლიტერატურულ კრიტიკულ ნერილებსა და მრავალფეროვან პუბლიცისტურ ესეებში, კრებულებში „ლიტერატურული პორტრეტები და ნერილები“ (1971 წ.), „ფიქრები ხვალისდელ დღეზე“ (1976 წ.), „ნერილები“ (1978 წ.). განსაკუთრებით აღსანიშნავია ვახტანგ ჭელიძის მხატვრულ-დოკუმენტური ვრცელი თხზულება „ქართლის ცხოვრების ქრონიკები“, ტ. I-IV (1973-83 წლები).

ვახტანგ ჭელიძე დაჯილდოვებული იყო ორდენებით, მედლებით, პრემიებით, მათ შორის ივანე მაჩაბლის სახელობის პრემიით, მიღებული ჰქონდა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

ასეთი იყო ამ ნათელი პიროვნების ცხოვრებისა და შემოქმედებითი გზა.

ვახტანგ ჭელიძე როგორც მწერალი, მხატვრული სიტყვის თავისებური ოსტატი, მეტიც, როგორც კრიტიკოსი, თარგმანის თეორეტიკოსი, ლიტერატურის მკვლევარი, მეცნიერი ქართველი მკითხველის წინაშე წარსდგა პირველად ვრცელი მონოგრაფიით „ცხოვრება ივანე მაჩაბლისა“, რომელიც ამ ნახევარი საუკუნის წინათ, 1955 წელს გამოქვეყნდა.

ამგვარი გამორჩეულად შესანიშნავი ნაწარმოები დღეს განსაკუთრებით მოითხოვს გახსენებას, მისი დავიწყება დაუსვებელიცაა, რადგანაც ეს შთაგონებული მონოგრაფია ივანე მაჩაბელზე ნათელჰყოფს მხატვრული თარგმანისა და მთარგმნელის ღვაწლის უდიდეს მნიშვნელობას ქართული კულტურისათვის.

ივანე მაჩაბლის შესანიშნავი პიროვნება და ღვაწლი ვახტანგ ჭელიძისათვის დაუშრეტელ შთაგონების წყაროს წარმოადგენდა. მაჩაბლის ცხოვრების მემატთანე, ამავე დროს მისი ლიტერატურული მემკვიდრე და ერთგული მიმდევარი ვახტანგ ჭელიძე თავად შეუწელებელი ენთუზიანითა და დაუცხრომელი ენერგიით ცდილობდა წარმოეჩინა მისი ღვაწლმოსილი წინაპრის სიდიადე და კეთილშობილებით აღსავსე შემოქმედებითი ძიებანი და მიღწევები. ამით მან ცხადჰყო, რომ მხატვრული თარგმანი, მთარგმნელობითი საქმიანობა არა მარტო დიდი პატრიოტული ვალის აღსრულებაა, დიდი დამსახურებაა სამშობლოს წინაშე, არამედ ამავე დროს ნებისმიერი ორიგინალური სამწერლო წარმატების ტოლფასიცაა.

„ცხოვრება ივანე მაჩაბლისა“ თითქოს კალმის ერთი მოსმითაა დაწერილი. მის ავტორს ჩანს ამ წიგნის წერა სიამოვნებასა და სიხარულს ჰგვრიდა. ის ვერ ელეოდა, ვერ თმობდა ივანე მაჩაბლის მდიდარ პირადულ და შემოქმედებითს სამყაროს, უნდოდა დაუსრულებლივ ეწერა, არ გა-

მოჰპარვოდა არც ერთი ღირსშესანიშნავი ნიუანსი მაჩაბლის ღვაწლისგან, მისი განუმეორებელი მღელვარე დაძაბული შემოქმედებითი ცხოვრებიდან.

ვახტანგ ჭელიძის მონოგრაფია შექსპირის ტრაგედიების საუკეთესო ქართველი მთარგმნელის, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის დიდი ქართველი მოღვაწის ივანე მაჩაბლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მიეკუთვნება იმ ლიტერატურულ ნაწარმოებთა რიცხვს, რომელმაც გამოქვეყნებისთანავე ქართველი მკითხველი საზოგადოების აღიარებული მაღალი შეფასება დაიმსახურა.

ივანე მაჩაბელი ხსენებული მონოგრაფიის გამოქვეყნებამდე ცნობილი იყო როგორც შექსპირის ტრაგედიების უბადლო მთარგმნელი, მაგრამ ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში არ დაიმუშავებულა მეცნიერულად მაჩაბლის თარგმანების მხატვრული თავისებურება, არ ყოფილა გაანალიზებული მათი სირთულე და სიღრმე. ვახტანგ ჭელიძის წიგნის საბოლოო მიზანს შეადგენდა გადმოეცა ივანე მაჩაბლის თარგმანების მნიშვნელობა არა მარტო ქართული კულტურისათვის, არამედ საზოგადოდ შექსპირის გენიალურ თხზულებათა თარგმნის ტრადიციების განმტკიცებისათვის სხვა ერთა შორისაც, ეწვენიბინა შექსპირის თარგმნის მაჩაბლისეული მეთოდი და პრინციპები სხვა ენებზე შექსპირის თარგმნისათვის და საერთოდ მხატვრული თარგმნის განვითარებისათვის. მაგრამ მონოგრაფიის ავტორი არ იფარგლება მხოლოდ ესოდენ რთული მიზნითა და ცდილობს, რაც შეიძლება ნათლად და სრულად წარმოგვიდგინოს ივანე მაჩაბლის პიროვნება, მთელი მისი დაულაღავი და მღელვარე შრომა სამშობლოს კეთილდღეობისათვის.

ივანე მაჩაბელმა ცხოვრების მეტი წილი შეაღია მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში განათლების გავრცელებას, მოწინავე იდეების დანერგვასა და საერთოდ ქვეყნის კულტურულ-ეკონომიკური დონის გაუმჯობესებას. სწავლითა და შემდგომში შრომით გადატვირთული ძლივს იხელთებდა ხოლმე მცირეოდენ დროს, რათა სიყვარულითა და გატაცებით ჩაჯდომოდა შექსპირის თარგმანს. მის ცხოვრებაში ზოგჯერ მთელი თვეები, წლებიც კი ისე გარბოდა, რომ მას საშუალება არ ჰქონდა თარგმანებზე ემუშავნა. მაჩაბელი დიდია არა მარტო როგორც შექსპირის ტრაგედიების მთარგმნელი, არამედ როგორც მეცხრამეტე საუკუნის დამლევის ცნობილი მრავალმხრივი ქართველი საზოგადო მოღვაწეც. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ თუ დაუშვებთ მაჩაბელს არ ეთარგმნა შექსპირის დრამები, მისი სახელი მანაც დარჩებოდა მეცხრამეტე საუკუნის სახელგანთქმული ქართველი მოღვაწეობის ილიას, აკაკის, სერგეი მესხისა და სხვათა გვერდით. ამიტომაც თავის მონოგრაფიაში ვახტანგ ჭელიძე ვრცლად ეხება მაჩაბლის ცხოვრებას, საზოგადოებრივ ღვაწლსა და ცდილობს უმნიშვნელო წერილმანაც კი არ გამოჩინოს მისი ცხოვრებიდან. რაკი სიტყვამ მოიტანა ამ წერილმანების თავისებურებაც უნდა აღინიშნოს: საერთოდ ცნობილ მოღვაწეზე მონოგრაფიის შემქმნელი ავტორი ხშირად ხიფათის წინაშე



ვახტანგ ჭელიძე

დგას, რომ თავისი წიგნი ამა თუ იმ ცნობილი პიროვნების შესახებ არ აქციოს ანეკდოტების, თავგადასავლების, კუროზული თუ სენსაციური ბიოგრაფიული მომენტების კრებულად, რომელიც მოკლებულია აზრობრივ მთლიანობას, უკანა პლანზე მოიტოვებს ხოლმე ცნობილი პიროვნებისათვის დამახასიათებელ თვისებებს, მისი შემოქმედებითი ძიების რთულ გზებს და ცდილობს მკითხველის თავშეკცევას, გართობას დაფანტული, ურთიერთდაუკავშირებელი წერილმანი ბიოგრაფიული მომენტებით. თუ ვახტანგ ჭელიძის მონოგრაფიამ ყურადღება მიიპყრო და მიიზიდა ქართველი მკითხველი, ეს აიხსნება არა მარტო თვით მაჩაბლის დიდბუნებოვნებით, არამედ მისი ბიოგრაფისა და მკვლევარის ვახტანგ ჭელიძის ოსტატობითაც, რაც ძირითადად მდგომარეობს ბიოგრაფიული დეტალების განზოგადებაში. ყოველ წერილმან ბიოგრაფიულ მომენტში ვახტანგ ჭელიძე შესანიშნავად ხედავს ივანე მაჩაბლის ჰუმანურ, სამშობლოსათვის თავდადებულ, ენერგიულ, განათლებას დაწაფებულ შრომისმოყვარე და, რაც მთავარია, უაღრესად ნიჭიერ შემოქმედს.

ვახტანგ ჭელიძის მონოგრაფია საგულისხმო ფაქტობრივ მასალას გვანდის არა მარტო მაჩაბლის, არამედ მეცხრამეტე საუკუნის დამლევის სხვა მნიშვნელოვან ქართველ მოღვაწეთა და საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრებიდან.

მაჩაბლის ცხოვრება დაკავშირებულია მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ისეთ ეპოქალურ მოვლენებთან, როგორცაა ბატონ-ყმობის გადავარდნა საქართველოში, 1863 წელს ბატონ-ყმობის გაუქმების შესახებ მანიფესტის გამოშვება. მასთან დაკავშირებით ერთი მხრივ, ქართველი თავადაზნაურობის რეაქცია და მეორე მხრივ, მისი გამოხმაურება ფართო მასებში, ქვეყანაში კაპიტალიზაციის დანყება და აღმავლობა. ავტორი განსაკუთრებით ჩერდება ქვეყნის კულტურული ცხოვრების დასურათებაზე, სწავლა-განათლების, აღზრდის სისტემაზე, ამ პერიოდში ქართული მწერლობის განვითარებაზე, 80-იან-90-იან წლებში საქართველოში პრესის მუშაობაზე, ვრცლად მიმოიხილავს „ივერიისა“ და „დროების“ გამოქვეყნების ეპოქალურ მნიშვნელობას, სპეციალურად ამახვილებს ყურადღებას მეფის რუსეთის ცენზურის სასტიკ ზომებზე ქართული ჟურნალისტიკისა და პროგრესული აზროვნების მიმართ (მაგალითად, დეტალურად აღწერს „დროების“ დახურვის ფაქტს). ცხადია, იქვე დიდ ადგილს უთმობს თეატრის როლს, მის აღმავლობას, „ვეფხისტყაოსნის“ რედაქტორობასა და გამოცემას, ბანკის როლსა და მის შინა ვითარებას და ა.შ. ყველა ამ მოვლენებთან მჭიდროდაა დაკავშირებული ივანე მაჩაბელი. ვახტანგ ჭელიძე დიდ ადგილს უთმობს იმდროინდელი ქართველი ინტელიგენციის რეალური სახის აღდგენას და, რაც მთავარია, ბოლომდე ინარჩუნებს ობიექტური მკვლევარის პოზიციას და ასახავს ქართველი ინტელიგენციის როგორც პროგრესულ, ძლიერ, ისე სუსტ მხარეებსაც.

ვახტანგ ჭელიძის წიგნში საგულისხმოა ისეთი მძიმე საკითხის განმარტება, როგორცაა ქართული სათავადაზნაუ-

რო ბანკის შინა მდგომარეობა. ავტორი ცდილობს მაქსიმალურად ობიექტურად წარმოგვიდგინოს საქმის ვითარება. ის ასაბუთებს, რომ უთანხმოება ილიასა და მაჩაბელს შორის არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩაითვალოს პრინციპულ ლიტერატურულ-იდეოლოგიური ხასიათის უთანხმოებად. ამ ორ დიდ ადამიანს შორის განხეთქილების მიზეზი მკითხველმა უნდა დაინახოს, ერთი მხრივ, მათ შორის მომხდარ შემთხვევით გაუგებრობაში და მეორე მხრივ, ამ უთანხმოების ნამქეზებელ იმდროინდელი საზოგადოების მავნე ელემენტებში, რომლებსაც სიამოვნებას ჰგვრიდა ჭორაობა, ენატანიანობა, ურთიერთშულის გაღვივება და შემდეგ სეირის ყურება.

მაჩაბლის ბიოგრაფი ახერხებს ყველა ამ რთულ მოვლენათა ფონზე გამოკვეთოს დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწის კეთილშობილი, სიცოცხლით სავსე, შეუპოვარი მებრძოლი ხასიათი, დანყებული ბავშვობიდან, სიყმანვილიდან, გიმნაზიის წლებიდან მის საზოგადოებრივ ასპარეზზე დამკვიდრებამდე. გიმნაზიაში ყოფნის პერიოდში ვანო რწმუნდება, რომ ქართული ენა მიჩქმალულია, ფაქტიურად შენიღბულად იდევნება, მას შესანიშნავად ესმის მშობლიური ენის სიმდიდრე. ქართული დედაენის მოამაგეს, პეტრე უმიკაშვილს, რომელიც გიმნაზიაში ასწავლიდა, გვერდში ამოუდგება, მისი საუკეთესო მოსწავლეც იყო და მეგობარი. ერთმანეთთან, ცხადია, მათ აკავშირებდა ქართული ენის ბედ-იღბალი. მაჩაბელი ხალხოსნების მოძრაობას თანაუგრძნობს, მაგრამ იმთავითვე გრძნობს მის სუსტ მხარეებს. პეტერბურგში სწავლისას ქართულ წარმოდგენაში მონაწილეობს. ამავე დროს მაჩაბელი უცხოურ ევროპულ ენებს თითქმის დამოუკიდებლად სწავლობს და ეუფლება. საზღვარგარეთ მიემგზავრება სოფლის მეურნეობის შესასწავლად, რაც თავისი ქვეყნის საკეთილდღეოდ ესაჭიროება. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ბევრ რთულ საქმიანობაშია ჩართული. ქართულ ჟურნალ-გაზეთებში მოღვაწეობს და როდესაც „დროებას“ მძიმე დრო უდგება (იგულისხმება მისი რედაქტორის სერგეი მესხის ფიზიკური დაძაბუნება), მას რედაქტორობს და მარჯვედ უძღვება საქმეს. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამუშავებაში ვანო აქტიურ მონაწილეობას იღებს და მისი გამოცემის სიმძიმესაც ერევა. საქართველოს ბანკში დაუღალავად შრომობს. ქართულ თეატრს ეხმარება რეპერტუარის გამდიდრებაში. ინგლისელ მწერალს მარჯორი უორდროსს შეეღის „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის გაგებაში. და ბოლოს, ვანო მაჩაბელი მხატვრულ თარგმანებზე მუშაობს, მისი ოცნებაა ქართული ლიტერატურა გაამდიდროს უცხოეთის კლასიკური ნიმუშებით, როგორც ზემოთ აღინიშნა, უპირველეს ყოვლისა შექსპირის თარგმანებით.

ვახტანგ ჭელიძეს მაჩაბლის შემოქმედებით ბიოგრაფიაში გაბედულად შემოაქვს ისეთი მომენტები, რომელთაც მკითხველი უფრო ახლოს მიჰყავს ივანე მაჩაბლის შემოქმედებით ძიებებთან, მისი შემოქმედებითი მუშაობის რთულ პროცესებთან. ასეთია მონოგრაფიაში აღწერილი ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის ერთობლივი მუშაობა „მეფე ლირის“ თარგმანზე.



ივანე მაჩაბელი

ნიგნის ერთ-ერთ თავში – „მონა თუ მეტოქე“ ავტორი იძლევა მაჩაბლისეული შექსპირის დრამების ქართული თარგმანების ღრმა ანალიზს. ბუნებრივია, რომ მათ შეფასებისას ავტორი აყალიბებს თავის შეხედულებებსაც საერთოდ მხატვრული თარგმანის პრინციპების შესახებ – და ამ მხრივაც თავი „მონა თუ მეტოქე“ საინტერესო ნარკვევს წარმოადგენს. მაჩაბლის თარგმანების განხილვის პროცესში მკვლევარი თანდათანობით განმარტავს, თუ რას გულისხმობს სათაურში – „მონა თუ მეტოქე“. მისი აზრით, მხატვრული ნაწარმოების თარგმნის დროს პირველი და აუცილებელი პირობაა მთარგმნელი ჩასწვდეს დედნის იდეურ და მხატვრულ სიღრმეს და შეძლოს მისი ადეკვატური გადმოტანა სათარგმნელ ენაზე ე.ი. ბრმად არ მისდის ტექსტს, მონურად არ დაიცავს სტრიქონებისა და სიტყვების თანმიმდევრობა, რაც ფაქტობრივად ე.წ. ფორმალისტურ თარგმანს უდრის, ხოლო ორიგინალის დედააზრი და განწყობილება უგულვებელყოფილი რჩება. ნამდვილი მაღალმხატვრული თარგმანის მისაღწევად უსათუოდ საჭიროა მთარგმნელი ამაღლდეს დედნის ავტორის დონემდე, სათარგმნელი ტექსტიდან ამოიკითხოს ყოველი ნიუანსი, გაითავისოს ყოველი სახის მნიშვნელობა, რაც მომდინარეობს მთელი ნაწარმოების იდეურ-მხატვრული შინაარსისაგან. თარგმნის დროს ეს არის პირველი პირობა, ხოლო ამის შემდეგ მთარგმნელი ეძებს შესაფერ შესატყვის გამოთქმებს, სახეებს სათარგმნელ ენაზე. მისი თარგმანი მხოლოდ მაშინ შეიძლება მივიჩნიოთ უბადლო თარგმანად, თუ იგი ადეკვატურად გადმოგვცემს დედნის განწყობილებას, აზრობრივ სიღრმეს, ნიუანსებს და თანაც ყველაფერი ეს თარგმნილ ენაზე ბუნებრივად უნდა ჟღერდეს. მაჩაბლისეული შექსპირის ტრაგედიების ქართული თარგმანები სწორედ ამ პრინციპითაა შესრულებული და ამით აიხსნება მათი მაღალმხატვრული ღირსება.

ვახტანგ ჭელიძე, მართალია, მოკლედ, მაგრამ მეტად ლაკონურად გვიხსნათებს ალორმინების ეპოქის გენიალური დრამატურგის უილიამ შექსპირის შემოქმედების სიღრმეს, განსაკუთრებით მისი დრამების განწყობილებათა სხვადასხვაობას, სახეების მრავალფეროვნებას, ენობრივ სირთულეს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ შექსპირის დრამების მრავალფეროვნება და ენობრივი ნაირფეროვნება არაერთხელ დაედო საფუძვლად იმ მკვლევართა ჰიპოთეზებს, რომლებმაც ეჭვქვეშ დააყენეს შექსპირის ავტორობა, ყველა დრამა შექსპირის კალამს ეკუთვნის თუ არა? შეეძლო თუ არა ერთ პიროვნებას ესოდენ ღრმა იდეური და ენობრივად მდიდარი დრამების შექმნა, როგორცაა შექსპირის დრამატურგია?

ვახტანგ ჭელიძე ნათელს ჰფენს იმ უდავო ფაქტს, თუ შექსპირის მთარგმნელი როგორი რთული და საპასუხისმგებლო ამოცანის წინაშე დგას და შემდეგ გვიჩვენებს, როგორ ერევა და ძლევს ამ სირთულეს ივანე მაჩაბელი თავის თარგმანებში. ვიდრე მათ კონკრეტულ ანალიზს შეუდგებოდეს, ვახტანგ ჭელიძე მკითხველის ყურადღებას ამახვილებს შექსპირის თარგმანის ტრადიციულ მნიშვნელობაზე. საერთოდ ამა თუ იმ მხატვრული ნაწარმოების თარგმნისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება თარგმნის ტრადიციას სათარგმნელ ენაზე და ნაციონალური ლიტერატურის განვითარებას. კარგი თარგმანი დიდი ლიტერატურული მოვლენაა თავისთავად. მონოგრაფიის ავტორი მიგვითითებს გერმანიის მაგალითზე, რომ შექსპირის შესანიშნავ მთარგმნელამდე ავგუსტ შლეგელამდე გერმანიაში მრავალგზის ყოფილა თარგმნილი შექსპირის დრამები,

რამაც უსათუოდ ავგუსტ შლეგელს ნიადაგი მოუმზადა. მეორე მხრივ, გერმანული ლიტერატურის აღმავლობაშიც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შლეგელის მხატვრულ თარგმანებს. ივანე მაჩაბელი ამ მხრივ უფრო დიდი სიძნელის წინაშე იდგა. საქართველოში მაჩაბლამდე არსებობდა შექსპირის თითო-ოროლა დრამის თარგმანი, მაგრამ ისინი მეტად სუსტი, არაზუსტი და ზოგჯერ კურიოზულად დამახინჯებული იყო. ნიგნში მოყვანილია მთელი რიგი მაგალითები.

არა მხოლოდ ზემოხსენებულ თავში, არამედ მთელ მონოგრაფიაში ნაჩვენებია, რომ დიდი ერუდიციის ქართველი მთარგმნელი შესანიშნავად ფლობდა ქართულ ხალხურ დარბაისლურ ენას, მისი პოეტური ენა საზრდოობდა ქართული კლასიკური ლიტერატურისა და ხალხური ზეპირმეტყველების წყაროებიდან. მონოგრაფიაში განმარტებულია, რომ თითხმეტმარცვლიანი ლექსი მაჩაბელმა პირველმა გამოიყენა შექსპირის თარგმანისათვის. ლექსის ეს ზომა მას კარგად ქონდა ათვისებული სწორედ ქართული კლასიკური ლიტერატურიდან და კარგად მიესადაგა შექსპირული ლექსის ტონალობას ქართულ თარგმანში.

მონოგრაფიის ავტორის მიერ შესანიშნავადაა გაანალიზებული მაჩაბლის თარგმნის მეთოდი. მეცნიერულად დასაბუთებულია მაჩაბლისეული თარგმანების მთელი სიღრმე, მხატვრულობა და ოსტატობა. დედნიდან და მაჩაბლისეულ ქართულ თარგმანებიდან მთელი რიგი ადგილების, მათ შორის რთული პასაჟების დედანთან შედარებითი ანალიზით ნაჩვენებია, რომ არა მონური სიზუსტით, არამედ ქართული ენის ბუნების სტიქიის დაუმხინჯებლად გადმოგვცემდა ივანე მაჩაბელი შექსპირის ნააზრევს, სახეებს, აცოცხლებდა ქართულ ენაზე შექსპირის მხატვრულ სამყაროს. ქართველი მთარგმნელი ოსტატურად ახერხებს შექსპირისათვის დამახასიათებელ სიტყვათა თამაშის, კალამბურების გადმოტანას ქართულ ენაზე და თანაც იმგვარად, რომ მხატვრულ სახეს არ უკარგავს მთლიანობას. დიალოგების დინამიურობა ადეკვატური სიძლიერითაა შენარჩუნებული თარგმანში. მახვილადაა მიგნებული ინგლისური ანდაზების, იდიომების შესატყვისები ქართული ენის საგანძურად. მეტიც, ვახტანგ ჭელიძეს არ გამოჰპარვია ის საინტერესო ფაქტიც, რომ მაჩაბელი ქართული ენის მდიდარ ლექსიკაში სწორად პროულობს სინონიმებს ერთი და იგივე ინგლისური სიტყვის გადმოსაცემად. მაგალითად, ინგლისური „ambitious“ – „პატივმოყვარე“ ამა თუ იმ კონტექსტის მიხედვით თარგმნილია შემდეგი სინონიმებით: მედიდური, თავგასული, გულზვიადი, ქედმაღლური. ამგვარი სხვა საინტერესო მაგალითებიცაა მოყვანილი ნიგნში.

მონოგრაფია არა მარტო მასალის სიმდიდრით, მისი ლოგიკური განლაგებით და, რაც მთავარია, მაჩაბლისეული თარგმანების ღრმა კვლევით იზიდავს მკითხველს, არამედ თხრობის ოსტატობითაც. ვახტანგ ჭელიძის ნიგნი მხატვრული პროზის ნიმუშად უნდა ჩაითვალოს, ამკარად მხატვრულ პროზას უტოლდება და მის სიმაღლეზე დგას. ამის თქმის უფლებას გვაძლევს ის გამოკვეთილი პორტრეტები, რომელთა შექმნის ავტორობაზე მხატვრული პროზის ბევრი კარგი ოსტატიც არ იტყოდა უარს. ასეთია მაჩაბლის ოჯახის წევრების სახეები: მაგალითად, პაპის, პაპიდის, მამისა და დედის, მისი ძმის ვასილ მაჩაბლის კეთილშობილი სახეები, ივანე მაჩაბლის მეუღლისა და სხვა. ზოგჯერ უმნიშვნელო მესამე თუ მეოთხეხარისხოვანი ხასიათიც კი დიდი ოსტატობითაა გადმოცემული, განსაკუთრებით ეს ითქმის მიკიტანზე, მეეტლეზე და სხვა.



დიდი გემოვნებითაა შესრულებული პეიზაჟები, რომლებიც ორგანულად უკავშირდება სიუჟეტურ ქარგას, დინამიურობას ჰმატებს ამა თუ იმ მომენტს და მკითხველს უადვილებს მოვლენებთან უფრო ახლოს მისვლას და იოლად აღქმას. ასეთია, მაგალითად, ზამთრის პეიზაჟი წიგნის დასაწყისში, ქართლის სოფლის ლანდშაფტები, ან კიდევ, ივანე მაჩაბლის ჩამოსვლა ლამით თბილისში, ფოთის ნავსადგურის ხედი, პეტერბურგის ნისლიან და წვიმიან პეიზაჟსაც არ ივიწყებს ავტორი და ა.შ. მონოგრაფია დაწერილია ნათელი, სხარტი, მდიდარი ქართული ენით.

„ცხოვრება ივანე მაჩაბლისა“ უდავოდ დიდი სიყვარულითა და მონდომებით შედგენილი მონოგრაფიაა. ის დიდ საყურადღებო ფაქტიურ, ისტორიულ და ლიტერატურულ ანალიტიკურ მასალას მოიცავს. ამითაც აიხსნება მთელი ნაწარმოების თავისებური სტილისტური გაორმაგება და მათი შეჯერება. ერთი მხრივ, ავტორი იცავს პოპულარული მონოგრაფიის სტილს, მხატვრულად აფერადებს და ამკვეთრებს ამა თუ იმ ბიოგრაფიულ მომენტს, საზოგადოებრივ მოვლენას და ამსუბუქებს მათ აღქმას, მეორე მხრივ, ავტორი დროებით წყვეტს მხატვრული თხრობის მანერას და გადადის წმინდა მეცნიერულ ლოგიკურ მსჯელობაზე, ანალიტიკურ სტილზე, განსაკუთრებით როცა საკითხი ეხება თარგმანთა განხილვასა და შეფასებას. მეცნიერული კვლევიდან ავტორი კვლავ ძალდაუტანებ-

ლად მიმართავს მხატვრულ თხრობას, მხატვრულ უკანდახეევს. ამგვარი თავისებური სტილი არა თუ ამძიმებს ტექსტს, პირიქით, უნდა ითქვას, რომ ეს არის ყველაზე უფრო სწორად მიგნებული წერის, მასალის გადმოცემის მეთოდი პოპულარულ-მეცნიერული მონოგრაფიის შესაქმნელად.

„ცხოვრება ივანე მაჩაბლისა“ ქართულ ლიტერატურათმცოდნეობას შეემატა, როგორც მაღალი გემოვნებით დაწერილი პოპულარული მონოგრაფია, რომელიც სანიმუშოდ შეიძლება ჩაითვალოს ქართველ სახელოვან მოღვაწეთა ცხოვრება-შემოქმედების მკვლევართათვის.

ამ ბოლო წლებში მთარგმნელობითი ოსტატობა, მეტიც, მხატვრული თარგმანი ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების ნაკადში ნაკლებად ჩანს, თითქოს მოდუნდა და ჩრდილში მოექცა. ვახტანგ ჭელიძემ ქართველ მკითხველს თავისი მდიდარი შემოქმედებიდან დაუტოვა შესანიშნავი ორიგინალური ქმნილება „ცხოვრება ივანე მაჩაბლისა“, რომელიც, ეჭვგარეშეა, ბევრ მკითხველს არა მარტო დიდ სიამოვნებას მოჰგვრის, როგორც მხატვრულად ასხმული შემეცნებითი ღირებულების ნაწარმოები, არამედ ბევრ მათგანს პატრიოტულ სულისკვეთებასა და შემოქმედებით ენთუზიაზმსაც გაუღვივებს, განსაკუთრებით უცხოურიდან მხატვრული თარგმანის დამკვიდრების, დაუფლებისა და განვითარების მიმართულებით.

# ანთოლოგიაში არ გამოიტოვება

\*  
**მურმან ლებანიძის  
ნოველა  
„დიდი პულკა“**

„მაგიდას უსხდნენ ხუთნი: ორმოც-ორმოცი წლის წითელი ტიპი, შავი ტიპი, თეთრი ტიპი, ორმოცდაათის ჭალარა მასპინძელი და ოცდაშვიდის ფერმკრთალი ახალგაზრდა. წითელი ტიპი ბორჯომის წყალს ისხამდა, შავი – სიგარეტს შმუშნიდა, თეთრი – კარტს „ამზადებდა“, მასპინძელი საათს დასცქეროდა, ფერმკრთალი ახალგაზრდა ჩიპებს ითვლიდა.

– თორმეტი საათია, – თქვა ჭალარა მასპინძელმა და მაგიდაზე კარტი გაშალა. – მესამე პულკა! მესამე და უკანასკნელი! ადგილები აირჩიეთ!

– უკანასკნელი! – დასწვდა კარტს წითელი ტიპი. – დიდი პულკა! სო ვსემი ონიორამი! – და ყვავის ტუზი ამოაბრუნა.

– მოითმინეთ! – ტუზი უკანვე ჩააბრუნებინა თეთრმა ტიპმა. – ჯერ შევთანხმდეთ! დიდ პულკამდე ერთი პატარაც ხომ არ გვეთამაშა, ჰა?!“

\*\*\*  
ეს არის დასაწყისი ერთი მივიწყებული ნოველის. უსამართლოდ მივიწყებული – მურმან ლებანიძის „დიდი პულკა“. ეს ის მურმან ლებანიძეა და... ნოველებსაც წერდა? ის არის, და თუმც ეს ერთადერთი ნოველა აქვს შექმნილი, წარმატებულ ნიმუშად უნდა შევუფასოთ და უფრო მიზანდასახულადაც შემოვიტანოთ სალიტერატურო მიმოქცევაში.



ამ მოტივით გაიმართა „დიდი პულკას“ საჯარო კითხვა ჩვენს სამწერლო სალონში და დეკლამაცია კი მივანდეთ გამოცდილ რეჟისორს თენგიზ კოჭავაძეს, ვინც წლებია ხელმძღვანელობს უცხოური ფილმების ქართულად ახმოვანებას, ამჯერად კი თვითონ მოუწია მსახიობის ამპლუაში ყოფნა. ოლონდ ჯერ:

**როსტომ ჩხეიძე:**  
„მურმან ლებანიძეს ყველა თაობა იცნობს როგორც თვალსაჩინო პოეტს, აღიარებულ მთარგმნელს, არანაკლებ შესანიშნავ საბავშვო ლექსების ავტორს. იგი აქვეყნებდა, აგრეთვე, არანაკლებ საყურადღებო ბელეტრისტულ ნაწარმოებებს, მინიატურებს, ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებს, – ამასაც ჰქონდა თავისი მნიშვნელობა, მათში არაერთი საყურადღებო დაკვირვებაა გამოთქმული, თუმცა იმ რანგისა არ გახლდათ, როგორც მისი პოეზია.“

მაგრამ მურმან ლებანიძეს ეკუთვნის ერთი მართლაც, შესანიშნავი ნოველა, რომელიც არ უნდა დაგვრჩეს ყურადღების მიღმა. ეს გახლავთ „დიდი პულკა“. ერთადერთი ნოველა აქვს დანერგილი და მას პატივს მივაგებთ არა იმიტომ, რომ ეკუთვნის ცნობილ პოეტს, არამედ თავისთავადი ღირსებების გამო.

ქართული ნოველის ანთოლოგია თუ გამოცემა, ამ ნოველას გვერდს ვერ აუვლის გამომცემელი, თუკი სრულყოფილი წიგნის შედგენა მოუნდადინებია.

თემა ნოველისა პოკერის თამაშია. ეს სრულიად უჩვეულო იყო იმ დროისათვის, როცა ნოველა შეიქმნა და ამის გამო წლების მანძილზე მურმან ლებანიძე ვერ ახერხებდა „დიდი პულკას“ გამოქვეყნებას.

60-იან წლებში უბრალოდ ლაპარაკიც კი აკრძალული იყო პოკერზე, არათუ – თამაში.

მიიჩნეოდა, რომ პოკერით გართობა იყო ბურჟუაზიული გადმონაშთი და საბჭოთა სინამდვილეში ყოველმხრივ იგმობოდა კაპიტალისტთა ეს გასართობიც.

აქვე მინდა გავიხსენო ერთი ეპიზოდი თამაზ ნატროშვილის ცხოვრებისა. ბ-ნ თამაზს მოთხრობაში „გამოლვიძება“, ჰქონდა ერთი ფრაზა, რომ პერსონაჟები თამაშობენ პოკერს. მეტი არაფერი, აღწერილიც კი არ ყოფილა ეს თამაში.

ამის გამო დევი სტურუამ – ცეკას მესამე მდივანმა, ვინც განამტკიცებდა მაშინდელ იდეოლოგიას – საჯაროდ გაათხოვა ეს მოთხრობა და მიიჩნია იდეოლოგიურ დივერსიად – რანაირად შეიძლება, რომ საბჭოთა ადამიანებს, დადებით გმირებად ნაგულისხმევ პერსონაჟებს პოკერი ეთამაშათ.

ამ ფონზე, როცა ერთმა ფრაზამ ასეთი მწვავე რეაქცია გამოიწვია, წარმოიდგინეთ, რომ მთელი ნოველა მურმან ლებანიძისა ეძღვნება ამ თემას – პოკერის თამაშს.

რა დასაძალია, თვითონ მურმან ლებანიძე თამაშობდა პოკერს, მაგრამ ამის გამო არ არის ეს ნოველა შესანიშნავი. მასალას თავისთავად აქვს მნიშვნელობა, და იმასაც, რომ გარემოს, რომელსაც წარმოსახავს, კარგად იცნობდა მწერალი. თუმცა ისეც ხდება, გარემოს კარგად იცნობდე, მაგრამ შენი თემა არ იყოს სულიერად.

ამის მაგალითები არაერთია. სხვა დროს ამაზეც შეგვიძლია ვისაუბროთ.

მურმან ლებანიძის ეს ნოველა ამერიკული მოთხრობის სტილშია დანერგილი, ცოცხალია, ექსპრესიული და მენანება, რომ მიიკარგოს.

ლიტერატურის ისტორიკოსებისთვის, მკვლევარებისთვის თითქოს ის არ არსებობს, თუმცა რამდენჯერმე დაიბეჭდა, მურმან ლებანიძის ტომეულშიც შევიდა, მაგრამ ის მნიშვნელობა არ ენიჭება, რაც უნდა ჰქონდეს.

როდის დაიბეჭდა პირველად და როგორ გამოქვეყნდა?

60-იანი წლებია, როგორც ითქვა, უმძიმესი რეალობაა – ეს ის დროა, როცა არ შეიძლება ადამიანს სევდა ან ტკივილი ჰქონდეს, ან რამე აწუხებდეს. თუ შეაწუხებს, მხოლოდ ის, რომ ყველა ერთნაირი ენთუზიაზმით არ მოელის კომუნისტების ალაჟღაჟებული მწვერვალების ხილვას.

ასეთ რეალობაში, მიუხედავად მწერლის ავტორიტეტისა და დიდი სიხარულით მისი მიღებისა რედაქციებში, ნოველის გამოქვეყნებისგან ყველამ თავი შეიკავა.

1966 წელს ოთარ ჩხეიძემ შეადგინა ასეთი კრებული „ხელეური“ და შეადგინა დაწუნებული მოთხრობების მიხედვით, იმ მოთხრობებისა, რომელთა გამოქვეყნებაც სხვადასხვა მიზეზით ვერ ხერხდებოდა იმ დროს.

რაკილა კრებული იყო და არა ჟურნალი, მოხერხდა გაქცეოდა ცენზურის საცეცებს. და ამ კრებულს დღესაც მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვს, არათუ იმ დროს! თვითონ განსაჯეთ:

აქ პირველად დაიბეჭდა ნოველა 1921 წელზე, — სერგო კლდიაშვილისა.

პირველად საკონცენტრაციო ბანაკზე – ეს არის ლევან გოთუას „იმედის სანერგე“.

პირველად 24 წლის აჯანყების თავისებური გამოძახილი: მიხა ხელაშვილის ხსენებაც კი არ შეიძლებოდა, რადგან იგი დაკავშირებული იყო ქაქუცა ჩოლოყაშვილთან.

ღალატით მოკლეს, იქამდე ემალებოდა ულმობელ დევნას. („დედას ვუყვარვართ შვილები, დედა არ გვახსოვს შვილებსა...“ იბეჭდებოდა როგორც ხალხური ლექსი...). და აი, „ხელეური“ გამოჩნდა ალექსი გომიაშვილის ნოველა, სადაც მიხა ხელაშვილის აჩრდილი ტრიალებს.

აქვეა დაბეჭდილი ოთარ ჩხეიძის „მანდილი“ – ტრაგიზმით სახსევ ნოველა.

აქ არის დაბეჭდილი გიორგი შატბერაშვილის „მამალხინეს სიკვდილი“ – ასეთივე ტრაგიკული.

ბატონი თამაზი ვახსენე და მისი ნოველაც „ჩიხი“ აქ არის გამოქვეყნებული. თამაზ ნატროშვილი ყველაზე ახალგაზრდა ავტორი გახლდათ ამ კრებულში.

„ხელეური“ ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით და სათანადო პატივსაც მივაგებთ.

ერთი სიტყვით, ასეთ გარემოში დაიბეჭდა „დიდი პულკა“.

რაც შეეხება თენგიზ კოშკაძეს, ვინც ერთი მსახიობის თეატრის სტილში წარმოგვიდგენს მურმან ლებანიძის ამ ნოველას, იგი გახლავთ რეჟისორიც და მსახიობიც. დაამთავრა სამსახიობო ფაკულტეტი თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში და სარეჟისორო მოსკოვის სამხატვრო თეატრის სკოლა-სტუდიაში.

მუშაობდა მსახიობად: ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის თეატრში, მარჯანიშვილისა და რუსთაველის თეატრებში, „მეტეხის“ თეატრში.

რეჟისორად: საქტელერადიო მაწუნებლობაში, გორკის სახელობის მოსკოვის სამხატვრო თეატრში, „მეტეხის“ თეატრში, სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის თეატრში, ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრში, ტელეკომპანია „იბერიაში“.

პედაგოგად: სერგო ზაქარიაძის სახელობის თეატრალურ სასწავლებელში, მონანილეობდა რამდენიმე სატელევიზიო სპექტაკლში (მსახიობად) და რამდენიმე ფილმში.

ბოლო წლების სარეჟისორო დადგმებიდან მნიშვნელოვანია გურამ რჩეულიშვილის „მარინე“, სანტანელის „დედა-დედოფალი“, მერიმეს „კარმენი“.

ნათამაშევი აქვს ძალიან ბევრი როლი თეატრში. არის პირველი რეჟისორი, რომელმაც ქართულ ტელევიზიაში დაიწყო ფილმების ქართულ ენაზე ახმოვანება და ახმოვანა დაახლოებით 1000 ფილმი მინც.

\* \* \*

თენგიზ კოშკაძემ, ვიდრე ნოველის კითხვას შეუდგებოდა, თქვა, რომ პირველად უხდებოდა დეკლამატორის როლში ყოფნა თავყრილობის წინაშე, მაგრამ: „იმდენად საყვარელი და ავტორიტეტული ხალხია ჩემთვის, ვინც შემომთავაზა აქ გამოსვლა, რომ უარი გულშიაც კი არ გამივილია“.

\* \* \*

**თამაზ ნატროშვილი:**

„ბატონი როსტომი ისე საინტერესო და ამომწურავი წინათქმით გამოვიდა, არაფერი დარჩა სათქმელი.“

ორ კაცს რომ ძალიან მოგვწონს ეს ნოველა, ეს არც ისე ცოტა უნდა იყოს. მშვენიერი ნაწარმოებია. ორმოცი წელი გავიდა მას მერე, რაც წავიკითხე. მაშინვე ეს ნოველა ეფექტური იყო და ჩემი, როგორც მკითხველის შთაბეჭდილებაც საკმაოდ მძაფრი.

მაგრამ 40 წლის შემდეგაც იგივე შთაბეჭდილება და იგივე მოწონება.

რა არის უპირველეს ყოვლისა საინტერესო? უსათუოდ უცხო სამყარო... შეიძლება ერთგვარად მომაბეზრებელიც იყოს მკითხველისათვის ეს პოკერის ტერმინები, გამეორებანი. ასე შეიძლება ერნესტ ჰემინგუეის „ბერიკაცი და ზღვაც“ მოზერდეს იმ კაცს, ვისაც არ უთევზავია.

თუ ვინმეს ვამსგავსებ, ალბათ არტურ ჰეილის რომანს „აეროპორტი“, სადაც მთავარი გმირი... აეროპორტია. მურმან ლებანიძის მოთხრობაში მთავარი გმირი პოკერია.

ეს სულაც არ ნიშნავს, რომ პერსონაჟები უღიმღამონი არიან, პირიქით, ისინიც ლაკონური და შთამბეჭდავი შტრიხებით არიან წარმოსახულნი, ხუთივე მონაწილე, პირველ რიგში, თეთრი ტიპი, რომლის პროტოტიპი თვითონ ავტორი უნდა იყოს ჩემი ვარაუდით, მასპინძელი და ორი უარყოფითი პერსონაჟი, პირობითად ვამბობ, რა თქმა უნდა.

მაგრამ ამ მოთხრობის კიდევ ერთი დიდი ღირსება ის არის, რომ ეს ორი უარყოფითი პერსონაჟიც ფსიქოლოგიურად დამაჯერებელია.

პოკერისტის ცოლიც, რომელიც ორიოდე წამით გაიღვებს – ისიც კი გამახსოვრდება!

მე პირადად პოკერისტების ცოლთაგან ერთადერთს ვიცნობდი და მისი ტიპი არ ემთხვევა ავტორის აღწერილს, მაგრამ მურმან ლებანიძეს ჩემზე უკეთესად ეცოდინებოდა.

და თუნდაც ცხოვრებისეული სინამდვილის მიხედვით ეშლებოდა, მხატვრული სინამდვილის კანონებით ძალიან კარგად თავსდება ეს სახე მოთხრობის ქსოვილში... თავისი გამოფლატუნებითა და სიგარეტის წვეთით, და იმით, რომ ზედაც არ შეხედავს მოთამაშეებს!

რაც შეეხება ამ მოთხრობის დაბეჭდვის ისტორიას, როსტომმა მოგახსენათ და მართლაც სიახლისაკენ სწრაფვა იყო რედაქტორის მხრიდან, რადგან პოკერის თამაში, აზარტული თამაშები სისხლის სამართლის დანაშაული გახლდათ, ამგვარი მოთხრობის დაბეჭდვა კი – საჩიოთირო.

ქართულ პროზაში სხვა არ მეგულება ამ თემატიკის მოთხრობა, ალექსანდრ პუშკინის „პიკის ქალი“ და თეოდორ დოსტოევსკის „მოთამაშე“, თქვენ წარმოიდგინეთ, უფრო ნაკლებად მახსოვს, ვიდრე ეს ნოველა. დასავლურ მწერლობაში შეიძლება იყოს...”

**როსტომ ჩხეიძე:**

„სტივენ კრეინს აქვს გამოყენებული თემად ნოველაში „ცისფერი სასტუმრო“, მაგრამ იქ პროცესი არ არის აღწერილი...”

**თამაზ ნატროშვილი:**

„ერთი სიტყვით, ვფიქრობ, ეს ნაწარმოები ქართული ნოველის ოქროს ფონდშია შესატანი“.

**ლევან ბრეგაძე:**

„პირველად მოვისმინე ნოველა, წაკითხული არ მქონდა აქამდე. კარგად არის დაწერილი. აზარტიც იგრძნობა, შტეფან ცვაიგის მოთხრობა გამახსენდა – „ქალის ცხოვრების 24 საათი“.“

თემა არ მაგონდება, არც XIX საუკუნის ლიტერატურაში, არც შემდეგ. სხვათა შორის, ლოტოც ასე იყო მოდაში, გადარეული იყო ამ ლოტოს თამაშით მთელი თბილისი და ქუთაისი. აკაკი წერეთლის ფელეტონი (21 წლისამ დაბეჭდა) ლოტოს ეძღვნებოდა.

ამას წინათ გიო ახვლედიანს ვუსმენდი, საინტერესო მასალა ჰქონდა შეგროვებული ჩვენი ცნობილი ადამიანების (ილია, აკაკი...) მოგონებებიდან, წერილებიდან – გატაცება კარტის თამაშით.

მანამდეც იწერებოდა ამაზე „ცისკრის“ ფურცლებზე „მოლაყებს“ ფსევდონიმით.

რაც შეეხება აკრძალვას. აკრძალული რომ იყო ჩვენთან, სწორად იყო აკრძალული“.

**როსტომ ჩხეიძე:**

„მოთხრობის გამოკვეცნება არ უნდა ყოფილიყო აკრძალული!“

**ლევან ბრეგაძე:**

„აკრძალული რომ იყო, სწორედ იმიტომაც აქვს ფასი ამ მოთხრობას.“

ვისაც უბრალოდ უთამაშია ფულზე, ის მიხვდება, რომ ეს მართლაც ასაკრძალია.

ევროპაში 70-იანი წლების შუახანიდან ნებისმიერი აზარტული თამაში აკრძალულია. გერმანიაში სპეციალური განყოფილებებია პოლიციაში, რომლებიც ამაზე მუშაობენ. რატომაც აკრძალული? ოჯახის წევრები ჩივიან. ცოლები, შვილები, მეზობლები...“

მაგრამ რაკი ასეთი ადამიანები ყოველთვის არიან, რომელთაც ფული აწუხებთ ჯიბეში და უნდათ დაიბერტყონ, ამისთვის უნდა ნახვიდე ბადენ-ბადენში ან ლას-ვეგასში და იქ ამოიცარიელო ჯიბეები.

სხვაგან ეს ყველგან ძალიან მკაცრად ისჯება. განა მკვლელობა არაა აკრძალული? მაგრამ კრიმინალური რომანი როგორი აზარტით იკითხება. ამგვარი აზარტის გამო იკითხება ეს ნოველაც ასეთი ინტერესით“.

**როსტომ ჩხეიძე:**

„მურმან ლებანიძე კარტის თამაშისას ყოველთვის აგებდა. როგორც თვითონ ამბობდა, ერთადერთხელ მოიგო, მაგრამ შინმისულს ფული ველარ უპოვნია, სადღაც გზაში დაკარგა.“

კიდევ ერთი დეტალი: გურამ ასათიანი პროფესიონალივით თამაშობდა. სხვა მწერლებმაც მოინდომეს ერთხელ და ჩაერთვნენ. როცა ითამაშეს, გურამმა ურჩიათ: დაანებეთ თავი, არ არის ეს თქვენი საქმეო! რატომ?

გურამ ასათიანმა ყველას ჩამოუთვალა, ვის რა კარტი ეჭირა ხელში. ისინი გაოგნდნენ. მან კი აუხსნა, ეგეც არ იცით, რომ კარტის თამაშისას შავი სათვალე არ უნდა გეკეთოთო. თურმე სათვალე ირეკლავდა ყველაფერს“.

**მაკა ჯოხაძე:**

„რომ არ მცოდნოდა, მურმან ლებანიძის ნოველას ვუსმენდით, ისეთი განცდა მექნებოდა, რომ ვკითხულობთ რომელიმე ევროპელი ან ამერიკელი მწერლის ნაწარმოებს.“

მიკვირს, რომ ამ ნოველას არ მოჰყვას სხვა პროზაული ნაწარმოებები; აქ ისეთი ზუსტი ფსიქოლოგიური მომენტებია დაჭერილი და თამაშის საერთო განწყობილებას ემორჩილება ლექსიკა, ემორჩილება განცდები, ემოციები და ყოველივე ამას ისეთი ძუნძი შტრიხებით ქმნის მწერალი, რომ ერთი არაზუსტი, ზედმეტი სიტყვაც მთლიანად დაანგრევდა მთელ გარემოს. შესანიშნავადაა ეს ტიპები დახატული.

დღეს ყოველ ნაბიჯზე პოკერის კლუბებია გახსნილი და უკვე აღარ არის აკრძალული ხილი, მეტიც, გამუდმებული



თენგიზ კოშკაძე და თამაზ ნატროშვილი

რეკლამირება ხდება ამ აკრძალული ხილისა და რამდენი საცთურის წინაშე დგას ახალგაზრდა.

ნოველის წაკითხვის შემდეგ ადამიანი აუცილებლად დაფიქრდება, თუ რა მოაქვს და საით უბიძგებს ცოდვა ადამიანს და რომელიც არ უნდა ეხებოდეს იმ სინმინდეს, რასაც გამოსახავს თოვლი, ნოველის ფინალში რომ მოდის ხვავრიელად.

ბატონმა თენგიზმა ისეთი მშვიდი ინტონაციით წაიკითხა ტექსტი, რომ არცერთი ემოციური ნიუანსი არ დაკარგულა და განწყობილებაც შესაფერისი შეიქმნა.

**თენგიზ კოშკაძე:**

„ნოველა თვითონ გკარნახობს ინტონაციას. პატარა დეტალია ფინალში, რომელსაც ერთი წაკითხვით შეიძლება არც მიაქციო ყურადღება. ჩემზე კი საშინლად იმოქმედა.

„ლოგინში რომ შეწვა, ტიხარს იქით ბავშვმა წამოიტირა, ქალს წამოაბოდა და მერე აკვის რწევა, საბნის შრიალი და დედობრივი სსს მოესმა...“

მე ასე ვხედავ: ქალი უკვე სხვა ოთახში წევს“.

**როსტომ ჩხეიძე:**

„მართლაც, უფაქიზესი დეტალებია, ნოველის წერის დიდოსტატობაც ეს არის. გულდასაწყვეტია, რომ პროზა თავის ჟანრად არ მიიჩნია.

სხვა მინიატურები ამ რანგისა აღარაა. ლიტერატურის მკვლევართათვის საინტერესოა, მაგრამ მკითხველისათვის ნაკლებად. ხოლო ეს ნოველაა შედეგრი“.

**მაკა ჯობაძე:**

„მე კი გამიგია, მიუხედავად იმისა, რომ აგებდა, მაღალპროფესიულ დონეზე თამაშობდა. აი, განცდა მოგებისა თუ წაგების, ვნება თუ სიმწარე, გაძლება თუ ვერგაძლება ცხოვრებისა, არ ვიცი, ამას რა ჰქვია, ამის არაჩვეულებრივი ცოდნით არის დაწერილი ეს ნოველა“.

**როსტომ ჩხეიძე:**

„ფინალში რა ფაქიზად ისმის გალაკტიონის ინტონაციები – „ათოვდა ბალებს, ათოვდა სახლებს...“ – ეს ასოციაციები კრავს მთელ განწყობილებებს...“

პოეტურ განწყობილებათა გადასვლა პროზაში!.. ბ-ნო დავით, ეს თქვენთვის უცხო არ არის“.

**დავით მჭედლოური:**

„დიდებული ნოველაა, ნამდვილად კლასიკური. მეც 80-იან წლებში წავიკითხე და დიდხანს, დიდხანს გამეყვა ეს განწყობილებანი. ხშირად ვფიქრობდი ამ გმირებზე... კარგი საქმეა, რომ ბ-ნმა როსტომმა გაიხსენა ეს ნოველა და საჭიროდ ჩათვალა გამოტანა ამ საზოგადოების წინაშე და ბ-ნმა თენგიზმაც შესანიშნავად წაიკითხა...“

**როსტომ ჩხეიძე:**

„სხვათა შორის, მამას კიდევ უნდოდა „ხელეურის“ მსგავსი მეორე კრებულიც გამოეცა – ისევ დაწუნებული მოთხრობებისა, მაგრამ ამის უფლება უკვე აღარ მისცეს.

დღეს უკვე აზრი არა აქვს ამ სახის კრებულების გამოცემას, რადგან ყველაფერი იბეჭდება, მაშინ კი ამას ჰქონდა თავისი დიდი მნიშვნელობა.

ქ-ნო ინგა, თქვენ როგორც ცვაიგის ნოველის სპეციალისტი, რამეს ხომ არ ბრძანებდით?“

**ინგა მილორავა:**

„მე ეს თამაში არ ვიცი...“

**როსტომ ჩხეიძე:**

„ყველამ თავი დაიზღვია და აღნიშნა, რომ პოკერის თამაში არ იცის...“

**ინგა მილორავა:**

„ჩემზე ნოველამ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, თითქოს მუსიკალური ნაწარმოებია, რომელსაც თავისი მღინარება აქვს, თავისი წყვეტილი ფრაზები (პას-პაროლ...), თავისი რიტმი...“

ასევე თავისი ფერები: წითელი, შავი – კარტის ფერები, და თეთრი, რომელიც ცალკე დგას და ეს თეთრი და მთავარი გმირი ამ „მუსიკალური ნაწარმოების“ დასასრულს ერთმანეთს ერწყმიან და გადადიან სრულ სითეთრეში ანუ თოვლში. ამით გვირგვინდება ნოველა და ბავშვის ტირილით, რაც არის ყველაზე უმანკო.

საოცარი გრადაციებია – ფერთა და მუსიკით ხდება ამ დიდი დრამის შეკვრა.

აკრძალული თამაში და რა თქმა უნდა, ასაკრძალი... მწერალს რომ მორალისტობა დაენყო, ანდა თვითმკვლევლობით დაემთავრებინა პერსონაჟის სიცოცხლე – ეს იქნებოდა ხელოვნური... ორნი მიდიან თოვლში, სიჩუმეში, სითეთრეში, მერე კი ერთი შედის სახლში, სადაც ქალი და ბავშვი ელოდებოდა... და გრძნობ, რომ ეს ყველაფერი არაა თამაშისათვის შექმნილი...“

ამ მუსიკალობით, ამ ფერების გადასვლით, ამ ადამიანური გრძნობების ფაქიზი წარმოჩენით აღწევს ავტორი ემოციურ სიმძაფრეს...“

ნოველას ეტყობა, რომ პოეტის დაწერილია“.

**მაია ჯალიაშვილი:**

„ცხოვრება თვითონაა თამაში და ჰოიზინგას წიგნიც ამაზეა „ადამიანი მოთამაშე“. ბუნებითაა ადამიანი მოთამაშე და თუ პოკერს არ თამაშობს, თამაშობს სხვა რამეს. ნებისმიერი პროფესია თამაშია გარკვეულწილად, ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანი თამაშობს დიდი ჟინით, გატაცებით.

პოკერში თვითონ კარტები ათამაშებენ მარიონეტად ქცეულ ადამიანებს, ამიტომაცაა, ამ გარემოში როცა შედიან, სახელებს კარგავენ... და პოკერის თამაშიდან გამოსვლის მერე იბრუნებენ. თამაშით ცდილობს ადამიანი დაძლიოს ყოფიერების უაზრობა და ტრაგიკულობა, ტკივილები...“

**რუსუდან ნიშნიანიძე:**

„მაგონდება გიორგი ნატროშვილის ნაამბობი: ერთ საღამოს გიორგი ნატროშვილი, ლევან ასათიანი და კარლო კალაძე ნარდს თამაშობენ. ბატონი გიორგის დრო აღარ დადგა, რადგან დანარჩენი ორიდან ხან ერთი იგებდა, ხან მეორე და გამთენიისას დადგა გადამწყვეტი თამაშის დრო. კარლო კალაძე ურეკავს სერგო კლდიაშვილს და ეუბნება, რომ აუცილებლად სჭირდება „დუშაში“ და მან აუცილებლად უნდა მისცეს.

ყურმილში იმხელა პაუზა იყო, რომ თითქოს სერგოს ან ჩაეძინა, ან ყურმილი გადადო...

და მოულოდნელად გაისმა მიკნავებული, წვრილი ხმა – „მომიცია“...

დადო კარლომ ყურმილი, შეუთამაშებლად გააგორა კამათელი და... დაჯდა დუშაში.

მერე მთელი კვირა ემალებოდა სერგო კლდიაშვილი პირგამეხებულ ლევან ასათიანს...

ასე რომ, თამაში რასაც ჰქვია – იქნება დოკუმენტურ პროზაში, მოგონებასა თუ მოთხრობაში – ყოველთვის ძალიან საინტერესოა, როგორც თემით, ასევე მოწოდების ფორმითაც.

მიუხედავად ამისა, ვერ გეტყვით, რომ აქ მოსმენილი ნოველით აღტაცებული დავრჩი.

ერთადერთი, რაც ამ მონოტონურობას, ერთფეროვნებას მოულოდნელად ავსებს, ფინალია, რომელიც ჟანრობრივადაც და მხატვრულადაც განმარტავს და ამართლებს ამ ნოველის არსებობას.

თუმცა მიმაჩნია, რომ ნოველა საინტერესოა თუნდაც იმით, რომ პოეტმა პროზაშიც მოსინჯა თავი. და თანაც იმ თემით მოსინჯა, რომელიც ნაკლებმომგებიანი იქნებოდა. იქნებ სწორედ ეს იყო მისი „თამაში“.

**როსტომ ჩხეიძე:**

„ახლა მივაქციე ყურადღება, ამ წუთში – ამ თემაზე მურმან ლებანიძეს ლექსი არ დაუწერია...“

თამაზ ნატროშვილის თქმისა არ იყოს, ნოველაში პოკერია მთავარი გმირი, და ლექსში გაელვებითაც არა აქვს ნახსენები. ანუ, მთელი თავისი განცდა ჩადო ამ ნოველაში...“

**მაკა ჯოხაძე:**

„უფრთხილდებოდა პოეზიას!“

**როსტომ ჩხეიძე:**

„პროზა, რა, გასაფრთხილებელი არ არის? არა, დღეს კიდევ დავრწმუნდი, რომ ჩინებული ნოველაა, ფინალიც იმავითა“.

**თემურ ნადარეიშვილი:**

„რა აიძულეს ადამიანს, რომ ითამაშოს? მითუმეტეს, ამხელა პოეტს? ხომ არ არის ეს გატაცება იმ სინამდვილიდან, რომელშიც იგი იმყოფებოდა?“

ბევრი სხვა ცნობილი ადამიანიც გართულა ამ თამაშით. გარკვეული პროტესტია? სადმე ხომ არა აქვს ბ-ნ მურმანს, ან მოგონებებში, დღიურებში რაიმე მინიშნება? იქნებ ამან მოგვცეს გასაღები.

უნებურად მახსენდება კორტასარი („შარაგზაზე“), დოსტოვესკი. ადამიანები ხედებიან განსაკუთრებულ გარემოში და მწერალი აკვირდება მათ ქცევას.

პოკერის თამაშის დროსაც მოთამაშეები რალაც სხვა, განსაკუთრებულ თვისებებს ხედავენ ერთმანეთში, რაც მხოლოდ ამ თამაშისას ჩანს, იქნებ სწორედ ეს იყო ბ-ნ მურმანისთვის საინტერესო? და ეს დეტალების აღწერაც გარკვეული სულიერი მოთხოვნის დაკმაყოფილებაც არის...

რაც შეეხება ქ-ნ ინგას ნათქვამს, – ფერები ერთ ფერში, თეთრში ერთიანდებაო – გეტყვით როგორც ფიზიკოსი – ყველა ფერი ჯერ იშლება სხვადასხვა ფერად და მერე ისევ ერთ ფერში – თეთრში ერთიანდება“.

**ტრისტან მახაური:**

„ეს ნოველა საინტერესოა იმით, რომ აქ არიან პროფესიონალი მოთამაშეები. რუსუდან ნიშნიანიძე ლაპარაკობდა თამაშზე და მინდა ვთქვა, რომ მწერლების თამაში თეატრალიზებულია... დრამატიზებული, მხოლოდ ეს თამაში, რომელზეც წერს მურმან ლებანიძე, პროფესიონალთა თამაშია. ძალიან საინტერესოა ამით.

მინდა გავიხსენი ერთი ინტერვიუ, სადაც პროფესიონალი მოთამაშე, პოკერისტი, გურამ ლორთქიფანიძე („ლორთქია“) იხსენებს, თუ როგორ განიცდიდა ყოველ თამაშს მურმან ლებანიძე... ვიდრე კარტი დარიგდებოდა, საშინლად ნერვიულობდაო. ჭაბუა ამირეჯიბი უფრო მშვიდი ყოფილა – თამაშის დროსაც და იქამდეც...“

და ამ ნოველასაც ემჩნევა ეს განცდა მწერლისა. იგი შევიდა ამ პროფესიონალთა სამყაროში და ბოლოსდაბოლოს ისევ მწერლის თვალთ შეაფასა ეს ყველაფერი. აი, ამიტომაც არის ჩემთვის საინტერესო და, როგორც ითქვა, დაამშვენებს ნოველის ნებისმიერ ანთოლოგიას.“

**როსტომ ჩხეიძე:**

„კიდევ რამეს ხომ არ ბრძანებთ, ვინმეს გულს ხომ არ დაგაკლდათ?“

**ხმა დარბაზიდან:**

„ახალ თამაშს ნულა დავინყებთ...“

**როსტომ ჩხეიძე:**

„თუ თამაშია, თამაში იყოს...“

\* \* \*

„გარეთ კი თოვდა. თოვდა და თოვდა. ჰოი, რას თოვდა! ათოვდა ბალებს, ათოვდა სახლებს, შრიალბდა თეთრად და რალაც შორეულსა და ბუნდოვანს ბუზღუნებდა თოვლი“.

აგატა კრისტი

## უბრალოდ უბედური შემთხვევა

– მე კი გიმეორებთ, რომ ეს ის ქალია. აქ საეჭვო არაფერია.

კაპიტანმა ჰეიდოკმა შეხედა მეგობრის ენერგიულ, აღელვებულ სახეს და ამოიხრია. მას არ სიამოვნებდა, რომ იგი ასე დაუფარავად, ღვარძლიანად ლაპარაკობდა. მოხუც კაპიტანს საზღვაო ფლოტში სამსახურმა ასწავლა სხვის საქმეებში არ ჩარეულიყო. მაგრამ მისი მეგობარი, სკოტლენდ-იარდის ყოფილი ინსპექტორი ევანსი სულ სხვა აზრისა გახლდათ. „იმოქმედე მხოლოდ და მხოლოდ მიღებული ინფორმაციის მიხედვით“ – აი, მისი დევიზი, და ეს დევიზი ცხოვრების პრინციპად აქცია. ბუნებით მონიჭებული გამჭრიახობა და შორსმჭვრეტელობა ესმარებოდა მუშაობისას და ახლაც, როცა პენსიაზე გავიდა და ერთ მყუდრო სოფელში დასახლდა, პროფესიული ალღო ერთი წუთითაც არ ღალატობდა.

– ამ ქალის სახის დავინწყება შეუძლებელია, – თვითკმაყოფილებით იმეორებდა. – დიახ-დიახ, რა თქმა უნდა, მისის ენტონი! როცა მითხარით, ის მისის მეროუდინიაო, იმ-ნამსვე მასში მისის ენტონი შევიცანი.

კაპიტან ჰეიდოკმა შუბლი შეიჭმუნა. მეროუდინები მისი უახლოესი მეზობლები იყვნენ და მისის მეროუდინის გაიგივება იმ ცნობილი, უსიამოვნო საქმის გამირ ქალთან მოხუცი კაპიტანისათვის მეტად უსიამოვნო გახლდათ.

– ეს ხომ დიდი ხნის წინათ მოხდა, – უხალისოდ თქვა კაპიტანმა.

– ცხრა წლის წინათ, უფრო ზუსტად, ცხრა წლისა და 3 თვისა, – მშვიდად თქვა ევანსმა. – თქვენ გახსოვთ ეს საქმე?

– საკმაოდ ბუნდოვნად.

– მაშინ აღმოჩნდა, რომ მისტერ ენტონი მუდმივად ლეზობლობდა დარიშხანს, ამიტომაც მისის ენტონი გაამართლეს.

– ეს როგორ?

– უბრალოდ, ფაქტები არ დადასტურდა. მოწმეთა ჩვენებები მის სასარგებლოდ ლაპარაკობდნენ. ყველაფერი ერთმანეთს დაემთხვა.

– ყველაფერი წესრიგშია, – თქვა ჰეიდოკმა. – რა გვაქვს ასაღელვებელი?

– მერედა, ვინ ღელავს?

– მომეჩვენა, თითქოს თქვენ...

– სრულებითაც არა.

– ეს საქმე წარსულში მოხდა და თავი დავანებოთ. თუ მისის მეროუდინს შეემთხვა უბედურება და იგი მკვლელობაში დაადანაშაულებს, ხოლო შემდეგ კი გაამართლეს...

– ვფიქრობ, გამართლება უბედურება არ უნდა იყოს... – სათქმელი შუაზე გაანწყვეტინა ევანსმა კაპიტანს.

– მშვენივრად გაიგეთ, რისი თქმაც მინდოდა, – აღელვებით გააგრძელა ჰეიდოკმა. – თუ ამ სანყალ ქალს ოდესღაც უბედურება შეემთხვა, ჩვენი საქმე არ არის ძველის ამოქექვა. ასე არაა? ევანსი დადუმდა.

– მომისმინეთ, ევანს. თქვენ ახლახან არა თქვით, ქალი უდანაშაულოა?

– არ მითქვამს, უდანაშაულოა-მეთქი, ვთქვი, რომ მაშინ იგი გაამართლეს.

– ეს ხომ ერთი და იგივეა.

– ყოველთვის არა.

დაბნეულმა კაპიტანმა, რომელიც ამ საქმით ძლიერ შენუხებული იყო, მეგობარს შეხედა.

– ა-აა, აი, თურმე ქარი საიდან უბერავს. მიგაჩნიათ, რომ ქალი დამნაშავე იყო?

– ეს არ მითქვამს. მე მხოლოდ ვთქვი, არ ვიცი იყო თუ არა იგი დამნაშავე-მეთქი. მისტერ ენტონის – მის ქმარს, ჩვეულებად ჰქონდა მიეღო დარიშხანი, რომელსაც ცოლი უმზადებდა. ერთხელ შეცდომით ზედმეტად დიდი დოზა მიიღო. ვისი შეცდომა იყო ეს, ქმრისა თუ ცოლის? მაშინ ვერავინ დაადგინა. და მოსამართლემაც ქალი გაამართლა. ყველაფერი ერთი შეხედვით რიგზე ჩანდა. მაგრამ მე მაინც სიმართლე მინდა გავიგო.

კაპიტან ჰეიდოკმა ჩიბუხს მოუკიდა.

– ეს არ არის ჩვენი საქმე, – შემირიგებლურად თქვა მან.

– მოითმინეთ, ერთი წუთით. ალბათ გახსოვთ, მისტერ მეროუდინი გუშინ საღამოს თავის ლაბორატორიაში ცდებს ატარებდა.

– რასაკვირველია. მან კიდევაც ახსენა დარიშხანი, რომლის საშუალებითაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცდა ჩაატარა. მითხარით, რა იცით ამ ცდის შესახებ. ეს ხომ თქვენს პროფესიას ეხება? – ჰკითხა კაპიტანმა და თან ჩაიცინა, – მაგრამ საეჭვოა მისტერ მეროუდინმა რამე გაამჟღავნოს ამ საქმის შესახებ, თუნდაც ახსოვდეს...

– თქვენ გინდათ თქვათ, რომ თუნდაც იცოდეს? – ევანსმა ისევ გაანწყვეტინა სათქმელი. – დიდი ხანია ისინი ცოლქმარი არიან? მგონი თქვენ მითხარით, ექვსი წელიაო. საჩაძღვოს ვდებ, რაზეც გსურთ, რომ მისი ცოლი ცნობილი მისის ენტონია.

– და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მისტერ მეროუდინი ამას ჩემგან ვერ გაიგებს, – გადაჭრით თქვა კაპიტანმა.

ევანსს კაპიტანის ნათქვამისათვის ყურადღება არ მიუქცევია, ისე გააგრძელა:

– ნუ მანწყვეტინებთ. ამ მნიშვნელოვანი ცდის შემდეგ მეროუდინმა საცდელი მასალა ააორთქლა კოლბაში, ლითონის ნალექი წყალში გახსნა, შემდეგ ვერცხლის ნიტრატით დაუმატა, რათა რეაქცია დაეჩქარებინა. ეს იყო ქლორატების ცდა. მაგრამ ნიგნიდან მახსოვს, რომ თუ ამ ნივთიერებას H<sub>2</sub>O<sub>4</sub>-ს დავუმატებთ, ნივთიერება დაიშლება ქლორატებად და გამოიყოფა ქლორი. მაგრამ თუ ამ ნივთიერებას გავაცხელებთ, მოსალოდნელია ძლიერი აფეთქება. ამიტომ ეს ნივთიერება მხოლოდ და მხოლოდ ცივ ადგილას უნდა მოვათავსოთ და, ამასთან, ძალზე ცოტა უნდა გამოვიყენოთ.



ჰეიდოკმა გაკვირვებით შეხედა მეგობარს.

– და მერე რა გინდათ მაგით თქვათ?

– ის, რომ ჩემს პროფესიაშიც არის მსგავსი ცდები – ცდები მკვლევლობებთან. მკვლელი იშვიათად კმაყოფილდება ერთი დანაშაულით. მიეცით მას დრო, მოხსენით ეჭვი და უკვე სხვა დანაშაულს სჩადის. ვთქვათ, დაადანაშაულეთ კაცი ცოლის მკვლელობაში. თუნდაც მის წინააღმდეგ არ იყოს საკმარისი სამხილი. მაგრამ თუ ჩაიხედავთ ამ კაცის წარსულში, შეიტყობთ, რომ მას რამდენიმე ცოლი ჰყოლია და ყველა იდუმალ ვითარებაში გარდაცვლილა. ეს უკვე თქვენი ეჭვების დადასტურებაა. დადასტურება არა იურიდიული, არამედ მორალური თვალსაზრისით. თქვენ მაინც თქვენდაუნებურად ცდილობთ ჭეშმარიტების დადგენას და ამიტომაც ეძებთ დამამტკიცებელ საბუთებს...

– და შემდეგ?

– აი, უკვე მთავარ სათქმელს მივუახლოვდით. კარგია, რომ არსებობს წარსული, რომელშიაც შეგვიძლია ჩავიხედოთ. მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ მკვლელი (სულერთია კაცი იქნება თუ ქალი) პირველი დანაშაულისთანავე დავიჭირეთ. მაშინ ჩვენი ცდა ჩვენთვის საჭირო რეაქციით არ დამთავრდება. მაგრამ, ვთქვათ, დანაშაულში ეჭვმიტანილი გამართლდა და სხვა გვართი ინყებს ახალ ცხოვრებას? ჩაიდენს თუ არა იგი ახალ დანაშაულს?

– ო, ამის წარმოდგენაც კი საშიხელებაა.

– თქვენ კი ამბობთ, ეს ჩვენი საქმე არ არისო.

– რა თქმა უნდა ასეა. თქვენ ხომ არ გაგაჩნიათ იმის საფუძველი, იფიქროთ, მისის მეროუდინი დამნაშავეაო?

ყოფილი ინსპექტორი წუთით გაჩუმდა და შემდეგ თქვა:

– ჩვენ გავაანალიზეთ ამ ქალის წარსული და ვერაფერი აღმოვაჩინეთ. თუმცა ეს ასე არ არის. მას ჰყავდა მამინაცვალი. როცა ქალი თვრამეტი წლის ასაკში ერთი ახალგაზრდა მამაკაცით გაერთო, მამინაცვალმა ყოველი ღონე იხმარა, ისინი ერთმანეთისათვის დაეცილებინა. ერთხელ მან მამინაცვალთან ერთად ციცაბო მთაზე გაისეირნა. და ამ დროს მოხდა უბედური შემთხვევა – მამინაცვალი ძალიან ახლოს აღმოჩნდა მთის კიდეზე, მან უცებ უკან დაიხია და მთიდან გადმოვარდა.

– და თქვენ ფიქრობთ, რომ...

– ო, არა. ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ უბედური შემთხვევა. მისტერ ენტონის მიერ დარიშხანის საკმაოდ დიდი დოზის მიღებაც შემთხვევითობა გახლდათ. ცოლზე ეჭვს ალბათ არასოდეს მიიტანდნენ, რომ არა ის ახალგაზრდა კაცი, რომელიც ამ ქალს უყვარდა. თუმცა შემდეგ ისინი

დამორდნენ. იცით, ჰეიდოკ, ვფიქრობ, მოსალოდნელია მოხდეს კიდევ ერთი უბედური შემთხვევა.

ჰეიდოკმა მხრები აიჩეჩა.

– არ ვიცი, როგორ აპირებთ ამ შემთხვევის თავიდან აცილებას!

– არც მე ვიცი, – დაღლილი ხმით თქვა ევანსმა.

– თქვენს ადგილას თავს დავანებებდი ამ საქმეს, – თქვა კაპიტანმა ჰეიდოკმა. – ვფიქრობ, არა ღირს სხვის საქმეებში ცხოვრის ჩაყოფა.

მაგრამ მოხუცი კაპიტანის ეს რჩევა ჭკუაში არ დაუჯდა ევანსს. მან დაბეჯითებით გადაწყვიტა სიმართლის გაგება.

მეგობართან გამომშვიდობების შემდეგ ევანსი სოფელში სეირნობდა, თან ეს საქმე უტრიალებდა თავში. მარკების საყიდლად ფოსტაში შესვლა გადაწყვიტა. ის იყო ფოსტაში უნდა შესულიყო, უცებ ჯორჯ მეროუდინს შეეჯახა.

ქიმიის ყოფილი პროფესორი – მისტერ მეროუდინი საშუალო ტანისა იყო, მეოცნებე, რბილი და თავაზიანი ადამიანებთან ურთიერთობაში. ამასთან, საოცრად დაბნეულიც. მან იცნო ევანსი და მეგობრულად მიესალმა. შეჯახებისას პროფესორს მთელი დასტა წერილები დაუცვივდა ხელიდან და მათ ასაღებად დაიხარა.

ევანსიც დაიხარა, მოხერხებულად აკრიფა და პატრონს დაუბრუნა. თან ერთი წამით შეავლო თვალი კონვერტებს. ზედა კონვერტზე წაწერილმა მისამართმა მიიპყრო მისი ყურადღება, თანაც ეჭვი აღუძრა. ეს იყო კარგად ცნობილი სადაზღვევო კომპანიის სახელწოდება.

ევანსს არ დასჭირვებია დიდი შრომა იმის გასაგებად, თუ რისთვის სჭირდებოდა მეროუდინს სადაზღვევო კომპანია. პროფესორმა საუბრისას აცნობა ევანსს, სიცოცხლე ცოლის სასარგებლოდ დავაზღვიეო, და ამის შესახებ ყოფილ ინსპექტორს რჩევა ჰკითხა.

– მე რამდენიმე კაპიტალდაბანდება შევქმენი, რის შედეგადაც ჩემი შემოსავალი ცოტა არ იყოს შემცირდა, – თქვა პროფესორმა. – თუ რამე შემემთხვევა, ჩემი ცოლი შეიძლება სრულიად უსახსროდ დარჩეს. ჩემი დაზღვევა კი საქმეს სასიკეთოდ გამოასწორებს.

– მერე თქვენი ცოლი თანახმაა? – დაინტერესდა ევანსი. – მე ვიცნობ ქალებს, რომლებიც დაზღვევის წინააღმდეგნი არიან. მათი აზრით, ეს უბედურების მომტანია.

– ო-ო, მარგარეტი ისეთი პრაქტიკულია. არ აპყვება ცრურწმენებს, თანაც ეს ხომ მისი იდეაა, – ღიმილით თქვა მისტერ მეროუდინმა.

ევანსმა გაიგო, რაც ენადა. მალე გამოემშვიდობა პროფესორს. იგი საოცრად აღელვებული იყო – გარდაცვლილ-



მხატვარი ალექსანდრე სლოვინსკი

მა მისტერ ენტონიმაც ხომ ცოლის სასარგებლოდ დაიზღვია თავი სიკვდილამდე რამდენიმე კვირით ადრე.

ევანსი, სავესტებით დარწმუნებული თავის მიერ გამოტანილ დასკვნებში, ყოველთვის პროფესიულ ალღოს ენდობოდა. მას სურდა დანაშაულის თავიდან აცილება და მკვლელის შეპყრობა უკვე ჩადენილი ბოროტმოქმედების შემდეგ.

მთელი დღე ჩაფიქრებული იყო. საღამოს სოფლის მოედანზე დღესასწაული გაიმართა. ევანსიც იქით გაეშურა, უნდოდა ცოტა გული გადაეყოლებინა. აქ მკითხავ ზარას გადაეყარა და მკითხაობაში ნახევარკრონიანი დახარჯა. თან თავის თავს დაცინოდა, როცა იხსენებდა, როგორი უნდობი იყო წინასწარმეტყველების მიმართ სამსახურში ყოფნისას.

თავიდან არც უსმენდა მკითხავის მონოტონურ ხმას. ბოლოს გააკვირვა მკითხავის ნალვლიანმა წინასწარმეტყველებამ:

– შენ ვილაც მამაკაცის ბედით ძლიერ ხარ დაინტერესებული, მისი სიცოცხლე თუ სიკვდილი ძალიან გაღელვებს. რაღაც გადამწყვეტილება მიიღე, მაგრამ ფრთხილად უნდა იყო, ძალიან ფრთხილად. თუ შეცდომა მოგივა, უმცირესი შეცდომაც კი...

მკითხავი აკანკალდა. თუმცა ევანსი მკითხავის ნათქვამს სისულელედ თვლიდა, მღელვარება მასაც გადაედო.

– გაფრთხილებ, არ მოგივიდეს შეცდომა. თუ შეცდები, გარკვევით ვხედავ, რომ სიკვდილი გელის.

– ეშმაკმა დალახვროს! სიკვდილი?! და თუ შეცდომა მომივიდა, სიკვდილი მელის?

– დიახ, ბატონო!

– რადგან ასეა, არ უნდა შევცდე, – თქვა ევანსმა და მკითხავს ნახევარკრონიანი გაუწოდა. – თუმცა ეს სათქმელადაა იოლი: არ უნდა შევცდე. ამაზეა დამოკიდებული მისი სიცოცხლე.

მისი დახმარება არავის შეეძლო. შორ მანძილზე თავისი მეგობრის, კაპიტან ჰეიდოკის სილუეტი დალანდა – ვილაც ქალს ელაპარაკებოდა. „არ ჩაერიო“ – გახლდათ ჰეიდოკის ცხოვრების პრინციპი. მაგრამ ეს პრინციპი ახლა არ გამოადგება ინსპექტორს. ქალი დაემშვიდობა მოხუც კაპიტანს და ევანსისაკენ წამოვიდა. ინსპექტორმა მასში მისის მეროუდინი შეიცნო.

მისის მეროუდინი ფრიად საინტერესო გარეგნობის ქალი გახლდათ. ფართო შუბლით, დიდი თაფლისფერი თვალებით, შუაზე გაყოფილი თმებითა და სახის მშვიდი გამომეტყველებით იტალიელ მადონას ჰგავდა.

ქალმა მომხიბლავად გაუღიმა ინსპექტორს.

– ასეც ვფიქრობდი, რომ ეს თქვენ ხართ, მისის ენტონი, უკაცრავად მისის მეროუდინი. – ევანსმა განზრახ წარმოთქვა მისი ძველი სახელი, ქალის რეაქცია აინტერესებდა. შეამჩნია, როგორ გაუფართოვდა გუგები, სუნთქვა როგორ გაუწვირდა. მაგრამ თავი შეიკავა და ევანსს წყნარად წკითხა:

– ქმარს ვეძებ, შემთხვევით ხომ არ დაგინახავთ?

– ამ ცოტა ხნისწინათ ვნახე, იქით შეუხვია.

და ისინი ერთად გაემართნენ პროფესორის საძებნელად. ინსპექტორი გრძობდა ქალის სულიერ სიმალღეს. აღტაცებული იყო მისი ზომიერების გრძობით, თავშეკავებით, თავის ფლობის ბრწყინვალე უნარით. – შესანიშნავი ქალია, მაგრამ საშიშიც, ძალიან საშიშიც, – ფიქრობდა გულში.

და ევანსი მაინც აფორიაქებული იყო, თუმცა საქმის სასარგებლოდ პირველი ნაბიჯი წარმატებით გადადგა და ამკარად აგრძნობინა ქალს, გიცანო... ეს აიძულებს ქალს ფხიზლად იყოს და წინდაუხედავად არ მოიქცეს. ახლა ინსპექტორს მისტერ მეროუდინის ბედი ადარდებდა და სურდა მისი გაფრთხილება...

მისტერ მეროუდინს მოედანთან შეხვდნენ. პროფესორს ხელში ეჭირა ქაშანურის თოჯინა, რომელიც ატრაქციონში მოიგო. ცოლმა შინ წამოსვლა სთხოვა. ქმარი ხალისით დაეთანხმა. შემდეგ ქალი ინსპექტორს მოუბრუნდა და უთხრა:

– ჩვენთან ხომ არ წამოზრდებოდით, მისტერ ევანს, ჩაიზე დაგპატიჟებთ.

– დიდი სიამოვნებით, მისის მეროუდინ, დიდად გმადლობთ!

და ისინი სოფლისაკენ გაემართნენ, თან ხალისიანად საუბრობდნენ. მზე ალერსიანი სხივებით ათბობდა დედამიწას, ქროდა მსუბუქი ნიავი და ირგვლივ ყველაფერი სასიამოვნო იყო.

– მოახლე დღესასწაულზე წავიდა, – თქვა მისის მეროუდინმა, როცა სახლში შევიდნენ. ქალმა მაგიდას სუფრა გადააფარა. ჩაიდან ქურაზე შემოდგა და თაროდან სამი ფიალა და ლამბაქი გადმოიღო.

– ჩვენ განსაკუთრებული ჩინური ჩაი გვაქვს და სმითაც, ჩინური წესის მიხედვით, ფიალებიდან ვსვამთ, – აუხსნა ინსპექტორს მისის მეროუდინმა.

უეცრად ქალი გაჩუმდა, შემოფოთებულმა ერთ-ერთ ფიალას დახედა და ათრთოლებული ხმით ქმარს გასძახა:

– ო, ჯორჯ! ისევე ეს ფიალები იხმარე?

– მაპატიე, ძვირფასო! – ლაბორატორიიდან გამოეხმარა პროფესორი. – ისინი ცდისათვის ზედგამოჭრილია, ხოლო ჩემი შეკვეთილი კოლბები ჯერ არ მოუტანიათ.

– ერთხელაც იქნება ყველას მოგვანამლავ, – სიცილით თქვა მისის მეროუდინმა. – მერი ძლივს პოულობს მათ ლაბორატორიაში, მოაქვს და არც რეცხავს, თუ მათში რაიმეს არ შეამჩნევს. ამას წინათ ერთ-ერთში კალიუმციანიდი ჩაგიდია. ეს ხომ ძალიან საშიშია, ჯორჯ.

პროფესორი ძლიერ გაბრაზდა:

– როგორ ბედავს მერი ლაბორატორიიდან ჩემი ნივთების გამოტანას. რა უფლებით ეხება!

– ჩვენ ხომ ხშირად ვტოვებთ ჭიქებს ჩაის სმის შემდეგ. როგორ შეუძლია ისინი ფიალებისაგან გაარჩიოს, ცოტა დაფიქრდი, ძვირფასო!

პროფესორმა კიდევ რაღაც ჩაიბურტყუნა თავისთვის და ლაბორატორიაში შებრუნდა.

ევანსი საგონებელში ჩავარდა. მისთვის რაღაცები ცნობილი შეიქნა. რაღაც მიზეზთა გამო მისის მეროუდინმა თავის ბნელ განზრახვებს ნათელი მოჰფინა. ეს შემთხვევითობა გახლდათ თუ ამით ქალი ალიბის იქმნიდა – თუ მორიგი უბედური შემთხვევა მოხდებოდა, იგი იძულებული იქნება ჩვენება ქალის სასარგებლოდ მისცეს. და თუ ეს ასეა, მაშინ ეს ქალის მხრიდან მხოლოდ და მხოლოდ უგუნურებაა, რადგანაც ჯერ...

უცებ ევანსს სუნთქვა შეეკრა. ქალმა ფიალებში ჩაი ჩამოასხა. ერთი ევანსს მიართვა, მეორე თვითონ დაიდგა, ხოლო მესამე ფიალა კი ქმარს დაუდო პატარა მაგიდაზე, სადაც ჩვეულებრივ მისტერ მეროუდინი ჯდებოდა. სწორედ ამ დროს სახეზე უცნაურმა ღიმილმა გადაურბინა. ამ ღიმილმა გასცა.

ახლა უკვე ყველაფერი გასაგებია!



## დეტაქტივი

შესანიშნავი ქალია და, ამასთან, ძლიერ საშიში!  
იმედი აქვს, რომ ევანსი არაფერს ეჭვობს და მას ვერაფერს დაუმტკიცებს.

ევანსმა ჰაერი ღრმად შეისუნთქა და ქალს მიმართა:

– მისის მეროუდინ, მე ერთი ახირებული კაცი ვარ და პატივი დამდეთ, ამ ჩემს ახირებას დამორჩილდეთ.

ქალმა გაკვირვებით შეხედა მამაკაცს, თითქოს ვერაფერს მიხვდაო.

ევანსი წამოდგა, აიღო ქალის ფიალა და პროფესორის მაგიდაზე დადო, ხოლო მისი ფიალა კი ქალს გადმოუდო და უთხრა:

– საინტერესოა, ამ ფიალას როგორ დაღვეთ!

მათი თვალელები წამით ერთმანეთს შეხვდა. ქალის თვალელები ჩვეულებისამებრ მშვიდი და იდუმალელებით მოცული იყო. მან აიღო ფიალა და ტუჩთან მიიტანა. ევანსს ისევე შეეკრა სუნთქვა.

იქნებ შეცდა?

უკანასკნელ წამს ქალი სწრაფად წამოდგა და ჩაიყვავილის ქოთანში ჩააქცია. შემდეგ ისევე თავის ადგილას დაჯდა და კაცს გამომწვევად შეხედა.

ევანსმა შვებით ამოისუნთქა.

– ამით რისი დამტკიცება გნებავთ? – ჰკითხა ქალმა შეცვლილი ხმით.

– თქვენ ძალიან ჭკვიანი ქალი ხართ, მისის მეროუდინ, ვფიქრობ, ყველაფერს გამიგებთ. მსგავსი რამ არ უნდა გამეორდეს. თქვენ, ალბათ, გესმით, რას ვგულისხმობ?

– დიახ, ვიცი, – ქალს ხმა თანდათან გაუფერულდა. ევანსი კმაყოფილებით უქნევდა თავს. იგი მართლაც ჭკვიანი ქალი გახლდათ და ჩამოხრჩობით სიკვდილი არ აწყობდა.

– გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს თქვენ და თქვენს მეუღლესაც, – უკანასკნელი სიტყვები განსაკუთრებით მკვეთრად წარმოთქვა ევანსმა და ჩაი მოსვა. უცებ სახე მოელრიცა, თვალელები გადმოეკარკლა, შეეცადა წამომდგარიყო და დაეყვირა, მაგრამ ვერ შეძლო. სხეული დიდ მორს დაემგვანა. სკამიდან ჩამოვარდა, ხელ-ფეხი საცოდავად მოეკრუნჩხა.

მისის მეროუდინი წამოდგა და თვალს არ აშორებდა მომაკვდავს. სახეზე ისევ გადაურბინა დამცინავმა ლიმილმა. ტუჩები ყურთან მიუტანა და ნაზად წასწორებდა:

– თქვენ შეცდით, მისტერ ევანს. თქვენ გეგონათ, ჯორჯის მოკვლა მინდოდა, რა სიბრძნეა, რა სიბრძნე!

ქალი დასცქეროდა მიცვალებულს – კაცს, რომელსაც სურდა გზა გადაეღობა მისთვის და ქმრისათვის მოეცილებინა.

ფართოდ გაიღიმა. ახლა მართლაც ძალიან ჰგავდა მადონას. შემდეგ შენუხებული ხმით გასძახა ქმარს:

– ჯორჯ, ო, ჯორჯ, ჩქარა მოდი, ვშიშობ, ჩემი ნათქვამი გამართლდა, მოხდა უბედური შემთხვევა. სანყალი მისტერ ევანსი...

**ინგლისურიდან თარგმნა  
ნინო ლორთქიფანიძე**

## კულუარები

### „შანი, რა კარგი, საჩინო...“

ევროპული სააგენტოების ცნობით, მალე იტალიაში ბოლო წლების ყველაზე სკანდალური სასამართლო პროცესი შედგება, რომელზედაც მოპასუხეს იესოს არსებობის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებების წარდგენა მოუწევს.

საქმე ისაა, რომ ამ ცოტა ხნის წინათ ერთმა იტალიელმა პენსიონერმა, არქიტექტორმა ლუიჯი ქაშოლიმ, რომელსაც პენსიაზე გასვლის შემდეგ წერის ჭია შესჩენია და გამოუცია ნიგნი – „იესოს ზღაპარი“, სასამართლოში უჩივლა რომის კათოლიკურ ეკლესიას.

რომის ჩრდილოეთით 70 კილომეტრში მდებარე პატარა იტალიური ქალაქის დიტერპოლის მცხოვრები ეს ენთუზიასტი პენსიონერი ეკლესიას უბრალო ხალხის გაუნათლებლობით ბოროტად სარგებლობაში ადანაშაულებს და მისი წარმომადგენლებისაგან სასამართლოზე იესოს არსებობის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებების წარმოდგენას მოითხოვს.

შწრაფი არქიტექტორის აზრით, ეკლესია საუკუნეთა განმავლობაში ატყუებდა ხალხს, მათი გაუნათლებლობითა და მალემრწმენობით ბოროტად სარგებლობდა და იესოს არსებობის ზღაპარს აჯერებდა. ამით კი ხალხის გრძნობებით, ენერგიითა და ფინანსებით არაჯანსაღი მანიპულირების საშუალება ეძლეოდა.

ქაშოლის თავისი ბრალდების დასტურად მოაქვს ის ფაქტი, რომ აქამდე ცნობილი ყველა სახარება ისეთი ადამიანების შექმნილია, რომლებიც იესოს დაბადებიდან ქვეყანას კარგა ხნის შემდეგ მოევიწყნენ და საკუთარ თხზულებებში უტყუარი ფაქ-

ტები კი არა, მათ დროს გავრცელებული ათასგვარი ცრურწმენა, ზღაპარი თუ ლეგენდა აღწერეს.

მოსამართლე ჯულიანო მატიტონემ მოპასუხე მხარის ფუნქციით სასამართლოში მწერლის მშობლიური ქალაქის მოძღვარი, მამა ჯან ლიდი დაიბარა, რომელსაც ერთობ საპასუხისმგებლო მისიის აღსრულება ეკისრება. სწორედ კათოლიკური ეკლესიის ამ მამის გამჭრიახობაზე, მჭევრმეტყველებაზე და ლოგიკაზე ჰკიდია ის, თუ რა განაჩენს გამოიტანს ამ უსათუთეს და უინტიმურეს საქმეზე სრულიად არარელიგიური ქვეყნის სეკულარული სასამართლო. მართლაცდა, რა უტყუარი მტკიცებულებების წარდგენით შეუძლია დაარწმუნოს მამა ლიდი იესოს არსებობაში სასამართლოზე შეკრებილი ყრელი და სეირსმონყურებული საზოგადოება.

იქნებ ყველაზე უტყუარ მტკიცებულებად სწორედ თვითონ სასამართლო პროცესი გამოდგეს, რადგან ორიათასი წლის შემდეგ რომ ადამიანის არსებობის დასადასტურებლად სასამართლო იმართება, ეს უკვე ნიშნავს იმას, რომ ასეთი ადამიანი ორი ათასი წლის წინათ კი არ არსებობდა, იგი დღესაც ცოცხალია და ჩვენს გვერდით არსებობს. მისი გვერდით ყოფნა კი შევევდილია ძალიან უბრალოდ – ნიავის ქროლვით, ვარდის კოკორთა გაშლითა თუ ნამის გულუბრყვილო ციმციმით შევიგრძნოთ.

მომავალი სასამართლო პროცესისადმი საზოგადოების ინტერესი იმდენად დიდია, რომ თურმე მასზე დასწრების სურვილი არა მხოლოდ კათოლიკეებმა, არამედ სხვა კონფესიათა ქრისტიანებმა, და ასე განსაჯეთ, იუდეველებმა და მუსლიმებმაც კი გამოთქვეს.

ნუგზარ მუზაშვილი

# სუბიექტური ისტორია

ქართული თეატრის ცნობილი მოღვაწის ვასილ კიკნაძის ახლახან გამოცემული ნაშრომი „გამოთხოვება მოგონებებთან“ მემუარების წიგნია. სამწუხაროდ, ამგვარი ლიტერატურით განებივრებული ნამდვილად არა ვართ. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის არის, რომ მემუარების წერა საბჭოეთში არათუ ნახალისებული, საკმაოდ სარისკო საქმეც იყო.

საქმე ის გახლავთ, რომ თუკი მართალია მოსაზრება, რომლის თანახმადაც, ამქვეყნად ნებისმიერი ტექსტი აცხადებს პრეტენზიას გარე სამყაროს გააზრების ობიექტურობაზე, მემუარები იმ ტიპის ლიტერატურაა, რომელსაც ამგვარი პრეტენზია ყველაზე ნაკლებად ახასიათებს.

მემუარების მთელი ხიბლი მათი ამკარად გამოკვეთილი სუბიექტურობაა. მემუარისტი საკუთარ თავზე, საკუთარ ცხოვრებაზე, განცდებზე, სიხარულზე, ტკივილებზე, საკუთარ ეპოქაზე მოგვითხრობს და, ცხადია, ვითომდა ობიექტურობის მიღწევა ყველაზე ნაკლებად აინტერესებს.

ან შესაძლებელია კი საერთოდ სამყაროს ობიექტური აღქმა?

საბჭოეთში ამ კითხვას არავინ სვამდა. იქ, სადაც არსებობდა ობიექტურობის სავალდებულო, უზენაესი და უნივერსალური კრიტერიუმი – ლენინიზმი – მემუარისტის სუბიექტური ხედვისთვის ადგილი აღარ რჩებოდა. ამიტომაც ასე ღარიბი ჩვენი მემუარისტული ლიტერატურა და ამიტომაც ვერ ვახერხებთ განსაკუთრებით მე-20 საუკუნის ქართული კულტურის ხეირიანად გააზრებას.

ერთი შეხედვით კი, თითქოს პირიქით უნდა ყოფილიყო. მე მგონი, არსად და არასდროს იმდენი ოფიციალური „ისტორიები“ არ დაწერილა, რამდენიც საბჭოეთში, მაგრამ აბსოლუტური უმრავლესობა ობიექტურობის რკინის სალტებში ჩაჭედვით სიცრუე აღმოჩნდა.

ობიექტურობის დევნა ილუზიაა.

მაგრამ თუ შევთანხმდებით, რომ უზენაეს ქეშმარიტებას არავინ ღალადებს და ადამიანს მხოლოდ თავისი სუბიექტურობით შეუძლია გარე სამყაროს შემეცნება, მაშინ მე-19 საუკუნის იმერულ სოფლურ ყოფაზე ან ამავე საუკუნის ცნობილ ქართველ მოღვაწეებზე აკაკი წერეთლის „ჩემს თავგადასავალზე“ უკეთესი რა უნდა წავიკითხოთ? ან, ვთქვათ, რომელი ობიექტური ისტორია გვეტყვის მე-19 საუკუნის დიდი რუსი მწერლების პიროვნებებზე იმაზე მეტს, ვიდრე ამას პანაევას მემუარები გვეუბნება?

ეს ყველაფერი დიდი ხანია ცნობილია.

ყოველთვის საინტერესოა მემუარების ან დღიურების კითხვა, თუნდაც ეს სტენდალის შეგნებული მისტიფიკაციებით სავსე დღიური იყოს.

მაგრამ ვასილ კიკნაძის მემუარები ჩვენთვის მაინც განსაკუთრებული მნიშვნელობის წიგნი შეიძლება გახდეს, როგორც იმ ეპოქისა და ადამიანების მეტ-ნაკლებად სუბიექტური ინტერპრეტაცია, რომლებზედაც, საუბედუროდ, ცრუ-

ბიექტური ანუ მთლიანად იდეოლოგიზებული წარმოდგენების გარდა თითქმის არაფერი გაგვაჩნია.

თუმცა „გამოთხოვება მოგონებებთან“, პირველ რიგში, ლიტერატურული ტექსტია, რომელსაც ორგანიზების საკუთარი პრინციპები გააჩნია. მკითხველი პირველივე გვერდებიდან ხვდება, რომ ხელთა აქვს კარგად დაწერილი წიგნი. მე მგონი, მომგებიანი აღმოჩნდა მემუარების არა ლოგიკური თანმიმდევრობით, არამედ ასოციაციების პრინციპით აგება. ეს რომ არა, უეჭველია, ბევრი რამ, მათ შორის მნიშვნელოვანი დეტალიც, ალბათ ტექსტის მიღმა აღმოჩნდებოდა.

მაგრამ რაკი ნებისმიერი მემუარების წიგნი, პირველ რიგში, მაინც მემუარისტის ავტობიოგრაფია, ჩვეულებრივ ამგვარი ტექსტის ფასეულობას ავტორის გულწრფელობის ხარისხით განსაზღვრავენ ხოლმე.

თუმცა გულწრფელობასაც გააჩნია.

ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით მემუარებში ჭირს ზომიერების დაცვა, რადგან ადამიანი საკუთარი თავის მიმართ არასოდეს არ არის გულგრილი.

გერონტი ქიქოძის, თავადაც მშვენიერი, ოღონდ შუაზე განწყვეტილი, მემუარების ავტორის თქმით, ძალიან ძნელია საზოგადოებას საკუთარი პორტრეტი ისე შეუღამაზებლად შესთავაზო, როგორც ამას რემბრანტი ახერხებდა. კეკელუცობა შეიძლება როგორც საკუთარი თავის ამკარა თუ ფარული განდიდებით, რისი ნაკლებობაც ჩვენში ნამდვილად არ იგრძნობა, ასევე თვითდამცირებითაც, როგორც ამას ჟან-ჟაკ რუსო აკეთებს თავის „ალსარებაში“.

ამ თვალსაზრისით ვასილ კიკნაძის ტექსტი ერთ-ერთ იშვიათ გამოჩაკლისად უნდა ჩაითვალოს ჩვენს კულტურულ სივრცეში. პოზიორობითა და ნარცისიზმით დაღლილ და სისადავეს მონატრებულ მკითხველს ეს გარემოება ალბათ განსაკუთრებით მოხიბლავს. აღსანიშნავია ისიც, რომ საკუთარი თავის მიმართ ასე განწყობილი მემუარისტი, ცდილობს სხვათა მიმართ გაცილებით თავშეკავებული და რბილი იყოს. შეიძლება ცოტა მეტ პილპილს უფრო სკანდალურად საინტერესო გაეხადა წიგნი, მაგრამ ეს უკვე სულ სხვა ავტორის სულ სხვა წიგნი იქნებოდა.

მემუარებს თავიდან ბოლომდე გასდევს სიკვდილის თემა. მოგეხსენებათ, ეს ის თემაა, რომელზედაც რაც შეიძლება თქმულიყო, დიდი ხნის წინათ უკვე ითქვა, მაგრამ ვასილ კიკნაძის ტექსტის ერთ-ერთი საუკეთესო გვერდები სწორედ სიკვდილზე საუბარს ეძღვნება. ბანალური ღრმავლობა თავიდან აცილებულია არა სიკვდილზე გამოქმული აზრების ორიგინალურობით (რალა უნდა ითქვას სიკვდილზე ორიგინალური?) ან პათეტიზმითა თუ სენტიმენტალიზმით, არამედ პირადი განცდის გადმოცემის გულწრფელობით.

დაუფინყარია ბავშვობის მოგონებები, იმერეთის რბილი პეიზაჟები, მთები, ფერდობები, ხევები, პატარა მდინარეები. ივენისის ბოლოს მთელი სოფლის აყრა ძირითადი საცხოვრებელი ადგილიდან და ბრეზენტგადახურული ურმებით სამდღიანი სვლა საზაფხულო სოფლისაკენ. ბავშვების ჟრიაშული და ხალისი. ღამე. ტყეში დანთებულ კოცონთან მოყოლილი ზღაპრები. რალაც იდუმალი და აუხსნელი სილამაზე. გაცოცხლებული მითოლოგიური სამყარო. გლეხური ცხოვრების ტკბილ-მწარე ყოფა.

ეს ყველაფერი საკმაოდ ოსტატურადაა აღწერილი და მწერლის განცდა მკითხველსაც გადაეძება, მაგრამ რომელ მკითხველს?

მთები, ფერდობები, ტყეები, ხევები და პატარა მდინარეები დღესაც ისეთივე პეიზაჟებს ქმნიან, ჩვენი მემუარისტის ბავშვობაში რომ ქმნიდნენ, მაგრამ ძალიან მეექვსეა ახალ

თაობასაც ისეთივე განცდას აღუძრავდნენ, როგორსაც თავის დროზე მოგონებების ავტორს.

ის ადამიანები, მათთვის დამახასიათებელი ყოფით, რომლებიც ამ პეიზაჟებს მართლა განსაკუთრებული, განუმეორებელი შინაარსით ავსებდნენ, აღარ არიან.

პეიზაჟები დარჩნენ, ადამიანები გაქრნენ. გაქრნენ და თან წაიღეს ის, რასაც ნაწილობრივ ჩემი თაობის ადამიანებიც შევესწარით. ზოგიერთებს მისი ნოსტალგიაც შემოგვრჩა, მაგრამ როგორ გავაგებინოთ ახალ თაობას ის, რისი სიტყვებით გადმოცემაც ყოვლად შეუძლებელია?

ან იქნებ არც არის საჭირო?

ყველაფერი იცვლება.

ცოტა ხნის წინათ ვინ იფიქრებდა, რომ დადგებოდა დრო, როცა თავისი თბილი და ტკბილი კომუნისტური წარსული ყელზე დაადგებოდა? დღეს ჩვენში ცოტა მეგულება ისეთი ადამიანი, ასეთ რამეს რომ დაწერს:

„ახლა ბევრი გაიძახის, კომუნისტებისა არაფერი მნამდა, მაგრამ შიშით ხმას ვერ ვიღებდიო. სიცრუეა. აბსოლუტურ უმრავლესობას სტალინსაც სწამდა და კომუნისტური იდეებისაც. არც მე ვიყავი გამოწკლისი. მნამდა კომუნისტებისა, როგორც ადამიანის უზუნაესი იდეალისა. ლექსებსაც ვუძღვნიდი. მართალია, ერთობ პრიმიტიულსა და არაპოეტურ ლექსებს, მაგრამ გულწრფელად ხომ ვუძღვნიდი? დიდი პოეტები კი შესანიშნავ სტრიქონებს უძღვნიდნენ“.

გულწრფელადაც უძღვნიდნენ და მოგვიანებით არაგულწრფელადაც ბევრი მიუძღვნეს. სამაგიეროსაც უხვად იმკიდნენ. პარტია და ხელისუფლება თავის ერთგულ „ადამიანის სულის ინჟინრებს“ ძალიან აფასებდა და ანებივრებდა. მაგრამ დღეს ამის აღიარება უმრავლესობას არც უნდა და არც შეუძლია.

იქ, სადაც სწობიზმი განსაკუთრებული ძალის მქონე ფენომენია და ყველგან და ყველაფერში შეაღწია, მართლა გასაკვირია ის სადა გულახდილობა, როგორითაც ვასილ კიკნაძე რუსულ ენასთან თავის მტერ-მოყვრულ დამოკიდებულეზაზე გვიამბობს.

ცოტა ხნის წინათ მთელი საქართველო ქირქილებდა ერთ ქართველ ბობოლა ჩინოვნიკზე, რომელიც იმდენად წინდაუხედავი აღმოჩნდა, რომ გაბედა და ტელეკამერების წინ შეეცადა ვილაც რუსი სალდაფონისთვის კოჭლი რუსულით რალაც დაემტკიცებინა.

თავი დავანებოთ იმას, რომ დღეს ტელევიზია, ერთი ჩვენი ცხოვრებით სიტყვის დიდოსტატისა არ იყოს, ორლესული მახვილია – მისი მეშვეობით შეიძლება უმაღლესი ძალაუფლება ჩაიგდო ხელში, მაგრამ ასევე შეიძლება ყელიც გამოიჭრა.

ამჯერად მთავარი არც ის არის, რომ, რასაკვირველია, კარგია, როცა ჩინოვნიკმა რუსულიც იცის, უკრაინულიც, ინგლისურიცა და ბუშმენურიც.

მთავარი სულ სხვა რამეა.

საქმე ის გახლავთ, რომ იმ სალდაფონს, რომელიც ალბათ სულ ორიოდ უჯრედისგან შედგება, ქართულის არცოდნის გამო არავინ დასცინის, არც დედა-რუსეთში და არც ჩვენში.

გიფიქრიათ ამ უცნაურობაზე?

კაცი სახლში გივარდება, ცოლ-შვილს გინიოკებს, ხოლო შენ მისსავე ენაზე უნდა დაუმტკიცო, რომ მტყუანია, თან

საყველპურო რუსულით კი არა, მოსკოვერი ჟარგონით. თუ არა და, წასულია შენი საქმე, მთელი ქვეყანა სასაცილოდ აგიგდებს.

რა გვაცინებს?

ესეც კრემლის აგენტებმა დაგეგმეს?

თუმცა რაღა უნდა გაგიკვირდეს იქ, სადაც, როგორც ჩვენი მემუარისტები იხსენებს, სულხან-საბა ორბელიანი წვერით ათრიეს იმის გამო, რომ საქართველოს ევროპულ ოჯახში შესასვლელად კონფესია შეიცვალა. ამავე დროს კი მის გვერდით ბევრი ქართველი სარწმუნოებას იცვლიდა, თათრდებოდა, მაგრამ ეს არავის აწუხებდა!..

მას შემდეგ 300 წელი გავიდა?

მართლაც გავიდა, მაგრამ ჩვენებურ ირაციონალიზმსა და სნობურ სიცილიზმით სიყვარულს ამით არაფერი დაკლებია. მე მგონი, პირიქით.

მემუარებში შთაბეჭდავადაა ნაჩვენები საბჭოთა ადამიანის ცნობიერების ერთ-ერთი უმთავრესი განმსაზღვრელი ფაქტორის – შიშის – ანატომია. კარგად ვხედავთ, როგორ ამახინჯებს იგი ადამიანს, რა ავადმყოფურ ატმოსფეროს ქმნის მთელ ქვეყანაში და როგორ აღწევს ყველგან და ყველაფერში, მათ შორის კულტურაშიც.

შიში ის ძალაა, რომელიც ერთ-ერთ ცენტრალურ ბურჯად ედგა საბჭოეთს. შესაბამისად, ხილულად თუ უხილავად, იგი თავიდან ბოლომდე გასდევს ვასილ

კიკნაძის მემუარებსაც, მაგრამ ამ საშინელი განცდის მთელ დამანგრეველ ძალას ავტორი ყველაზე რელიეფურად მაინც თავისი მასწავლებლის დადუ (ალექსანდრე) იოსელიანის მაგალითზე გვაჩვენებს.

საერთოდ, ჩვენს ლიტერატურაში ნაკლებად გამოხატულია ისეთი სითბო და სიყვარული მასწავლებლის მიმართ, როგორითაც ჩვენი ავტორი ქართული ლიტერატურის პედაგოგს დადუ იოსელიანს იგონებს. თუმცა ასევე იშვიათია თვით მასწავლებლის მზრუნველობაც თავისი ნიჭიერი, მაგრამ გავლენიანი ნათესავების მხარდაჭერის არმქონე მოწაფის მიმართ. ჩვენი ავტორის მომავალი ცხოვრების მიმართულეზა დიდწილად სწორედ ამ ადამიანმა განსაზღვრა. ისიც სრულიად აშკარაა, რომ თუ არა სოციალურ უთანასწორობას მკვეთრად დაპირისპირებული საბჭოთა სისტემა, ღარიბი ოჯახებიდან გამოსული ადამიანების დიდი უმრავლესობა საკუთარი ნიჭის რეალიზებას ვერასოდეს შეძლებდა.

ნიჭი არ დაიკარგებაო?

რამდენი დაკარგულა და მომავალში კიდევ, ვინ იცის, რამდენი დაიკარგება. მალე კარგი განათლების მიღება შესაბამისი შედეგებითურთ დიდი უმრავლესობისათვის ისევ შეუძლებელი გახდება. ამქვეყნად უსამართლობა ისევე მარადიულია, როგორც სოციალური უთანასწორობა. დღეს სწორედ მათ გასაუქმებლად წამოწყებული გრანდიოზული საბჭოთა ექსპერიმენტის ასეთივე გრანდიოზულ ნანგრევებში ვცოდვლობთ.

მემუარების უდიდესი ნაწილი, რასაკვირველია, ქართულ თეატრსა და თეატრალებს ეძღვნება, რაც სრულიად ბუნებრივია, რადგან ვასილ კიკნაძემ თითქმის მთელი ცხოვრება თეატრს შეაღწია.

ჩვენს თვალწინ ცოცხლდებიან ქართული თეატრის დიდი რეჟისორები და მსახობები, რომელთა შემოქმედებამ მარ-



თლა უზარმაზარი ზეგავლენა მოახდინა ჩვენს ცნობიერებასა და კულტურაზე. მემუარებიდან ბევრ ისეთ ნიუანსსა თუ დეტალს ვიგებთ ცნობილი დიდი თეატრალური განხეთქილებების პერიპეტეიებსა თუ მათი მთავარი მოქმედი პირების როლსა და პირად ცხოვრებაზე, რაც აქამდე ყურმოკვრით ან საერთოდ არ ვიცოდით. ეს ყველაფერი არამარტო საინტერესო საკითხავს ხდის ვასილ კიკნაძის მემუარებს, არამედ მომავალში ძალიან წაადგება მე-20 საუკუნის ქართული კულტურის სიღრმისეულ ანალიზსაც.

განსხვავებით დასავლური კულტურისაგან ჩვენში არ იყო და, ფაქტობრივად, არც დღეს არის მიღებული ცნობილი ისტორიული პირებისა და მწერლების ცხოვრებისა და შემოქმედების რაციონალური ანალიზი. ამას მემუარების ავტორიც აღნიშნავს დანაწილებით. მაგრამ ყველაზე უცნაური ის გახლავთ, რომ მთელი რიგი მიზეზების გამო მე-19 საუკუნის ქართული კულტურის ნიაღში ჩასახული ეს ტრადიცია მე-20 საუკუნის საბჭოურმა კულტურამ კი არ მოსპო, არამედ კიდევ უფრო გააძლიერა და პრინციპის დონემდე აიყვანა. ამიტომ თუკი, ვთქვათ, კიტა აბაშიძეს ჯერ კიდევ შეეძლო ილია ჭავჭავაძის ან აკაკი წერეთლის შემოქმედებასა და მოღვაწეობაზე თავისუფლად გამოეთქვა საკუთარი შეხედულებები, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი, ცოტა ხნის შემდეგ ეს საკვებით შეუძლებელი გახდა. უფრო მეტიც, საბჭოთა პერიოდში ასეთ ტაბუდადებულ ადამიანთა სიას პარტიულ ბელადთა და კულტურის მოღვაწეთა (მათ შორის, ცხადია, რეჟისორთა და მსახიობთა) მთელი თანავარსკვლავედიც დაემატა.

მე-20 საუკუნეში ჩვენში ყველაფერს ორი იდეოლოგია განსაზღვრავდა – პარტიული და ეროვნული. პირველი ოფიციალურად იყო დაკანონებული, როგორც ერთადერთი და ობიექტურად ყველაზე სწორი თვალსაზრისი და მრავალი წლის მანძილზე მილიონობით ადამიანის სიკვდილ-სიცოცხლეს ერთპიროვნულად განაგებდა. მეორე სანახევროდ იატაკქვეშეთში იმყოფებოდა, მაგრამ ძალა და გავლენა მთლიანად არასოდეს დაუკარგავს. პირიქით. მაგრამ გასაოცარი მაინც ის არის, რომ საბჭოეთის ყველაზე შორსმჭვრეტელმა არქიტექტორმა და მესაჭემ სცადა თავისი რკინის ხელით ამ ორი იდეოლოგიის სინთეზირება მოეხდინა და ეს შეძლო კიდევ. ასე იქმნებოდა შინაარსით სოციალისტური და ფორმით ეროვნული კულტურა, რომლის მშენებლობაშიც თავისი წვლილი შეჰქონდა ყველას და მათ შორის თეატრსაც.

უფრო მეტიც, გარკვეული გაგებით შეიძლება ითქვას კი ითქვას, რომ მე-20 საუკუნის ქართული კულტურა ძირითადად თეატრიდან გამოვიდა. ცხადია, შემთხვევითი არ არის, რომ გასულ საუკუნეში ჩვენმა კულტურამ ყველაზე დიდ წარმატებას ხელოვნების, ასე ვთქვათ, არტისტულ დარგებში მიაღწია. ეს ფაქტია. მაგრამ, მეორეს მხრივ, სწორედ ხელოვნების „არტისტულ დარგებს“ მიუძღვით ლომის წილი ქართულ კულტურულ სივრცეში იმ სპეციფიკური დისკურსის საბოლოო დაკანონება-დაფუძნებაში, რომელსაც გერონტი ქიქოძე თავის დროზე დიპლომატიურად „რომანტიკულ პატრიოტიზმს“ უწოდებდა და რომელიც პრაქტიკაში რეალიზდებოდა როგორც რეფლექსიის საშინელი დეფიციტი, ირაციონალიზმი და ნარცისიზმი.

რა რეფლექსიაზე შეიძლება ლაპარაკი იქ, სადაც მთელ სივრცეს ორი იდეოლოგია – კომუნისტური და ეროვნული –ინანილებს? ნებისმიერი იდეოლოგია თავისთავში ატარებს ობიექტური ჭეშმარიტების ფლობის პრეტენზიას და საშუალებას არ აძლევს ადამიანს პირადი ცხოვრებისეული გამოცდილება თვითონ გაიაზროს და საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალური რეალიზაცია მოახდინოს.

ყველაზე ცუდი კი მაინც ის გახლავთ, რომ ამგვარმა ვითარებამ საგანგებოდ შეამცირა ჩვენს კულტურაში რაციონალიზმის, სალი სკეპტიციზმისა და თვითრეფლექსიის ხვედრითი წილი. საბოლოოდ ორი იდეოლოგიის (იგივე ორი ჭეშმარიტების) ეს ყოვლად უცნაური სიმბიოზი დაიშალა და კომუნისტური იდეოლოგიის მესაფლავე ეროვნული გახდა ანუ ახდა საბჭოთა კავშირის რკინის არქიტექტორის შიში. მაგრამ რეალიზაციისთან შეხვედრას ვერც ეროვნულმა იდეოლოგიამ გაუძლო და ნამსხვრევებად იქცა.

ეს იყო კატასტროფა. საუბედუროდ, როგორც ჩანს, გარდაუვალი კატასტროფა. უკანასკნელი 15 წელია სწორედ ამ კატასტროფის შედეგებს ვიძვირებ.

ყოველივე ამას გააზრება სჭირდება. განსაკუთრებით საინტერესოა, როგორ ისხამდა ხორცს ხსენებული სიმბიოზი კონკრეტულ ადამიანებში. გასულ საუკუნეში, სამწუხაროდ, ძალიან ცოტა ვინმე გადაურჩა მის პირდაპირ თუ ირიბ ზეგავლენას.

მემუარებში ამგვარი ადამიანების რამდენიმე პორტრეტია დახატული.

ვთქვათ, წარმოვიდგინოთ, 60-იანი წლების ბოლოს ან 70-იანი წლების დასაწყისში მუშაობს ცეკაში რომელიმე მწერალი ან რეჟისორი. მეგობრების წრეში ერთთავად საქართველოს თავისუფლებაზე ლაპარაკობს და გულწრფელად ნატრობს, ცეკასა და მთავრობაში მრავალი მისნაირი ადამიანი მუშაობდეს ანუ ისეთი, რომელიც გარეგნულად კომუნიზმს აშენებს, ფარულად კი ეროვნულ საქმეს უხმაურად გააკეთებს.

მემუარებში ასეთი საქმეების ნიმუშებიც შეიძლება ვნახოთ. აი, ერთი მათგანი.

ბათუმის ერთ-ერთ ბაღში დადგმულ ლენინის ბიუსტს კარგა ხანია ცხვირი და ყური ჰქონია მოტეხილი. ამით უსარგებლოა ვიღაც ინტრიგანს და მოსკოვში წერილი უფრენია, ქართველები ლენინს პატივს არ სცემენო. წესით პარკის დირექტორიც უნდა მოხსნილიყო, რაიონის ხელმძღვანელობაც და უფრო ზევით, პროპაგანდის განყოფილების უფროსიც. მაგრამ გარეგნულად ცეკას თანამშრომელმა, შინაგანად კი პატრიოტმა კულტურის მოღვაწემ იფიქრა, ლენინის გამო ქართველები როგორ უნდა გაეაფუჭოთ.

პრობლემა ის გახლავთ, რომ ბიუსტის რეალური მდგომარეობის სანახავად თვითონ ვერ მივიღოდა, რადგან ამით ფაქტობრივად დადასტურდებოდა და სადამსჯელო ღონისძიებების გატარებაც აუცილებელი გახდებოდა. ამიტომ ბიუსტის სანახავად მეგობარი გაგ ზავნა და რაკი დაზიანება დადასტურდა, ცხვირმოტეხილი ბიუსტი შუალამისას ახლით შეაცვლევინა. თვითონ დილით მიბრძანდა პარკში და მერე მოსკოვს მისწერა, ფაქტი არ დადასტურდაო.

მერე და მერე ისეთი რწმენაც გაჩნდა, რომ კრემლში სულ იდეოტები ისხდნენ, რომელთა მოტყუება ეროვნული საქმეების აღსასრულებლად, დიდ პრობლემას არ წარმოადგენდა.

ნეტარ არიან მორწმუნენი.

ადამიანი კომპარტიის სამსახურში დგას, თან ძალიან მაღალი თანამდებობა უჭირავს ანუ ნებით თუ უნებლიეთ მრავალი ძალიან სერიოზული არაეროვნული საქმე უნდა აკეთოს. სანაცვლოდ უხვადაც ჯილდოვდება – ისეთი მატერიალური სიკეთეებით სარგებლობს, მაშინ ადამიანთა უმრავლესობას სიზმრადაც რომ არ მოეღანდებოდა. ურიგოდ დიდი ტირაჟებით ბეჭდავს საკუთარ წიგნებს, პრესა და ტელევიზია აქებს და ადიდებს, მაგრამ თვითონ გულში საქართველოს დამოუკიდებლობაზე ოცნებობს და თან ზემოხსენებულის მსგავს ეროვნულ საქმეებს სჩადის.

მაინც რა არის ეს?

გამოუვალი მდგომარეობიდან შობილი ორმაგი თამაში თუ გულუბრყვილობა? პირად კეთილდღეობასა და იოლად მოხვეჭილ სახელზე უარის ვერთქმა თუ მიუხედავად ყველაფრისა, მაინც სამშობლოს სიყვარული?

ალბათ ყველაფერი ერთად.

ანუ ეს იყო რკინის არქიტექტორის ხელით გამოძერწილი კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე უცნაური ჰიბრიდი – საბჭოთა ადამიანი, რომელიც ერთს ფიქრობს, მეორეს ამბობს და მესამეს აკეთებს და რომელსაც ვერც თანმიმდევრულობას მოსთხოვ და, რა თქმა უნდა, ვერც თავგანწირვას. ცხადია, ეს არის მსხვერპლი, სისტემის ქანთაგანში გამოტარებული ადამიანი, რომელიც ზოგადად შეიძლება შეგებრალოს. უფრო მეტიც, შეიძლება გაუგო კიდეც. მაგრამ, საუბედუროდ, ისე გამოვიდა, რომ გასული საუკუნის ქართული კულტურის მესაჭეები ძირითადად სწორედ ორი იდეოლოგიის სიმბიოზით ცნობიერებაგანსაზღვრული ადამიანები იყვნენ. ისინი სოციალიზმის ხარაჩოებზეც ერთგულად მუშაობდნენ და ეროვნული მოღვაწეების ავტორიტეტსაც ინარჩუნებდნენ.

რკინის არქიტექტორსაც ხომ ეს ჰქონდა ჩაფიქრებული.

მაგრამ 80-იანი წლების ბოლოს, როცა ეროვნული იდეოლოგია დიდი სისწრაფით გამოეყო და დაუპირისპირდა კომუ-

ნისტურს, სიმბიოზმა ყოველგვარი ძალა და გავლენა დაკარგა.

სიმბიოზმა კი დაკარგა, მაგრამ ძალა და გავლენა ასე უცებ არ დაუკარგავთ იმ ადამიანებს, რომლებიც სიმბიოზს თავის თავში ატარებდნენ. მათ ალბათ აღარც შეეძლოთ და არც მოინდომეს იმ პრივილეგიების დათმობა, რომლითაც მთელი ცხოვრება სარგებლობდნენ. ამიტომ ძირითადად მათვე შეასრულეს საბედისწერო როლი 90-იანი წლების დასაწყისის ტრაგიკულ მოვლენებში, რაც, საუბედუროდ, როგორც ჩანს, ასევე გარდაუვალი იყო.

მე-20 საუკუნის საქართველოს ისტორია ჯერ არ გააზრებულია.

არსებობს ჩვენი კულტურული სივრცისთვის სრულიად უნიკალური ოთარ ჩხეიძის მხატვრული ისტორია, რომელიც ჯერჯერობით ხეირიანი რეფლექსიის საგანი არ გამხდარა.

ცხადია, არსებობს სხვა ავტორთა სხვა წიგნებიც, რომელთაგან ობიექტური ჭეშმარიტების ფლობის პრეტენზიას, მგონი, არც ერთი არ აცხადებს.

უკვე არსებობს ვასილ კიკნაძის მემუარების პირველი ნიგნი, რომელსაც მალე ალბათ მეორეც მოყვება.

იქნებ სხვებსაც ნაუცდეთ ხელი.

სიმართლე სუბიექტურად აღქმული ისტორიის მოზაიკურ მრავალფეროვნებაშია საძებარი.

შორენა ქურთიშვილი

მარადიული სინათლის ქიებაში

თვით ცხოვრებაში, იმ პასუხისმგებლობაში საზოგადოების წინაშე, რომელსაც სრული შეგნებით ნაუყენებს ის საკუთარ თავს.

ლია რუსიაშვილის მიერ გამოჩენილი სიმამაცე სიყვარულის საბადოდან იღებს სათავეს და ეს სათავე ქრისტიანული სარწმუნოებაა. ქალური გმირობაც და პოეზიაში დასახული მიზანიც, რომ მუდამყამს საღვთო ხმების ძიებაში ყოფილიყო, მის მიერ გაკეთებული შეგნებული არჩევანია, და ეს ისევე და ისევე ჭეშმარიტი აღმსარებლობის ნაყოფია. სწორედ ეს ქმნის ლია რუსიაშვილის პიროვნულ სახეს („... ზმანებასავით შორეულ გემის მე არ მალელებს ტალღებზე რწვევა, რაც მიყვარს იმის პირველი მტერი, როცა მოკვდავო მსაჯულნო, მე ვარ“).

აქვე უნდა ითქვას, რომ ეს პოეზია მკაფიოდ გამოკვეთილი მეტაფორული შემოქმედებაა. არა მხოლოდ იმიტომ, რომ აქ მეტაფორების სიუხვესთან გვაქვს საქმე, არამედ იმიტომ, რომ სწორედ მეტაფორული აზროვნებაა ლია რუსიაშვილის სააზროვნო სტილი, რითაც იკვებება მისივე პოეტური ენა.

პოეტის პირველსავე კრებულში „წარვედ სახიდ შენდა“, რომელიც 1990 წელსაა გამოცემული, ლირიკული ჩანახატების გვერდით სერიოზულ განაცხადს წარმოადგენს არატრადიციული გრაფიკული ნყოფით დანერილი ვრცელი ნაწარმოები „შეშლილის ტირადა“. პროზაულ ფორმაში მოქცეული ეს ვრცელი რიტმული ლექსი ძლიერ მნიშვნელოვანია თავისი იდეური დატვირთვით – იგი მოიცავს პოეტისეული შემოქმედების ერთ-ერთ ძირითად საზრისს – ესაა მოქალაქეობრივი პოზიციის გამობატულება ამსოფლიური ფარსისა და ამაოების წინაშე. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის შემოქმედის პირველი სერიოზული შეტაკება ქვეყნიერებასთან, იმავდროულად, განაცხადი იმის შესახებ, რომ მას შეუძლია – არ იყოს პირმოთენე, არ დაემსგავსოს სხვებს! ამ ლექსის ლეიტმოტივად შეიძლება ჩაითვალოს აღსარება: „დიდი ხანია ჩემს არსებაში რომ დავატარებ ჩემსავე სასჯელს...“

სინანული, მარტოობა, ამაოების შეცნობით გამოწვეული გულისტკივილი ის მარადიული თემებია, რომელსაც პოეზია ვერასოდეს აუვლის გვერდს. თუ სიყვარული არ ათბობს

ლია რუსიაშვილის პირველივე პოეტური განაცხადი განუმეორებელი და თვითმყოფადი იყო. კოლორიტული გახლდათ თავადაც, გასული საუკუნის 80-იანი წლების სტუდენტურ თაობაში გამორჩეული. თითქოსდა გრძნობდა, დაატარებდა იმ გამოუთქმელ საიდუმლოს, რომელსაც სამყაროსთან შეხებისას აღიქვამდა. იყო ბოლომდე შეუცნობი – თავადაც საიდუმლო... განუმეორებელი შინაგანი ენერგია კი დახარჯვას თხოულობდა. ლია რუსიაშვილი პოეტი იყო ადრეულ წლებშიც, როდესაც მშობლიურ სივრცეებს უჩვეულო პეიზაჟებად აღიქვამდა:

**რა შეუჩნდათ მაინც ღრუბელ-მხატვრებს,  
მინა ლამის გაახვიონ შარში!  
ქრება, ისევ იხატება ცაზე  
წუთისოფლის მეგობრული შარჟი**  
(„პეიზაჟი“)

და პოეტად დარჩა მაშინაც, როდესაც წმინდა რელიგიური განცდებით აღვსილმა უარყო მხატვრული შემოქმედება, რადგან უფრო დიდი ფასეულობის შემოქმედი გახდა მინიერ ცხოვრებაში – მან ხომ შეიძღვილი უბოძა სამშობლოს.

ადამიანის სულიერი მისია ვლინდება არა მხოლოდ მის ინტელექტუალურ მოღვაწეობასა და ხელოვნებაში, არამედ

ცხოვრებას, ის სიცივისა და ქაოსის სათარეშოდ გადაიქცევა. ამის შედეგად იქმნება კიდევ სუსხიანი პეიზაჟები ხელოვნებაში და ამიტომ გვხვდება ის ასე უხვად კრებულში „ორეული“. მაგრამ აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ღია რუსიაშვილის ლირიკული მისია მხოლოდ საკუთარი ტკივილებისა თუ ხილვების სამზეოზე გამოტანა არ არის. მისთვის შემოქმედება არის ზოგადადამიანური საზრისის ძიება, რომელიც შეუმცდარი გუმანით მიელტვის ნუგეშს. ჩვენ ხომ ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ ღმერთს დავპირდეთ, ჩვენვე ვუსჯით საკუთარ თავს ქაოსში ყოფნას და ამიტომ პოეტის სურვილია უძღვები შვილივით პატიება ვითხოვოთ ღვთისაგან ახლაც და მაშინაც, როდესაც დადგება ნუთები სხეულთან განშორებისა.

ღია რუსიაშვილის ლირიკის ფორმა – პროზაული გრაფიკა და არამცდაარამც თვით პროზა – სრულიადაც არ მიანიშნებს ლექსის რიტმულ შესაძლებლობათა ან რითმათა უკმარობაზე. ეს შეგნებული მანერაა, რომელიც გამოკვეთს ინდივიდუალურ პოეტურ ხმას. ათმარცვლიან სიტყვათა რიგი დაუბრკოლებელ რიტმულ დინებას განსაზღვრავს, ხოლო შიგადაშიგ ჩართული ხუთმარცვლიანი სტროფები მეტი ექსპრესიულობისათვის სჭირდება პოეტს. ამგვარი პროზაული ჩარჩოები ძირითადად გამომსახველობით ფორმად გვევლინება პოეტისავე მეორე ნიგნში „იქსი“, რომელიც ბოლო კრებულის, „ორეულის“, შემადგენელი ნაწილია. ეს არის თოთხმეტწლიანი დუმილის შემდეგ დაბრუნება მშობლიურ ნავსაყუდელში. ლირიკულ ტილოებს, რომელთაც პოეტი უძღვნის მისთვის ძვირფას ადამიანებს – ოთარ ჩხეიძეს, ფიქრია ჯავარიძეს, გარდაცვლილ მამას – ერთი შეუმცდარი არჩევანი მსჭვალავს – ღვთაებრივი სასოება! ლირიკული გმირი ღვთის

მადიებელი სულია, რომელიც მკითხველსაც უღვიძებს ზეციურ ლტოლვას. ამაზე მეტი მიზანი კი რა შეიძლება ჰქონდეს ჭეშმარიტ ხელოვნებას.

ღია რუსიაშვილი სულიერი პორტრეტის მხატვარია. ისეთი პიროვნების შინაგანი სამყაროს გახსნა, როგორც მწერალი ოთარ ჩხეიძე გახლავთ, შესაძლებელია იმგვარი სულიერი ჩაღრმავების შედეგად, როდესაც უხილავი სინამდვილის დანახვა შეგიძლია. პოეტის მიერ შეცნობილი ამ ადამიანის ხატი ის პიროვნებაა, ვისაც სილამაზისა და სიკეთის, ყოფიერების არსის შეცნობის გზით ევალება სამშობლოს მარადიული სახე-სიმბოლოს შექმნა.

პროზაულ გრაფიკაში შენარჩუნებული მეტრული ნონას-ნორობითა და ღრმა შინაგანი საზრისით ეს ვრცელი ლექსი-მონოლოგები ერთმანეთს ეხმიანებიან, რადგან საერთოა მათთვის წუთისოფლის ამოებებიდან თავდაღწევის ჟინი და სურვილი და სასოება, რაც ამ სტრიქონებშია ჩანსული: „და გადარჩენა ამოთავთავდა ყოფიერების საიდუმლოდან...“

ღია რუსიაშვილის პოეტური სტილის, სახეობრივი სამყაროს და საერთოდ, მისი იდუმალების სათავე მისსავე პიროვნულ და შემოქმედებით არაორდინალობაშია საძიებელი. ეს პოეზია განკუთვნილია ე.წ. „წმინდა ხელოვნების“ მოყვარულთათვის, თუმცა ის თავისთავად პოულობს გზას რიგითი მკითხველის გულამდეც. მარადიულ კითხვებზე პოეტი პასუხს იძლევა სიმბოლური მინიშნებებით, მეტაფორული მეტყველებით, ღრმად ინდივიდუალური მხატვრული სახეებით. ღია რუსიაშვილის პოეზიის მიზანი ისევე და ისევე საღვთო გზების ძიებაა, ლექსის ლირიკული გმირი კი მარადიული სიყვარულისთვის დამამწვრალი სულია და ისწრაფის მსგავსისაკენ, ანუ სანთელი ეძებს უცვალებელ სინათლეს...

ლიტერატურული სიასლანი

„UBERAALLNIE“

... ეს გახლავთ სათაური გამოჩენილი გერმანელი პოეტის, ბიუნენერის პრემიის ლაურეატის, მარი ლუიზე კაშნიცის ლექსების კრებულისა, რაც სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „ყველგანაროდეს“!.. ეს კომპოზიტი ავტორისეულია და არსებითად მის მსოფლმხედველობას გამოხატავს.

სწორედ პოეტის მიერვე შედგენილი და ქრონოლოგიურად დალაგებული ამ სახელწოდების კრებულიდანაა შერჩეული ორი ციკლი იმ ქართული გამოცემისა, სულ ახლახან რომ შესთავაზა „ლოგოს პრესმა“ მკითხველებს და უნდა აღინიშნოს მაღლიერებით, რომ ეს მოხდა გოეთეს ინსტიტუტის მხარდაჭერით.

რომელ ციკლებზე გაუმახვილებია ყურადღება გერმანული ლიტერატურის მთარგმნელს რუსუდან ღვინეფაძეს, რომელმაც ორი წლის წინათ ძალზე საინტერესო ნიგნის – კეტე ჰამბურგერის „მხატვრული სიტყვის ლოგიკა“ შემატა ქართულ მთარგმნელობით ლიტერატურას.

... ოლონდ ჯერ მცირე ექსკურსი: რუსუდან ღვინეფაძის არაერთი თარგმანი დაუნჯებულა აღმანახ „საუნჯეში“ და შემდეგ ნიგნადაც გამოცემულა. საკმარისია ალბათ თომას მანის ესეების დასახელება (2002 წ.), უცხოური ლიტერატურის ჭეშმარიტი მოყვარულებისა და მცოდნეთა მაღალი შეფასება რომ დაიმსახურა. როგორც თომას მანის ესეების, ასევე კეტე ჰამბურგერის ვრცელი თეორიული გამოკვლევის თარგმნა ხანგრძლივი შემოქმედებითი შრომის ნაყოფია – სწორედ ჰამბურგერმა „გააცნო“ მას მარი ლუიზე კაშნიცი, რომლის პოეზიის თარგმნაც გულში ამოიჭრა რუსუდანმა და ნიგნის გამოცემამდე რამდენიმე წინაშე გამოაქვეყნა კიდევ პრესაში.

ქართული გამოცემა შეიცავს ორ ციკლს: „შენი დუმილი – ჩემი ძახილი“ (1958-1961 წლები) და „ეს ერთი სიტყვა“ (1962-1965 წლები), ასევე რამდენიმე ლექსს ადრინდელი ციკლებიდან. მთარგმნელის პირით რომ ვთქვათ, – ეს ამონაკრები კარგად წარმოაჩენს იმ გზას, რომელიც პოეტმა „უმკაცრესი შინაგანი ჭეშმარიტების ძიებაში განვლო“. მთარგმნელმა კრებულს შენიშვნებიც დაურთო, ხოლო ბოლოსიტყვაობა ეკუთვნის გერმანული



მწერლობის ჩინებულ მცოდნეს რეზო ზეინაბიშვილს. ბატონმა რეზომ „კეთილშობილური სევდის სიდიადე“ უწოდა თავის წერილს, რომელიც საოცრად სახიერი, შეიძლება ითქვას, იმპრესიონისტული თვალთახედვით იწყება:

„ვის არ უნახავს ზღვის საოცარი დამშვიდება ბობოქარი ქარიშხლის შემდეგ. ვნებადამცხრალი სტიქიონის შთამბეჭდავი ფერისცვალება, როცა ზღვა მრავალტანჯული სულდგმულივით გაირინდება და ნაპირის უჩვეულო კონტურებილი მოგაგონებენ სულმლაფავი ტალღების რისხვას...“

მარი ლუიზე კაშნიცის (1901-1974 წლები) ლექსებიც დამდგარი, გამჭვირვალე ზღვასავითაა, რომელშიც ზოგი მოზაიკური სილამაზის კენჭებს დაითვლის, ზოგიც კი იდუმალი ხილვითა და სიტყვით აგებულ სამყაროს აღმოაჩენს“.

სწორედ ეს იდუმალება იზიდავს მთარგმნელს გერმანელი პოეტი ქალის შემოქმედებაში და მართლაც მოზაიკური სილამაზის კენჭები – ანუ მხოლოდ და მხოლოდ მიხედვით გამოთქმები და მეტაფორები.

ნანა წერეთელი

კულუარები

წერო, რათა გაუჩინარდე

დაე, დასავლური სუბიექტურობის ისტორია ყოველთვის ყოფილიყო გამოცხადებული გაუჩინარების ქრონიკა, გაუჩინარებისა, რომელიც მუდამ ხელახლა იჩენს თავს და, ეტყობა, საბოლოოდ მკვიდრდება. ამჟამად საქმე ეხება მხოლოდ ქრონიკას მონტენიდან ბლანშომდე, ოღონდ აქედან, ცხადია, არ უნდა დავასკვნათ, რომ ეს ისტორია მხოლოდ საფრანგეთში ვითარდება. არცთუ დიდი ხნის წინათ, კრისტა და პეტერ ბურგერთა ჩინებული გამოკვლევების შესახებ ჟოზე ლუის პარდო ამბობდა: „ამ თვალსაზრისის მიხედვით, ისტორია არ იწყება სუბიექტის დაბადებით და არც მისი სიკვდილით მთავრდება; ეს იმგვარი ისტორიაა, რომ დასავლური სუბიექტის მიერ საკუთარი თავის, როგორც საფუძვლის დამტკიცების ტენდენციას, იგი მიჰყავს თავისივე ანიჰილაციის (განადგურების) უცნაურ სურვილთან და თანაც იმგვარად, რომ ეს თვითმკვლელობის მცდელობანი, თავის მხრივ, „მე“-ს მტკიცების მცდელობანია.“

ამგვარად, ჩვენ შევუპირისპირდით ისტორიას ორაზროვანი გაუჩინარებისა, რომელიც კვლავაც მუდამდება. რადგანაც ამქვეყნად ჯერ არავინ გაუჩინარებულა და, ამავე დროს, ყველა ამას სჩადის. პირველი, ვინც წავიდა, იყო ღმერთი, ნიცშეს მიერ სიხარულით დაკრძალული. მიუხედავად ამისა, ის კვლავ აქაა, ცოცხალი და საღსალამათი, კუდს იქნევს და თეთრ სახლში ცეცხლს ალვავებს. რაც შეეხება ადამიანს, მის შესახებ უკვე ითქვა, რომ ის ღმერთის კვალს დაადგებოდა და ისიც გაქრებოდა. არა ერთხელ და ორჯერ გამოაცხადეს „სუბიექტის სიკვდილი“, თუმცა კი დღეს სუბიექტის შინაგან სამყაროში გაქრობის ვნება სწორედ იმ დროს წარმოიშობა, როცა მისივე თვითდამკვიდრების ყველაზე უფრო ხმამაღალი გამოსატყულებანი.

წერო, რათა გაუჩინარდე, იტყობა ბლანშო, რომელიც ამ პრობლემაზე ფიქრმა თავბრუსხვევამდე მიიყვანა. მან გაუჩინარებაზე წერით ზედ უფსკრულის პირას გაიარა, და აცნობიერებდა, რომ ყველაფერი, სავსებით ყველაფერი გაქრება. თვითონ იგიც გაქრა, გამოაკლდა ლიტერატურული სამყაროს ამჟამინდელ აქსესუარებს იმის შეგნებით, რომ საშინელებაა წერო, რათა სურათი გადაგიღონ. თუმცადა, როგორც ანტონი მორა ამბობს, სპონტანურად მტკიცება იმისა, რომ ბლანშო საიდუმლოებით მოცული მწერალი იყო, საკმარისია ამ ჰიპოთეზისათვის სახელის გასატყუება.

ჩვენ შევუპირისპირდით ამ საკამათო და ხმაურიან საიდუმლოს, რომელიც ამბობს, რომ ჯერ ვაზროვნებთ, შემდეგ კი ვარსებობთ და რაც მონტენს, ალბათ, გულიანად გააცინებდა. მონტენმა მთელი თავისი ცხოვრება მიუძღვნა საკუთარი „მე“-ს შიგნით გამოცდილების შექმნის უსასრულო პროცესს, მაშინ, როდესაც დეკარტმა აბსტრაქტულ, უნივერსალურ „მე“-ში აღმოაჩინა უტყუარი ცოდნის საფუძველი. ყველაფერი გაქრება, თვით ეს ცოდნაც, ბლანშოს მიერ ბოლო უკიდურესობამდე მიყვანილი ლაკონური ფრაზით, რომელიც აგრეთვე გაქრება: „მე ვარსებობ, მე მხოლოდ იმიტომ ვარსებობ, რომ არარასაგან შევქმენი ჩემი ძლევამოსილება, რადგანაც შემიძლია, არ ვიყო“.

ჩვენ ახლა მივალთ „L'Avventura“-სთან, ანტონიონის ფილმთან, რომელიც ეს ორი თვეა კვლავ გამოჩნდა საფრანგეთში საკადრისი პატივით (პატივით, რომელიც ასევე უნდა გაქრეს) DVD-ზე ჩანერილი მონპარნასის გამომცემლობის მიერ. საქმე ეხება თანამედროვე ხელოვნების მნიშვნელოვან ნაწარმოებს, რომელიც ოსტატურად ასურათებს ჩვენთვის უკვე მონათხრობი ამბის მთავარი გმირის გაუჩინარებას. „L'Avventura“ ყველა ახალგაზრდა მეგობრების თავგადასავალს, რომლების ეოლურ კუნძულებს შორის ცურვისას, ერთ-ერთი მათგანის ლისკა ბლანკას მეჩჩრზე დაკარგვის მოწმენი ხდებიან. რაც უფრო გრძელდება დაკარგული ანას ძებნა, უფრო და უფრო აცნობიერებენ, რომ საკუთრივ გოგონას გაუჩინარება როდია ყველაზე მნიშვნელოვანი, არამედ სიცარიელის, შემთხვევითობისა და უზო-უკვლოდ ხეტიალის შეგრძნება, იმ რამდენიმე პერსონაჟის ცხოვრების სადავეებს რომ განაგებს, რომლებიც დაკარგულს ეძებენ და სინამდვილეში საკუთარ თავს ეძიებენ ისევე, როგორც ცდილობენ იპოვნონ ღმერთი, რომლის შეცნობაც ნიცშეს ვერ შესძლებია.

მე რაც შემიხება, მგონია, რომ „L'Avventura“-ში გაისმის ისე, როგორც ჯერ არასდროს გაუღერებულა მონტენის მემკვიდრის, ბლანშოს სიტყვები, როდესაც გვეუბნება, რომ ხელნაწერი ამჟღავნებს და წარმოაჩენს მწერლის არსებობას, მაგრამ დასრულდება თუ არა ნაწარმოები, ის მხოლოდ ავტორის განზავებას, გაუჩინარებას, ლალატსა და, პირდაპირ რომ ვთქვათ, სიკვდილს ადასტურებს, რომლისგანაც, სხვათაშორის, არასოდეს რჩება საბოლოო დამამტკიცებელი საბუთი.

ენრიკა ვილა-მატასი

შერვუდ ანდერსონი

# სამი ნოველა

კრებულიდან „უაინსბურგი, ოჰაიო“

## პროტესკაპის ნიშნი

თეთრულვაშა მოხუცი მწერალი ლოგინში წოლისას თავს მოუხერხებლად გრძნობდა. დილით რომ გამოიღვიძებდა, ხეების დანახვა უნდოდა, მაგრამ ამას ვერ ახერხებდა, ვინაიდან ოთახს, რომელშიც იგი ცხოვრობდა, ფანჯრები მეტისმეტად მაღლა ჰქონდა დატანებული. მოვიდა დურგალი, რათა საწოლი ფანჯრის რაფის სიმაღლემდე აენია.

აფუსფუსდნენ ბერიკაცები. დურგალი, სამოქალაქო ომში ნაომარი ჯარისკაცი, მწერლის ოთახში შემოვიდა და სკამზე ჩამოჯდა. საწოლის ასამაღლებლად ფიცარნაგის აგება დაგვჭირდებაო, თქვა. იქვე მწერლის სიგარები ეყარა და დურგალმა გააბოლა.

ერთხანს საწოლის ამაღლების საგანზე მსჯელობდნენ, მერე სხვა ამბებსაც გადასწვდნენ. ჯარისკაცმა ომი გაიხსენა. კაცმა რომ თქვას, მწერალმა გამოიწვია ამ თემაზე სასაუბროდ. ოდესღაც დურგალი ტყვედ ჩავარდნილა და ანდერსონვილის ციხეში ჩაუსვამთ. ძმაც დალუპვია, რომელიც შიმშილს მოუკლავს; და ყოველთვის, როცა კი დურგალი ამ ამბავს იგონებდა, ცრემლები ლაპალუპით ჩამოსდიოდა. მოხუცი მწერალივით მასაც თეთრი ულვაში ჰქონდა, ტირილის დროს სახე ემანჭებოდა და ულვაში აუთამაშდებოდა. პირში სივარაგაჩრილი მტირალი ბერიკაცი სასაცილოდ გამოიყურებოდა.

მწერლის მიერ შემუშავებული საწოლის ამაღლების გეგმა დავინყებულ იქნა და მოგვიანებით დურგალმა ყველაფერი თავისებურად გააკეთა. ასე რომ, მწერალი, რომელსაც სამოცი წლისთვის გადაეხიზებინა, იძულებული შეიქნა ღამით თავის საწოლზე ასაძრომად სკამი მიედგა ხოლმე.

საწოლში მწერალი გვერდზე გადაბრუნდებოდა და გაუნძრევლად იწვა. წლების მანძილზე ყურადღებით აკვირდებოდა თავის გულს. ბევრს ენეოდა და გულისცემა აჩქარებული ჰქონდა. აეკვიატებინა, რომ თავის დროზე უეცარი სიკვდილი ელოდა, და ლოგინში წოლის დროს ყოველთვის ამაზე ფიქრობდა. თუმცა ეს ფიქრი არ თრგუნავდა, პირიქით, ძალიან თავისებურად და ძნელად ასახსნელად მოქმედებდა მასზე: ჩაძინების წინ მწერალი თითქოს უფრო მეტად ცოცხლდებოდა, ვიდრე ნებისმიერ სხვა დროს. გაუნძრევლად იწვა ხოლმე – უილაჯო და სხეულით დაჩაჩანაკებული, მაგრამ რალაცა მის ნიაღში სრულიად ახალგაზრდა რჩებოდა. მწერალი ორსული ქალივით იყო,

ოლონდ მუცლით ჩვილს კი არა, ჭაბუკს ატარებდა. არა, ეს ჭაბუკიც არ იყო, არამედ რაინდივით შეაბჯრული ახალგაზრდა ქალი. თუმცა, რა თქმა უნდა, უაზრობაა ახლა იმის გამორკვევა, თუ სახელდობრ რა იმალებოდა მწერლის ნიაღში, როცა იგი თავის მაღალ საწოლში იწვა და გულის ფრიალს უგდებდა ყურს. მთავარია იმის გაგება, თუ რაზე ფიქრობდა მწერალი, ან ის ახალგაზრდა არსება, შიგნით რომ ჰყავდა.



მოხუც მწერალს, ამქვეყნად ყველა ადამიანის მსგავსად, თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე უამრავი სხვადასხვა მოსაზრება დაგროვებოდა. ერთ დროს საკმაოდ სანდომიანი გარეგნობა ჰქონდა და არაერთ ქალს უყვარდა. გარდა ამისა, რა თქმა უნდა, ცხოვრებაში უამრავ ადამიანს შეხვედროდა და კარგად იცნობდა მათ ბუნებას – რალაცნაირად ღრმად, ისე კი არა, მე და თქვენ რომ ვიცნობთ. ყოველ შემთხვევაში, მწერალს ასე მიაჩნდა და ეს აზრი სიამოვნებას ანიჭებდა. რა საჭიროა ბერიკაცთან დავა მისი აზრების გამო?!

ლოგინში წოლისას მწერალი ხედავდა სიზმარს, რომელიც სიზმარი არც იყო. იმ დროს, როცა ჯერ კიდევ არ ეძინა, მაგრამ არც ეღვიძა, მის თვალწინ ადამიანთა ფიგურები გამოჩნდებოდნენ ხოლმე. მწერალს წარმოედგინა, თითქოს ფიგურათა ამ გრძელ პროცესიას მართავდა სწორედ ის შეუცნობი ახალგაზრდა არსება, მის სხეულში რომ დაედო ბინა.

დამეთანხმებით, განსაკუთრებით საინტერესოა, თუ რას წარმოადგენდნენ ის ფიგურები, მწერლის თვალწინ რომ ჩაივლიდნენ. ისინი გროტესკები იყვნენ. ყველა კაცი და ქალი, რომელიც მწერალს ცხოვრების მანძილზე შეხვედროდა, გროტესკებად გადაქცეულიყო.

ამ გროტესკებიდან ყველა როდი იყო საზარელი. ზოგიერთი სასაცილო იყო, ზოგიც – მშვენიერი; ერთმა კი, ქალის სრულიად უფორმო ფიგურამ, თავისი გროტესკულობით მწერალს ტკივილი მიაყენა. მის დანახვაზე მოხუცი პატარა ფინიასავით ანკმუტუნდა. იმ წუთს იქ რომ ყოფილიყავით, იფიქრებდით, ბერიკაცს კომმარული სიზმრები თუ არა, მუცლის გვერდმა მაინც აწუხებსო.

გროტესკების ალღუმი მის თვალწინ ერთ საათს მაინც გრძელდებოდა. შემდეგ მოხუცი საწოლიდან ჩამოდიოდა – თუმცა ეს იოლი საქმე არ იყო – და წერას იწყებდა. რამდენიმე გროტესკულმა ფიგურამ ისეთი დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე, რომ სურვილი გაუჩნდა დაუყოვნებლივ დაენერა მათ შესახებ.

ერთ საათს იმუშავა მწერალმა თავის საწერ მაგიდასთან. ბოლოს დაწერა ნიგნი, რომელსაც „გროტესკების ნიგნი“ უწოდა. ის არასოდეს გამოქვეყნებულა, მაგრამ ერთხელ, როგორღაც ხელში ჩამივარდა და წარუშლელი კვალი დატოვა ჩემს მეხსიერებაში. ამ ნიგნს ძალიან უცნაური დედააზრი ჰქონდა, რომელიც საშუალოდ ჩამბეჭდა გონებაში. მისი წყალობით შევძელი უკეთ ჩავწვდომოდი ბევრი ადამიანისა და საგნის ბუნებას, რასაც უწინ ვერ ვწვდებ-



ბოდი. ეს აზრი რთული და დახლართული იყო, უბრალო სიტყვებით კი დაახლოებით ასე გადმოიცემა:

თავდაპირველად, როცა სამყარო ჯერ კიდევ ნორჩი იყო, ამქვეყნად უამრავი სხვადასხვა აზრი არსებობდა, მაგრამ არ არსებობდა ჭეშმარიტება. ადამიანმა თვითონ შექმნა ჭეშმარიტებები უამრავი სხვადასხვა ბუნდოვანი აზრის შეერთებით. მსოფლიოში ყველგან გავრცელდა ჭეშმარიტებები და სუყველა მშვენიერი იყო.

მოხუცმა მწერალმა ასობით ჭეშმარიტება ჩანერა თავის წიგნში. მე არ შევუდგები ახლა ყველას ჩამოთვლას. აქ იყო ჭეშმარიტება უმანკოებისა და ჭეშმარიტება ვნებისა, ჭეშმარიტება სიმდიდრისა და სიღარიბისა, ყაირათიანობისა და მფლანგველობისა, დაუდევრობისა და თავდავიწყებისა. ასობით ჭეშმარიტებას მოიცავდა ეს წიგნი და სუყველა მშვენიერი იყო.

მერე ადამიანებიც მოვიდნენ. ყოველი მათგანი ერთ რომელიმე ჭეშმარიტებას სტაცებდა ხელს, ხოლო განსაკუთრებით ძლიერებს ერთბაშად ათიც მიჰქონდათ. სწორედ ამ ჭეშმარიტებებმა აქცია ისინი გროტესკებად. მოხუც მწერალს მთელი თეორია ჰქონდა შემუშავებული იმის თაობაზე, თუ როგორ მოხდა ეს. მისი აზრით, რანამსაც რომელიმე ადამიანი აიღებდა ერთ-ერთ ჭეშმარიტებას, საკუთრად გამოაცხადებდა და მის მიხედვით დაიწყებდა ცხოვრებას, მყისვე ის ადამიანი გროტესკად, ხოლო მისი ჭეშმარიტება სიცრუედ გადაიქცეოდა.

თქვენ თვითონ მიხვდებით, რომ მოხუც კაცს, რომელიც მთელი ცხოვრება სულ რაღაცას წერდა და სიტყვებით იყო აღსავსე, არ გაუჭირდებოდა ამ საკითხზე ასობით ფურცლის დაწერა. მის გონებაში ეს პრობლემა ისე გაიზრდებოდა, რომ მწერალი თავად აღმოჩნდებოდა გროტესკად გადაქცევის საფრთხის წინაშე. ეს არ მოხდა. ჩემი აზრით, – იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც მწერალს არასოდეს გამოუქვეყნებია თავისი წიგნი: მასში ჩაბუდებულია ახალგაზრდა არსებამ იხსნა იგი.

რაც შეეხება მოხუც დურგალს, მწერალს საწოლი რომ აუმაღლა, აქ მხოლოდ იმიტომ ვახსენე, რომ მწერლის წიგნში აღწერილ გროტესკულ სახეთა შორის ის ალბათ ყველაზე მეტად ატარებდა იმ გასაგებ და საყვარელ თვისებებს, რაც საერთოა სხვა მისნაირი, ეგრეთწოდებული უბრალო ადამიანებისთვის.

## ღვთიური ძალა

ათი წელი გავიდა მას მერე, რაც ღირსმა მამა კერტის ჰარტმენმა უაინსბურგის პრესვიტერიანული ეკლესიის პასტორის ადგილი მიიღო. ორმოცი წლის კაცი იყო, ბუნებით ჩუმი და გულჩათხრობილი. ხალხის წინაშე ამბიონზე დგომა და ქადაგება ყოველთვის ძალიან უჭირდა და ამიტომაც ოთხშაბათიდან შაბათამდე სხვა საფიქრალი არ გააჩნდა იმ ორი ქადაგების ტექსტის გარდა, კვირას რომ უნდა წარმოეთქვა. ყოველ კვირა დილას კი ადრიანად ადიოდა ეკლესიის სამრეკლოზე, სადაც პატარა კაბინეტი ჰქონდა მონყობილი და ლოცულობდა. ამ ლოცვებში ყოველთვის ერთი ნოტი ჭარბობდა.

– უფალო, მომეც ძალა და მხნეობა, რათა ვემსახურო შენს საქმეს! – ევედრებოდა ღმერთს შიშველ იატაკზე მუხლმოყრილი პასტორი და თავს მდაბლად ხრიდა ამ დიდი ამოცანის წინაშე.

ღირსი მამა ჰარტმენი ტანმაღალი ყვალწვერა კაცი იყო. ცოლად ჰყავდა ერთი მსუქანი, აფორიაქებული ქალი – კლივლენდელი საცვლების მენარმის შვილი. უაინსბურგში პასტორს პატივს სცემდნენ. ეკლესიის თავკაცებსაც მოსწონდათ წყნარი და მოკრძალებული ზნის გამო. ბანკირის ცოლს, მისის უაიტს კი უაღრესად ნასწავლ და დახვეწილ ადამიანად მიაჩნდა.

პრესვიტერიანულ ეკლესიას რალაცნაირად განზე ეჭირა თავი უაინსბურგის დანარჩენი ეკლესიებისგან. შენობაც ყველაზე დიდი და შთამბეჭდავი ჰქონდა და მის პასტორსაც სხვებთან შედარებით მეტ ხელფასს უხდიდნენ. კერტის ჰარტმენს საკუთარი ეტლიც კი ჰქონდა, რომლითაც ზაფხულობით, საღამოხანს ცოლთან ერთად ქალაქში სასაიროდ გამოდიოდა ხოლმე. ეტლს მეინსტრიტზე და ბაკი-სტრიტზე აატარ-ჩამოატარებდა და ხალხს დინჯად უკრავდა თავს. ფარული სიამაყით აღსავსე ქალი კი დროდადრო ირიბად გადახედავდა ხოლმე ქმარს – იმის შიშით, ვაითუ ცხენი დაფრთხეს და ეტლი გაიტაცოსო.

მას მერე, რაც კერტის ჰარტმენი უაინსბურგში გამოსახლდა, წლების მანძილზე საქმეები კარგად წაუვიდა. მართალია, მრევლის აღტყინების შინ არ გააჩნდა, მაგრამ, სამაგიეროდ, არც მტრები გაუჩენია. თავის საქმეს დიდი გულმოდგინებით ეკიდებოდა, თუმცა მაინც ხშირად ეძალებოდა სინანული იმის გამო, რომ არ შესწევდა ძალა და უნარი, ექადაგა უფლის სიტყვა ქალაქის ყველა ქუჩასა და მოედანზე. მუდამ ეჭვის ჭია ღრღნიდა, ნეტავი მართლა თუ ანთია ჩემში ღვთიური ცეცხლიო, და ოცნებობდა იმ დღეზე, როცა ქარიშხალივით მოვარდნილი ძლევამოსილი და ტკბილი ძალის ახალი ნაკადი აღავსებდა მის ხმასა და სულს, და მასში განცხადებული სული ღვთისა მრევლს ცახცახს დაანყებინებდა. „უწყალო ხე ვარ და ამას ვერასოდეს ველირსები“, – გაიფიქრებდა ხოლმე ნაღვლიანად. მერე კი სახეზე თვინიერი ღიმილი გადაეფინებოდა. „თუმცა, ავად თუ კარგად, ჩემს საქმეს თავს, მგონი, მაინც ვაბამ“, – ფილოსოფიურად დააყოლებდა.

სამრეკლოს ოთახს, სადაც ყოველ კვირა დილას პასტორი უფალს ღვთიური ძალის გარდმოვლენას შესთხოვდა, მხოლოდ ერთი სარკმელი ჰქონდა. ეს სარკმელი მაღალი და ვიწრო იყო, კარივით ეკიდა ანჯამებზე და გარეთ იღებოდა. ტყვიის ტიხრებისა და პატარა ფერად-ფერადი მინებისაგან მასზე გამოსახული იყო ქრისტიკა, რომელსაც ბავშვის თავზე დაესვენებინა ხელი. ზაფხულის ერთ კვირა დილას კერტის ჰარტმენი გადამოიღო ბიბლიის წინ იჯდა თავისი სანერ მაგიდასთან, რომელიც მოფენილი იყო ქადაგების ტექსტიანი ფურცლებით. უეცრად მომიჯნავე სახლის ზემოთა ოთახში თვალი მოჰკრა საწოლში მწოლიარე ქალს, რომელიც პაპიროსს ეწეოდა და წიგნს კითხულობდა. შეცბუნებული პასტორი ფეხაკრეფით მივიდა სარკმელთან და ფრთხილად მიხურა. კერტის ჰარტმენს თავზარი დასცა მწველი ქალის დანახვამ, უფრო მეტად კი იმ აზრმა, რომ მისმა თვალებმა, წუთის წინათ წმინდა

წერილს რომ კითხულობდნენ, ახლა ქალის შიშველი მხრები და თეთრი ყელი იხილეს. გონებაარეული პასტორი სამრეკლოდან ჩამოვიდა, ამბიონზე შედგა და გრძელი ქადაგება წარმოთქვა – ისე, რომ თავის შესტებსა და ხმაზე ერთხელაც კი არ დაფიქრებულა. სიცხადითა და ძალით გამორჩეულმა ქადაგებამ განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო. „ნეტავი, ახლა ის ქალი თუ მისმენს, სწვდება თუ არა ჩემი სიტყვები მის სულს?“ – გაიფიქრა პასტორმა და იმედი ჩაესახა, რომ მომავალ კვირადღეებში მოახერხებდა ისეთი სიტყვების წარმოთქმას, რომლებიც შეძრავდა და გამოაღვიძებდა ფარული ცოდვის გზაზე ამკარად შორს წასულ ქალს.

სახლში, პრესვიტერიანული ეკლესიის გვერდით რომ იდგა და რომლის ფანჯრებშიც იხილა პასტორმა ის, რამაც ასე ძლიერ ააფორიაქა, ორი ქალი ცხოვრობდა: ელიზაბეთ სუიფტი – ჭაღარა საქმიანი ქვრივი, საკმაოდ დიდი თანხის მფლობელი უაინსბურგის ეროვნულ ბანკში, და მისი ქალიშვილი, სკოლის მასწავლებელი კეიტ სუიფტი. ოცდაათი წლის მასწავლებელი კოხტა, მიმზიდველი ტანის პატრონი იყო. ენამწარე ადამიანის სახელი ჰქონდა და თითქმის არავინ ემეგობრებოდა. პასტორმა გაიხსენა, რომ კეიტ სუიფტს ადრე ევროპაში ემოგზაურა და კიდევ ორი წელი ნიუ-იორკშიც ეცხოვრა. „ბოლოსდაბოლოს, შეიძლება დიდი მნიშვნელობა არც ჰქონდეს, პაპიროსს ეწევა თუ არა,“ – გაიფიქრა კერტის ჰარტმენმა. მერე ისიც მოაგონდა, რომ სტუდენტობისას, როცა რომანების კითხვა არც მისთვის იყო უცხო ხილი, ერთხელ ხელში ჩაუვარდა ნიგნი, რომლის ფურცლებზეც წესიერი, თუმცა ერთობ ნერვებამლილი ქალბატონები გაუთავებლად აბოლებდნენ პაპიროსს.

შემდეგი კვირის მანძილზე პასტორი ისეთი შემართებითა და გულმოდგინებით ამუშავებდა ქადაგების ტექსტს, ისე იყო მოწადინებული, მისწვდნოდა თავისი სიტყვით ახალი მსმენლის ყურსა და სულს, რომ, აღარც ამბიონზე გამოსვლისას დაბნეულა და არც კვირა დილით სამრეკლოზე სალოცავად ასვლის საჭიროება გახსენებია.

ღირსი მამა კერტის ჰარტმენი, ცოტა არ იყოს, გამოუცდელი გახლდათ ქალებთან ურთიერთობაში; ინდიანას შტატის ქალაქ მანსოში გაიზარდა – მამის, ფურგონების ხელოსნის სახლში. კოლეჯში სწავლის დროს კი საკუთარი შრომით გაჰქონდა თავი. იმხანად სახლში, სადაც კერტის ჰარტმენი იდგა, საცვლების მენარმის ქალიშვილიც ქირაობდა ოთახს. ისინი შეუღლდნენ ხანგრძლივი, ყველა წესის დაცვით მიმდინარე არშეიყობის შემდეგ, არშეიყობისა, რომლის წარმართვა უმთავრესად გოგომ იტვირთა. მამამისმა, საცვლების მენარმემ, ქორწილის დღეს ხუთიათასი დოლარი აჩუქა ქალიშვილს და შეპირდა, სულ ცოტა ორ ამდენს კიდევ გაიანდერძებო. პასტორს მიაჩნდა, რომ იღბლიანად იყო დაქორწინებული და თავს სხვა ქალებზე ფიქრის უფლებას არ აძლევდა. არც უნდოდა სხვა ქალებზე ფიქრი. ერთადერთი მისი სურვილი უფლის თვინიერი და ერთგული მსახურება გახლდათ.

პასტორის სულში ბრძოლა დაიწყო: თუ თავიდან კეიტ სუიფტის ყურადღების მიქცევა და ქადაგების მეშვეობით მის სულში შეღწევა ენადა, ახლა ახალი სურვილი გაუჩნდა – ერთხელაც დაენახა ლოგინში მწოლიარე ქალის

თეთრი და მშვიდი სხეული. ერთ კვირა დილას, შემოწოლილმა ფიქრებმა რომ აღარ დააძინა, კერტის ჰარტმენმა ჩაიცვა და ქუჩაში სასეირნოდ გავიდა. მეინ-სტრიტზე, რიჩმონდების ძველ სახლს რომ გაუსწორდა, მინიდან ქვა აიღო და სწრაფად ავიდა სამრეკლოზე თავის კაბინეტში. ამ ქვით სარკმლის კუთხეში მინა ჩაამტვრია, მერე კარი ჩაკეტა, მიუჯდა სანერ მაგიდას, რომელზეც გადაშლილი ბიბლია ედო და ლოდინი დაიწყო. როცა კეიტ სუიფტის ოთახში ფარდა აინია, პასტორმა ახლად ამოტეხილი ხვრელიდან ზუსტად მისი საწოლი დაინახა. მაგრამ ქალი იქ არ იწვა; ისიც, კერტის ჰარტმენის მსგავსად, დილაადრიანად ამდგარიყო და გარეთ გასულიყო სასეირნოდ. ის ხელი კი, ფარდა რომ ასწია, დედამისის, ელიზაბეთ სუიფტისა გახლდათ.

პასტორი კინალამ ატირდა სიხარულისგან იმის გამო, რომ ასე ადვილად გადაურჩა ხორციელ ცდუნებას – მაღულად ექქირა შიშველი ქალისთვის; იდიდე უფალოო, ჩაილაპარაკა და შინისკენ გასწია. მაგრამ, საუბედუროდ, დაავიწყდა სარკმელში ქვით ამონატეხი ადგილის ამოვსება, ამონატეხისა, რომელმაც შიშველი ფეხის ქუსლი წასხიპა ბიჭს, გაქვავებულივით რომ იდგა და ალტაცებული თვალებით მისჩერებოდა ქრისტეს.

იმ კვირა დილას პასტორს შინ დარჩა თავისი ქადაგების ტექსტი და მრევლს ზეპირად მიმართა.

– ხალხს არასწორად ჰგონია, – განაცხადა მან, – რომ მათი პასტორები განსაკუთრებული ადამიანები არიან, ადამიანები, რომელთაც თვით ბუნებამ განუსაზღვრა უცოდველი ცხოვრების წესი. საკუთარი გამოცდილებით ვიცი, რომ ჩვენ, ვისაც ღვთიური სიტყვის მსახურებს გვეძახიან, გვემუქრება ყველა ის საცდუნებელი, რაც თქვენ. ერთხელ მეც მაცდუნებდა ეშმაკი და დავნებდი. მხოლოდ უფლის ხელმა გადაამარჩინა დაცემისაგან. და ვითარცა მან მე აღმაზევა, ასევე აღგაზევებთ თქვენც. სასწრაფო კეთილუბანს ნუ მიეცემით. ცოდვის ჟამს ზეცად მიმართეთ თვალები და მოწყალე ღმერთი მფარველად მოგველინებათ!

კერტის ჰარტმენმა მტკიცედ მოიზღუდა თავი ლოგინში მწოლიარე ქალზე ფიქრებისგან და ამის შემდეგ საკუთარ ცოლს დაუწყო არშეიყობა. ერთ საღამოს, როცა ცოლქმარი ბაკი-სტრიტზე ეტლით მისეირნობდა, პასტორმა გვერდით ქუჩაზე გადაუხვია და სიბნელეში წელზე მოხვია ხელი სარა ჰარტმენს. დილით კი, უკვე ნასაუზმევს, სანამ სახლის უკან მდებარე თავის კაბინეტში გავიდოდა, მაგიდას შემოუარა და ცოლს ლოყაზე აკოცა. როდესაც თავში კეიტ სუიფტზე ფიქრი მოსდიოდა, გაიდიმებდა და თვალებს ზეცისკენ ალაპყრობდა.

– უფალო, დამიფარე, – ბუტბუტით იტყოდა, – ნუ გადამაცდენ შენს ვინრო ბილიკებს! დამარჩინე შენს ბეჯით მსახურად!

ახლა კი ნამდვილი ბრძოლა დაიწყო ჟღალწვერა პასტორის სულში. შემთხვევით აღმოაჩინა, რომ კეიტ სუიფტს ჩვეულებად ჰქონია საღამოობით ლოგინში წოლა და ნიგნის კითხვა. საწოლის გვერდით, მაგიდაზე ედგა ლამფა, რომლის შუქი ზედ მის შიშველ მხრებსა და თეთრ ყელს ეფინებოდა. ამ აღმოჩენის შემდეგ პასტორმა მთელი საღამო ცხრა საათიდან თორმეტის ნახევრამდე თავის

კაბინეტში, საწერ მაგიდასთან გაატარა ფეხმოუცვლელად. მას მერე კი, რაც ქალიშვილის ოთახში შუქი ჩაქრა, ბორძიკით ჩამოვიდა სამრეკლოდან და კიდევ ორ საათს იბორიალა ქუჩაში ლოცვა-ლოცვით. სულაც არ გასჩენია კეიტ სუიფტის მხრებსა და კისერზე კოცნის სურვილი. არც აძლევდა თავს მსგავს რამეებზე ფიქრის უფლებას. თვითონაც ვერ მიმხვდარიყო, რა უნდოდა. „მე ღვთის შვილი ვარ და მან უნდა დამიცვას ჩემივე თავისგან“, – გაიძახოდა ბნელ ხეივანში მიმავალი პასტორი. მერე ერთ-ერთი ხის ქვეშ გაჩერდა, ცას ახედა და გაქცეულ ღრუბლებს მიაყვალა თვალი. კერტის ჰარტმენმა თხოვნით მიმართა ღმერთს – უშუალოდ და გულითადად:

– ზეციერო მამაო, გვედრები, არ დამივიწყო! მომმადლე ძალა, რათა ხვალვე ამოვქოლო გატეხილი სარკმელი. კვლავ ზეცისკენ მიმართე ჩემი თვალები. ნუ მიმატოვებ შენს მსახურს განსაცდელის ჟამს!

ჩუმ, უკაცრიელ ქუჩებში წინ და უკან დადიოდა პასტორი და მისმა სულმა კიდევ მრავალი დღის მანძილზე ვერ ჰპოვა მოსვენება. ვერ გარკვეულიყო, თუ რას ნიშნავდა, ან რისთვის ეწვია ეს ცდუნება. ღვთის მიმართ საყვედურიც კი გაუჩნდა; საკუთარ თავს ეუბნებოდა, რომ მუდამ ჭეშმარიტების გზით სიარულს ცდილობდა და არასოდეს გაუფლია გულში ცოდვის ჩადენა.

– მთელი ჩემი ახალგაზრდობა და აქ გატარებული წლები უდრტვინველად ვემსახურე ჩემს საქმეს, – ჩიოდა იგი, – ნუთუ ახლა უნდა დამძლიოს ამ ცდუნებამ?! რა შეგცოდნე უფალო, რომ ამისთანა ტვირთი ამკიდებ?

შემოდგომისა და ზამთრის განმავლობაში კერტის ჰარტმენი სამჯერ გამოვიდა შინიდან და ფეხაკრეფით ავიდა სამრეკლოზე თავის კაბინეტში. ერთხანს სიბნელეში იჯდა და ლოგინში მწოლიარე კეიტ სუიფტის სხეულს უყურებდა. მერე გარეთ გადიოდა, ქუჩაში დახეტილობდა და ლოცულობდა. საკუთარი თავისა აღარ ესმოდა. ხანდახან რამდენიმე კვირა ისე ჩაივლიდა, სკოლის მასწავლებელი არც კი გაახსენებოდა. გახარებული პასტორი თავს ეუბნებოდა, ქალის სხეულის ხილვის ხორციელი სურვილი ჩავიკალიო, მაგრამ შემდეგ რალაც ხდებოდა. იმ დროს, როცა შინ, საკუთარ კაბინეტში იჯდა და გულმოდგინედ მუშაობდა მორიგი ქადაგების ტექსტზე, უეცრად მღელვარება შეიპყრობდა და ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვებოდა ხოლმე. „გარეთ გავალ, გავისეირნებ“, – ჩაილაპარაკებდა და მას შემდეგაც კი, რაც ეკლესიის კარს შეაღებდა, მაინც ჯიუტად არ უტყდებოდა თავს, თუ რა იყო მისი აქ მოსვლის მიზეზი. „ამოტეხილ სარკმელს არ



მხატვარი ნინო ზალიშვილი

ამოვქოლავ, პირიქით, მივაჩვევ საკუთარ თავს, მოვიდე აქ ღამლამობით და ვიჯდე ამ ქალის სიახლოვეს ისე, რომ ერთხელაც არ გავიხედო მისკენ. არ უნდა დავმარცხდე. ღმერთმა ეს ცდუნება სულის სიმტკიცის გამოსაცდელად გამომიგზავნა და მე გავიგნებ გზას წყვილიდან უბინობის სინათლისკენ.“

იანვრის ერთ საღამოს, როცა გარეთ ძალიან ციოდა და თოვლი სქლად იდო უაინსბურგის ქუჩებში, კერტის ჰარტმენი ბოლოჯერ ავიდა სამრეკლოზე თავის ოთახში. ათის დასაწყისი იქნებოდა, როცა სახლიდან გამოვიდა. ისე ჩქარობდა, რომ კალოშების ჩაცმაც კი დაავიწყდა. მეინ-სტრიტზე კაციშვილი არ ჭაჭანებდა, ღამის დარაჯ ჰოპ ჰიგინსის გარდა.

არც არავის ეღვიდა მთელ ქალაქში, გარდა ამ დარაჯისა და კიდევ ჭაბუკი ჯორჯ უილარდისა, რომელიც „უაინსბურგის არნივის“ რედაქციაში იჯდა და მოთხრობის შეთხზვას ცდილობდა. პასტორი ეკლესიისკენ მიიჩქაროდა, რის ვაი-ვაგლახით მიიკვლევდა გზას და თოვლილ ქუჩებში და ფიქრობდა, რომ ამჯერად უკანმოუხედავად მიეცემოდა ცოდვას. „მე მინდა ვუყურო იმ ქალს და წარმოვიდგინო, თუ როგორ დავუკოცნი

მკლავებს და, საერთოდ, მინდა ვიფიქრო ყველაფერზე, რაც მომესურვება“, – მწარედ ჩაილაპარაკა და თვალებზე ცრემლმომდგარმა დაიწყო ფიქრი იმაზე, რომ მღვდლობას თავს მიაჩნებდა და სხვა ცხოვრებით იცხოვრებდა. „გადავსახლდები რომელიმე დიდ ქალაქში და ბიზნესს მივყოფ ხელს, – განაცხადა, – რაკი ბუნებით ასეთი ვყოფილვარ, რომ არ შემძლება ცოდვის სინამე გამაგრება, დავნებდები მას. ყოველ შემთხვევაში, თვალთმაქცი მაინც არ ვიქნები, რომელიც თან ღვთის სიტყვას ქადაგებს, და თან ფიქრობს იმ ქალის მკლავებსა და ყელზე, რომელიც მას არ ეკუთვნის“.

იანვრის იმ ღამეს ეკლესიის სამრეკლოზე ძალიან ციოდა. კერტის ჰარტმენი შესვლისთანავე მიხვდა, რომ იქ თუ დარჩებოდა, ავად გახდებოდა. თოვლში სიარულისგან ფეხები დაუსველდა, ოთახში კი ბუხარი არ იყო. მომიჯნავე სახლის ფანჯარაში მასწავლებელი ჯერ არ ჩანდა. პასტორმა გადაწყვიტა დალოდებოდა კეიტ სუიფტს, პირქუში გამომეტყველებით დაემუა სკამზე და კიდევ ჩასჭიდა ხელი საწერი მაგიდას, რომელზეც ბიბლია იდო. მისი თვალები დაძაბულად იცქირებოდნენ სიბნელეში, თავი კი შავბნელი ფიქრებით ჰქონდა სავსე. კერტის ჰარტმენი თავის ცოლზე ფიქრობდა და უცებ სიძულვილი იგრძნო მის მიმართ. „მას ყოველთვის რცხვენოდა თავისი ვნების გამჟღავნებისა. მოტყუებული დამტოვა, – გაიფიქრა, –

კაცს უფლება აქვს ქალისგან სილამაზესა და ნამდვილ ვნებას მოელოდეს. კაცს არ გააჩნია უფლება დაავინყდეს, რომ ცხოველია და ჩემს არსებაშიც არის რაღაც ელინური. ცოლს გულიდან ამოვიგდებ და სხვა ქალებს გამოვეკიდები. ამ მასწავლებელს გასაქანს არ მივცემ, ყველას თვალწინ შევაფინრობ. და რახან ბუნებით ავხორცი და მრუში ვყოფილვარ, ავდგები და ამიერიდან ჩემი ხორციელი სურვილების დასაკმაყოფილებლად ვიცხოვრებ“.

სიგიჟის პირამდე მისული პასტორი თავიდან ფეხებამდე ცახცახებდა – არა მარტო სიცივის, არამედ იმ ბრძოლის გამოც, სულში რომ უტრიალებდა. რამდენიმე საათმა განვლო და მისი სხეული მთლად აიტანა ციებ-ცხელებამ – ყელი ასტიკვდა და კბილს კბილზე აცემინებდა. კაბინეტის ცივ იატაკზე ფეხები ყინულის ლოდებად გადაექცა. მაინც არ იხევდა უკან. „მე შეეხედავ იმ ქალს და ისეთ რამეებზე ვიფიქრებ, რაზეც უწინ არასოდეს გამობედავს ფიქრი, – გულში ამბობდა სანერ მაგიდას ჩაფრენილი პასტორი და ელოდა.

კერტის ჰარტმენი ბენზე გადაურჩა სიკვდილს სამრეკლოში გატარებული ლოდინის იმ ღამის შემდეგ; და ყოველივე იმაში, რაც იქ მოხდა – როგორც თვითონ მოეჩვენა – მან თავისი ცხოვრების გეზი განჭვრიტა. სხვა დროს, როცა კი უცდია, პასტორს თავისი ჭუჭრუტანიდან მასწავლებლის ოთახის მხოლოდ იმ კუთხის დანახვა შეეძლო, სადაც სანოლი იდგა. დაჯდებოდა სიბნელეში და ელოდა. მერე ქალიშვილიც გამოჩნდებოდა – თეთრ ღამის პერანგში ჩაცმული თავის სანოლზე მოკალათებოდა და წიგნის კითხვას იწყებდა. ზოგჯერ პაპიროსსაც გააბოლებდა ხოლმე. კერტის ჰარტმენი მხოლოდ მის მიშველ მხრებსა და კისერს ხედავდა.

იანერის იმ ღამეს, მას მერე რაც პასტორს ღამის სული ამოსძვრა სიცივით, მას მერე, რაც გონებამ ორჯერ-სამჯერ მაინც წაიყვანა უცხო, ფანტასტიკურ ზმანებათა სამყაროში, საიდანაც მხოლოდ ნებისყოფის დაძაბვით შეძლო ცნობიერ მდგომარეობაში დაბრუნება, კეიტ სუიფტიც გამოჩნდა. მის ოთახში შუქი ანთო და ლოდინით გულდალეული პასტორი ცარიელ სანოლს მიაშტერდა. უცებ მის თვალწინ სანოლზე პირქვე დაემხო შიშველი ქალი. იგი ტიროდა და მუშტებს უბრაფუნებდა ბალიშს. ბოლოს ცოდვის დიაცმა ერთხელაც ამოიქვიტინა, სანოლში წამოიწია და ლოცვა დაიწყო იმ კაცის თვალწინ, რომელიც იქ სათვალთვალოდ და სხვადასხვა რამეებზე საფიქრელად იყო მოსული. ღამის შუქზე ქალის მოქნილი და ძლიერი სხეული ჰგავდა სამრეკლოს სარკმლის ვიტრაჟზე გამოსახული მაცხოვრის წინ გაშემებული ბიჭის სხეულს.

კერტის ჰარტმენმა ვერც კი გაიგო, თუ როგორ გამოვიდა ეკლესიიდან. ის ყვირილით წამოიჭრა ზეზე და კინაღამ გადააყირავა მძიმე სანერი მაგიდა. ბიბლია ჩამოცურდა და ღამის სიჩუმის შემანუხებელი ხმამაღალი ტყაპანით დაეხეთქა იატაკს. მას მერე, რაც მასწავლებლის ოთახში შუქი ჩაქრა, პასტორი არეული ნაბიჯით ჩამოვიდა სამრეკლოდან და გარეთ გავარდა. სწრაფი ნაბიჯით გაიარა ქუჩა და „უაინსბურგის არწივის“ რედაქციაში შეიჭრა. ჯორჯ უილარდს, რომელიც ბოლთას სცემდა ოთახში და საკუთარი ფიქრებით იყო გართული, საკმაოდ უთავბოლო საუბარი გაუბა.

– გამოუკვლეველ არიან გზანი უფლისანი! – შესვლისთანავე შეჰყვირა კერტის ჰარტმენმა და კარი მოიხურა; თვალბანთებული პასტორი ჭაბუკი რეპორტიორისკენ მიინეცდა. მისი ხმა მგზნებარედ ქუხდა.

– მე ვპოვე ნათელი, – გაჰყვიროდა, – მას მერე, რაც ამ ქალაქში ათი წელი ვიცხოვრე, უფალი შიშველი ქალის სახით გამომეცხადა!

უცებ მან ხმას დაუნია და ჩურჩულით დააყოლა:

– აღარაფერი მესმოდა. მეგონა, უფალს ჩემი სულის სიმტკიცის გამოცდა ენება. თურმე ახალი, უფრო მშვენიერი სულიერი აღმადრენისთვის მამზადებდა. ზეციერი მამა სანოლზე მუხლმოყრილი, გამიშვლებული კეიტ სუიფტის სახით გამომეცხადა. ხომ იცნობთ კეიტ სუიფტს, სკოლის მასწავლებელს? სავსებით შესაძლებელია, თვითონაც არ იცოდეს, რომ ის ღვთის იარაღი და ჭეშმარიტების მახარებელია!

ღირსი მამა კერტის ჰარტმენი შეტრიალდა და გასასვლელისკენ გაემართა. კარებთან შეჩერდა, უკაცრიელ ქუჩას გახედა და კვლავ ჯორჯ უილარდს მიუბრუნდა.

– მე ვპოვე ხსნა. ნუ შეშინდებით! – პასტორმა გასისხლიანებული მუშტი აღმართა და ჯორჯ უილარდს დაანახა. – სარკმლის მინა ჩავამსხვრიე, ახლა მთლიანად გამოსაცვლელია. – დაიყვირა მან. – ღვთიური ძალა გადმოვიდა ჩემზე და მუშტით ჩავამსხვრიე სარკმელი!

## ტანდი

სანამ შვიდი წლისა შესრულდებოდა, გოგონა ცხოვრობდა ძველ, შეუღებავ სახლში, რომელიც ტრანიონ პაიკისკენ მიმავალი ერთი მიყრუებული გზის პირს იდგა. ბავშვს დედა ადრე გარდაეცვალა, მამა კი თითქმის არ აქცევდა ყურადღებას. ეს კაცი მთელ თავის დროს სარწმუნოებაზე ფიქრსა და ლაპარაკში ატარებდა. თავი აგნოსტიკოსად გამოეცხადებინა და ისე იყო გატაცებული მეზობლების გონებაში ფესვადგმული რელიგიური იდეების ამოძირკვით, რომ ვერ ამჩნევდა ღვთის ხატს თავისივე პატარა გოგონაში, რომელსაც, მამისაგან სანახევროდ მივიწყებულს, გარდაცვლილი დედის გულმონყალე ნათესავეები არჩენდნენ.

ერთხელ ვიღაც უცნობი ჩამოვიდა უაინსბურგში და ბავშვში სწორედ ის დაინახა, რასაც მამა ვერ ხედავდა. ეს ტანმაღალი, უღალთმიანი, ახალგაზრდა კაცი თითქმის ყოველდღე მთვრალი იყო. ზოგჯერ ტომ ჰარდთან, გოგონას მამასთან ერთად სასტუმრო „ნიუ უილარდ ჰაუზის“ წინ სკამზე ჩამოჯდებოდა ხოლმე. ტომი, როგორც ყოველთვის, გაიძახოდა, შეუძლებელია, ღმერთი არსებობდესო. უცნობი კი ილიმებოდა და გარშემო შემოკრებილ ხალხს თვალს უკრავდა. მალე ისინი დამეგობრდნენ და ხშირად ერთად იყვნენ.

უცნობი ერთი მდიდარი კლივლენდელი ვაჭრის შვილი გახლდათ. უაინსბურგში საგანგებო მიზნით ჩამოვიდა – ლოთობისთვის თავის მინებება უნდოდა. მისი აზრით, თუ ქალაქელ თანამეინახეებს დაშორდებოდა და დროებით სადმე მიყრუებულ ადგილას დასახლდებოდა, ამ დამღუპველ ჩვევასთან ბრძოლა უფრო გაუადვილდებოდა.

მაგრამ აღმოჩნდა, რომ არც ამ ზომამ გაჭრა. პირიქით, ერთფეროვანი დღეების დინებამ კიდევ უფრო მეტად გაალოთა. მაგრამ უცნობი უაინსბურგში სულ ტყუილად მაინც არ ჩამოსულა. მან ხომ მრავლისმეტყველი სახელი შეარქვა ტომ ჰარდის გოგონას.

ერთ საღამოს უცნობი, რომელიც მრავალდღიანი გაბმული სმის შემდეგ გონს ჯერაც ვერ მოსულიყო, უაინსბურგის მთავარ ქუჩაში მიბარბაცებდა. ტომ ჰარდი „ნიუ უილარდ ჰაუზის“ წინ, სკამზე იჯდა და ჯორჯ უილარდს ესაუბრებოდა. მამის მუხლებზე პატარა გოგონა მოკალათებულიყო, იმხანად ხუთიოდე წლისა. უცნობი მძიმედ დაეშვა სკამზე მათ გვერდით. ყოველი ნაკვთი უცახცახებდა. ლაპარაკი სცადა, მაგრამ ხმა აუკანკალდა. გვიანი საღამო იყო. პატარა ქალაქსა და რკინიგზის ლიანდაგზე, რომელიც სასტუმროს შორიახლოს, ბორცვის ძირას გადიოდა, წყვილი ჩამონვა. სადღაც შორს, დასავლეთით, სამგზავრო მატარებლის კვილი გაისმა. შარავნაზე მძინარე ძალღმა გაიღვიძა და ყეფა ატეხა. უცნობმა ენის ბორძიკით უწინასწარმეტყველა მომავალი პატარა გოგონას, რომელიც აგნოსტიკოსი მამის მუხლებზე იჯდა და მის მკერდზე მიეყრდნო თავი.

– აქ იმისთვის ჩამოვედი, რომ ღვინის სმას გადავჩვეოდი, – თქვა უცნობმა და ლოყებზე ცრემლები ჩამოუგორდა. ტომ ჰარდისთვის არც კი შეუხედავს; წინ გადახრილიყო და სიბნელებაში იყურებოდა, თითქოს იქ რალაცას ხედავსო, – ქალაქიდან რომ გამოვრბოდი, მეგონა მეშველებოდა, მაგრამ არაფერი მეშველა. ამას თავისი მიზეზი აქვს.

მერე თავი მოაბრუნა და შეხედა პატარა გოგონას, რომელიც კვლავინდებურად მამის მუხლებზე იჯდა, მაგრამ ახლა უკვე გამართულიყო და უცნობს ათვალიერებდა. კაცმა მხარზე მოჰკიდა ხელი ტომ ჰარდს.

– განა მარტო ღვინო მწყურია, – თქვა მან, – სხვა რამეც მანვალებს. ამქვეყნად სიყვარულისთვის ვარ მოსული, მაგრამ ჩემს სიყვარულს ვერ მივაგენი. ეგ უბრალო საქმე არ არის, თუკი გესმით, რისი თქმა მინდა. სწორედ ამიტომ მე აუცილებლად დავიდუპებ. დიახ, ჩემი საშველი აღარ არის. ბევრს როდი ესმის ეს.

უცნობი დადუმდა, თითქოს ერთბაშად მოძალებულმა სევდამ დათრგუნაო, მაგრამ სამგზავრო მატარებლის დაკვივლებამ ისევ გამოარკვია.

– არა, რწმენა საბოლოოდ ჯერ არ დამიკარგავს. ამას საჯაროდ ვაცხადებ, – ხრინნიანი ხმით თქვა მან, – უბრალოდ აქ, სადაც ბედმა გადმომისროლა, ჩემი რწმენა ხორცს ვერ შეისხამს. ამაში დარწმუნებული ვარ.

ეს რომ თქვა, ბავშვს მიაშტერა თვალი და ამ წუთიდან მოყოლებული მხოლოდ მას ელაპარაკებოდა, თითქოს ტომ ჰარდს ვერც კი ამჩნევსო.

– აი, მომავალი ქალი, – უცნობის სახემ მტკიცე და სერიოზული გამომეტყველება მიიღო. – მაგრამ ჩვენ აცდით ერთმანეთს. როცა მე ველოდი, ის სხვა მხარეში იყო. შეიძლება სწორედ შენ ხარ ის ქალი?! როგორც ჩანს, ღმერთმა ჩვენი შეხვედრა სწორედ ამ საღამოს ინება, როცა მე უკვე ველარაფერი გამომასწორებს, შენ კი ჯერ მხოლოდ ბავშვი ხარ.

აღელვებისგან მხრები ძლიერად აუძაგძაგდა. თამბაქოს გახვევა სცადა მაგრამ აკანკალებული თითები ვერ

დაიმორჩილა და ქალაღი ხელიდან გაუვარდა. უცნობი გაბრაზდა და ბუზლუნს მოჰყვა:

– ყველას ჰგონია, რომ ადვილია ქალობა: რა უნდა, შეგიყვარებს ვიღაცა და მორჩა! მაგრამ მე ხომ ვიცი, რომ ეს ასე არ არის! დიახ, კარგად მესმის ეს, – უცნობი ისევ გოგონას მიუბრუნდა, – ალბათ ყველა მამაკაცზე უკეთ სწორედ მე მესმის!

მერე ისევ გახედა ჩაბნელებულ ქუჩას.

– ის ქალი არასოდეს მინახავს, მაგრამ მაინც ბევრი რამ ვიცი მის შესახებ, – თქვა ახლა უკვე დაწყნარებით. – ყველაფერი ვიცი მის ბრძოლებსა და დამარცხებებზე. სწორედ ამ დამარცხებების გამო მიყვარს იგი ასე ძალიან. ამ დამარცხებებმა ქალში ახალი თვისება შვა. სახელიც კი მაქვს მისთვის შერჩეული: ტენდი დავარქვი. ეს სახელი მაშინ მოვიგონე, როცა ნამდვილი მეოცნებე ვიყავი – სუფთა და შეურყვნიელი. ტენდი ის თვისებაა, რომელიც ქალს ძლიერსა და გაუტეხელს ხდის სიყვარულში. მამაკაცები სწორედ ამ თვისებას ეძებენ ქალში, მაგრამ ვერ პოულობენ.

უცნობი წამოდგა და ტომ ჰარდის წინ გაჩერდა. ფეხზე ძლივს იდგა. ისე ქანაობდა, თითქოს ის-ის იყო, უნდა ნაქცეულიყო; მაგრამ მოულოდნელად მუხლებზე დაეცა, გოგონას პატარა ხელები თავის დორბლიან ტუჩებთან მიიტანა და გაშმაგებით დაუნყო კოცნა.

– იყავი ტენდი, პატარავ! – უთხრა მუდარით, – იყავი ძლიერი და გამბედავი. აი, შენი გზა! ნურაფრის შეგეშინდება. იყავი იმდენად მამაცი, რომ შეგიყვაროს ვინმემ! იყავი ჩვეულებრივ ქალზე უფრო მეტი. იყავი ტენდი!

უცნობი წამოდგა და ბარბაცით გაუყვა ქუჩას, ხოლო ორიოდე დღის შემდეგ ჩაჯდა მატარებელში და შინ, კლიფენდში დაბრუნდა. ზაფხულის იმ საღამოს, სასტუმროს წინ მომხდარი ამბების მერე, ტომ ჰარდმა ნაიყვანა თავისი გოგონა ერთ-ერთ ნათესავთან, რომლის სახელშიც ბავშვს ღამე უნდა გაეთია. როდესაც ღამის წყვილადში ისინი ხეივანს მიუყვებოდნენ, ტომს უკვე დავინწყებოდა უცნობიცა და მისი აზდაუბდა ნალაპარაკევიც. გონებაში კვლავ დაჟინებით ცდილობდა გამოენახა უტყუარი საბუთი, რომელიც ადამიანებს ღვთის რწმენას მოუსპობდა. ფიქრში გართულმა შვილს სახელით მიმართა, ბავშვმა კი უცებ ტირილი მორთო.

– აღარ დამიძახო ასე, აღარ, – უთხრა სლუკუნით, – მე მინდა ტენდი მერქვას, ტენდი ჰარდი!

გოგონა ისე მწარედ ტიროდა, რომ ტომ ჰარდს გული მოუღება და მისი დაწყნარება სცადა. ხის ქვეშ გაჩერდა, შვილი ხელში აიყვანა და მიუაღერსა.

– კარგი, კარგი, გეყოფა, შენ ხომ ჭკვიანი გოგო ხარ, – უთხრა დაყვავებით, მაგრამ გოგონა არ იქნა და არ წყნარდებოდა. ბავშვისთვის ჩვეული თავდავინწყებით მოთქვამდა და მისი ტირილის ხმა არღვევდა შებინდებული ქუჩის მდუმარებას.

– ტენდი მინდა ვიყო... ტენდი მინდა ვიყო... ტენდი ჰარდი! – იძახდა თავის ქნევით და ისე გულამოსკვნით ტიროდა, თითქოს გოგონას ნორჩი სული ვერა და ვერ მორეოდა უცნობი ლოთის სიტყვებით მოგვრილ ხილვას.

ინგლისურიდან თარგმნა  
გიორგი გოკიძე

\* \* \*

– ანგელოზივით შემოცურდაო, – ასე დაამახსოვრებოდა ბორენა ჯაჭვლიანს იმ ლამაზმანის სტუმრობა „ჩვენი მწერლობის“ რედაქციაში, აქედან რომ განეზრახა ლიტერატურის კარის შეღება.

პირველი ლექსები რომ შეეთხზა, გამოქვეყნება არ უჩქარია, აგროვებდა, ახარისხებდა და, ბოლოსდაბოლოს ორი პოეტური ციკლისათვის რომ მოუყრია თავი, გადაუნყვეტია, ახლა უკვე ჩემი დროც არისო. მეგობრებსაც შეუგულიანებიათ, ან აქამდე რას უცდიდით.

ბორენას ისე მოუნდებოდა, მართლაც საგულისხმო დებიუტი ყოფილიყო, მართლაც გამორჩეული და სწორედ მას დაელოცა გზა ახალბედასათვის, იქვე აფურცლავდა რვეულს, რომელშიც ბავშვური ხელით ჩანერილიყო ის ლექსები, ავტორს საგულდაგულოდ რომ გამოეყო დახორაგებული ხელნაწერებიდან. ბორენას გამოუტყდებოდა: ბოლო ნუთამდე ვუტრიალებდი, გული ვერა და ვერ შევაჯერე, ძალიან მინდა ეფექტური დებიუტი იყოსო.

– იქნება, უსათუოდ იქნებაო, – დააიმედებდა ბორენა და ჯერ ციკლების სათაურებს დახედავდა, ფაქიზი, რომანტიკულ ბურუსში გახვეული ლირიკული სამყაროს მიმანიშნებელს. დახედავდა და... თვალთ დაუბნელდებოდა, კარგახანს ვერ დაიჯერებდა, რომ მართლა... მართლა ასე ეწერა... ეს რა მეღანდებო, ფიქრობდა.

არადა, იმ ბავშვური ხელით ციკლების სათაურები ასე გამოძერწილიყო: „აქეთ ფიცარი, იქით ფიცარი“ და „იყო დრო და მომენტი“.

– ეს „იყო დრო და მომენტი“ რაღაც ეგეთს ნიშნავსო? – იკითხავდა მოგვიანებით, დებიუტანტს განზილებულს რომ გაისტუმრებდა, ჯერ კი სტრიქონებს გადაავლებდა თვალს დაბნეული და სულ უფრო სახტად დარჩებოდა იმ განცდებისა და განწყობილებების უკიდურესი გაშიშვლებითა და ისეთ სიტყვიერ მასალაში მოქცევით, რამდენიმე წლის წინათ ჯერაც ტაბუდადებულად რომ მიიჩნეოდა. ახლა კი დამდგარიყო „დრო და მომენტი“ და „ფიცრები“ გამოჭედილი სწრაფვა და ჟინი ზეპირმეტყველებას აღარ კმარობდა და გაზეთის, ჟურნალის, ნიგნის ფურცლებზე მკვიდრდებოდა როგორც რაღაც სიახლე, როგორც ის აუცილებელი სტილური ნიშანი, ურომლისოდაც ძველმოდურობას დაგნამებდნენ და სწობური წრეები ახლოსაც აღარ გაგიკარებდნენ.



მხატვარი გიორგი ხატიაშვილი

ბორენა კი, ნირნამხდარი:

– ეს... რა არის, შვილო!.. ეს რა ენაა!.. ყველა ლექსი ასეთია?..

– ასეთია, აბა, როგორი უნდა იყოს, – გაიკვირებდა ანგელოზი, – თანამედროვე სტილი ესაა და...

ეს შეემუდარებოდა, შეენუკვებოდა, ლამის დაუჩოქებდა: ჩამოეხსენი ასეთ ფიქრებს, უხამსობა პოეზიად არასოდეს იქცევაო, მაგრამ დებიუტანტი მხოლოდ იმ აზრს გამოიტანდა ძველი ადამიანის მღვლეარე ტრადიციდან, რომ ლექსებს აქ რატომღაც არ უბეჭდავდნენ. არ უბეჭდავდნენ და... ნუ უბეჭდავდნენ, გამოცემების მეტი რა იყო, „ჩვენი მწერლობის“ რედაქციაზე ხომ არ ეკიდა მისი ლიტერატურული მომავალი.

ოჯახური აღზრდა უფლებას არც მისცემდა, წყენა გამოეხატა, ამიტომ თავაზიანად, მომხიბლავი ღიმილით გამოემშვიდობებოდა მასპინძელს და გაცურდებოდა.

რედაქციის წევრები ბორენას მოსულიერებას მოუნდებოდნენ.

– აქეთ ფიცარი, იქით ფიცარი, – მერამდენედ წაილულლულეს, – ქალი მაინც არ იყოს... სადამდე მივიდნენ!..

მაკა ჯოხაძე წყლით საესე ჭიქას აწვდის, გულს გიპოვნისო, ამჟინდებს, ბავშვივით ულოლიავებს, და აქეთ გამოსული გაოცებით იკითხავს:

– ვერ ვიგებ, რა დაემართა ბორენას, არ შეიძლება ფიცარზე ლექსი დაინეროს? თუ არ მეშლება, ჯონ აპდაიკი უნდა ამბობდეს: რისი თქმა აღარ შეიძლება! რაც გნებავთ, ყველაფერი საინტერესოა ამქვეყნად. რძის ბოთლი. აყვავებული ვარდები. ტრამვაისაც ისეთივე უფლება აქვს ლიტერატურაში არსებობისა, როგორც ხესო.

არ შეიძლება ფიცარზე ლექსი დაინეროსო?..

თუ რძის ბოთლსა ან ტრამვაიზე შეიძლება, ალბათ – ფიცარზეც.

ნეტარი მაკა!..

დებიუტანტი შემოქმედი კი მიცურავდა თავისი გზით, თავისი პოეტური ენითა და თანამედროვე სტილით. მიცურავდა, იკარგებოდა ქუჩის ხმაურში.

– ანგელოზივითო, – აღიარებდა ბორენა ჯაჭვლიანი.

იყო ფიცარი – აქეთაც, იქითაც.

იყო დრო და...

იყო მომენტი...

\* \* \*

ბელეტრისტიკაში განსაკუთრებული წარმატების მოპოვებამდე – XX საუკუნის პროზის მამადაც რომ აღიარებდნენ – ჯეიმზ ჯოისის პოეტურ კრებულს გამოაქვეყნებდა – „კამერული მუსიკა“. კრიტიკოსები ადვილად შეამჩნევდნენ, სახელწოდება ორმაგ შინაარსს რომ გულისხმობდა და მკითხველს პირდაპირ არ უნდა გაეგო. კრებულში თავი მოეყარა არა მართლა ლირიკულ რომანსებს, არამედ პაროდირებას ამ სტილით შექმნილი ნიმუშებისა. ამიტომაც „Chamber music“ ერთდროულად ნიშნავდა კამერულ მუსიკასაც და... ლამის ქოთნის ხმებსაც.

ქართულად როგორღა უნდა ითარგმნოს კრებულის სათაური, რათა ქვეტექსტის პარადიულობა არ დაიკარგოს? როგორ და... „კამერულს“ ნუ შევცვლით ქართულად ამეტყველებისას.

თუმცა ეს სიტყვა ჩვენში არ იწვევს ღამის ქოთნის ასოციაციას, მაგრამ გაგახსენებს... კამერას, სატუსალო ოთახს, და შინაარსის ორმაგობა და პარადიის ეფექტიც მიღწეული იქნება.

ჯერ ისედაც.

მითუმეტეს, თენგიზ ჩანტლაძის მშვენიერი იუმორისტული სკეტჩის შემდეგ, მილიციის განყოფილებაში რომ ხდება მოქმედება და, კოლორიტული უფროსი მილიციელის შემხედვარე, არაერთი იბრალებდა ამ პროფესიის წევრთაგან: სწორედ მე მიგულისხმა, ჩემი სახებაა სცენაზე გადატანილი.



ახალგაზრდები მოუყვანიათ მილიციის განყოფილებაში, კერძოდ, ზემდეგ ჯამასპიშვილს: ოპერის წინ მღეროდნენ ხულიგნურად, მაშინ, როდესაც მშვიდობიან მოსახლეობას მშვიდად ეძინაო.

ოპერის წინ რომ მღერი, აბა, შედი და ოპერაში იმღერეო, – ექილიკება მილიციის უფროსი ერთ-ერთ „ხულიგან“ მომღერალს, – მაგრამ, ეტყობა, საოპერო არ გეხერხება, უფრო კამერული გეხერხება და მაქვს შენთვის აგერ პირველი კამერაო.

და იცინის მაყურებელი ამ გონება-მახვილურ ფრაზაზეც, მითუმეტეს, ალლოთი გრძნობს, რომ ეს მილიციელი არავის დამსჯელი არ არის, გული არ გაუშვებს, და რაღაც მოტივს ყოველთვის მოძებნის ახალგაზრდების გასამართლებლად.

სამნი იმავე კუთხიდან არიან (სამეგრელოდან), საიდანაც თვითონაც არის? კეთილი, მაგრამ სარაჯიშვილსაც რომ მამაშვილური დარიგების შემდეგ გაუშვებს გარეთ: თავი სად გამოვყო, სარაჯიშვილი დავიჭირე, ოპერის წინ მღეროდაო?.. და თუ ვინმე უნდა დაისაჯოს, ისე ზემდეგი ჯამასპიშვილი, ვისაც ხელოვანი და ხულიგანი ვერ გაურჩევია ერთმანეთისაგან...

... ჯეიმზ ჯოისსაც კამერული უფრო ეხერხებოდა?

და წიგნის „კამერაში“ ამიტომ გამოამწყვდევდა თავის შეფარულ დაცინვას, გალაკტიონისა არ იყოს: მღერენ რომანსეროებს, რა დროს რომანსეროაო.

\* \* \*

ტარიელ ჭანტურია იტყვის:

— სიტყვა კონტექსტში ხშირად სრულიად იცვლის მნიშვნელობას, და არამარტო მხატვრულ ტექსტში. ჩვეულებრივი საუბრის დროსაც კი. აი, თუნდაც სიტყვა „დაასპონსორა“. როგორი პოპულარულია ახლა და ერთადერთი მნიშვნელობა აქვს. ასე არ არის?

— ასეა, არაა პოლისემანტიკური სიტყვა.

— თითქოს არ არის, მაგრამ ვილაცამ რომ თქვას: ვალიკომ ლეილა დაასპონსორა, — გარშემო ყველა ხომ გაიფიქრებს: აააა... „დაასპონსორებას“ თავისი მნიშვნელობით არავინ გაიგებს!..

არადა, „დაასპონსორება“ მართლა არ არის პოლისემანტიკური სიტყვა.

თითქოს... თითქოს არ არის.



მხატვარი დიმიტრი ერისთავი

### მარინა ცვეტაევა თუ დანერდა

ღია ასათიანი უნივერსიტეტში სწავლისას უკვე სახელგანთქმული იყო, როგორც ულამაზესი არსება.

დიდხანს გაჰყვა ღვთივბოძებული ჯილდო.

სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მუშაობდა, სპარსული პოეზიის საიდუმლოებათა ამოხსნით იყო გატაცებული, დროდადრო ლექსებსაც წერდა. ურიგო ლექსები არ ყოფილა. აქვეყნებდა კიდევც. თავის ნაცნობ ლიტერატორს, რომელიც გულწრფელ ადამიანად მიაჩნდა, ეკითხებოდა ხოლმე, ჩემი ლექსები როგორ მოგწონსო? ისიც არ უწუნებდა.

ერთხელაც ძალზე დაჟინებით ჩაეკითხა, თავისი ლიტერატურული რეი-



ტინგის გარკვევა აინტერესებდა.

ნაცნობმა ლიტერატორმა ასე მიუგო: „ღია, შენ ვერასოდეს დანერ ისეთ ლექსს, შენს მშვენებას რომ აღემატებოდეს. შენ გაცილებით უკეთესი ხარ, ვიდრე შენი ლექსი შეიძლება იყოს.“

შენს მშვენებაზე უკეთეს ლექსებს მარინა ცვეტაევა თუ დანერდა.“

თავისი ხვედრით კმაყოფილი ადამიანი ძნელად მოიძებნება.

ამბობენ, რომ ჰამლეტ გონშვილი არაფრად აგდებდა თავის ტალანტსა და პოპულარობას. გულდანყვეტილი ამბობდა ხოლმე: ნეტავი ოპერის მომღერალი რად არა ვარო?!

### უჩვეულო განაჩენი

ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულებაში გაერია ახალგაზრდა ლეიტენანტი ფილიპ ნოლანი, დააპატიმრეს და სასამართლო პროცესზე რომ ჰკითხეს, ხომ არა გსურთ რაიმე თქვათ იმის დასამტკიცებლად, რომ ყოველთვის ერთგული იყავით შეერთებული შტატებისაო, ნოლანმა გააფთრებით იყვირა: „ემშაკმა დასწყევლოს თქვენი შეერთებული შტატები! ღმერთო ჩემო, არასოდეს აღარ გამაგონოთ შეერთებული შტატების სახელი!“

ამ სიტყვებმა იმდენად შეაძრწუნა სასამართლოს თავმჯდომარე, ხანდაზმული პოლკოვნიკი მორგანი, რომ ერთობ უჩვეულო განაჩენი გამოუტანა ბრალდებულს: შეერთებული შტატების სახელი აღარასოდეს გაიგონოსო.

და ეს განაჩენი ზუსტად იქნა შესრულებული. ორმოცდათხუთმეტი წლის განმავლობაში ფილიპ ნოლანი გემიდან გემზე გადაჰყავდათ, ხმელეთზე ფეხი აღარ დაუდგამს და აკრძალული ჰქონდა გაგონება თუ წაკითხვა თავისი სამშობლოს სახელისა.

ასე გადაიქცა იგი „უსამშობლო კაცად“.

რა შეიძლება ვუნოდოთ ზემოხსენებულ განაჩენს? ალბათ უნიკალური, უპრეცედენტო, გაუგონარი და ა.შ. უყოყმანოდ შეიძლება ითქვას, რომ შეუძლებელია, ამგვარი განაჩენი მსაჯულს მოსვლოდა თავში. ეს მხოლოდ და მხოლოდ მწერლის გონებაში შეიძლება დაბადებულიყო.

„უსამშობლო კაცის“ სიუჟეტი ისტორიული სინამდვილიდან არ მომდინარეობს. თუმცა მოთხრობის მახვილგონივრულმა კომპოზიციამ, ისტორიული სახელების, ფაქტებისა და დოკუმენტების ოსტატურმა გამოყენებამ მრავალი მკითხველი, ამ მოთხრობის თანამედროვენი, დაარწმუნა ედუარდ ჰეილის მიერ მოგონილი პერსონაჟის რეალურობაში.

მაგრამ, როგორც აღნიშნავენ, თავისთავად აზრი სასამართლოს ამ უჩვეულო განაჩენზე, რომელმაც მოთხრობაში განსაზღვრა ფილიპ ნოლანის უჩვეულო ბედი, შესაძლოა მწერალს გასჩენოდა ვინმე ვალანდიგემის საქმის შთაბეჭ-

დილების შედეგად. ეს კაცი ამერიკის სამოქალაქო ომის დროს (1861-1865) იყო „მშვიდობიან დემოკრატთა“ ლიდერი.

1863 წელს, როდესაც დაინერა ჰეილის ფრიად ორიგინალური და ექსპრესიული მოთხრობა, სამოქალაქო ომში ჩრდილოელთა გამარჯვება ჯერ კიდევ არ იყო ცხადი. ხდებოდა სამხედრო მარცხიც და ამბოხებანიც ზურგში. ლინკოლნის მთავრობის წინააღმდეგ ენერგიულად იღვწოდნენ სწორედ „მშვიდობიანი დემოკრატები“, რომლებიც მოითხოვდნენ შეწყვეტილიყო „ძმთამკვლელი ომი“ და სამხრეთთან კომპრომისი მოეძებნათ. მათ შეარქვეს „სპილენძა“ (შხამიანი გველის ერთ-ერთი სახეობაა).

1863 წლის აპრილში გენერალმა ბერნსაიდმა, რომელიც სათავეში ედგა სამხედრო ხელისუფლებას ოჰაიოს შტატში, გამოსცა ბრძანებულება, რომელშიც აცხადებდა, რომ არ დაუშვებდა თანაგრძობის გამოხატვას მტრის მიმართ და განიხილავდა ამგვარ მოქმედებას, როგორც სამშობლოს ღალატს.

მაისის თვეში ვალანდიგემი, მორიგი დემოკოგიური გამოსვლის შემდეგ, დააპატიმრეს და საპყრობილეში უკრეს თავი ომის დამთავრებამდე.

როდესაც შეერთებული შტატების პრეზიდენტმა აბრაამ ლინკოლნმა შეიტყო ეს ამბავი, სასამართლოს განაჩენი შეცვალა, თითქოსდა შეარბილა იგი, მაგრამ სინამდვილეში სიმწვავე და აგიტაციური მნიშვნელობა მინიჭა.

მისი განკარგულებით, ვალანდიგემი გადაასახლეს სამხრეთელთა ტერიტორიაზე.

პრეზიდენტის ბრძანება გენერალ ბერნსაიდის სახელზე ასეთი იყო:

„სერ! პრეზიდენტის წინადადებაა, რომ კლემენტ ვალანდიგემი, საიმედო დაცვის ქვეშ, დაუყოვნებლივ გაგზავნოთ გენერალ როზენკრანსის შტაბში, რომელიც გადაგზავნის მას ჩვენი მონინააღმდეგის განლაგებაში. ღმერთმა ხელი მოუშაროს – თავისიანებთან ამოყოფს თავს“.



რედაქტორები და ავტორები

ჟურნალისა თუ გაზეთის რედაქტორს, ერთი შეხედვით, არავითარი ძალაუფლება არ გააჩნია. არც თოფ-იარაღშია ჩამჯდარი და არც სპეცრაზმელები ჰყავს თავის განკარგულებაში. მაგრამ სინამდვილეში მისი ძალა არაფრით ჩამოუვარდება, ვთქვათ, სუპერსახელმწიფოს სამხედრო პოტენციალს.

არ მოეწონება ერთი სიტყვა ავტორის ტექსტში და წაშლის; ავტორმა თავი რომ მოიკლას, საქმეს მაინც არაფერი ეშველება. არც მუდარა გასჭრის და არც მუქარა. რა უნდა ილონოს ავტორმა? სხვაგან წაილოს თავისი მასალა? მაგრამ სხვაგანაც ხომ ულმობელი რედაქტორი დახვდება. ერთ სიტყვას გადააყოლოს მთელი ტექსტი? ამას როგორ იზამს! ვინ იცის, რამდენი ღამე გაუთენებია მის შესაქმნელად, რამდენი ენერგია დაუხარჯავს და ახლა ერთი საცოდავი სიტყვის გაულისათვის წყალში ადაყაროს ამდენი ჯავა და წვალება?

რედაქტორები განსაკუთრებით ებრძვიან მრავალსიტყვაობას.

გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმისო – მარტოოდენ ეს სიტყვები ახსოვთ „ვეფხისტყაოსნიდან“.

მეცნიერებათა აკადემიას თავისი ბეჭდვითი ორგანოც მოეპოვებოდა, რომელსაც ერქვა „მაცნე“. აქ, ძირითადად, იბეჭდებოდა სამეცნიერო ხარისხის მაძიებელთა სტატიები. ტექსტის მოცულობა მკაცრად იყო განსაზღვრული – ერთი თაბახი (ანუ საბეჭდ მანქანაზე ორი ინტერვალით გადაბეჭდილი 24 გვერდი).

ერთ მშვენიერ დღეს ერთმა არცთუ ახალგაზრდა ავტორმა „მაცნეს“ რედაქციას მიართვა თავისი სტატია, რომელიც აღემატებოდა დადგენილ ნორმას დაახლოებით ათი გვერდით. რედაქტორმა ავტორს შეახსენა ეს გარემოება. ავტორმა ხმაამოუღებელივ წაილო თავისი ნაშრომი. უკმაყოფილება არაფრით გამოუხატავს. რამდენიმე დღის შემდეგ ისევ გამოჩნდა რედაქციაში. შევამოკლეო, განუცხადა რედაქტორს და დაუდო მაგიდაზე თავისი სტატია. გვერდების ოდენობა ამჯერად შეესაბამებოდა დადგენილ სტანდარტს, ოღონდ ნაშრომი მანქანაზე გადაბეჭდილი იყო ერთი ინტერვალით! რედაქტორს, რა თქმა უნდა, თვალში მოხვდა, რომ ტექსტი ძალზე შემჭიდროვებული იყო.

დანარჩენი თქვენ წარმოიდგინეთ...

ერთხელაც გამოჩენილი ქართველი მკვლევარის პავლე ინგოროყვას მისამართით გამოქვეყნდა საკმაოდ უხეში

კრიტიკული წერილი, სულ რაღაც ექვს გვერდს რომ შეიცავდა. პავლე ინგოროყვას კრიტიკის მიმართ იმუნიტეტი ჰქონდა გამოუმუშავებული და ასე იოლად ვერ გამოიყვანდი წონასწორობიდან, მაგრამ იმ კრიტიკულმა წერილმა, ჩანს, რაღაცით ძალზე გააღიზიანა. ბევრი არ უჭოჭმანია, დაჯდა წერად პასუხისა და ისე გაიტაცა პოლემიკურმა პათოსმა, რომ პასუხი იმ კრიტიკულ გამოხდომაზე თითქმის ოთხჯერ უფრო ვრცელი გამოვიდა.

რედაქციაში მოწინებთი განუცხადეს, ექვსგვერდიანი წერილს ექვსი გვერდითვე რომ უპასუხოთ, უფრო სამართლიანი და თქვენთვისაც მომგებიანი იქნებაო; მკითხველი რატომ უნდა გადავღალოთო? ათასი სხვა საქმე და საზრუნავი აქვსო.

პავლე ინგოროყვამ მორჩილად წაილო თავისი წერილი და ცოტა ხნის შემდეგ ხელმეორედ მიიტანა. მარტივად შეესრულებინა რედაქციის მოთხოვნა – გვერდები გადაენომრა. ვთქვათ, მე-3 გვერდს მოჰყვებოდა გვერდი 3-ა, 3-ბ და ა.შ. ამგვარი მეთოდით მისი პასუხი სულ 6 გვერდს შეიცავდა.

ერთ რედაქტორს კი რატომღაც არ ეჭაშნიკებოდა სიტყვა „რომელიც“ და კატეგორიულად მოითხოვდა, რომ ეს სიტყვა არ გაჭაჭანებულიყო ნებისმიერი ავტორის ტექსტში, ახალბედა იქნებოდა თუ ღვანლმოსილი ლაურეატი. რაც გინდათ, ის ქენით, რითაც გნებავთ, იმით შეცვალეთ, ოღონდაც „რომელიც“ თვალთ არ დავინახო!

დაუსახელეს ვიქტორ ჰიუგოს რომანი „კაცი, რომელიც იცინის“. რედაქტორმა იკითხა: რაო, „რომელიც“ ფრანგულში არსებობსო?

ვერაფრით ვერ გადაარწმუნეს. სასტიკი ომი გამოუცხადა ამ უწყინარ სიტყვას და ყოველთვის ამარცხებდა, სპობდა, საშვილიშვილოდ ანადგურებდა. წინ რა დაუდგებოდა, რედაქტორი იყო და მისი უკანონობაც კანონიერებად მიიჩნეოდა.

აი, ასეთი ძალა ჰქონდა რედაქტორის რბილ სავარძელს იმ წყეულ დროში!

ქრონიკა

„აბჯარასხმულ სვანურ გვარებს შორის ყველაზე ნაზი და რბილი გვარი მხვდა წილად“...

ამ თქმა მხოლოდ ნამდვილ პოეტს შეუძლია.

უკვე შვიდი წელია რაც ჩვენს შორის აღარ ტრიალებს უმშვენიერესი ქალბატონი, დიდი ხელოვანი – მხატვარი და პოეტი ესმა ონიანი.

9 თებერვალს, თიბისი ბანკის სათაო ოფისის საგამოფენო დარბაზში (მარჯანიშვილის 7) თიბისი ბანკი და ქალბატონი ირინე ონიანი ხელოვნების მოყვარულებს, ესმა ონიანის შემოქმედების თავყვანისმცემლებსა და მეგობრებს ეპატიჟებოდა გამონაზე, რომლის სახელწოდებაც გახლდათ „ესმა“.

დარბაზში უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი.გამოფენა გახსნა თიბისი ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა – მაია ძირკველიშვილმა.

გამოფენაზე სიტყვებითა და მოგონებებით გამოვიდნენ: მხატვართა კავშირის თავმჯდომარე გია ჯამბერიძე, ხელოვნებამცოდნე, პროფესორი – ნინო ზაალიშვილი, საქართველოს დამსახურებული მხატვარი – ლამა ქურდიანი, ლიტერატურათმცოდნე, მწერალი – მაკა ჯოხაძე, პოეტი – ერეკლე სალიანი.

დარბაზში ცოცხალი შესრულებით ისმოდა ჯაზისა და კლასიკური მუსიკის ჰანგები (ნანა დიმიტრიადი, თამარ გაბარაშვილი).

გამოფენას დაესწრნენ საქართველოში აკრედიტებული სხვადასხვა ქვეყნების საელჩოთა წარმომადგენლები, ელჩები. დასასრულს დამსწრე საზოგადოებას და გამოფენის ორგანიზატორებს მხატვრის დამ ირინე ონიანმა გულთადი მადლობა გადაუხადა.

გამოფენა გასტანს 20 თებერვლამდე.